

# ეკონომიკა

ყოველთვიური საერთაშორისო რეცენზირებადი და  
რეფერირებადი სამეცნიერო ჟურნალი  
«ЭКОНОМИКА» - Ежемесячный международный  
рецензируемый и реферируемый научный журнал

“ECONOMICS” - Monthly International reviewed  
and refereed scientific journal

№ 3-4, 2012

ჟურნალი გამოდის 1918 წლიდან  
Journal published since 1918

## რ. შენგელია (მთ. რედაქტორი)

ი. არჩვაძე; ა. აბრალავა; ე. ბარათაშვილი; რ. გოგოხია; ვ. დათაშვილი;  
ზ. ვაშაკიძე; თ. დოლიაშვილი; მ. კაკულია; ღ. კარბონი (იტალია);  
პ. კოღუაშვილი; ა. კურატაშვილი; ზ. ლიპარტია; გ. მალაშვილი; ი. მესხია; ე. მექუბიძე-  
ვილი; ქ. მარმავა; ს. პალიაშვილი; ვ. პაპავა; მ. როკეტლიშვილი (აშშ); უ. სიბადაშ-  
ვილი; ა. სილაგაძე; თ. სოლლატებჭო (უკრაინა); მ. ტურაუ; ტ. ფედოროვა (რუსთა);  
ღ. ქავთარაძე (რუსთა); რ. ქუთაულაძე; კ. ღურუქვაა; გ. ეკუფენია; გ. შებლაძე; თ. შეგ-  
ვლია; ქ. წიგლაური; ნ. ჭითანავა; ღ. ჩიტანავა; მ. ჯიბუტი; რ. ჯაბიიძე.

## ШЕНГЕЛИЯ Р. (ГЛ. РЕДАКТОР)

Арчвадзе И., Абралава А., Бараташвили Е., Ващакидзе З., Гогохия Р., Гурцкая К.,  
Даташвили В., Джигути М., Джабнидзе Р., Долиашвили Т., Кавтарадзе Д. (Россия),  
Какулия М., Карбон Д. (Италия), Когуашвили П., Купуния Г., Кураташвили А.,  
Кутателадзе Р., Липартия З., Малашкия Г. Меквабишвили Э., Маршава К., Месхия Я.,  
Папава В., Павлиашвили С., Рокетлишвили М. (США) Силагадзе А., Сольданенко  
О. (Украина); Самадашвили У., Турава М., Федорова Т. (Россия), Чикава Л.,  
Читинава Н., Шубладзе Г., Шенгелия Т., Циклаури Ж.

## REVAZ SHENGELIA (EDITOR IN CHIEF)

I. ARCHVADZE; A. ABRALAVA; E. BARATASHVILI; R. GOGOKHIA; V. DATASHVILI;  
Z. VASHAKIDZE; T. DOLIASHVILI; M. KAKULIA; D. KARBON (ITALY);  
P. KOGHUASHVILI; A. KURATASHVILI; Z. LIPARTIA; G. MALASHKHIA; I. MESKHIA;  
E. MEKVABISHVILI; K. MARSHAVA; S. PAVLIASHVILI; V.PAPAVA; M. ROKETLISHVILI (USA);  
U. SAMADASHVILI; A. SILAGADZE; O. SOLDATENKO (UKRAINE); M. TURAVA;  
T. FEDOROVA (RUSSIA); D. QAVTARADZE (RUSSIA); R. QUTATELADZE; K. GHURTSKAIA;  
G. KUPUNIA; G. SHUBLADZE; T. SHENGELIA; ZH. TSIKLAURI; N. CHITANAVA; L. CHIKAVA;  
M. JIBUTI; R. JABNIDZE.

თავისუსთი - 2012

## შ 0 6 ა ა რ ს 0

<b>ექონომიკური რეფორმა:</b> აცლიზი, პროგლოვაბი, ვარსკეატივაბი	
ირაკლი გეგეშიძე - გლობალური კრიზისი და	
ეკონომიკური რეფორმების შედეგები საბანკო სფეროში -----	6
შორენა პატკორია - სახელმწიფოს მასტაბილიზირებელი	
როლი ეკონომიკში-----	11
ნინო გრიგალაშვილი - საკრედიტო პოლიტიკის	
რეგულირების ინსტრუმენტები-----	17

## ექონომიკური თაორგოს თანახადროვა პროგლოვაბი

თამარ ქაჯაია - სოციალურად ორიენტირებული ეკონომიკა -	
ცხოვრების ღონის ამაღლების უპირველესი საფუძველი -----	23
ნანა ნადარევიშვილი, ნონა დაველია - საქართველოს მოსახლეობის	
დემოგრაფიული პროცესებისა და შრომითი რესურსების	
დინამიკის ტენდენციები -----	29
ესა თაღუმაძე, გორგი მახარობლიშვილი - ინოგაცა -	
საინფორმაციო საზოგადოებაზე გადასვლის გარდაუვალი პირობა-----	35
ირაკლი გეგეშიძე - საქართველო და ეკონომიკური კრიზისი -----	41
ქეთევან მუმლაძე - „მდგრადი განვითარების“,	
„მდგრადობის“ არსი და მნიშვნელობა -----	47
ბესიკი ფუტკარაძე, ჯემალ შარაძე, ტარიელ ქოქოლაძე - საზღვაო	
ინფრასტრუქტურის განვითარების მაკროეკონომიკური პრობლემები-----	54
გორგი მაჩაბელი - კერძო რეპეტიტორობა:	
პარალელური განათლება საქართველოში-----	61

## ფინანსები, განებები, პირქანი

ქონსტანტინე სულამინიძე, გივი გამსახურდა - საბანკო რისკების მართვის	
მეთოდიების და რისკების მართვის სისტემის დანერგვის სრულყოფის	
აუცილებლობა -----	68
მაია ალადაშვილი - ტურიზმის ფინანსური უზრუნველყოფის	
პრიორიტეტული მიმართულებები საქართველოში -----	76
რუსული პაპასიარი - მიკროსაფინანსო ორგანიზაციები	
საქართველოში და მათი საკრედიტო პორტფელი -----	81
კონსტანტინე სულამინიძე - კომერციული ბანკის ფინანსურ-ანალიტიკურ	
საქმიანობაში ლიკვიდობის რეგულირების პრობლემები და მათი	
როლი ფინანსური წინააღმდეგობრივი მოვლენების აღმოფხვრაში-----	86
ნინო გრიგალაშვილი - კომერციული ბანკების საკრედიტო	
პოტენციალი, მისი სტრუქტურა და დინამიკა -----	99

## **რეგიონული ეკონომიკა**

ირინა ჯელია - ქ. თბილისის სამშენებლო კლასტერის განვითარება --- 103

## **დარგბრძოვი ეკონომიკა**

მუხრან ქამადაძე - ადამიანისული რესურსები,	115
როგორც აქტივის აღრიცხვის თავისებურებები -----	
თამარ ბაჩიშვილი - კერძო სასტუმროების როლი	
ტურიზმის განვითარებაში -----	120
მუხრან ქამადაძე - ძირითადი საშუალებების	
მიღების და ექსპლუატაციის ხარჯების აღრიცხვა -----	123
თამარ ბაჩიშვილი - ადამიანური რესურსების მართვასთან	
დაკავშირებული პრობლემები ტურისტულ ორგანიზაციაში -----	129
მუხრან ქამადაძე - აქტივების გაუფასურების ტესტირება-----	132

## **პიზესი, მარკეტინგი, ეკოჯანმატიკი**

ლევან ჭუთათელაძე - კომპანიის ინფორმაციულ უსაფრთხოებაზე	
ხარჯების გათვლის მეთოდიკა -----	137
გიორგი ფანიზიშვილი - საერთაშორისო შრომითი	
მიგრაცია თანამედროვე საქართველოში -----	141
გოლგოთი ტყეშელშვილი, ზურაბ გრიგორაშვილი -	
საწარმოს პერსონალის მართვის თავისებურებები ბაზარზე	
„მოთხოვთა-მიწოდების“ არასტაბილურ პირობებში -----	147
გიორგი ფანიზიშვილი - მოსახლეობის ემიგრაციული	
განწყობა და რეემიგრაციული პოტენციალი -----	152
კონდრატ დიმიტრიშვილი - შიდა აუდიტორების	
მიერ ბანკის საკუთარი კაპიტალის შემოწმების მეთოდიკა -----	158
ნატო გეგმნაზ - მცირე ბიზნესის განვითარების მაკროეკონომიკური	
რეგულირების მქანიზმი (თეორიული მოდელი) -----	163
მაია აზვლედანი - საცალო სავაჭრო საწარმოების	
მიზნობრივი მარკეტინგის სტრატეგია -----	168
კონდრატ დიმიტრიშვილი - ბანკის მიერ თურიდოული პირების	
საანგარიშსწორები-სალაროს მოშახურების განხორციელების შემოწმება --	173

## **მსოფლიო ეკონომიკა**

ზურაბ ვაშაკიძე, მირიან პაპუნიძე - საერთაშორისო ეკონომიკური	
ურთიერთობა, როგორც საქართველოს რეგიონული ეკონომიკური	
ინტეგრაციის საფუძველი -----	178
Resumes	189

# CONTENT

## ECONOMIC REFORMS: ANALYZE, PROBLEMS AND PERSPECTIVES

<b>Irakli Gegeshidze-</b> Global Economic Crisis and the Results of Economic Reforms in the Banking Sector -----	6
<b>Shorena Pachkoria</b> - The Stabilizing Role of Government in Economy -	11
<b>Nino Grigalashvili-</b> The Regulative Instruments of Credit Policy -----	17

## MODERN PROBLEMS OF ECONOMICS

<b>Tamar Qajaia</b> - Social - Oriented Economy – as the first basis of Improving the Quality of Life-----	23
<b>Nana Nadareishvili, Nona Danelia</b> - The Trends of Georgian Population's Demographic processes and of the Dynamic of Human Resources -----	29
<b>Eka Tadumadze, Giorgi Makharoblishvili</b> - Innovation as an inevitable Precondition for Transformation into the Information Society-----	35
<b>Irakli Gegeshidze</b> - Georgia and Economic Crisis -----	41
<b>Ketevan Mumladze</b> - The Essence and Meaning of the "Sustainability" of the "Sustainable Development" -----	47
<b>Besik Putkaradze, Jemal Sharadze, Tariel Kokoladze</b> - Macroeconomic issues of Development of Maritime infrastructure -----	54
<b>Giorgi Machabeli</b> - Private Tutoring-as a parallel Education in Georgia ---	61

## FINANCES, BANKS AND EXCHANGE MARKETS

<b>Konstantin Sulamanidze, Givi Gamsakhurdia</b> - The Necessity of Improvement and Implementation of Banking Risks Management Methodology and Risk Management System -----	68
<b>Maia Aladashvili</b> - The Preferential Directions of Financial Provision of Tourism in Georgia -----	76
<b>Rusudan Papaskiri</b> - Micro-financial Organizations in Georgia and their Credit Portfolio-----	81
<b>Konstantin Sulamanidze</b> --The Problems in Liquidity Management and their Role in Eradication of Financial Obstacles at Commercial Banks' Financial-Analytical Operations -----	86
<b>Nino Grigalashvili</b> - Credit Potential of Commercial Banks, its Structure and Dynamic -----	99

## **REGIONAL ECONOMY**

<b>Irina Jelia-</b> Development of Construction Cluster in Tbilisi-----	103
---	-----

## **SECTORAL ECONOMY**

<b>Mukhran Qamadadze -</b> Human Resources, as Peculiarities of Assets Evaluation -----	115
<b>Tamar Bachiashvili -</b> The Role of Private Hotels in Tourism Development -----	120
<b>Mukhran Qamadadze -</b> Accounting of Expenditure of Acquiring and Using Fixed Assets -----	123
<b>Tamar Bachiashvili-</b> The Problems Related to the Human Resource Management in the Tourism Organization -----	129
<b>Mukhran Qamadadze -</b> Testing for Devaluation of Assets -----	132

## **BUSINESS, MANAGEMENT, MARKETING**

<b>Levan Qutatelaze-</b> Methodology for Evaluation of Company Information Security Expenses-----	137
<b>Giorgi Fanozishvili -</b> International Labor Emigration in modern Georgia --	141
<b>Goderdzi Tkeshelashvili, Zurab Grigorashvili -</b> Peculiarities of the Staff Management of an Enterprise in the Market Under Unstable “ Demand –Supply” Conditions -----	147
<b>Giorgi Fanozishvili –</b> Emigrational Character of the Population and Re-emigrational Potential -----	152
<b>Kondrat Dimitrishvili -</b> Methods of Inspecting Banks’ own capital by Internal Audit -----	158
<b>Nato Gegenava -</b> The Macroeconomic Regulative Mechanisms of development of Micro-Business (Theoretical Model) -----	163
<b>Maia Akhvlediani- The Target Strategy of Marketing for Retail Enterprises -----</b>	168
<b>Kondrat Dimitrishvili- Inspection of Payment and Cash Service Operations of Legal Entities by Bank -----</b>	173

## **WORLD ECONOMICS**

<b>Zurab Vashakidze, Mirian Papunidze-</b> International Economic Relationships, as the Basis for Georgia’s Regional Economic Integration ---	178
<b>Resumes</b> -----	189

## ეკონომიკური რეფორმა- ანალიზი, პროგლოვაზი, პერსპექტივები

### გლობალური პრიზები და ეკონომიკური რეფორმების შედეგები საბანკო სფეროზე

ირაკლი გეგეშიძე  
სტუ დოქტორანტი

2010წ. 1 იანვრიდან ბალაში შევიდა ახალი “საგადასახადო კოდექსი, რომელიც შეიძლება თქვას, საქმაოდ გამკაცრებული საგადასახადო ადმინისტრირებისა და რიგი ხარვეზების მიუხედავად, ახალი ეკონომიკური რეფორმების დასაბამი გახდა. ბუნებრივია, ახალი საგადასახადო კოდექსი ყველა სფეროს, მათ შორის ბანკებსაც შეეხო და ალბათ გასაკვირიც არ იქნება, თუკი საქართველოს უახლეს საგადასახადო კანონმდებლობაში საქმაოდ პროგრესულ მოვლენად შეფასდება

შეიძლება თამაბად თქვას, რომ საქართველოს პოსტსაბჭოთა სივრცეში ყველაზე განვითარებული საბანკო სისტემა აქვს. აქედან გამომდინარე, ახალი ეკონომიკური რეფორმები ყველაზე მეტად საბანკო სფეროზე აისახა. 2005 წლიდან საბანკო სფეროში დაკრედიტების ლიბერალური პოლიტიკის გატარება დაიწყო. ამის პიონერი საქართველოს უდიდესი კერძო საბანკო ინსტიტუტი ის “საქართველოს ბანკი” იყო. დაკრედიტების ლიბერალურმა პოლიტიკამ ბიზნესის წახალისება გამოიწვია. ამის მიზეზი გახდა ინტენსიური ეკონომიკური რეფორმები, რომლებიც 2011 წლის ჩათვლით მიმდინარეობდა, კერძოდ კი: დაიხვეწა და გამარტივდა სამეწარმეო და საგადასახადო სისტემების საკანონმდებლო ინიციატივები, განხორციელდა რეფორმები იუსტიციის სფეროში (საჯარო რეესტრი, სამოქალაქო რეესტრი), პოლიციის, თავდაცვის, განათლების, ჯანდაცვის და სოციალური დაცვის სისტემებში. რასაკვირველია, ამ რეფორმების დასრულებისათვის საქმაო დრო და ძალისხმევა არის საჭირო.

ჩამოთვლილი რეფორმების შედეგად ქვეყნის ეკონომიკამ დინამიური განვითარება იწყო და 2011წ. ბოლოს 12 %-ს მიაღწია. რასაკვირველია,

## ეპონომიკური რეზორმა-ანალიზი, პრობლემები, პრისტიცივები

ზოდის ასეთი ტემპი არ შეიძლებოდა არ დატყობოდა საბანკო სექტორ-საც, რომელმაც ზემოთ აღნიშნულ ძვრებს ლიბერალური დაკრედიტების პოლიტიკით უპასუხა და ამით მიმდინარე რეფორმებზე წამახალისებლა-დაც კი იძოქებდა. ამ ყველაფერში როგორც საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებიდან, ასევე ადგილობრივი ბაზრიდან კერძო ბანკებისათვის მოზიდულმა სახსრებმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა.

ზემოთ ჩამოთვლილმა ფაქტორებმა კერძო ბანკების საკრედიტო პო-ლიტიკაზე საკმაოდ დიდი გავლენა მოახდინა — კრედიტების რიცხვი გაიზარდა, ხოლო მათი გაცემა ადრინდელთან შედარებით გაცილებით გამარტივდა. ამ პროცესებმა ხელი შეუწყო როგორც ზოგადად ბიზნე-სის განვითარებას, ასევე მოთხოვნის ზრდას სხვა საბანკო პროდუქ-ტებზე. შეიძლება ითქვას, ყოველივე ამან საშუალო ფენის მკეთრი ზრდა გამოიწვია. ეს განსაკუთრებით დაეჭვო როგორც საცალო საბანკო მომსახურებას და განვადგის სისტემის სერიოზულ განვითარებას, ას-ევე იპოთეკური და სალომბარდო (ავტომობილების იმპორტი) დაკრე-დიტების ზრდას. <sup>1</sup> მაგალითად, იპოთეკური სესხის ლიბერალიზაციამ ბიძგი მისცა დეველოპერული ბიზნესის განვითარებას. იპოთეკური და დეველოპერული ბიზნესის დაკრედიტების ლიბერალურმა პოლიტიკამ უძრავი ქონების ბაზრის საქმაოდ სწრაფი და ეფექტური განვითარება გამოიწვია. უძრავ ქონებაზე მოთხოვნილება და შესაბამისად ფასიც გა-იზარდა, რამაც კულმინაციას 2008წ. პირველ ნახევარში მიაღწია.

უნდა აღინიშნოს, რომ ზემოთ აღწერილ პროცესებს საკმაოდ სერი-ოზული ხარვეზებიც ახლდა. ბანკებმა რისკები არასწორად, ზედმეტად ოპტიმისტურად შეაფასეს. დღევანდელი გადასახედიდან შეიძლება და-ვნახოთ შეძლევი ტენდენცია: საბანკო რისკების გათვლა მოკლევადიანი პროგნოზით მიმდინარეობდა, რამაც პერსპექტივიგაში სერიოზული ხარვე-ზები გამოაჩინა. ამ პროცესების მთავარ ნაკლად იპოთეკური სესხების და დეველოპერული ბიზნესის დაკრედიტების ლიბერალიზაციის არა დინამიური, არამედ გარკვეულწილად ზელოვნური განვითარება მიგ-ვაჩნია. დღეს დაკრედიტების ლიბერალიზაციის ასეთმა ხელობენურმა განვითარებამ და ზედმეტმა წახალისებამ ბანკების წინაშე სერიოზული პრობლემები წარმოშეა, რაც მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმა კიდევ უფრო გააღრმავა, რადგან საქართველოს ეკონომიკაში საბანკო სექტო-

<sup>1</sup> გელექტ ხელაა - ფულის მიმოქცევისა და კრედიტის ზოგადი თეორია. თბ., 2000. გვ. 341.

რი სხვა სფეროებთან შედარებით მსოფლიო ეკონომიკურ სივრცეში ყველაზე მეტად არის ინტეგრირებული.<sup>1</sup>

დღეს საბანკო სფეროში მეტნაკლებად კრიზისული სიტუაციის გამომ-წვევ მიზეზებად არამარტო შექმნილი როული პოლიტიკური ვითარება (2008წ). აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომი), არამედ გარკვეულწილად ხელოვნურად განვითარებული ლიბერალური და კრედიტებისა და საბანკო რისკების ზედმეტად ოპტიმისტური და მოკლევადანი გათვლებიც შეიძლება დასახელდეს. ბანკი აკრედიტებდა მშენებელსაც და ბინის შემწენსაც. ამ, ერთის შეხედვით, საკმარის შემოსავლიან ოპერაციას თავისი ხარვეზებიც გააჩნდა. ხშირი იყო შემთხვევები, როდესაც არ არსებობდა აღტერნატიული იპოთეკა, ანუ იპოთეკით მხოლოდ მსესხებლის მიერ შეწენილი მშენებარე ბინა იტვირთებოდა, თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ ასეთმა მიღებობებმა მოთხოვნა ახლად ასაშენებელ სახლებზე ძალიან გაზარდა.

იმის გამო, რომ კრედიტის მიღება ძალიან გაიოლებული იყო და ბანკების შემოსავალი მოცემულ სიტუაციაში ძალიან სწრაფად იზრდებოდა, ბანკებმა პრაქტიკულად მოადუნეს კურადღება იმ საბანკო რისკებზე, რომელიც ამ პროცესს თან სდევდა. პროცესი მიმდინარეობდა ჯაჭვური რეაქციით — უძრავ ქონებაზე დიდი მოთხოვნის და ფასების ზრდის გამო დეველოპერები საშენებლო ბიზნესიდან იმ კაპიტალის გამოთავისუფლებას ცდილობდნენ, რომელიც მშენებლობას უნდა მოხმარებოდა, რათა შეძინათ სხვა უძრავი ქონება იმ გათვლით, რომ კაპიტალის ნაკლელობას ახალი კრედიტით შეავსებდნენ. (ცხადია, ამ ჯაჭვის გაწყვეტისათვის სულ მცირე ბიძგიც კი საკმარისი აღმოჩნდა, რამაც პირველ რიგში უარყოფითად ბანკებზე იმოქმედა. ზემოთ აღწერილი გარემოებები გვაფაქრებინებს, რომ საბანკო სფეროში ლიბერალური და კრედიტების პოლიტიკა არადინამიურად განვითარდა. მას მოაკლდა ის კონსერვატიზმი, რომელიც საბანკო რისკების ზომიერად პესიმისტურად და ზომიერად ოპტიმისტურად შეფასებისათვის აუცილებელია. ჩვენი აზრით, ზემოთ აღნიშნული სარვეზების თავიდან ასაცილებლად ბანკებს სესხის მიღების პირობები უნდა გაემკაცრებინათ, მაგალითად, უნდა მოთხოვათ სესხის მაძიებელი კომპანიებისაგან აღტერნატიული უზრუნველყოფის საშუალებები, გაცილებით დეტალურად უნდა შეესწავლათ კომპანიების მენეჯმენტის საქმიანობა, რაც სავარაუდო სესხის აღების შემდეგ

1 გელეგან ხელაია - ფულის მიმოქცევისა და კრედიტის ზოგადი თეორია. თბ., 2000. გვ. 221.

## **ეპონომიკური რეზორმა-ანალიზი, პრობლემები, კოსაცემივები**

კრედიტის მიზნობრიობის დარღვევებს გამორიცხავდა, მაგრამ ასეთი ღონისძიებების არარსებობის გამო დარღვევები ხშირად ხდებოდა, ხოლო მათი აღმოფხვრის მიზნით ბანკები იძულებული იყვნენ კომპანიებისათვის სასესხო ვალდებულებები გაეზარდათ. ეს ბანკების მიერ გადადგმული იძულებითი ნაბიჯები იყო, რომლის თავიდან აცილება სესხის გრიგორიულად გამაცერების შემთხვევაში, რასაცვირველია, შესაძლებელი იყო. ასევე ზომიერად ლიბერალური უნდა ყოფილიყო სესხების მიღება იპოთეკური სესხების მაძიებლებისათვის (იგივე აღტერნატიული უზრუნველყოფის მოთხოვნა, შემოსავლების უკოთსად შესწავლა), რაც ხშირ შემთხვევაში არ ხდებოდა. <sup>1</sup>

იგივე შეიძლება ითქვას სამომხმარებლო საბანკო მომსახურებასა და წვრილი ბიზნესის განვითარებაზეც. მართალია, შეიქმნა განვადების სისტემა — გაჩნდა ახალი საკრედიტო (ოვერდრაფტული) ბარათი, რომლის მიღება ადვილად შეიძლებოდა, მაგრამ საბანკო რისკების დაზღვევის კუთხით ბანკებმა აქაც სერიოზული შეცდომები დაუშვეს. დაკრედიტების კონსერვატიული პოლიტიკის უკიდურესად გალიბერალებამ დღეს უკვე სერიოზული დაბრკოლებები წარმოშვა, რაც ბანკებში პრობლემური სესხების მატებით გამოიხატება. ასეთი სესხების რიცხვმა ასი ათასს დიდი ხანია გადაჭარბა. ჩვენი აზრით, ამ შემთხვევაშიც ბანკების მიერ დეტალურად უნდა მომხდარიყო კლიენტების შემოსავლების შესწავლა და ამ პროცესის კონტროლი, რაც არ განხორციელებულა. საკრედიტო ბარათებმა დაკარგა თავისი მთავარი დანიშნულება. თავისი შინაარსით საკრედიტო ბარათი წარმოადგენს მოკლევადიან კრედიტს დროებითი საბრუნავი საშუალებების შესავებად, ხოლო ჩვენს შემთხვევაში მან ეს ფუნქცია არ შეასრულა და სწორედ ითლი ხელმისაწვდომობის გამო მომხმარებლამდე დამაზინებული ფორმით მივიდა. კლიენტების უმრავლესობისათვის საკრედიტო ბარათი არა დროებითი ფულადი უქმარისობის შესების საშუალებად, არამედ ფულის მიღების იოლ წყარო იქცა, რომელსაც უმრავლეს შემთხვევაში აღტერნატიული დაფარვის წყარო ან არასაკმარისად ან სრულებით გააჩნდა.

ისიც უნდა ითქვას, რომ ბანკები მსესხებლების შემოსავალს ხშირად არ ამოწმებდნენ. მოუხდავად იმისა, რომ ეს ყველაფერი სწრაფ მოგებას იძლეოდა (ამისათვის საინტერესოა საქართველოს ეროვნული ბანკის ელექტრონულ გვერდზე გამოქვეყნებული ინფორმაცია და ის დინამიკა რაც

1 [www.economerisis2009.com](http://www.economerisis2009.com) გადამოწებულია 14.03.2012.

2006-2008 წლებში ბანკებში კაპიტალის ზრდის კუთხით მიმდინარეობდა, გრძელვადიან პერსპექტივაში წამგებიანი აღმოჩნდა. ეს საბანკო პროდუქტიც არა დინამიური, არამედ ხელოვნური განვითარების გზას დაადგა.<sup>1</sup>

ეკონომიკური კრიზისის პირობებში ყველა ხარვეზმა თავი ერთბაშად იჩინა. ამოქმედდა ბანკის პრობლემური სესხის სამსახურები — სესხის დაფარვის იძულებითი ღონისძიებებები და სხვა სამართლებრივი ბერკეტები, რამაც ადვილი მოსალოდნელია, კლიენტურა დიდი ხნით დააფრთხოს.

დაკვირვებული თვალისათვის შეუმჩნეველი არ დარჩენილა, რომ საბანკო პროდუქტებზე მოთხოვნა და თავად საბანკო პროდუქტები, რომლებსაც ბანკები მოშემარებელს სთავაზობდნენ, გარკვეულწილად არაადეკვატური იყო. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მსგავსი ლიბერალიზმი შექმნილ ვითარებას არ შეესაბამებოდა, განსაკუთრებით 2007წ. ნოემბრის მოვლენების შემდეგ შიდა პოლიტიკური და საგარეო პოლიტიკური დაძაბულობის (2008წ. აპრილიდან სექტემბრის ჩათვლით) გათვალისწინებით. თუმცა ამას სათანადო ყურადღება არავინ დაუთმო.

შეიძლება ითქვას, რომ ფართო გაგებით საქართველოში განხორციელებული ეკონომიკური რეფორმების უფექტურობის გამომსახურელია ის პროცესები, რომლებიც საბანკო სფეროში ბოლო 3 წელია მიმდინარეობს. მიუხედავად გარკვეული ხარვეზებისა, რომლებზეც ზემოთ ვისაუბრეთ, ამ პროცესმა საზოგადოების საშუალო ფენის ჩამოყალიბების საქმეში მეტად დადგებითი როლი შეასრულა. ამჟამინდელი კრიზისი სწორედ ის მოვლენაა, როდესაც ზედაპირზე ამოდის რეფორმების დროს დაშვებული შეცდომები, მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ მათი გამოსწორება თავად ამ პროცესის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია. მთავარი ის არის, რომ საქართველოში ჩამოყალიბდა საზოგადოებისა და ბანკის ურთიერთობის ძალიან სერიოზული ინსტიტუტი, რაშიც დიდი როლი შეასრულა საქართველოში მიმდინარე ეკონომიკურმა რეფორმებმა. გარკვეული ჩავარდნების მიუხედავად, შეიძლება ითქვას, რომ საბანკო პრობლემების დიდი ნაწილი გადალახულია. დღევანდელი გამკაცრება სესხების გაცემის სფეროში, რომელიც ბანკების უკიდურესად კონსერვატიული პოლიტიკით არის გამოწვეული, იმედია, უახლოეს მომავალში ლიბერალურ ნიშნებსაც შეიძენს იმ ხარვეზების გათვალისწინებით, რაზედაც ვისაუბრეთ.

1 [www.nplg.gov.ge](http://www.nplg.gov.ge) გადამოწებული 14.03.2012.

## სახელმწიფოს გასტაბილიზირებელი რელი მპროექტი

შორენა პაჭკორია

სტუ დოქტორანტი

2008 წლის მსოფლიო ფინანსური კრიზისის შედეგად ეკონომიკაში სახელმწიფოს როლის აღიარება უფრო მეტად მოხდა. თავისუფალმა ბაზარმა კიდევ ერთხელ აჩვენა თამაშის წესების სწორად განსაზღვრისა და მათი დაცვის აუცილებლობა. იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნული წესები მეურნე სუბიექტების რაც შეიძლება ფართო სპექტრისთვის უნდა იყოს სასარგებლო, ცივილიზაციამ ჯერ ვერ შეძლო მოექმნა მასტაბილიზირებელი სხვა სუბიექტი, თუ არა სახელმწიფო.

ყველა ქვეყანა თავის საბეჭიფიდან გამომდინარე განსაზღვრავს ეკონომიკური უსაფრთხოების კრიტერიუმებს. ზოგიერთ ქვეყნაში ძირითადი აქცენტი კეთდება ეკონომიკის ჯამურ სიმბლავრეზე, ზოგან გარე შოკებისადმი მდგრადობაზე, ზოგან სოციალურ ასპექტებზე და ა.შ. მაგრამ, ყველა მეტ-ნაკლებად განვითარებული ქვეყანა განიხილავს ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფას, როგორც რეალური სუვერენიტეტის ფუნდამენტურ ფაქტორს.

ბაზრის რეგულირების პოლიტიკა არსებით გავლენას ახდენს უსაფრთხოების ისეთ კრიტერიუმებზე, როგორიცაა:

1. ეკონომიკის კონკურენტუნარიანობა;
2. საფრთხეებისა და შოკებისადმი მდგრადობა;
3. რესურსების მართვის ეფექტურობა.

გამოცდილებამ აჩვენა, რომ თავისუფალი და კონკურენტული ბაზარი მხოლოდ დიდი და ძლიერი ეკონომიკის პირობებშია შესაძლებელი. ამასთან, დიდი სულაც არ ნიშნავს ტერიტორიულად დიდს. სხვა შემთხვევაში, ბაზარზე აუცილებლად წარმოიქმნება ისეთი პრობლემები, როგორიცაა მონოპოლიზაციისა და ტრესტული შეთანხმების რისკები; ინფორმაციის სისტემური ასიმეტრიულობა შესაბამისი საშუალებლო ბიზნესების განუვითარებლობის ფონზე. ამ მოცემულობის გათვალისწინებით, ეკონომიკის კონკურენტუნარიანობა ცალსახად არის დამოკიდებული სახელმწიფოს მხრიდან თამაშის აღეკვატური წესების დადგენაზე. ბუნებრივია, ყოველთვის რჩება კონ-

კრეტული საჯარო უწყებების არაკომპეტენტური და არაეფექტური ქმედებების რისკი, მაგრამ განვითარებულ ქვეყნებში ამ პრობლემას უწყების საქმიანობის სრულყოფით ებრძვიან.

მსოფლიოში განვითარებული ფინანსური კრიზისის მიზეზების ანალიზი ნათლად გვიჩვენებს, რომ სახელმწიფო კვლავაც რჩება ეკონომიკური პროცესების საკვანძო სუბიექტად. ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფა სახელმწიფოს ექსკლუზიური უფლებამოსილებაა და მსოფლიოს აპსოლუტურად ყველა განვითარებული ქვეყანა განსაკურებულ ყურადღებას უთმის ამ საკითხს.

სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკა მნიშვნელოვნად უნდა ემყარებოდეს ეკონომიკური უსაფრთხოების ინდიკატორების კონტროლს. მაგალითად, ენერგომატარებლებისა და პირველადი მოხმარების საგნების ფასების ამოვარდნა საბაზრო კონიუნქტურიდან სერიოზულ დარტყმას აყენებს ეკონომიკური ზრდის ტემპს. ასეთ დროს სახელმწიფომ უნდა მიიღოს ზომები სათანადო რეაგირებისთვის. რათქმაუნდა, დაუშვებლად მიგვაჩნია ეკონომიკაში ჩარევის ადმინისტრაციული ფორმა, რაც კრიზისის პირობებში განვითარებულ ქვეყნებშიც კი დაფიქსირდა, მაგრამ გარკვეული პროდუქციისა და მომსახურების ფასების მნიშვნელოვანი სხვაობა მსოფლიო ბაზრის ფასებთან სახელმწიფოს მიუთითებს მონოპოლიური მდგომარეობის ანტიტრესტული შეთანხმებების არსებობაზე, ბიზნესის დამატებით ტვირთზე პროცედურული ან საგადასახადო კუთხით, ასეთ შემთხვევაში სახელმწიფოს მხრიდან რეაგირება აუცილებელია.

ეკონომიკის გამოყვანა კრიზისიდან, მისი ზრდის სტადიაზე გადაყვანა სახელმწიფომ თავის თავზე უნდა აიღოს. ტოტალიტარული რეჟიმის უარყოფა სრულიად არ ნიშნავს იმას, რომ სახელმწიფომ უარი თქვას თავის როლზე, როგორც რეგულატორზე, საზოგადოებრივი პროცესების მართვაზე. ჩვენ ძვირად დაგვიჯდა იმის დაჯერება, რომ საბაზრო თვითრეგულირებას სახელმწიფოს ჩარევის გარეშე შეუძლია გარდამავალ პერიოდში ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფა.

საბაზრო მეურნეობაზე გადასვლის პერიოდში, სახელმწიფოს ამოცანა სოციალურ სფეროში უნდა იყოს მოქალაქეთა ღირსეული ცხოვრების დონის, მათი უფლებებისა და თავისუფლების რეალური უზრუნველყოფა, ქვეყნის პოლიტიკური სტაბილურობა და საზოგადოების დემოკრატიზაციის საფუძვლის ფორმირება, მოსახლეობის მკვეთრი ქონებრივი

დიფერენციაციის არსებითი შემცირება, სიღაზაკის ლიკვიდაცია.

სახელმწიფოს მხრიდან დახმარების გარეშე ეკონომიკა ვერ გამოვა კატასტროფული ძლიერარეობიდან. გონივრული იქნება, თუ აიგება ლი-ბერალური ეკონომიკა ძლიერი სახელმწიფო კომპონენტით.

პრაქტიკამ აჩვენა, რომ სტიქიურ საბაზრო ძალებს არ შეუძლია თვი-თორგანიზაცია, საზოგადოებრივი განვითარების ნორმალური პროცესს უზრუნველყოფა და კვლავწარმოების კომპლექსური სოციალურ-ეკონ-ომიკური ამოცანების გადაწყვეტა. ადრე თუ გვიან მაინც დგება სახელ-მწიფოს მასტაბილიზირებელი ჩარევის აუცილებლობა.

თანამედროვე მსოფლიოს არც ერთ განვითარებულ ქვეყანაში სახელ-მწიფო უარს არ ამბობს ეკონომიკის რეგულირებაში მონაწილეობაზე. უფრო მეტიც, დღეს ეკონომიკური და სოციალური სფეროს რეგული-რებაში სახელმწიფოს როლის გაძლიერების გლობალური პროცესი მიმდინარეობს. კერძოდ ძლიერდება სახელმწიფოს როლი მთლიანი შიდა პროდუქტის აკუმულაციასა და განაწილებაში.

წინა წლებში, მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ეკონომიკის რეფორ-მირების შედეგების ანალიზმა მსოფლიო ბანკის სპეციალისტები ისეთ დასკნამდე მიიყვანა, რომ აღნიშნული ბანკის პრეზიდენტმა 1997 წელს აღიარა: „განვითარებას ჭირდება ეფექტური სახელმწიფო, რომელიც ასრულებს კატალიზატორისა და დამხმარის როლს; სტიმულს აძლევს და ავსებს კერძო ბიზნესსა და ცალკეული პირების საქმიანობას. კარგი მთავრობა ეს ფუფუნება კი არა, სასიცოცხლო აუცილებლობაა. ეფექ-ტური სახელმწიფოს გარეშე მდგრადი ეკონომიკური და სოციალური განვითარება შეუძლებელია.“

მსოფლიო ბანკის ზემოთაღნიშნულ მოხსენებაში მოტანილია აგრე-ვე მაჩვენებლები, რომლებიც მეტყველებენ, რომ 1970 წლიდან განვი-თარებულ ქვეყნებში სახელმწიფოს წილი მთლიანი შიდა პროდუქტის აკუმულირებასა და განაწილებაში სისტემატურად იზრდება.

როგორ გამოვიყვანოთ ეკონომიკა კრიზისიდან? გადაჭრით შეიძლება ითქვას; არც ერთ ქვეყანას არ უხსნად თავისი მეურნეობა კრიზისისაგან ეკონომიკაში სახელმწიფოს აქტიური ჩარევის გარეშე; უფრო მეტიც, ასეთ პერიოდებში სახელმწიფოს მიერ თავისი როლის შესრულებაზე უარის თქმას მივყავართ გარკვეულ გართულებებამდე. ამიტომ რაც უფ-რო სწრაფად გავთავისუფლდებით ლიბერალური საბაზრო ეკონომიკის ფიქციისაგან, რომელიც თითქოს თავისუფალია სახელმწიფოს ჩარევი-

საგან, მით უკეთესი. ოღონდ უნდა დამყარდეს ოპტიმალური თანაფარ-დობა სახელმწიფოს მიერ ეკონომიკის ადმინისტრაციული და ეკონომ-იკური მეთოდებით რეგულირებას შორის.

სახელმწიფოს უმნიშვნელოვანესი ფუნქციებია: ქვეყანაში პოლიტი-კური სტაბილურობის უზრუნველყოფა, ბაზრის შესაბამისი ინსტიტუ-ციონალური საფუძვლების შექმნა, განვითარებული საფუძვლების ჩამო-ყალიბება, კანონიერებისა და მართლწესრიგის დამკვიდრება, საბაზრო სოციალური მომსახურებებისა და ინფრასტრუქტურის დაფინანსება, მო-სახლეობის სოციალურად დაუკველი ჯგუფების მხარდაჭერა, გარემოს დაცვა.

მსოფლიო გამოცდილება, პრაქტიკა მოწმობს სახელმწიფოს აქტიური ორგანიზაციული საქმიანობის აუცილებლობას განვითარების ურთულეს პერიოდებში, განსაკუთრებით სოციალურ-ეკონომიკური და ტექნოლო-გიური ტრანსფორმაციების ხანაში. სახელმწიფო ინვესტიციები, სახელ-მწიფო დაკვეთები, კერძო და სახელმწიფო სექტორების პროდუქციის სახელმწიფო მოხმარება, სახელმწიფო სუბსიდიები, სახელმწიფო სა-გადასახადო პოლიტიკა წარმოების სტიმულირების საგადასახადო სის-ტემით, საბანკო სესხებზე სარგებლის დაწესება, სასესხო კაპიტალის ბაზრის რეგულირება, საფინანსო-საკრედიტო პოლიტიკით ფასებისა და ვალუტის კურსის რეგულირება, მოქალაქეთა შემოსავლების მაქსიმა-ლური დონის განსაზღვრა და მინიმალური დონის გარანტირება, ეკონ-ომიკის განვითარების სახელმწიფო პროგნოზირება და პროგრამირება – ამ ის ბერკეტები რომელთა მეშვეობითაც ზელისუფლება ზემოქმედებს მეურნეობაზე, გამოკყავს ეკონომიკა კრიზისიდან.

მეორე მსოფლიო ომის შედგომ პერიოდში როცა დასავლეთის ქვეყ-ნებში მეურნეობა დანგრეული და მოშლილი იყო მიმართავდნენ სა-ხელმწიფო რეგულირებას. საინტერესოა გერმანის გამოცდილება; ლ. ერკარდი არ იყო ორთოდოქს ლიბერალთაგანი, რომელთაც სახელმწი-ფოს როლი ბაზრის ღამის დარაჯის მოვალეობამდე დაჰყავთ. გერმანიის სოციალურ-ეკონომიკური სისტემა მან დაახსიათა, როგორც სოციალ-ური საბაზრო მეურნეობა, რომელსაც საფუძვლად უდევს თავისუფალი ბაზარი და კონკურენცია, მაგრამ ეს სისტემა იქნება სახელმწიფოს აქტიური მონაწილეობით. მსოფლიოს ყველა ქვეყანაში, როგორც გან-ვითარებულში ისე განვითარებადში სახელმწიფო და მისი ორგანოები უშუალოდ ან ეკონომიკური მექანიზმებით მონაწილეობენ მეურნეობის

მართვაში და მეტ-ნაკლები ზომით გავლენას ახდენენ მის განვითარებაზე.

ეკონომიკურ რეფორმას ახორციელებს სახელმწიფო. სწორედ იგი ქმნის თავისუფალი მეწარმეობის პირობებს, უძლევბა საბაზრო გარემოს ჩამოყალიბებას. ამას ადასტურებს როგორც განვითარებული სამრეწველო ქეყნების ისტორია, ისე ახალგაზრდა ინდუსტრიული სახელმწიფოს გამოცდილება.

იყო პერიოდი, როდესაც ეკონომიკა მთლიანად კერძო ინციატივაზე იყო დაფუძნებული და სახელმწიფოს ჩარევა ამ სფეროში სოციალურ ბოროტებად, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების ხელყოფად აღიქმებოდა. მაგრამ ეკონომიკური ურთიერთობების განვითარების კვალიბაზე სახელმწიფომ თანდათან აქტიურად იწყო ჩარევა ეკონომიკაში და თვითონ გახდა მსხვილი სამეცნიერო სუბიექტი. იგი ზემოქმედებს კერძო სექტორზე გადასახადების, ინვესტიციების, სახელმწიფო შეკვეთების, საკრედიტო პოლიტიკის რეგულირებისა და კონტროლის სხვა საშუალებებით. იგი ატარებს სოციალური მომსახურების პოლიტიკას, რაც გულისხმობს სოციალურ უზრუნველყოფას, სოციალურ დაზღვევას, დახმარებებს ავადმყოფობის, მოხუცებულობის, უმუშევრობის შემთხვევაში, ზრუნავს ბავშვებზე, ჯანდაცვაზე, აბანდებს სახსრებს მშენებლიბაში, ტრანსპორტსა და კავშირგაბულობაში და ა.შ. სახელმწიფო ახორციელებს მსხვილ პროგრამებს სოციალურ, კულტურულ და სხვა სფეროებში. ასეთი პოლიტიკის შედეგად არაერთ მაღალგანვითარებულ ქვეყანაში იქნა მიღწეული ცხოვრების მაღალი დონე, რაც იქცა კიდეც „საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფოს“ თეორიის ბაზად. დ. კეინის თავის ნაშრომში „დასაქმების, პროცენტისა და ფულის ზოგადი თეორია“ (1936) ასაბუთებდა ეკონომიკაში სახელმწიფოს აქტიური ჩარევის აუცილებლობას. ამ თეორიის მიმდევრები აცხადებდნენ, რომ ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირება საშუალებას იძლეოდა, გადაელახათ დაპირისპირება საზოგადოების სხვადასხვა ფენებს შორის, რაც დამახასიათებელი იყო კაპიტალიზმის განვითარების წინა ეტაპის-ათვის, როდესაც ინდივიდუალური კერძო საკუთრებისა და თავისუფალი კონკურენციის ბატონობა მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ პოლარიზაციას იწვევდა.

აზია-წყნარი ოკეანის რეგიონის ქვეყნები უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში გვიჩვენებენ ეკონომიკის წარმატებით განვითარების

მაგალითს. აქ უცხოური ინვესტიციების მთავარ ამოცანად მიჩნეულია მოწინავე ტექნოლოგიის მიღება. სამამულო წარმოების განვითარების და განსაკუთრებით საექსპორტო დარგების ზრდისათვის მიმართავენ პროდუქტიონიზმს, იმპორტს ცვლიან საკუთარი წარმოებით. მთავრობები ყოველწლიურად ხელს უწყობენ სამუცნიერო გამოკვლევებს, კაპიტალური დაბანდებების ზრდას, ტექნოლოგიის სრულყოფას, სამუშაო ძალის კვალიფიკაციის ამაღლებას.

დასავლეთის ქვეყნები აქტიურად იყენებენ კოორდინირებას, ლიცენზირებას და სახელმწიფო მონოპოლიის დაწესებას ცალკეული საქონლის საგარეო ვაჭრობაზე. თუ სამამულო ფირმებს საფრთხე ექმნება, სახელმწიფო იცავს მათ ინტერესებს. უცხოური კონკურენციისაგან სამამულო ფოლადის წარმოების დასაცავად აშშ-მ 2002 წლის მარტიდან იპპორტირებულ ფოლადზე ოცდაათ პროცენტიანი ბაჟი დააწესა.

## საპრედიტო პოლიტიკის რეზულირების მისტრუმენტები

ნინო გრიგალაშვილი  
ბიზნესის აღმინისტრირების  
დოქტორი

საკრედიტო პოლიტიკას, ხშირად განმარტავენ, როგორც „ბანკის სტრატეგიასა და ტაქტიკას საკრედიტო ოპერაციების სფეროში“, ან როგორც „სახალხო მუნიციპალიტეტის დაკრედიტების სფეროს ღონისძიებათა სისტემა“.<sup>1</sup>

საკრედიტო პოლიტიკის ფორმირება მაკროეკონომიკურ დონეზე, რომლის გამტარებლადაც გამოდის ეროვნული ბანკი, გულისხმოს ისეთი ურთიერთდამოყიდებულების ახსნას, როგორებიცაა საბანკო და საკრედიტო პოლიტიკა. თუ არ იქნა განსაზღვრული საერთო დეფინიცია (საბანკო პოლიტიკა), რთულია და ყოველთვის შეუძლებელია სწორად იქნას შეფასებული უფრო კერძო ცნების – საკრედიტო პოლიტიკის როლი და მნიშვნელობა.

საკრედიტო პოლიტიკის ფართო და ვიწრო გაგება არსებობს. ფართო გაგებით, საკრედიტო პოლიტიკა განიხილება ბანკის კრედიტორისა და მსესხებლის პოზიციიდან კლიენტებთან, მათ შორის მოსახლეობასთან დამოკიდებულებების. ვიწრო გაგებით საკრედიტო პოლიტიკა – ესაა ბანკის სტრატეგია და ტაქტიკა, საკრედიტო პროცესის ორგანიზაციის ნაწილში.

ბანკის საკრედიტო პოლიტიკის როლი მდგომარეობს საკრედიტო რესურსების ინვესტიციებისა და კუმულაციის პროცესში, საბანკო საქმიანობის განვითარებისა და სრულყოფის პრიორიტეტული მიმართულების განსაზღვრაში, საკრედიტო პროცესის განვითარებასა და მისი ეფექტურობის ამაღლებაში.

ამასთან ერთად, მაკროეკონომიკურ დონეზე, ხაზი უნდა გაესვას, საკრედიტო პოლიტიკის უდიდეს მნიშვნელობას, ეროვნული შემოსავლის ფორმირების, განაწილების და გადანაწილების პროცესებში, ფულადი ბრუნვის დაგეგმვასა და რეგულირების ორგანიზაციაში, ხოლო მიკროე-

1 Банковская система России (настольная книга банкира). М. 1995. книга II,gv, 63.

2 ჩიქავა ლ. ეკონომიკური თურიის მოკლე კურსი. თბ., 1997.გვ. 36.

კონომიკურ დონეზე – კონკრეტული ბანკის დონეზე – ბანკის სტაბილურობისა და საიმუშაოების უზრუნველყოფაში, რენტაბელობასა და ლიკვიდობაში, კლიენტების მოთხოვნასთან მისი საქმიანობის აღექვატურობაში. ეკონომიკაში ბანკების საკრედიტო პოლიტიკის როლი განისაზღვრება, მისი მნიშვნელობით ფულადი სახსრების გადანაწილების პროცესში საბაზო ეკონომიკის დარგებსა და სუვერენიტეტის შორის ბანკების მეშვეობით; დანაზოგების გადატანაში არასაწარმოოდან საწარმოო ფორმაში; ეკონომიკისა და მოსახლეობის მოთხოვნების ფინანსირებასა და დაკრედიტებაში არაინფლაციურ საფუძველზე, ე.ი. ბრუნვაში დამატებითი ფულადი სახსრების გამოშვების გარეშე.

კომერციული ბანკის საკრედიტო პოლიტიკა-ბანკის კომპლექსურ ღონისძიებებს მოიცავს, რომელთა მიზანს – საკრედიტო პარტნერების შემოსავლიანობის ამაღლება და საკრდიტო რისკის შემცირება წარმოადგენს.

ბანკის საკრედიტო პოლიტიკა შემდეგნაირადაც შეიძლება განიმარტოს: კომერციული ბანკის საკრედიტო პოლიტიკა, როგორც ზედნაშენური კატეგორია, უფრო მნიშვნელოვანი ბანკის კლიენტებთან საკრედიტო ურთიერთობების მიღწეული დონის გამოკვლევებს და მიზანმიმართულია მათ სრულყოფაზე და განვითარებაზე. კრედიტი, (ბაზისური კატეგორია) ითვლება ბანკის მიერ, შემუშავებული, საკრედიტო პოლიტიკის წყაროდ და მისი უფლებურობისა და ოპტიმალურობის სახისა. ბანკები შეიმუშავებენ საკრედიტო პოლიტიკას პირველ რიგში იმისათვის, რომ ის საშუალებას ითვლება ბანკსა და კლიენტებს შორის ფულადი სახსრების დაბრუნებითი მოძრაობის შესაბამისი ურთიერთდამოკიდებულება იქნეს რეგულირებული, მართული და რაციონალურად ორგანიზებული. კომერციული ბანკის საკრედიტო პოლიტიკის შემუშავების პროცესში აუცილებელია გათვალისწინებულ იქნეს საზოგადოების, სახელმწიფოს საბანკო სისტემის და კონკრეტული ბანკის განვითარების დონე.

მაკროეკონომიკურ დონეზე, ქვეწის ბანკების მიერ გატარებული პოლიტიკის მიზნად ითვლება, საბანკო სისტემის სტაბილურობის მხარდაჭერა და მდგრადი წინსვლითი ეკონომიკის განვითარების უზრუნველყოფა. შეიძლება ითქვას, რომ კომერციული ბანკის მირითად მიზნად ითვლება მისი განვითარება ყველაზე ფართო გაგებით. შხედველობაშია მიღებული ბანკის, როგორც კომერციული საწარმოს განვითარება ექსტენსიური განვითარების თვალსაზრისით (რაოდენობრივი მახასიათებლები) და ინტენსიური განვითარების თვალსაზრისით – ფუნქციონირების

## **ეპონომიური რეზორმა-ანალიზი, პოლიტიკური, კულტურული**

ეფექტურობის ამაღლება (ხარისხობრივი მახსათათებლები), ასევე ბანკის, როგორც სოციალური ინსტიტუტის განვითარება. აქციონერების, ბანკის პერსონალის, საბანკო ზედამხედველობის უზრუნველყოფის პოზიციიდან.

კომერციული ბანკის საბანკო პოლიტიკას და საკრედიტო პოლიტიკას აქვთ საერთო მიზანი – მოგების მიღება მეანბარეთა ფულადი საშუალებების განთავსებით, ასევე ბანკის დინამიური განვითარება მომსახურების სპექტრისა და მოცულობის გაზრდის მიმართულებით, რაც ბანკის მოგების ზრდისა და სტაბილურობის გარანტიას იძლევა. აქედან გამომდინარე, საკრედიტო პოლიტიკის მიზანია მოზიდული სახსრების ეფექტური განთავსებისათვის პირობების შექმნა, ბანკის მოგების სტაბილური ზრდის უზრუნველყოფა.

კონკრეტული კომერციული ბანკის დონეზე მისი პოლიტიკა გამოიხატება სტრატეგიისა და ტაქტიკის სახით საბანკო ოპერაციებისა და მომსახურების განხორციელებისა და ორგანიზაციის სფეროში ბანკის რენტაბელობის, საიმუდონობის და ლიკვიდობის უზრუნველყოფის მიზნით.

ბანკის სტრატეგია შეიძლება განისაზღვროს, როგორც მისი რეალიზაციის მიზანი და მეთოდები, ხოლო ტაქტიკა, როგორც მიზნის მიღწევა კონკრეტული სახსრების, ხერხებისა და მეთოდების მთლიანობიდან.

საკრედიტო პოლიტიკის წარმატება დამოკიდებულია იმაზე, რამდენად სრულადაა ხორციელდებული ბანკის სტრატეგიისა და ტაქტიკის ყოველ ეტაპზე შემუშავებული მიზნებისაზე დარღვეული კლიენტების დაკრედიტების სტრატეგიული და ტაქტიკური საკონტაქტო გადაწყვეტა განსაზღვრავს ბანკის, როგორც კომერციული საწარმოს განვითარებაში საკრედიტო პოლიტიკის როლს.

კომერციული ბანკის საკრედიტო პოლიტიკის ძირითადი მიზნები შეიძლება იყოს: საკრედიტო ბაზრის ანალიზი და მიზნობრივი ბაზრების განსაზღვრა საკრედიტო რისკის მინიმიზაციის მიზნით; მოვების მაქსიმიზაცია დაკრედიტების პროცესში და დეპოზიტებში სახსრების მოზიდვა; ბანკის სადეპოზიტო და საკრედიტო პორტფელების მართვის ოპტიმიზაცია; პრობლემური ვალების წილის შემცირება; ბანკის ლიკვიდობის შენარჩუნება კრედიტების (სესხების და ვალების) მართვის პოზიციით.

არ არსებობს ერთიანი (ერთნაირი) საკრედიტო პოლიტიკა ყველა ბანკისათვის. ყოველი კონკრეტული ბანკი განსაზღვრავს თავის საკუთარ საკრედიტო პოლიტიკას, ითვალისწინებს რა ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ პოლიტიკას. ბანკის ერთობლივი (მთლიანი) რისკი იზრდება,

თუ ამ ბანქს არ აქვს საკუთარი საკრედიტო პოლიტიკა, ან აქვს დაბალი ხარისხის (ურთიერთსაწინააღმდეგო, არაკონტრეტული) საკრედიტო პოლიტიკა, ან და ვერ შეძლო კონტრეტულ შემსრულებლამდე დაუკვანა მისი მირითადი დებულებები, რაც ეჭვებელი აყენებს საკრედიტო პოლიტიკის რეალიზაციის შესაძლებლობას.

კომერციული ბანკის საკრედიტო პოტენციალი განისაზღვრება, როგორც სიდიდე ბანკში მობილიზებული სახსრებისა, მინუს ლიკვიდურობის რეზერვი. კომერციული ბანკის ლიკვიდურობის საერთო რეზერვი, დამოკიდებულია ცენტრალური ბანკის მიერ დაწესებული სავალდებულო რეზერვის ნორმაზე და თვით ბანკის მიერ დამოუკიდებლად განსაზღვრული ლიკვიდურობის რეზერვის დონეზე. ყოველი კომერციული ბანკი ისწრაფვის შექმნას ლიკვიდური სახსრების მინიმალური რეზერვი და უზრუნველყოს მაქსიმალური საკრედიტო პოტენციალი, თავისი ლიკვიდობიდან, სამშედობობიდან, მომგებანობიდან გამომდინარე.

კომერციული ბანკის საკრედიტო პოტენციალის დონე, თავის მხრივ, განისაზღვრება შემდეგი ფაქტორებით: ბანკში მობილიზებული სახსრების საერთო სიდიდე; დეპოზიტების სტრუქტურა და სტაბილურობა; ცენტრალურ ბანკში სავალდებულო რეზერვების დონე; მიმდინარე რეზერვების გამოყენების რეჟიმი მიმდინარე ლიკვიდობის შენარჩუნებისათვის; ბანკის ვალდებულებების საერთო ჯამი და სტრუქტურა.

საკრედიტო პოტენციალის სახსრების რაოდენობრივი და ხარისხობრივი თანასწორობა პრაქტიკაში ბანკის ლიკვიდობის შენარჩუნების მნიშვნელოვან ფაქტორად ითვლება.

ბანკის კლიენტების შემადგენლობა განსაზღვრავს ბანკის რისკის გამოთვლისა და მისი ხარისხის მეთოდს. წვრილი მსესხებელი საბაზრო ეკონომიკის შემთხვევითობასთან დაკავშირებულ რისკებს უფრო მეტად ექვემდებარება, ვიდრე მსხვილი. ამავე დროს მსხვილი კრედიტები, რომლებიც გაცემულია ერთ მსესხებელზე, ანდა დარგის, რეგიონის ან ქვეყნის მსესხებელთა ჯგუფზე, ხშირად არის საბანკო გაკოტრების მიზეზი.

რისკის განაწილება დროში ითვლება მნიშვნელოვან ფაქტორად საბაზრო ეკონომიკის პირობებში.

აყალიბებენ რა საკრედიტო პოლიტიკას, კომერციულმა ბანკებმა უნდა გაითვალისწინონ დეპოზიტების სტაბილურობა, დეპოზიტების სახეები და მათი ცვლილება. საკრედიტო რისკების შემცირებისათვის მიზანშეწონილია დეპოზიტების სტაბილურობის კოეფიციენტების გამოთვლა, გამომ-

## **ეპონომიკური რეზორმა-ანალიზი, პრობლემები, პრისტიმიცვები**

დინარე მოცემული ბანკის საქმიანობის თავისებურებებიდან და საჭიროა იხელმძღვანელობ მიღებული მონაცემებით დეპოზიტების აქტივებში გან-თავსებისას. მნიშვნელოვანია ასევე საპროცენტო რისკის გავლენის გათ-ვალისწინება, რომლებიც წარმოიშობა დეპოზიტების ფორმირებისას.

საბანკო ოპერაციების და მომსახურების ბაზრის თანამედროვე მდგო-მარების შეფასებისათვის და მისი პერსპექტივაში განვთავრებისათვის საქმარისი არა მხოლოდ იმ შიდა და გარე ფაქტორების მთლიანობის გამოვლენა, რომლებიც კომერციული ბანკის საკრედიტო პოლიტიკის განსაზღვრავენ. მნიშვნელოვანია აგრძელებული მათ გავლენას ბანკის მუშაო-ბაზე შეფასება მიეცეს. ამიტომ ბანკები ატარებენ ბაზრის მარკეტინგულ კვლევას, რომლებიც საშუალებას იძლევან შემუშავდეს უფრო მეტად ეკონომიკურად დასაბუთებული პოლიტიკა.

საკრედიტო პოლიტიკის პრინციპები საკრედიტო პროცესის საფუძვ-ლად ითვლებიან. შესაბამისად რაც უფრო სრულად ფლობს მათ ბანკი, მით მისი საქმიანობა ეფუქტურია ლიკვიდობისა და შემოსავლიანობის უზრუნველყოფის პოზიციიდან. ანუ სხვაგარად რომ ვთქვათ, საკრედი-ტო პოლიტიკის პრინციპებში, იგულისხმება ძირითადი წესები, საწყისი მდგომარეობა მისი შემუშავებისა და პრაქტიკული რეალიზაციისათვის. გამოყოფენ საკრედიტო პოლიტიკის საერთო და სპეციფიკურ პრინციპებს.

საერთო პრინციპებში იგულისხმება ერთიანი პრინციპები ცენტრა-ლური ბანკის სახელმწიფო საკრედიტო პოლიტიკისათვისაც, რომელიც ტარდება მაკროეკონომიკურ დონეზე და ყოვლი კონკრეტული კომერცი-ული ბანკის საკრედიტო პოლიტიკისათვის.

საკრედიტო-ფულირების მეთოდების შერჩევა ითვლება ითვლება გადამწყვეტად, რამდენადაც გამოყენებული ინსტრუმენტები ერთნაირი ეფექტურობით არ გამოიჩინებიან. ზოგიერთი მათგანი საჭიროებს სხვა ინსტრუმენტების სავალდებულო დამატებას (შესაბამისად, ერთობლივი გამოყენებით), მაშინ, როცა სხვები მხოლოდ შეიძლება აღტერნატიულე-ბი იყოს (შესაბამისად, მათი ურთიერთგამოყენება გამოირიცხება).

საკრედიტო ფულადი-პოლიტიკის ინსტრუმენტები სხვადასხვა ნიშნის მიხედვით კლასიფიცირდება. პირველ ყოვლისა, ეკონომიკაზე მოხეტარუ-ლი ზემოქმედების ყველა მეთოდი პირობითად შეიძლება ორ ჯგუფად და-იყოს: პრიორიტეტული დარგების, ეკონომიკის სექტორების ან რეგიონე-ბის განვითარებაზე ზემოქმედი სტრუქტურული პოლიტიკა; მთლიანობაში კონიუნქტურაზე ზემოქმედი კონიუნქტურული პოლიტიკა.

რეგულირების მარკოვნომიკური მეთოდების სისტემაში საკრედიტო-ფულადი პოლიტიკის ორადი ბუნება (გაორება) მდგომარეობს იმაში, რომ ზემოქმედების გაბატონებული სფეროს მიხედვით ის მიეკუთვნება კონიუნქტურული ბუნების ბერკეტებს. ამასთან ერთად ცალკეული დარგების, სექტორების და რეგიონების (მაგალითად, მიზნობრივი კრედიტების გაცემა შელავათიანი განკვეთებით) განვითარების სტრუქტურების სელექციური ხერხების გამოყენების შემთხვევაში ის ფუნქციონირებს, როგორც სტრუქტურული პოლიტიკის ინსტრუმენტი.

ანსელვაბეგი: ანსტრუმენტებს შინაგანი და გარეგანი მიზნების მიღწევისათვის, ეკონომიკური (ირიბი) ზემოქმედების მეთოდებს, რომლებიც მიმართულია საბაზრო მექანიზმების მთლიანობაზე და ადმინისტრაციული (პირდაპირი) ზემოქმედების მეთოდებს, რომლებიც ითვალისწინებენ ამ მთლიანობის შეზღუდვას (შემოფარგვლას); ფასებში ჩარევას (პროცენტის ნორმა და სავალუტო კურსი) და რაოდენობრივ კატეგორიებში ჩარევას. თუმცა მეთოდების კლასიფიკაცია, გამართლებული შემცნებითი თვალსაზრისით არ პასუხობს საკრედიტო-ფულადი პოლიტიკს რეალიებს, რომელიც პრაქტიკაში უფრო რთული ჩნდება. მართლაც, მეთოდების კლასიფიკაცია კონკრეტიზებულ მიზნებთან შედარებით არ შეიძლება იყოს უნივერსალური და დარჩეს ურყევი (მყარი). ინსტრუმენტების შერჩევის საფუძველში დევს „კომპენსაციური რეგულირების“ პრინციპი, რომელიც გულისხმობს ღონისძიებების ორი ურთიერთსაწინააღმდეგო კომპლექსის გამოყენებას ეკონომიკური კონიუნქტურიდან კრედიტზე ხელმისაწვდომობის გადაადგილების ან გართულების გზით. ეკონომიკის „გადახურების“ პირობებში და ინფლაციური პროცესების განვითარებისას ტარდება „ძველი ფულის“ პოლიტიკა და, პირიქით, „იაფი ფულის“ პოლიტიკას ანუ საკრედიტო ექსპანსიას მიმართავენ კაპიტალდაბანდებების და საქმიანი აქტივობის სტრუქტურებისათვის. იგულისხმება, რომ პირველ შემთხვევაში მოხდება შეკვეცა, საკრედიტო დაბანდებისა და ფულადი მასის მოცულობის შემცირება, მეორეს დროს კი – გაფართოება. ამგვარად მოხდება ზემოქმედება კონიუნქტურაზე სასურველი მიმართულებით.

საკრედიტო პოლიტიკის ძირითადი ამოცნაა კრედიტის გამოყენების უზრუნველყოფა მისი არსის შესაბამისად. ამრიგად, საკრედიტო პოლიტიკა გმოდის მისი პრინციპების რეალიზაციის ხერხების სახით. ამასთან, საკრედიტო პოლიტიკის ხარისხი განისაზღვრება, პირველ რიგში, მისი განმაპირობებელი პრინციპების შესრულების ხარისხით.

## ექონომიკური თეორიის თანამედროვე პრიზლები

სოციალურად ორიენტირებული ექონომიკა-ტეორების  
ღრის ამაღლების უპირველესი საფუძველი

თამარ ქაჯაია  
სტუ დოქტორანტი

პოსტსოციალისტური ქვეყნების, მათ შორის საქართველოს ეკონომიკა ეპიცენტრში აღმოჩნდა და საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლის სტრატეგიით შექმნილი სისტემური კრიზისიდან გამოსვლის ძიებაშია. საბაზრო ურთიერთობებზე გარდამავალ პერიოდში მრავალი პრობლემა განსხვავდებული შინაარსით, ფორმითა და მნიშვნელობით წარმოჩნდა.

საბაზრო სტრუქტურების მოქმედებას, კერძო საკუთრებას, მეცნიერება აღმერთებდა და უნარვეზოდ მიიჩნევდა. რაც შეეხება სოციალისტურ ეკონომიკურ მეცნიერებას, იგი თვლიდა, რომ პროგრესის საფუძველია საზოგადოებრივი, სახელმწიფო საკუთრება. იგი აღიარებდა ცენტრალიზებული დაგეგმვისა და მართვის განსაკუთრებულ როლს. ორივე აღითშნულ სისტემაში მოიპოვება არგუმენტები იმის დასადასტურებლად, რომ საკუთრების ერთი ფორმის პირობებში სხვადასხვა ქვეყნის მოსახლეობის კეთილდღეობა ერთმანეთისგან განსხვავდება.

საქართველოს საბჭოთა პერიოდის სოციალურ-ეკონომიკური კატაკლიზმების შედეგების ანალიზმა მოგვცა საფუძველი მნიშვნელოვანი დასკვნისათვის. კერძოდ, საკუთრების არცერთ ფორმას, როგორიცაა კერძო, სახელმწიფო და მათი კომბინაციით მრავალი სხვა პოსტსოციალისტურ ქვეყნებში არა აქვს აპსოლუტური ხასიათი. განვითარების პროცესში თითოეული მათგანის როლი იცვლება.

დასტურდება, რომ საზოგადოებრივ პროგრესს განსაზღვრავს არა საკუთრების ფორმა, არამედ ამ ფორმის გამოყენების ეფექტიანობა როგორც მისი შედეგის განაწილების სახელმწიფო მექანიზმის სოციალური საფუძველი. ცნობილია, რომ საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლის პერიოდში საკუთრება იღებს მრავალმხრივ პოლიტიკურ, ეკონომიკურ,

სოციალურ და ფინანსურულ დატვირთვას და მრავალფეროვანს ხდის ადამიანის დამოკიდებულებას შექმნილი პროდუქტის განაწილების მი-მართ.

მაშასადმე, ჩვენ ვთვლით, რომ ქვეყნის ეკონომიკურ პოლიტიკაში კრიტერიუმად უნდა ჩაითვალოს არა საკუთრების რომელიმე ფორმის ეკონომიკური მდგრადი არამედ საკუთრების რომელიმე ფორმის ეფექტუანად გაძოყნება.

კაცობრიობის ისტორიაში სოციალური პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი შემადგენელი ნაწილი ყოველთვის იყო, არის და იქნება მოსახლეობის შემოსავლებისა და ცხოვრების დონის ამაღლება.

ქვეყნაში ეკონომიკური რეფორმების განხორციელებას თან ახლავს მოსახლეობის ცხოვრების პირობების შეცვლა. მისი შეფასება მოითხოვს ახლებურ მიღვომას. ცნობილია, რომ ცხოვრების დონე განსაზღვრავს საზოგადოებაში ადამიანის განვითარებისა და მისი მოთხოვნილებათა და კამაყოფილების ხარისხს. ცხოვრების დონის კატეგორია სოციალური ეკონომიკის ორგანულ ნაწილად არის აღიარებული. იგი პირდაპირ უკავშირდება ადამიანის მოთხოვნილებებს, შემთხვევების მოხმარებას, ქონებრივ მდგომარეობას, ასაკობრივ სქესობრივ სტრუქტურას და სხვა სოციალურ მაჩვენებლებს, რომლებიც მთლიანად განსაზღვრავენ ცხოვრების დონეს.

ცხოვრების ხარისხის ამაღლების პირობაა, როგორც უკვე აღნიშნუთ ეკონომიკის ეფექტურობა, რომელიც საბაზრო მექანიზმებისა და ეკონომიკის სახელმწიფო ეკონომიკის რეგულირებით მიიღწევა. მათ შორის არსებული ლოგიკური კავშირი გამოიხატება შემდეგნაირად: ეკონომიკის სოციალური ორიენტაცია – ეფექტურობა – ცხოვრების (ხარისხი) დონე – ეფუძნებიანობა.<sup>1</sup>

ეკონომიკური რეფორმების განხორციელებას თან ახლავს მოსახლეობის ცხოვრების პირობების მკვეთრად (გაუარესება) შეცვლა. ამიტომ სრულიად ახალი მიღომაა საჭირო მისი შეფასებისათვის. დღევანდელი ეკონომიკური პოლიტიკა კი გვერდს უვლის ქეყნის სოციალური მდგომარეობის შეფასების მაჩვენებელთა ისეთ სისტემას, როგორიცაა ცხოვრების დონე.

ადამიანის განვითარებისა და მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების

<sup>1</sup> ჰითანაცა 6., თაკალანძე ლ., სოციალური ეკონომიკა, ფორმირება და განვითარება, ნაწ. I, თბ. 2008, გვ. 193.

## ეპონომიარი თეორიის თანამედროვე პრიზლებები

ხარისხს განსაზღვრავს ცხოვრების დონე, მაჩვენებელთა გარკვეული სისტემით. ესენია: ჯანმრთელობის მდგომარეობა, კვების პროდუქტების მოხმარების დონე, დასაქმება, განათლების დონე, საცხოვრებელი ბინით უზრუნველყოფა, სოციალური დაცვა და ა.შ. ცხოვრების დონის ანალიზისას გაეროს რეკომენდაციის შესაბამისად მას განიხილავენ სამ მიმართულებაში. პირველი, მომსადარი ცვლილებების შედეგებს ადგენენ მიღწეული დონის ამჟამინდელი და გასული პერიოდის მაჩვენებლების ურთიერთშედარებით; მეორე, მეცნიერულად დასაბუთებულ ნორმებს ადარებენ ცხოვრების მიღწეულ დონეს და ამით განსაზღვრავენ განვითარების მიმართულებებს; მესამე, ამ სფეროში მოცემული ქვეყნის მდგომარეობას სხვა ქვეყნების ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით აფასებენ.

“ცხოვრების დონე” თანამედროვე მეცნიერებაში განიხილება, როგორც სოციალური ეკონომიკური კატეგორია. იგი ასასიათებს ადამიანის აუცილებელი ფიზიკური, სულიერი და სოციალური მოთხოვნილებების დაკამაყოფილების დონეს, იგი ცვალებადია და დამოუკიდებელია საზოგადოების მოთხოვნილებების განვითარების მიხედვით. სოციალური მოთხოვნილება ეს არის ცხოვრების დონის განმსაზღვრელი, იგი მარაგალშერივია. აუცილებელი ცხოვრებისული მოთხოვნილებების დაკამაყოფილების გარეშე საზოგადოებრივი პროგრესი შეუძლებელია და, პირიქით, საზოგადოებრივი პროგრესი არის ცხოვრების დონის ამაღლების აუცილებელი პირობა. ცხოვრების დონეს გვიჩვენებს რაოდენობრივ და ხარისხობრივ მაჩვენებელთა სისტემა, რომელიც ასახავს საზოგადოების განვითარების მოცემულ ეტაპზე მოსახლეობის ერთ სულზე მატერიალური დოკუმენტისა და მომსახურების მოხმარების დონესა და ხარისხს. ერთ სულზე იმიტომ ხდება გაანგარიშება, რომ ამა თუ იმ ქვეყანაში საქონლისა და მომსახურების მოცულობა გამოხატული აბსოლუტური მონაცემებით, ვერავითარ რეალურ წარმოდგენას ვერ მოგვცემს მოლიანად მოსახლეობის ცხოვრების დონეზე.

ბოლო პერიოდში ფართოდ გავრცელდა ლიტერატურაში ტერმინი “ცხოვრების ხარისხი”. თუ ცხოვრების დონე მიუთითებს მოსახლეობის მატერიალური და სულიერი მოთხოვნილებას რაოდენობრივად უზრუნველყოფაზე, ცხოვრების ხარისხი გულისხმობს მიწოდებული მატერიალური და სოციალური ფასეულობების მაღალ ხარისხს და ოპტიმალურ სტრუქტურას.

აქდან დასკნა, ცხოვრების დონე რაოდენობრივ მხარეს გვიჩვენებს, ცხოვრების ხარისხი – თვისებრივ მხარეს თუ რამდენად უზრუნველყოფილად ცხოვრობენ ადამიანები.

აღსანიშნავია, რომ ცხოვრების ხარისხის მაჩვენებლთა სისტემა დამუშავებულია შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ და პრაქტიკაში გამოიყენება 1992 წლიდან.

ეკონომიკის ზრდის შეფასების ყველაზე საიმედო კრიტერიუმად მიჩნეულია მოსახლეობის ერთ სულზე მთლიანი შიდა პროდუქტის წარმოება. ჩვენი აზრით, გარდამავალი ეტაპის თავისებურებათა გათვალისწინებით ეს მაჩვენებელი უნივერსალურ კრიტერიუმად ვერ გამოდგება, რადგან შეიძლება მთლიანი შიდა პროდუქტი სტაბილურად იზრდებოდეს, მაგრამ ზრდა საგარეო ვალების მომსახურეობისათვისაც საკარისი არ იყოს. ამავე დროს არ არის გამორიცხული ეს მაჩვენებლი დემოგრაფიული სიტუაციის შეფასებაში უშეცდომო არ იყოს.

ამდენად, ერთ სულზე მთლიანი შიდა პროდუქტის წარმოების მაჩვენებელთან ერთად, ჩვენი აზრით „უნდა გამოვიყენოთ ისეთი მაჩვენებლებიც, როგორიცაა მოსახლეობის შემოსავლების დიფერენციაციის, განათლებისა და კულტურის განვითარების დონე, ბინით უზრუნველყოფა, დასაქმება, სამუშაო დღის ხანგრძლივობა, სიცოცხლის ხანგრძლივობა.“

ამ მაჩვენებლთა კომპლექსური ანალიზი იძლევა საფუძვლებს სოციალურ-ეკონომიკურ გარდაქმნების ხასიათსა, მაშტაბებსა და მიმართულებების განსაზღვრაზე.

უკანასკნელი წლების ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთ დამდანასიათებელ თავისებურებად უნდა მივიჩნიოთ სოციალური დიფერენციაციის გაღრმავება. იგი შეიძლება რამდენიმე მაჩვენებლით შეფასდეს. შემოსავლების სტრუქტურა დეფორმირებულია, რაც მირითადად ხელფასის ხვედრითი წონის შემცირებითაა გამოწვეული და მიუთითებს, რომ დასაქმების ძირითადმა ფორმამ ფაქტობრივად დაკარგა ადამიანის სიცოცხლისუნარიანობის უზრუნველყოფი მთავარი წყაროს ფუნქცია.<sup>1</sup>

განვლილ პერიოდში მნიშვნელოვნად გაიზარდა მეწარმეობითი შემოსავლებიც. ქვეყანაში ჩამოყალიბდა დაქირავებული შრომის ექსპლოატაციის მკაცრი სისტემა. წარმოების სხვა რესურსებთან შედარებით სამუშაო ძალის ფასი დაბალია, რაც საბოლოოდ მოთხოვნის, დაზოგვის

1 ჭითანავა ნ., გარდამავალი პერიოდს სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები, თბ. 1997, გვ. 141.

## **ეპონომიარი თეორიის თანამედროვე პრობლემები**

დაბალ დონეს განაპირობებს. აქედან გამომდინარე, მცირდება კაპიტალური დაბანდებანი, იკარგება წარმოებისა და შრომის ნაყოფიერების ზრდის საფუძველი, უარესდება ჯანმრთელობა და ა.შ.

მოსახლეობის ცხოვრების დონე მოიცავს მოსახლეობის შემოსავლებს, დანახარჯებს, მოსახლეობის ბუნებრივი და მექანიკური მოძრაობის სფეროს, მოსახლეობის სოციალური დაცვის სისტემას, საპნისო უზრუნველყოფას, მოსახლეობის საბინაო-კომუნალურ პირობებს, ჯანდაცვას, დასკვნებისა და ტურიზმის, განათლებისა და კულტურის, ასევე სამართლებრივ, საბაჟო, საშინაო და საგარეო საკოჭრო სისტემებს და სხვა. აქედან ცხადია, რომ იგი მოიცავს როგორც მატერიალურ სფეროს, ასევე არამატერიალურ სფეროს და განისაზღვრება მთელი რიგი კომპლექსური, სინთეზური და სტატისტიკური მაჩვენებლებით. მხოლოდ ერთი რომელიმე მათგანის გამოკვლევით არ შეიძლება დავახასიათოთ მთლიანობაში ცხოვრების დონე. ამიტომ საბაზოო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში მოსახლეობის შემოსავლებისა და ცხოვრების დონის რაოდენობრივი ინდიკატორებით კვლევა, ანუ სტატისტიკური შესწავლა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.

საქართველო საბაზოო ეკონომიკაზე გარდამავალი პერიოდის ტიპიური ქვეყნაა და დაქირავებული შრომიდან შემოსავლების ხვედრითი წილი უფრო მეტ განსხვავებას უნდა იძლეოდეს, ვიდრე ეს არსებული მონაცემებიდან ჩანს ( $17,9\%-18,7\%$ ). საერთო შემოსავლებშიც დაქირავებული შრომიდან მიღებული შემოსავლების ხვედრითი წილი დაბალია, ჩვენი აზრით ის არანაკლებ  $30-35\%-მდე$  უნდა იყოს.

არსებული მონაცემებით თვითდასაქმებიდან მიღებული შემოსავალი დაახლოებით  $7\%-ით$  მცირდება, მაგრამ იზრდება სოფლის მეურნეობის პროდუქტების გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი ( $9,5\%-15,2\%$ ). უკანასკნელ წლებში განსაკუთრებული ზრდა დაფიქსირდა უცხოეთიდან მიღებული ფულის ( $0,8\%-დან 3,4\%-მდე$ ) და ახლობლებისგან მიღებული ფულის რაოდენობა ( $1,2\%-დან 9,4\%-მდე$ ), რაც განაპირობებს საქართველოდან გადახვეწილი მოქალაქეების ზრდას. შემცირდა ქონების გაყიდვიდან მიღებული წილი, რაც იმაზე მეტყველებს, რომ მცირდება მოქალაქეების საკუთრებაში არსებული რესურსები.

აქვე აღვნიშნავთ იმ ფაქტს, რომ შემოსავლების საშუალო მაჩვენებლები ცალკეული ფენებისა და ჯგუფების მიხედვით სრულყოფილად ვერ ახსიათებს ცხოვრების დონეს. აქ იმალება მდიდართა და ღარიბთა

შორის შემოსავლების მიხედვით განსხვავება.

დასავლეთის სტატისტიკაში გამოიყენება სხვადასხვა მეთოდი. მათ შორის ფართო გავრცელება ჰპოვა პარეტო ლორქნც ჯინის ცნობილმა მეთოდოლოგიაში; მათ დაადგინეს შემოსავლების დონისა და მათ მიმღებთა რიცხოვნობას შორის არსებული უკუდამოკიდებულება. ეს მეთოდიკა ქვეყნის მოსახლეობის 10%-ის ყველაზე მაღალ და დაბალუზრუნველყოფილთა შემოსავლების შედარებას, ანუ ე.წ. “დეცილური კოეფიციენტის” გაანგარიშების საფუძველი გახდა. ყველაზე მარტივია დეცილური კოეფიციენტის გაანგარიშება, რაც ახასიათებს მოსახლეობის ყველაზე მდიდარი 10%-ის ჯგუფის შემოსავლები რამდენად აღემატება ყველაზე ღარიბ 10%-ის ჯგუფის შემოსავალს. ამ მაჩვენებლის ნაკლია ის, რომ ის წარმოაჩენს უთანაბრობის მხოლოდ ყველაზე ზოგად სურათს და არ ითავლისწინებს შემოსავლების განაწილებას მოსახლეობის “საშუალო” ჯგუფებში.<sup>1</sup>

საბაზრო ეკონომიკის სისტემისათვის საერთოდ უცხოა შემოსავლების თანაბარი განაწილება, რადგან მასში ინდივიდუალურ შესაძლებლობათა ხასიათი უშვებს უთანაბრო განაწილებას. საბაზრო ეკონომიკა საერთოდ ვერ იძლევა თანაბარი განაწილების გარანტიას. არსებობს უთანასწორობისა და არათანაბარი განაწილების სხვა კონკრეტული ფაქტორებიც, როგორიცაა: 1. ადამიანები, თავიანთი შესაძლებლობიდან გამომდინარე განსხვავდებიან როგორც ფიზიკური, ისე გონებრივი უნარით; 2. განსხვავება განათლებასა და ცოდნის დონეს შორის; 3. შესასრულებელი სამუშაო სიმბიმე; 4. შემოსავლების უთანასწორობის არსებობის პირობა შეიძლება იყოს სასოფლო-სამეურნეო და არასასოფლო –სამეურნეო მოსახლეობას შორის ხელფასებს შორის სხვაობა და ა.შ.<sup>2</sup>

მოსახლეობის შემოსავლების უთანაბრობის საფუძველზე საქართველოში მოსახლეობის დიდი ნაწილი ცხოვრობს სიღატაკეში, ცხოვრების საშუალო დონეზე ძალიან დაბლა, მცირე ნაწილი კი - საშუალო დონეზე ბევრად მაღალ პირობებში თავიანთი შემოსავლების სიდიდის გამო.

საქართველოს მოსახლეობაში არსებობს ფენა, რომელსაც დაკარგული აქვს თავისი სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების იმედი. მათი მდგომარეობის გაუმჯობესებაზე სახელმწიფომ დროულად უნდა იზრუნოს.

---

<sup>1</sup> გოგოხია რ., „მაქროეკონომიკა”, თბ. 2010, გვ.169.

<sup>2</sup> ლემონჯავა პ., აბრალავა ა., ეკონომიკის პრინციპები, თბ. 2011, გვ.322-324.

# საქართველოს მოსახლეობის დემოგრაფიული პროცესებისა და შრომითი რჩეულების დინამიკის ტანდემიზაციი

ნანა ნადარეიშვილი

ედ, სტუ ასოცირებული პროფესორი

ნონა დანელია,

სტუ დოქტორანტი


მსოფლიოს მოსახლეობამ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მონაცემებით 2011 წელს 6,987 მილიარდ ადამიანს მიაღწია. ექსპერტები ვარაუდობენ, რომ ოცი საუკუნის წინ მსოფლიოში დაახლოებით 150-დან 250 მილიონამდე ადამიანი ცხოვრობდა. აქედან გამომდინარე, ჩვენს პლანეტაზე მცხოვრებ ადამიანთა რაოდენობა უკანასკნელი 2000 წლის განმავლობაში თითქმის 28-ჯერ გაიზარდა. მაგრამ სხვადასხვა ქვეყნებში მოსახლეობისა და შრომითი რესურსების დინამიკა ძალზე განსხვავდებული და არათანაბარია.

ზოგ ქვეყანაში მოსახლეობისა და შრომითი რესურსების სიჭარეა, ზოგან კი პირიქით – სამუშაო ძალის ნაკლებობა.

მოსახლეობის რაოდენობის მხრივ თუ საქართველოს შევადარებთ შავი ზღვისა და სამხრეთ კავკასიის რეგიონის ქვეყნებს, აღმოჩნდება, რომ ჩვენ მხოლოდ სომხეთსა და მოლდოვას ვუსწრებთ (იხ. დიაგრამა №1).

## დიაგრამა №1

შავი ზღვის რეგიონისა და სამხრეთ კავკასიის ქვეყნების მოსახლეობის  
რაოდენობა 2011 წლისთვის (მლნ. ადამიანი)



საქართველოს მოსახლეობა ყველაზე მრავალრიცხოვანი 1992 წელს იყო და შეადგენდა 5467 ათას ადამიანს (5,5 მილიონ ადამიანს).

გასულ საუკუნის 90-იან წლებში პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიკურ პროცესების რევოლუციური ცვლილებები, 2008 წლის რუსეთ-საქართველოს სამხედრო-საომარი დაპირისპირება უარყოფითად აისახა დემოგრაფიულ პროცესებზე, რამაც თავის მხრივ თანდათანობით შეამცირა ჩვენი ქვეყნის მოსახლეობა: 1995წ იყო 5062 ათასი, 2000წ – 4672 ათასი, 2010წ – 4436 ათასი ადამიანი.

1992-2010 წლებში მოსახლეობის რაოდნობის 18,9%-თ შემცირების მიზეზი იყო ძირძველი ტერიტორიების დაკარგვა, მოსახლეობის აქტიური ემიგრაცია და ბუნებრივი კლება. ქვემოთ მოტანილი ბუნებრივი მოძრაობის საშუალო წლიური აბსოლუტური და შეფარდებითი მაჩვენებლები (იხ. ცხრილი 1) ასახავენ დემოგრაფიული სიტუაციის მდგომარეობას უკანასკნელი ათწლეულების მანძილზე.

### ცხრილი 1

საქართველოს მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის  
საშუალო წლიური მაჩვენებლები<sup>1</sup>.

	1981-1990წწ		1991-2000წწ		2001-2005წწ		2006-2010წწ	
	ათასი	%	ათასი	%	ათასი	%	ათასი	%
ცოცხლად დაბადებული	92,8	17,5	59,5	12,2	47,3	10,9	55,9	12,7
გარდაცვლილი	47,5	8,9	50,2	10,4	45,6	10,5	44,2	10,0
ბუნებრივი მტება	45,3	8,6	9,3	1,8	1,7	0,4	11,7	2,7

ცხრილიდან ჩანს, რომ საქართველოში დემოგრაფიული სიტუაცია საგრძნობლად გაუარესდა 1991-2000წლებში; ამ პერიოდში შობადობის შემცირებისა და სიკვდილიანობის მომატების შედეგად ბუნებრივი მატების საერთო კოეფიცინტმა საშუალოდ, წლიურად შეადგინა 1,8 პრომილე. აღნიშნული პროცესების შემდგომში გარღმავებით, მომდევნო 2001-2005 წლებში ბუნებრივი მატების მაჩვენებელი კიდევ უფრო მეტად შემცირდა და შეადგინა 0,4 პრომილე, რამაც ხელი შეუწყო

<sup>1</sup> ცხრილი შედგენილია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ოფიციალური მასალების საფუძველზე.

## **ეპონიმური თეორიის თანამედროვე პრებლეგები**

მოსახლეობის რაოდენობის გარკვეულ სტაგნაციას.

XXI საუკუნის დასაწყისის დემოგრაფიული სიტუაცია იყო უწინვავე-სი და მისი შესაბამისი დემოგრაფიული, სოციალური და ეკონომიკური (მაგ. შრომითი ორესურსების შემცირება) შედეგები გამოვლინდება უკვე ორი ათეული წლის შემდეგ.

გარკვეული ოპტიმიზმის საფუძველს იძლევა უკანასკნელი წლების დემოგრაფიული მაჩვნებლები. 2006-2011 წლებში ბუნებრივმა მატებამ 2001-2005 წლებთან შედარებით მოიმატა 2,3 პუნქტით და შეადგინა საშუალოდ, წლიურად 2,7 პრომილე. სოციალურ-ეკონომიკური ძღვომარეობის გარკვეულმა გაუმჯობესებამ, მართმადიდებლური მრწამსის გარღმავებამ ბევრ ოჯახში გააღვივა მესამე და მომდევნო ბავშვის ყოლის სურვილი, რამაც აამაღლა შობადობის დონე. სიკვდილიანობის დონე უმნიშვნელოდ შეიცვალა. ასსოლუტური მაჩვნებლების შემცირების მიუხედავად მოკვდაობის კოეფიციენტს თითქმის არ განუცდია ცვლილება, რაც მის სტაბილურობაზე მეტყველებს. საგულისხმოა, რომ ბოლო წლებში აღირიცხა 1 წლამდე ბავშვების მოკვდაობის შემცირება (11,2 პრომილე). ასეთი დაბალი მაჩვნებელი არ დაფიქსირებულა ბოლო 20 წლის მანძილზე.

### **ცხრილი №2**

**დემოგრაფიული მაჩვნებლები რეგიონების მიხედვით 2010წლისთვის.**

რეგიონები	დაბადება	გარდა-ცვალება	ბუნებრივი მატება	ქორწინება	განქორწინება
საქართველო	62585	47864	14721	34675	4726
აჭარის ა.რ.	6293	3217	3076	3478	309
ქ. თბილისი	16212	11645	4567	8333	2242
გურია	1971	1767	204	1097	86
იმერეთი	10041	8726	1315	5362	580
ქახეთი	5348	5082	266	2453	300
მცხეთა-მთიანეთი	1425	1366	59	704	109
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	490	916	-426	308	18
სამეგრელო-ზ. სვანეთი	5969	5325	644	3507	324
სამცხე-ჯავახეთი	2706	2184	522	1468	110
ქვემო ქართლი	7230	4032	3198	5342	394
ზოდა ქართლი	4900	3604	1296	2625	254

## ეპონომიკა №3-4, 2012


უკანასკნელი მონაცემებით რეგიონებს შორის (იხ. ცხრილი №2) ყველაზე მაღალი ბუნებრივი მატება დაფიქსირდა ქ. თბილისში (4,567 ადამიანი). მხოლოდ რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონში აღინიშნა ბუნებრივი კლება (-426 ადამიანი).

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოსთვის საჭიროა ოპტიმალური დემოგრაფიული პოლიტიკის შემუშავება, რომელიც ხელს შეუწყობს დემოგრაფიული ვითარების გაუმჯობესებას.

საქართველოს მოსახლეობაში ძირითადი შრომისუნარი ასაკის (20-65წელი) კონტინგენტის ხვედრითი წილის დინამიკა წლების მიხედვით ზრდის ტენდენციით ხასიათდება<sup>1</sup> (იხ. დიაგრამა №2), რაც დაკავშირებულია XX საუკუნის მეორე ნახევარში მოსახლეობის შედარებით მაღალ ბუნებრივ მატებასთან. დემოგრაფიული პოლიტიკის მიზანი უნდა იყოს მოსახლეობის აღწარმოების პროცესებზე ზემოქმედების მეშვეობით მოსახლეობის რაოდენობის გაზრდა ბუნებრივი მატების საშუალებით, რათა უკვე 20-25 წლის შემდეგ ქვეყნაში შრომითი კონტინგენტის ნაკლებობა არ წარმოიშვას. თუ არ განხორციელდა სახელმწიფოს მხრიდან აქტიური დემოგრაფიული პოლიტიკა, უკვე ორი ათწლეულის შემდეგ, ჩვენს ქვეყნაში შეიქნება ადგილობრივი შრომითი კონტინგენტის დეფიციტი.

## დიაგრამა №2

შრომისუნარიანი ასაკის კონტინგენტის ხვედრითი წილი  
მთელს მოსახლეობაში (მიმდინარე შეფასებით)



1 [www.geostat.ge](http://www.geostat.ge)


## **ეპონომიარი თეორიის თანამედროვე პრობლემები**

საერთოდ, დემოგრაფიული პოლიტიკის განხორციელება ნებისმიერი სახელმწიფოსთვის წარმოადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფუნქციას, სადაც ჩართულნი უნდა იყვნენ არასამთავრობო ორგანიზაციებიც. მაგრამ, რით უნდა დაიწყოს დემოგრაფიული პოლიტიკა? ჩვენი აზრით, საჭიროა უტყუარ სტატისტიკურ მასალებზე დაფუძნებული დემოგრაფიული რეალობის დიაგნოსტიკა, მოსახლეობის დინამიკის პროგნოზირება, დემოგრაფიული სიტუაციის გასაუმჯობესებლად საჭირო რეკომენდაციებისა და გასატარებელი ღონისძიებების შეტუშავება, საბოლოოდ კი, დემოგრაფიული პოლიტიკის განხორციელებაზე მეცნიერობის დაწესება. აი ეს არის, ის მარტივი აღვორითმი, რაც განაპირობებს ჩვენს ქვეყანაში დემოგრაფიულ პოლიტიკას.

რაც შეეხება დემოგრაფიულ პროგნოზს, უნდა აღინიშნოს, რომ გრძელვადიან პროგნოზებს ეკონომიკური საჭიროებებისთვის აკეთებს მსოფლიოს მრავალი ორგანიზაცია და ქვეყანა. აღნიშნული პროგნოზები ძირითადად გათვალისწინებულია მაკროეკონომიკური პარამეტრების გასაანგარიშებლად (მაგ. მშპ ერთ სულ მოსახლეზე და ა.შ.) და სტრატეგიული დაგეგმვისათვის. დღეს დემოგრაფიული პროგნოზისთვის არსებობს კომპიუტერული პროგრამული უზრუნველყოფები რომლებიც მეცნიერებს უადვილებენ ანალიზს და ეხმარებიან მოდელირების გზით გარკვეული საპროგნოზო სცენარების შეტუშავებაში. ქვემოთ მოცემულია საქართველოს მოსახლეობის დინამიკის საპროგნოზო მაჩვენებლები (იხ. დიაგრამა №3. გვ 34.). სამ ვარიანტიად (დაბალი, საშუალო და მაღალი) რომელიც ჩვენს მიერ გამოთვლილია პროგრამა PASEX-ში.

აღნიშნული დიაგრამიდან ჩანს, რომ საქართველოს მოსახლეობის ბუნებრივი მატება საშუალო ვარიანტით 2050 წლისთვის 3 186 ათასი, ხოლო პესიმისტური ვარიანტით 2 770 კაცი იქნება. 2020 წლისთვის საშუალო ვარიანტით ჩვენს ქვეყანაში ნავარაუდევია 4 049 ათასი, ხოლო 2030 წლისთვის 3 760 ათასი კაცი. გაანგარიშება აჩვენებს, რომ საშუალო ვარიანტის მიხედვით, მოსახლეობის ბუნებრივმა კლებამ შეიძლება მიაღწიოს 40 000 კაცს წელიწადში.

მომავალში, ეკონომიკის ზრდის პარალელურად, უფრო იჩენს თავს ადგილობრივი მრომითი რესურსების მწვავე ნაკლებობის პრობლემა. სამწუხაროდ, გლობალური პროცესების ტენდენციებიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ მკაფიოდ მოსახლეობის განვითარების პერსპექტივები და საჭიროება, ამ ტენდენციებში ნაკლებად იკვეთება. ამდენად,

საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნების პროგნოზი 2050 წლამდე  
(ათასი კაცი)

ჩვენს ქვეყანაში შრომითი რესურსების ნაკლებობას აუცილებლად მოჰყვება მეტად საშიში, არასასურველი იმიგრაციული პროცესები. ამ პროცესს, მცირერიცხოვანი ერისთვის, თან სდევს იდენტურობის პრობლემა, კულტურისათვის დამახასიათებელი ფასეულობათა სისტემის დეფორმაცია, სულიერი ცხოვრების თანდათანობითი ჩანაცვლება სხვა კულტურით, რელიგიური აღმსრულებლობითა და ცხოვრების წესით.

ამიტომ, რაც შეიძლება მალე უნდა გატარდეს სახელმწიფოს მხრიდან აქტიური დემოგრაფიული პოლიტიკა მოსახლეობის ბუნებრივი კვლავწარმოების გაზრდისთვის. თუმცა აქვე უნდა ითქვას, რომ მისი გატარების შემთხვევაშიც კი, სასურველ შედეგს მხოლოდ საქმაო დროის შემდეგ მივაღწევთ, რადგან, დემოგრაფიული პროცესები მყისიერ ცვლილებას თითქმის არ განიცდიან. დაგვიანების შემთხვევაში, უარყოფითი დემოგრაფიული სიტუაციის დაძლევა, რა რაოდენობის სახსრებიც არ უნდა გავიღოთ, შეუძლებელი იქნება. საქართველოს ხვალინდელი დღე დამოკიდებულია დღეს დაბადებული ბავშვების რაოდენობასა და აღზრდის ხარისხზე.

## **06.09.2021 - საინფორმაციო სახლგადოებაზე გადასტური გარდაშვალი პირობები**

**ეკა თაღუმაძე**  
სტუ დოქტორანტი  
**გიორგი მახარობლიშვილი**  
სტუ დოქტორანტი

მე-20 საუკუნის მეორე ნახევრიდან, ეკონომიკური სისტემების განვითარებამ ტრანსფორმირება განიცადა, რაც ინფორმაციული საზოგადოების ჩამოყალიბებამ განაპირობა.

საინფორმაციო ეკონომიკის ჩამოყალიბება შეუძლებელია საინფორმაციო ბაზრის განვითარების გარეშე, რომელზე დაფუძნებითაც შესაძლებელია ეკონომიკის სხვა სფეროებში ინოვაციების დანერგვა. ვიდრე ინოვაციური პორცესის არსებ შევისწავლით, უნდა განვსაზღვროთ ტერმინი — ინოვაცია.

ინოვაცია ეკონომიკურ ლიტერატურაში შემდეგნაირად განიმარტება: ინოვაცია არის იდეა ან პროდუქტი, რომელიც მომხმარებლის მიერ აღიქმება სიახლედ. თუმცა ეს არის სუბიექტური განმარტება, ვინაიდან ეყრდნობა ცალკეული აღმართების აზროვნებას.

თუ ინოვაციას განვსაზღვრავთ მომხმარებლისაგან განსხვავებული კრიტერიუმებით, მაშინ შეიძლება ჩათვალოს, რომ იდეები ან პროდუქტები ხარისხობრივად განსხვავდება აქამდე არსებული პროდუქტებისაგან.

თუმცა არც ეს განსაზღვრებაა სრულყოფილი. ვინაიდან ბოლომდე არ არის გარკვეული, რით განისაზღვრება და იზომება ცვლილებელის ხარისხობრივი მახასითებლები.

ინოვაციის კლასიფიკაციის ერთ-ერთი სისტემა დაფუძნებულია სოციალური ჯგუფების ქცევებზე. ეს სისტემა შემოგვთავაზა ტ. რობერტსონმა და ფართოთ გამოიყენება მარკეტინგში. ამ კლასიფიკაციის თანახმად ინოვაცია იყოფა უწყვეტად, დინამიურ უწყვეტად და წყვეტილად (4).

უწყვეტი ინოვაცია — ეს არის არსებული პროდუქტების მოდიფიკაცია და არა ახალი საქონელი. ამ სისტემის ამჟამავების დროს ინგრევა ძველი ეკონომიკური სუბიექტების ქცევა.

დინამიური უწყვეტი ინოვაცია ეს არის ახალი საქონლის შექმნა ან უკვე არსებული პროდუქტის ვარიაცია, რომელშიც არ იცვლება არსებული სქემები მარკეტინგული კუთხით.

წყვეტილი ინოვაციები განსაზღვრავს აბსოლუტურად ახალი საქონლის შექმნას, რომელიც მთლიანად ცვლის მომხმარებლის ქცევას ბაზარზე.

აქედან გამომდინარე, ხარისხობრივად ახალი მომსახურება შესაძლოა ზემოხამოთვლილი კლასიფიკაციიდან რომელიმე გახდეს.

დაუბრუნდეთ ისევ შუმპეტერის, რომელმაც ყველაზე ღრმად შეისწავლა ინოვაციის თემა. იგი ინოვაციას შემდეგნაირად განსაზღვრავდა: ინოვაცია არის საგანთა წარმოების ისტორიული და გარდაუვალი ცვლილებების პროცესი (2). იგი გამოყოფს 5 განსხვავებულ კომპინაციას ამ კუთხით:

- მომხმარებლისთვის ახალი პროდუქტის წარმოება ან მომსახურება, რომელზეც მწარმოებელია ორიგინტირებული;
- ახალი წარმოების მეთოდის დანერგვა მრეწველობაში ან ვაჭრობაში;
- პროდუქციისთვის ახალი ბაზრის მოპოვება ან შექმნა;
- ნედლეულის ახალი წყაროს მოპოვება;
- ახალი წარმოების ორგანიზება.

ამავდროულად შუმპეტერი აფართოებს ინოვაციის განსაზღვრებას იმ ფაქტის აღიარებით, რომ ინოვაცია შესაძლოა არა მხოლოდ წარმოებისა და მართვის სფეროში, არამედ გაცვლისა და გავრცელების სფეროშიც დაინტერგოს.

უნდა ავღნიშნოთ, რომ ინოვაციად ხშირად ახალ კონკრენტულ პროდუქტსაც მიიჩნევენ, რომელშიც ახალი მეცნიერული ინფორმაციაა თავმოყრილი.

ინოვაციაზე ამ შეხედულებას ამყარებს ფორმულა, რომლის მიხედვით ინოვაცია ეს არის იდეების ტრანსფორმაცია, როგორც საბაზრო პროდუქტი ან მომსახურება, როგორც ახალი ან გაუმჯობესებული საწარმო პროცესი. ამგვარად, ინოვაციის ობიექტი არის სამეცნიერო-კვლევითი მოღვაწეობის შედეგები (5).

ინოვაციური მომსახურების ობიექტი არის სამეცნიერო-კვლევითი მოღვაწეობის შედეგად მიღებული სამეცნიერო ინფორმაცია, ან ორიგინალური პროდუქტი, რომელშიც განხორციელებულია ეს ინფორმაცია

## **ეპონომიარი თეორიის თანამედროვე პრობლემები**

თავის წარმოების ყველა ეტაპზე. იგი უკვე ჩაშეცემულია ექსპლუატაციაში, მაგრამ არ არის მასობრივი გამოყენების საგანი.

ეს განსაზღვრება გვაძლევს საფუძველს, რომ ესა თუ ის კვლევის შედეგი საიხლეებად მივიჩნიოთ.

ინოვაციისა და ინფრასტრუქტურის შერწყმას მივყავართ ეკონომიკური ზრდის ტებების დაჩქარებისკენ, შესაბამისად, ცხოვრების დონის ამაღლებისკენ. გარეგნულად ცხოვრების დონის ამაღლება გამოიყურება, როგორც ტექნოლოგიების ეფექტურად გამოიყენების შედეგი (5).

ტრადიციულად ინოვაციას აღიქვამენ, როგორც ტალღისებურ ცვლილებას, მაგრამ უკანასკნელი 200 წლის მანძილზე, მხოლოდ 4 ასეთი ინოვაციური ტალღა იყო, რომელმაც ზეგავლენა იქონია საზოგადოებასა და ეკონომიკაზე.

**პირველი ინოვაციური ტალღა:** მე-18 საუკუნის 80-იანი წლებიდან მე-19 საუკუნის 40-იანი წლები. ამ პერიოდში ინგლისში სამრეწველო რევოლუცია მოხდა, რასაც ორთქლის ენერგიის გამოყენება დაედო საფუძვლად.

**მეორე ინოვაციური ტალღა:** მე-19 საუკუნის 50-90-იანი წლები. ეს პერიოდი არის რკინის განვითარების ეპოქა.

**მესამე ინოვაციური ტალღა:** მე-20 საუკუნის პირველი ნახევარი, როდესაც ელექტროენერგია და ავტომანქანების გამოყენება დაიწყო.

**მეოთხე ინოვაციური ტალღა:** არის თანამედროვე ეპოქა ატომური ენერგეტიკის გამოყენებისა და ახალი ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენების ეპოქა. მეოთხე ტალღის პრინციპული მნიშვნელობაა სისწრაფე. ამ ინოვაციურმა ტალღამ თვითგანვითარება ძალიან სწრაფად მოახერხა.

თანამედროვე სატელეკომუნიკაციო ტექნოლოგიების სიმრავლემ, თუნდაც არასრულყოფილმა ტექნოლოგიამ, ავტომატურად დააჩქარა ინოვაციური ციკლი. ეს საშუალებას იძლევა, უძიდესი რაოდენობისა და სიდიდის ინფორმაცია მცირე დროში გადამუშავდეს ახალი მომსახურებისა და საქონლის შესაქმნელად.

ერთი ინოვაცია და ტექნოლოგია წარმოქმნის სხვა, უფრო მასიურ, ახალ ინოვაციას და ტექნოლოგიებს, თუ შენარჩუნდება ეს კონკურენცია და ინფრასტრუქტურა, რომელიც ხელს უწყობს ამ განვითარებას. მიმდინარე ტექნოლოგიური ცვლილებები აღარ იქნება მკაცრად დამოკიდებული ერთ ტექნოლოგიურ სისტემაზე და გახდება პროცესი უწყვეტი და უსაზღვრო.

მაგრამ არსებობს შანსი, რომ ეს პროცესი შეჩერდეს, რადგან მონოპოლისტური კონკურენცია ბადებს დროებით მონოპოლიას, რომელიც ჯანსაღ კონკურენტულ გარემოზე ძლიერია და მას აფერხებს. თუ ეს მონოპოლია მუდმივი განხდება და საშუალებას მისცემს მონოპოლისტებს მუდმივი მოგება მოუტანოს, იგი აღარ განვითარდება. ანუ ინოვაცია არ დაინტერესება, გაქრება საინფორმაციო საზოგადეობის ყველაზე გლობალური საფუძველი.

შემცნებით-ინოვაციური ციკლის ფუნქციონირება ინფორმაციული კაპიტალის დაბანდების ხარჯზე ხდება. ფუნქციონირების პროცესში კაპიტალი აწარმოებს საქონელსა და მომსახურებას, რისთვისაც გამოიყენებს სხვადასხვა რესურსებს. საქონლისა და მომსახურების წარმოება თუ აკმაყოფილებს გადახდისუნარიან მომხმარებელს და მისი რეალიზება ხდება სასაქონლო ბაზარზე, მაშინ მას მოაქვს მფლობელისთვის მოგება. რაც უფრო დიდია მოგება, მით უფრო ეფექტურია კაპიტალის ფუნქციონირება.

თუმცა ეს არ არის კაპიტალის ფუნქციონირების სრული განსაზღვრება. ბაზარი მუდმივად ცვალებადია, მნელად პროგრნოზირებადი, ამიტომ თუ კაპიტალს მოგება მოაქვს, კონკურენტულ დროს, შესაძლოა, მომავალში არამომგებიანი გახდეს. კაპიტალი ეფექტურია თუ მისი მომგებიანობა მყარია და ვრცელდება მომავალზე. იმისთვის, რომ კაპიტალმა მოგება დიდი ხნით შენარჩუნოს, მნიშვნელოვანი ნაწილის ინვესტირება ისევ კაპიტალში უნდა მოხდეს. ინვესტიციის დიდი ნაწილი ხმარდება ინოვაციის დაფინანსებას, რომელიც კაპიტალის ფუნქციონირების გაუმჯობესებისკენაა მიმართული.

ამ პროცესში მთავარია მომხმარებელს სურვილი ქონდეს, რომ პროდუქციაში გადაიხადოს თანხა. მომხმარებელს უნდა ქონდეს არჩევანის საშუალება, რათა კაპიტალმა აწარმოოს საქონელი და მომსახურება. კაპიტალმა უნდა დააკმაყოფილოს მომხმარებლის მოთხოვნილებები. ამასთანავე, უნდა გავითვალისწინოთ, რომ მომხმარებლის გემოვნების და დაგმაყოფილების მეთოდები და ხერხები ცვალებადია.

ამგვარად, შეუძლებელია გამოვიკვლიოთ ინფორმაციული ეკონომიკა ინფორმაციული პროდუქტებისა და მომსახურების ბაზრის გარეშე, როგორც საზოგადოებრივ ინფორმაციული კაპიტალის მიყრო და მაკრო დონე, ასევე სახელმწიფოს როლი საინფორმაციო ბაზრის განვითარებაში. თუ შევაჯამებთ ამ კვლევას, მივალთ დასკვნამდე, რომ შემცნებითი

## ეპონომიარი თეორიის თანამედროვე პრებლემები

ინოვაციური წარმოების ციკლი არის ეკონომიკის მთავარი მამოძრავებელი ძალა, რომელიც შემდგომში ხდება განვითარებული ინფორმაციული ბაზარი. აქედან გამომდინარე, ინოვაცია არის ეკონომიკური განვითარების მთავარი საფუძველი.

ამ კვლევის შედეგად შეგვიძლია ჩამოვაყალიბოთ ინოვაციური პროცესის განვითარების რამდენიმე პრინციპული თავისებურება და ტენდენცია:

- კვლევა და ნაშრომები არ არის ინოვაციის ერთადერთი წყარო. ბაზრის შესწავლა, კონკურენტებისა და პარტნიორების გამოცდილება და ა.შ. ხშირად ინოვაციური ინფორმაციის წყარო ხდება;
- ინოვაცია არ არის პრეროგატივული გამონაკლისი ეკონომიკური სამეცნიერო სექტორებისა. ინოვაციური აქტივობა მნიშვნელოვანია და ხორციელდება მრეწველობის ყველა დარგში, მომსახურების სფეროში და სახელმწიფო ეკონომიკის სექტორში, რომელშიც სახელწიფო მართვის ორგანოებია ჩართული;
- კონკურენტუნარიანობის სტიმულირება ბაზარზე უზრუნველყოფს ინოვაციების ზრდას;
- ინოვაციური პროცესები გადაიქცევან გლობალურებად;
- ინფორმაციულ კაპიტალს ფლობს ყველა კორპორაცია, მიხეუდავდ იმისა თუ რომელ სფეროში მოღვაწეობს ის;
- ინფორმაციული კაპიტალი არსებობს არა მარტო კორპორატიულ დონეზე არამედ ინდივიდუალურ და საზოგადოებრივ დონეზე.

ინოვაციების გამოჩენას და მათ წარმატებით დანერგვას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ინფორმაციული საზოგადოების განვითარებისთვის, ვინაიდან ეკონომიკაში იბადება ახალი საბაზრო ეკონომიკური ურთიერთობები, ხოლო თვითონ ბაზარი არის ინოვაციის წყარო. შესაბამისად, არ შეიძლება ახალი საზოგადოება განვიხილოთ ინფორმაციული ბაზარის, პორტფელებისა და მომსახურების გარეშე.

კვლევის საფუძველზე შეგვიძლია ჩამოვაყალიბოთ ინოვაციური პროცესების ტენდენციები და თავისებურებები, საინფორმაციო ბაზრის ჩამოყალიბების პირობებში.

შრომები და კვლევები არ არის ერთადერთი წყარო ინოვაციისთვის. ბაზრის შესწავლა, კონკურენტებისა და პარტნიორების გამოცდილება

ხშირად ინოვაციური ინფორმაციის საფუძველი ხდება. ინოვაციური აქტივობა მნიშვნელოვანია და ხორციელდება მრეწველობის ყველა დარგში, მომსახურების სფეროში, სახელმწიფო ეკონომიკის განვითარებასა თუ სახელმწიფო სტრუქტურებში. ინოვაციური იდეების განვითარებას ხელს უწყობს კონკურენტუნარიანი გარემო. ინოვაციური პროცესები სულ უფრო გლობალური ხდება.

### **გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა**

Белл Д. Социальные рамки информационного общества. Новая технологическая волна на Западе.- М. Прогресс 1986.-С.330-342.

Габитов А.Ф. Институты национальной инновационной системы / Иновации/-2005-№1

Иванова Н.И. Наука в национальных инновационных системах/ Инновации/-2005-№3

Мижинский М.Ю. Меры государственно-правового стимулирования инноваций: правовой опыт Европейского Союза/ Инновации/-2005-№3

Raymond McLeod, Jr. Management Information Systems: A study of computer-based informational systems. — Washington.: Simon & Shuster Custom Publishing, 1998.-655 p.

## საქართველო და ეკონომიკური პრიზისი

ირაკლი გვეშიძე  
სტუ დოქტორანტი

ეკონომიკური კრიზისის დამახასათებელი პირველი ნიშანია, როდესაც მთლიანი შიდა პროდუქტი უცემა. საერთოდ, კრიზისის განმაზღვრელი რამდენიმე ინდიკატორი არსებობს: უმუშევართა მაღალი დონე, საბანკო სესხების და კრედიტების გადაუხდელობა, ინგენირების შემცირება. ამ ინდიკატორების გაუარესების შემთხვევაში, თავისუფლად შეგვიძლია ვთქვათ, რომ კრიზისი დაწყებულია.

რეცესია თავისი არსით არის კრიზისის მთავარი სტადია, ანუ რეცესია ეკონომიკის ენაზე იგივე კრიზისია. რეცესია არის ისეთი სიტუაცია, როდესაც ქვეყნის ეკონომიკაში გამოცოცხლების ნიშან-წყალი არ ჩანს.<sup>1</sup>

საქართველოში ეკონომიკა ღრმა რეცესიაშია და კრიზისისკენ მიემართება. ეს ბიზნესის ყველა სეგმენტზე მეტ ნაკლები პროპორციითაა ასახული. შემცირებულია მოსახლეობის გადახდისუნარისნობა, რაც, თავის მხრივ, იწვევს მოხმარების და ეკონომიკური აქტივობის შემცირებას. ექსპორტ-იმპორტის მოცულობა 30-40%-ითაა შემცირებული. გასული წლის ანალიზით პერიოდთან შედარებით გაორმაგებულია იმ ადამიანების რიცხვი, რომლებიც ვერ იხდიან საბანკო კრედიტებს. ასევე გაზრდილია უმუშევრისა, შემცირებულია საარსებო მნიშვნელი, წლის ბოლომდე კი ოფიციალური მონაცემებით ეკონომიკა 1,5%-ით შემცირდება. შეჩერებულია ინვესტიციები და უცხოეთიდან ფულადი გადმორიცხვები, რაც წლების მანძილზე აბალანსებდა ნეგატიურ ტენდენციებს ეკონომიკაში. საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემებით, 2010 წლის ნოემბერში ქვეყანაში შემოსული ფულადი გზავნილების ნაკადების მოცულობამ 75 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც 4.4 მლნ აშშ დოლარით, ანუ 5.6 პროცენტით ჩამორჩება ოქტომბრის მონაცემს. ძირითადად, რუსეთიდან ფულადი ნაკადების კლებამ გამოიწვია 3.2 მლნ აშშ დოლარით, ანუ 7.5 პროცენტით ფულადი გზავნილების მოცულობის შემცირება. ფულადი გზავნილები შემცირდა: უკრაინიდან, იტალიიდან და თურქეთიდანაც - თითოეულიდან 0.3 მლნ აშშ დოლარით,

<sup>1</sup> გრუმორი მენჭიუ-ეკონომიკის პრინციპები. თბილისი, დიოგენე, 2000 წ. გვ. 579.

ანუ 4, 8.3 და 13 პროცენტით. სახარბიელო მდგომარეობა არც სხვა ქვეყნებიდან წამოსულ ნაკადებში იკვეთება. უცხოური გადმორიცხვები ყველა ქვეყნიდან შემცირდა. უცხოურიდან საქართველოში ფულადი გზავნილების 89,4 პროცენტი 8 უმსხვილეს დონორ ქვეყნაზე მოდის. ყველა ეს მაჩვენებელი ცხადყოფს, რომ ქვეყნის ეკონომიკა კრიზისისკენ მიემართება და საჭიროებს ფინანსურ ინექციებს.<sup>1</sup>

ცენტრალური ბანკის ფულადი ინფლაცია და ნაწილობრივი რეზერვიების პრინციპით მოქმედი საბანკო სისტემის საკრედიტო ექსპანსია, რასაც უცხოური სუბსიდიების (უწ. დახმარებას) ხარჯზე სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის ზრდაც ერთვის თან, იწვევს სარგებლის განაკვეთის ხელოვნურ შემცირებას და ეკონომიკის ხელოვნურ გამოცოცხლებას, რაც ქმნის ილუზიას, რომ ქვეყნაში იმაზე მეტი რესურსებია, ვიდრე სინამდვილეშია. შესაბამისად, ადამიანები ზედმეტად ოპტიმისტურად უყურებენ მომავალს და იწყებენ წარმოების გაფართოებას, რასაც ფასებისა და ხელფასების ზრდა, დასაქმებულთა რიცხვისა და ნომინალური შემოსავლების მატება სდევს თან. მაგრამ ბევრი ფული არ ნიშნავს ბევრ რესურსს. ცენტრალურ ბანკს შეუძლია ბეჭდოს ქაღალდის არაუზრუნველყოფილი ფული, მაგრამ რეალური რესურსების წარმოება დროს მოითხოვს. თუ ინვესტიციები ეყრდნობა არა შესაბამის დანაზოგებს, არამედ საკრედიტო „ბუშტებს“, მაშინ ამას არსებული რესურსების ზე-ინტენსიური მოხმარება და „გამოფიტვა“ ახლავს თან. გარკვეულ ეტაპზე აღმოჩნდება, რომ ინვესტიციები ჩადებულია პროექტებში, რომელთა დასამთავრებლად არ არსებობს სათანადო რესურსები, შესაბამისად, ვაღლებულებები მეტია, ვიდრე მათ გასასტუმრებლად არსებული რეალური რესურსები. დგება კრიზისი, ანუ ვითარების გააზრებისა და სამეურნეო ურთიერთობების რესტრუქტურიზაციის ეტაპი.

ქვეყნის სახელმწიფო საბაჟო კომიტეტის მონაცემებით, შემცირება ყველა ძირითად საქართველოს საქონელს, მათ შორის ნედლ ნავთობსაც შეეხო. მისი ექსპორტისგან მიღებულმა შემოსავლებმა 5,7-ჯერ იკლო. თუ ერთი ტონა აზერბაიჯანული ნავთობი 2008 წლის იგივე პერიოდში 530 დოლარი ღირდა, ამ ეტაპზე ეს მონაცემი 365 დოლარამდეა შემცირებული. ასევე დაეცა ნავთობპროდუქტების ექსპორტისგან მიღებული შემოსავლები. ამ სეგმენტში ვარდნამ 31,4%-ს მიაღწია.

საქართველოში უმძიმესი საბანკო კრიზისი(!), რაც საბოლოოდ

1 [www.statistica.ge](http://www.statistica.ge) გადამოწმებულია 10.03.2012.

## ეპონომიკური თეორიის თანამედროვე პრობლემები

მასშტაბურ ეკონომიკურ და სოციალურ კრიზისს გამოიწვევს. აღნიშნული სიტყვები ეპუთვინს საქართველოში ერთ-ერთი წამყვანი ბანკის „ბანკი რესპუბლიკა“-ს ხელმძღვანელს და „სოსიეტე უენერალის“ წარმომადგენელს უერემი ლონგრეს, რომელიც სულ ახლახანს მოავლინეს საფრანგეთიდან. მან აღნიშნა: „ჩვენი ბანკის სათავო ოფისიდან-პარიზიდან მიღებული გვაქვს კატეგორიული მითითება, რომ საქართველოში, ყველანაირი კრედიტების გაცემა შევწყიტოთ და დაველოდოთ ახალ განკარგულებას.“ „ბანკი რესპუბლიკა“ ერთადერთი არ არის საქართველოში, რომელიც აგვისტოს შემდეგ უმძაფრეს ფინანსურ კრიზისს განიცდის. ოფიციალურად არც ერთი ბანკი აღიარებს, მაგრამ მომხმარებლებმა კარგად იციან, რომ დღეს, როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიულ პირისთვის, პრაქტიკულად, ბანკის იმედზე ახალი საქმის წამოწყება არა თუ სარისკოა, შეუძლებელიცაა.

2005 წლიდან 2008 წლის მაისამდე საქართველოში ეკონომიკის ზრდა განპირობებული იყო საბანკო სისტემის აქტიურობით, თუმცა, კომერციული ბანკების საკრედიტო აქტიურობამ, შემოთავაზებული კრედიტების შინაარსიდან გამომდინარე, ხელი ვერ შეუწყო წარმოების ზრდას და რეალური ეკონომიკის შექმნას, რაც მომავალში უზრუნველყოფდა ეკონომიკური ზრდის ტემპის შენარჩუნებას და მდგრადი ეკონომიკის ჩამოყალიბებას. კრედიტებით, ძირითადად, იმპორტი წახალისდა, რამაც ქვეყნიდან ფულის გასვლა თავისთავად განაპირობა. ერთი სიტყვით, 2008 წლის გაზაფხულიდან ქვეყნის ეკონომიკას ფინანსური რესურსის პრობლემა დაუდგა. გალებში აღმოჩნდა გახვეული, ერთის მხრივ, ეკონომიკში ჩართული მოსახლეობის ძირითადი ნაწილი, მეორეს მხრივ კი თავად ბანკები, რომლებიც ფინანსურ რესურსებს საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებიდან იღებდნენ ვალად. ამ ყველაფრის ფონზე, როდესაც ეკონომიკამ ვარდნა დაიწყო, ბუნებრივია, საბიუჯეტო შემოსავლებიც შემცირდა.

საერთაშორისო საფინანსო კრიზისი, რომელმაც გაღვივება 2008 წლის დასაწყისიდან დაიწყო, საქართველოზე იმდენად აისახა, რამდენადაც ჩვენი ეკონომიკა დამოკიდებული იყო საერთაშორისო იმპულსებზე. მსოფლიო ფინანსური კრიზისი, თავისი არსით, ორ მომენტში აისახა. ერთის მხრივ, შემცირდა მოხმარება, დაეცა გაყიდვები და მოხდა ფასების მკვეთრი ვარდნა, ამ ყველაფრის შეზღუდა ბიზნესის აქტივობა და სერიოზული პრობლემების წინაშე დააყენა იგი. მეორეს მხრივ,

ეკონომიკაში განჩნდა უნდობლობის მომენტი და შეიზღუდა ფინანსური რესურსების ხელმისაწვდომობა - დაეცა საინვესტიციო აქტივობა და საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებმა გაართულეს საკრედიტო პოლიტიკა. საქართველოს ეკონომიკის განვითარების სპეციფიკიდან გამომდინარე, მასზე განსაკუთრებით მტკიცნეულად საინვესტიციო აქტივების და საერთაშორისო ფინანსური რესურსების შეზღუდვა ასახა. ერთი სიტყვით, საერთაშორისო საფინანსო კრიზისმა საქართველოს ეკონომიკას კიდევ უფრო გაუდრმავა ფინანსური რესურსების პრობლემა. ისეთი ქვეყნისთვის, როგორც საქართველოა, უცხოური საფინანსო ინსტიტუტების მხარდაჭერის შეწყვეტა კატასტროფაა. ქართული ბანკების აბსოლუტური უმრავლესობა, ანაბრების სიმცირისა და წარმოებების სიმცირის გამო, საზღვარგარეთიდან შემოსული კაპიტალით „იდგა ფეხზე“.

2008 წლის 23 ოქტომბერს ბრიუსელში გაიმართა დონორთა კონფერენცია, რომელზეც საქართველოსთვის რუსეთთან საომარი კონფლიქტის შედეგების აღმოსაფხვრელად 4.5 მილიარდი დოლარის გამოყოფა გადაწყდა. კერძოდ, მსოფლიო ბანკიდან - 530 მილიონი დოლარი, ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკიდან - 927 მილიონი დოლარი, აზიის განვითარების ბანკიდან - 300 მილიონი დოლარი, საერთაშორისო საფინანსო კორპორაციიდან - 350 მილიონი დოლარი, ევროპის საინვესტიციო ბანკიდან - 330 მილიონი დოლარი, ამერიკის შეერთებული შტატებისგან - 1 მილიარდი დოლარი, ევროკომისისგან - 638 მილიონი დოლარი, ევროკავშირის წევრი სახელმწიფოებისგან - 174 მილიონი დოლარი, იაპონიისგან - 200 მილიონი დოლარი და კიდევ რამდენიმე სახელმწიფომ საერთო ჯამში 88 მილიონი დოლარი გამოყოფა. საქართველოსთვის მსგავსი მოცულობის ფინანსური რესურსის გამოყოფა მართლაც შეიძლება აღვევქვა, როგორც ქვეყნის ეკონომიკის გადარჩენა. მაგრამ ერთია, როდესაც ფული გაქვს და მეორე საკითხია, როგორ შეგიძლია ამ ფულის გამოყენება. ბრიუსელის კონფერენციის შემდეგ საქართველოს მთავრობის წინაშე დადგა ორი საკითხი: პირველი - რამდენად ეფექტურად განკარგავდა ფინანსურ რესურსებს და მეორე - რამდენად უზრუნველყოფდა ამ თანხის კანონის დაცვით ხარჯვას.<sup>1</sup>

ამ რესურსის განკარგვისას საქართველოს მთავრობის წინაშე ორი

## **ეპონომიარი თეორიის თანამედროვე პრობლემები**

ამოცანა იდგა. პირველი, უშუალოდ კონფლიქტის შედეგად დაზარალებულების ელემენტარული საცხოვრებელი პირობებით უზრუნველყოფა და მეორე, კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ეკონომიკის რეაბილიტაცია. აღნიშნული მიდგომები გამოყოფილი თანხების მიზნობრიობაშიც ჩანს. დონორთა ერთი ნაწილის მიერ გამოყოფილი რესურსებით პირდაპირ დაფინანსდა იძულებით გადააფილებულ პირთა საჭიროებით, ამ სახსრების განკარგვას დონორები, ხშირ შემთხვევაში, თავად აკონტროლებდნენ. ამ ტიპის დახმარებები, ძირითადად, ევროპულმა სახელმწიფოებმაც გამოყენეს, საბოლოო ჯამში, ამ მიმართულებით, 350 მილიონი დოლარის რესურსი გამოიყო. ბრიუსელის კონფერენციაზე ფინანსური რესურსის ძირითადი ნაწილი ეკონომიკის რეაბილიტაციისთვის გამოიყო. სექტორების მიხედვით, დახმარებები ასე გადანაწილდა: საბანკო სისტემისთვის 853 მილიონი დოლარი; გზების გაყვანა-რეაბილიტაციისა და რკინიგზის რეკონსტრუქციისთვის 682 მილიონი დოლარი; ბიუჯეტი და მაკრო-საფინანსო დახმარებისთვის 586 მილიონი დოლარი; ენერგეტიკის სექტორის განვითარებისთვის 381 მილიონი დოლარი; კერძო და საფინანსო სექტორისთვის 252 მილიონი დოლარი; ურბანული და მუნიციპალური პროექტებისთვის 211 მილიონი დოლარი; გადაუდებელი საჭიროებებისთვის 100 მილიონი დოლარი. დახმარებით 1 მილიარდი დოლარის ხარჯების პრიორიტეტზე მუშაობა დღესაც მიმდინარეობს. ერთი სიტყვით, ქართული კრიზის დასაძლევად საქართველოს მთავრობას 4 მილიარდზე მეტი დოლარის რესურსი გადაეცა.

მსოფლიო კრიზისების ისტორია გვიჩვენებს, რომ ასეთი პერიოდის გადაღახვა მხოლოდ ეროვნული პროდუქციის და წარმოების ხელშეწყობით არის შესაძლებელი. ეს თეზა კიდევ უფრო მისაღები ხდება მას შემდეგ, როდესაც გავიაზრებთ ქართული კრიზისის გამოწვევე მირითად მიზეზებს. კრიზისი კი გაცილებით ღრმა იყო და მას გაცილებით გააზრებული მიდგომები სჭირდებოდა, ვიდრე სწორხაზოვანი პროექტების განხორციელება. ბრიუსელის კონფერენციის წლისთვაზე გამოყოფილი თანხის ეფექტურობა ორი კუთხით უნდა განვიხილოთ. ერთის მხრივ, საქართველომ მიიღო ეკონომიკისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელი ფინანსური რესურსი, რომლის მიღების სხვა შანსი მაშინ არ არსებობდა. მეორე კუთხით კი უნდა ითქვას, რომ ამ რესურსის უფრო ეფექტურად გამოყენება და ეკონომიკის სრული რეაბილიტაციაც შესაძლებელი იყო, თუ მოხდებოდა არა ერთჯერადი პროექტების დაფი-

ნანსება, არამედ ადგილობრივ წარმოებაზე ორიენტირებულ ეკონომიკაზე გადასვლა.<sup>1</sup>

ეს დახმარება ძალიან მნიშვნელოვანი იყო. რაც შეესება ამ თანხების სწორად განაწილებას, არ ვფიქრობ, რომ ინფრასტრუქტურულ პროექტებზე ამ თანხების ძირითადი ნაწილის მიმართვა სწორი იყო, უკეთესი იქნებოდა თანხების ნაწილი კერძო სექტორის ეკონომიკური აქტივობის შენარჩუნებას მოხმარებოდა. სამწუხაროდ, ამ მიმართულებით ცოტა რამ გაკეთდა და ამის შედეგად ჩვენ ვხედავთ, რომ ძალიან ბევრი სამუშაო ადგილი დაკარგა. ეკონომიკა არ არის იმ მდგომარეობაში, რომ ზრდა სტაბილურად შესაძლებელი იყოს. როცა კრიზისული მდგომარეობაა, მთავარია ეკონომიკის არსებული მდგომარეობის შენარჩუნება და არა მისი ზრდა. ის, რომ ინფრასტრუქტურული პროექტებით ხდება ეკონომიკის არსებული მდგომარეობისა და სამუშაო ადგილების შენარჩუნება, გასაგებია, მაგრამ კერძო სექტორის აქტიურობის შენარჩუნებისთვის, პრაქტიკულად, არაფერი გაკეთებულა. საუბარია იმ ღონისძიებებზე, რაც გატარდა აშშ-ში და ევროპაში, ამ ყველაფრის გამო ჩვენმა კერძო სექტორმა ძალიან ბევრი დაკარგა და ჯერ კიდევ ძალიან სუსტად გრძნობს თავს.

ეკონომიკური კრიზისის დაძლევის ნიშნები უკვე მსფოლიოშიც თვალნათლივ დაინახეს და საქართველოშიც. მიუხედავად ამისა, სპეციალისტები მიიჩნევენ, რომ სრულ მდგრადობას მინიმუმ 2-3 წელი კიდევ გვჭროუნებს. სანამ ეკონომიკურ სტაბილურობას უბრალო მოქალაქეები იგრძნიობენ, მანამდე კიდევ ბევრი წყალი ჩაივლის. ეკონომიკურ კრიზისს აზის ქვეყნები ყველაზე ხეირიანად უმკლავდებინ. ასეთი ოპტიმისტური განცხადება საერთაშორისო სავალუტო ფონდის მეთაურს დომინიკ სტროს-კანს ეპუთვნის, რომელიც იქვე დასმენს, რომ რეცესირებული ეკონომიკის აღდენის პროცესი კუს ნაბიჯით მიიწევს წინ. სტროს-კანს არც ის დაუმალავს, რომ კრიზისის მეორე ტალღა მოსალოდნელი აღარ იქნება. „მსოფლიო ეკონომიკა აღდგენას იწყებს. უკანასკნელი მონაცემები გლობალურ ეკონომიკურ სტაბილიზაციას ადასტურებს. რამდენიმე ქვეყანის ეკონომიკა ზრდისგანაც კი წავიდა. ამ გზაზე კი, ყველაზე პირველი აზიაა, თუმცა მდგომარეობა აშშ-სა და დასავლეთ ევროპაშიც უმჯობესდება“, - განაცხადა ფონდის ხელმძღვანელმა და აღნიშნა, რომ ყოველივე ამის მიუხედავად, უმუშევრობა მომავალშიც გაიზრდება.

1 სირბილაძე რ. საქართველოს ეკონომიკის განვითარების პრობლემები. თბილისი, 2005. გვ. 137.

## «მღვრადი განვითარების», «მღვრადობის არსი და მიზანებობა

ქეთევან მუმლაძე  
სტუ დოქტორანტი

ისტორიულად მდგრადი განვითარების თეორიის „დღის შუქზე გამოსასვლელად“ მომზადების პირველ ეტაპად იქცა ბიოსფეროს განვითარების ვ.ი. ვერნადსკის შრომები, რამც ის კაცობრიობის განვითარების პლანეტარული ასპექტების განხილვისა და კაცობრიობის არსებობის საშუალების ცვლილებების აუცილებლობის აღიარებამდე მიიყვანა. „ისტორიული პროცესი ჩვენს თვალწინ ძირულად იცვლება. პირველად კაცობრიობის ისტორიაში, ხალხის, ცალკე თითოეულის ინტერესები და პიროვნების თავისუფალი აზრი, რომლებიც განსაზღვრავენ კაცობრიობის არსებობას, სამართლიანობაზე მისი წარმოდგენის საზომი ხდება. მთელი კაცობრიობა, ერთად აღეცული, ძლიერ ძალად ყალიბდება. ადამიანების წინაშე დგება საკითხი თავისუფლად მოაზროვნე კაცობრიობის ერთიანი ინტერესების გათვალისწინებით ბიოსფეროს გარდაქმნის შესახებ. სწორედ ბიოსფეროს ეს ახალი მდგომარეობა, რომელსაც ჩვენ შეუმჩნევლად ვუახლოვდებით, წარმოადგენს „ნოოსფეროს“.

ვ.ი. ვერნადსკის დამსახურება იმაში მდგომარეობს, რომ მას არსობრივად შემთაქვს კავშირის – „ადამიანი-ბუნება“ – ანალიზის დროს ახალი საზომი „კაცობრიობა, როგორც ერთი მთლიანი“. მას სოციალური ანალიზი გლობალურ სიბრტყეში გადააქვს. ნოოსფეროს სისტემის ცენტრში, რომელიც მსოფლიოს სოციალურად ეფექტური ათვისებისგანაა მოწოდებული, მყოფება ადამიანი, ფასეულობების თავისი აბსტრაქტულ-ჰუმანური სისტემით, რომელიც მიუკერძოებლად აჩვენებს სოციალურ ფაქტებს ათასწლეულების მანძილზე.

ამ გაგების შინაარსის ახსნისას ვერნადსკი ხაზს უსვამდა, რომ „ნოოსფერო ჩვენს პლანეტაზე ახალი გეოლოგიური მოვლენაა. მასში ადამიანი პირველად იქცევა მსხვილ გეოლოგიურ ძალად. მას შეუძლია და უნდა გარდაქმნას თავისი შრომითა და აზროვნებით საკუთარი ცხოვრების სფერო, ძირულად უნდა შეცვალოს იმასთან შედარებით, რაც მანამდე იყო. მის წინაშე სულ უფრო და უფრო მეტი შემოქმედებითი შესაძლებლობები იზსნება“. ვერნადსკიმ საფუძველი დაუდო

მდგრადი განვითარების როგორც ნოოსფეროზე სწავლების შესახებ კონცეპტუალურ საფუძვლებს.

მდგრადი განვითარების კონცეფციისადმი სერიოზულ მიახლოებას წარმოადგენდა რომის კლუბის შრომებში განხილული ზრდის დინამიური კონცეფცია, ორგანული ზრდის კონცეფცია, დინამიური წონას-წორობის კონცეფცია, ყველა ამ მიღვომას საერთო აქვთ – გლობალური ეკონომიკური სისტემის ცოცხალ თრგანიზმთან შეპირისპირება, რაც განსაკუთრებით ნათლად ვლინდება ორგანული ზრდის კონცეფციაში. რაოდენობრივი ზრდა ცოცხალი თრგანიზმების ან ბიოლოგიური სისტემების ეკოლუციაში არანაირ როლს არ ასრულებს. ამაში მთავარი ადგილი უკავია სასიცოცხლო ძალასა და გადარჩენის უნარს, ანუ გარემო პირობებთან ხარისხობრივ სრულყოფასა და შეგუებას. ორგანულ ზრდას მიყვავართ დინამიურ წონასწორობასთან იმიტომ, რომ ცოცხალი, მომწიფებული ორგანიზმი მუდმივ განახლებას განიცდის.

მდგრადი განვითარების კონცეფცია ფორმულირებული იყო გაეროს კონფერენციაზე გარემოს პირობებისა და განვითარების შესახებ 1992 წელს რიო-დე-ჟანეიროში. თავდაპირველად ეს კონცეფცია ორიენტირებული იყო კაცობრიობის გადარჩენის გლობალური პრობლემების გადაწყვეტაზე ბუნებისა და საზოგადოების ურთიერთობის ფონზე.

თვით ტერმინის „მდგრადი განვითარება“ ისტორია ფაქტიურად დაიწყო გარემოსთან დაკავშირებული გაეროს კონფერენციის დეკლარაციიდან (სტოკჰოლმი, 1972), აგრეთვე, რომის კლუბის შრომებიდან, როცა ცხადად იყო გაცნობიერებული და აღნიშნული სოციო-ბუნებრივ სისტემებზე ზემოქმედების პრობლემა. შედეგად გაეროსთან არსებული გარემოს დაცვისა და განვითარების შესახებ შექმნილმა საერთაშორისო კომისიამ მიზნად დაისახა შესაბამისი პროგრამის ჩამოყალიბება, რომლის სახელწოდებად შემოთავაზებული იყო „მდგრადი განვითარების“ გაგება, რომელიც როგორც ტერმინი დაფიქსირდა რიო-დე-ჟანეიროში გაეროს აღნიშნულ კონფერენციაზე. შემდგომში ეს ტერმინი, რომელიც თავიდან ორიენტირებული იყო სოციო-ბუნებრივი ეკოეკოლუციის კომპლექსურ პრობლემატიკაზე უკვე სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კონტექსტში გამოიყენებოდა.

„მდგრადი განვითარების“ არსის ზოგადად აღიარებული განმარტება არ არსებობს. მაგრამ სხვადასხვა დასახელება განპირობებულია იმით, რომ განსახილველი პრობლემა არასაკმარისადაა განსაზღვრული, რად-

## ეპონომიკური თეორიის თანამედროვე პრიბლებები

**ცხრილი 1. მსოფლიოს სხვადასხვა ენაზე ტერმინ „sustainable development“-ის ოფიციალურად მიღებული თარგმანები<sup>1</sup>**

ენა	ორიგინალ-ტერმინის ოფიციალურად მიღე- ბული თარგმანი	რუსულ ენაზე სიტყვა-სიტყვით ნათარგმნი
ფრანგული	Development durable	ხანგრძლივი განვითარება
იტალიური	Sviluppo sostenibile	მხარდასაჭერი განვითარება
გერმანული	Nachhaltige Entwicklung	განგრძლებადი განვითარება
შვედური	En stadig uteckling	მდგრადი განვითარება
ნორვეგიული	En holdbar utveckling	მყარი განვითარება
იაპონური	Jizoki-teken kaihatsu	გახანგრძლივებული განვითარება

გან რა დეფინიციაც არ უნდა დააფიქსირონ, საგანს ყველა თავისებურად მოიხსენიებს. საქმე კიდევ საკითხის შინაარსისადმი, მისი მოცულობისადმი სხვადასხვაგვარ მიღებომაშია.

სხვადასხვა ქვეყნაში ამ ტერმინმა სხვადასხვა ფორმულირება მიიღო (ცხრილი 1.).

ქართულ ენაზე ტერმინი-ორიგინალი „sustainable development“ ითარგმნა როგორც „მდგრადი განვითარება“, თუმცა ამ სიტყვას სხვა მნიშვნელობები აქვს „თვითგამაგრებული“, „ხანგრძლივი, უწყვეტი“, „გამაგრებული“, „დაცული“. ოფიციალურ დოკუმენტებში, სამეცნიერო და პუბლიკისტურ ლიტერატურაში ეს ტერმინი სწორედ ამ სახით გამოიყენება.

ხშირად „მდგრადი განვითარების“ შესახებ დისკუსიები სიტყვებზე დავშემი გამოიხატება და მართლაც, მდგრადი არააღკვატურად ასახავს არსეს. კრიტიკოსები ამტკიცებენ, რომ სიტყვები „მდგრადი“ და „განვითარება“ ერთმანეთს ეწინააღმდეგება, რომ განვითარება მდგრადი ვერ იქნება, რაიმეზე უარი უნდა ითქვას: ან განვითარებაზე, ან მდგრადზე.

მდგრადი განვითარების ანალიზისათვის პირველ რიგში აუცილებე-

1 იხ.: ვ. ვ. ოლენივის ინფორმაცია სტატიაში „გლობალისტიკა XXI საუკუნის მიჯნაზე“.

ლია „მდგრადი განვითარების“ შინაარსისა და შინაგანი არსის გახსნა.

ყოფითი გაგების მდგრადობა ნიშნავს, რომ ობიექტი უძრავია, რხევებს არ ექვემდებარება, მუდმივია, სტაბილურია და ა.შ. მაგ.: ასეთი დამოკიდებულებით გაგება „მდგრადი“ და „სტაბილური“ ყოფით ცნობიერებაში მხოლოდ სტილისტური ნიუანსებით განსხვავდება. მაგრამ აქ ძალიან მშიგნელოვნია მიზნებით, რომ: მდგრადობა, სტაბილურობა, სულაც არ არის გახევების, უძრაობის სინონიმები. უძრავი, უსიცოცხლო სისტემები, რასაკირველია, მდგრადები და სტაბილურები არიან სანამ არ გაცვდებან, არ გატყდებან, არ დაირღვევიან. მაგრამ გაცილებით რთული სისტემები – ბიოლოგიური, სოციალური და ზოგი საინჟინრო – თვალით არსებობას სწორედ ხარისხობრივი გადასვლების ხარჯზე უზრუნველყოფენ, რაც ადაპტაციისა და განვითარების საფუძველია. ეს – დინამიკური მდგრადობა და დინამიკური სტაბილურობაა.

დღეისათვის „მდგრადი განვითარების“ 50-ზე მეტი განმარტება არსებობს და მათი რაოდენობა იზრდება. ეს ასახავს როგორც თვითონ მისი გაგების სირთულეს, რაც მოიცავს კაცობრიობის სოციალურ, ეკონომიკურ და ეკოლოგიურ ასპექტებს. აგრეთვე საზოგადოების სხვადასხვა ფენის შეხედულების – მეცნიერული, სამეწარმეო, პოლიტიკური წრეების შეუთანხმებლობას.

პირველი და შედარებით ხშირად ციტირებადი შინაარსი ტერმინისა „მდგრადი განვითარება“ – ეს არის ისეთი განვითარება, რომელიც თანამდეროვების მოთხოვნებს აქმაყოფილებს, მაგრამ საშიშროების ქეშ არ აყნებს მომავალი თაობების უნარს საკუთარი მოთხოვნილების დაგმაყოფილებისა. ის ორ ძირითად განსაზღვრებას მოიცავს:

მოთხოვნილებების გაგება, კერძოდ, მოთხოვნილებების, რომლებიც აუცილებელია მოსახლეობის უღატაკები ფენების არსებობისათვის, რაც პირველსარისხოვანი პრიორიტეტის საგანი უნდა იყოს.

შეზღუდვების გაგება, რომლებიც განპირობებულია საზოგადოების ტექნოლოგიისა და ორგანიზაციის მდგომარეობით, რაც თან ერთვის გარემოს უნარს დააქმაყოფილოს ამჟამინდელი და სამომავლო მოთხოვნილებები.“

მდგრადი განვითარება – გაეროს განმარტებებით – არის საზოგადოების განვითარება, რომელიც საშუალებას იძლევა ახლანდელი თაობების მოთხოვნილებების დაგმაყოფილებისა ისე, რომ არ დააზარალოს ის შესაძლებლობები, რასაც მომავალ თაობებს მათი საკუთარი

## ეპონომიარი თეორიის თანამედროვე პრობლემები

მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად მექანიზმით დაუტოვებს.

1990 წელს დაარსებული მდგრადი განვითარების საერთაშორისო ინსტიტუტი (ვინიპეგი, კანადა), აღნიშნულ ტერმინს „შემდეგნაირად განმარტავს: „მდგრადი განვითარება ნიშნავს გარემოს გაურთიანებას, ეკონომიკურ ეფექტურობას და ხალხთა კეთილდღეობას“.

რიო-დე-ჟანეიროში გაერთის მიერ ჩატარებული კონფერენციის „XXI საუკუნის დღის წესრიგი“ ავტორთა პოზიციიდან მდგრადი განვითარება – ეს არის დაბადანსებული სოციალურ-ეკონომიკური განვითარება, რაც ხორციელდება გარემოს დაცვის და რაციონალური ბუნებათსარგებლობის პოზიციიდან და ითვალისწინებს არა მარტო თანამედროვე, არამედ, მომავალი თაობების სასიცოცხლო ინტერესებს.

გაურის რიო-დე-ჟანეიროს კონფერენციის რეალიზაციის შესასრულებლად შექმნილმა დედამიწის საბჭომ (სან-ზოსე, კოსტა-რიკა), მისი ჩატარებისთანავე, ამ კონფერენციის გენერალური მდინარე მორის სტრონგის მეთაურობით დედამიწის საბჭოს შემდეგი ფორმულა მოგვცა: მდგრადობა – მარტივი კონცეფციაა: „ჩვენი ეკოლოგიური შესაძლებლობების ჩარჩოებში სამართლიანი ცხოვრება“. ტერმინის შინაარსში ორი იმპერატივია გამოყოფილი: ეკოლოგიური მდგრადობის იმპერატივი და სოციალურ-ეკონომიკური მდგრადობის იმპერატივი. ეკოლოგიური მდგრადობის იმპერატივი – ჩვენი შესაძლებლობების ფარგლებში ცხოვრება: ადამიანის მოთხოვნები ბუნებისადმი აღმატება მის შესაძლებლობებს, კაცობრიობამ ბუნებრივი რესურსების მოხმარება უნდა შეამციროს საკუთარი მოთხოვნილებებისა და ნარჩენების წარმოების შეზღუდვით. სოციალურ-ეკონომიკურ მდგრადობის იმპერატივი - სამართლიანობის მიხედვით ცხოვრება: თაობებს შიგნით უდიდესი სოციალური და ეკონომიკური უთანასწორობით წარმოქმნილი და მათ შორის არსებული დამანგრევებით კონფლიქტების შესუსტება, ეკონომიკური შესაძლებლობების მიხედვით ცხოვრება.

იუნესკოს ერთ-ერთ მოხსენებაში მდგრადი განვითარების ამოცანები შემდეგნაირად ხასიათდება:

- ეკონომიკური ზრდის ამაღლება;
  - გარემოს დაცვა მდგრადი ბუნებრივი ეკოსისტემების აღდგენის ითვალსაზრისით;
  - სოციალური თანასწორობის მიღწევა.
- ტერმინის გაშიფრვასთან დაკავშირებით შემდეგი აქცენტები კეთდება:

, „ტერმინი „მდგრადი განვითარება“ ნიშნავს განვითარების თვითუზრუნველყოფას, სხვა სიტყვებით – განვითარება, რომელიც საკუთარ თავს თვითონ აძლევს იმპულს, სტიმულს შემდგომი წინსელისათვის“ და შემდეგ: „განვითარება, სამართლიანობა და ჯანსაღი გარემო ადამიანის უკეთეს მომავალზე ოცნებას გამოხატავს. მდგრადი განვითარება ამ ოცნების განხორციელებას შესაძლებელს ხდის სწორად გაკუთისული არჩევანისა და სწორი პოლიტიკის საშუალებით – ეკონომიკური, ბუნების დაცვისა და სოციალური მიზნების ინტეგრაციისადმი სწრაფვით“. გამომდინარე იქიდან, რომ „ყოველი მომდევნო დღე წინამორბედზე უკეთესი უნდა იყოს“, იუნესკო, როგორც გაეროს ერთ-ერთი სტრუქტურა საუბრობს იმის შესახებ, რომ ზემოთ აღნიშნული სამი ამოცანის გადაწყვეტისას „მდგრადი განვითარება კაციონირობის მიერ წარმატების მიღწევისადმი მიისწავეთის“.

მსოფლიო ბანკის ფორმულირებაში – მდგრადი განვითარება – კაციონირობის შესაძლებლობების შენარჩუნებისა და გამრავლების ინტერესებიდან გამომდინარე საზოგადოების ერთობლივი (საერთო) კაპიტალის მართვაა.

მსოფლიო ლიტერატურაში გაჩნდა ათეულობით განსაზღვრება ტერმინისა „მდგრადი განვითარება“. მდგრადი განვითარების შესახებ მთელი რიგი მეცნიერების მიერ ფორმულირებული განმარტებები არსებობს. მათი ანალიზის შედეგად შესაძლებელია გაკეთდეს ფორმულირება, რომ მდგრადი განვითარების ქვეშ გულისხმობენ განვითარებას, რომელიც წარმოშობს ეკონომიკურ ზრდას, სამართლიანად ანაწილებს მის შედეგებს, აღადგენს გარემოს უფრო მეტად, ვიღრე მას ანგრევს, ადამიანთა შესაძლებლობებს ზრდის და არ აღატაკებს მათ.

მდგრადი განვითარება – ეს არის გარემოს დაცვის სისტემის განვითარება უწყვეტობის მაღალი პოტენციალით, ეკონომიკური, სოციალური, კულტურული და ეკოლოგიური შეზღუდვების ფარგლებში.

საზოგადოების მდგრადი განვითარების ქვეშ გულისხმობენ ისეთ განვითარებას, რომლის დროსაც დგინდება მოსახლეობის რაოდენობის მეცნიერულად დასაბუთებული ზღვარი, რაც უზრუნველყოფილია ყველა აუცილებელი ცხოველქმედებისათვის და საცხოვრებელი გარემოს ბუნებრივი აღქმის პირობებში სულიერი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად.

არსებობს მდგრადი განვითარების უფრო მოკლე განმარტებები:

## **ეპონომიარები თეორიის თანამედროვე პრობლემები**

---

- განვითარება, რომელიც მომავალ თაობებს დამატებით ხარჯებს არ აკისრებს;
- განვითარება, რომელიც თაობათა შორის გარე ეფექტების მინიმიზირებას ახდენს;
- განვითარება, რომლის დროსაც კაცობრიობისათვის აუცილებელია ბუნებრივი კაპიტალის მხოლოდ პროცენტზე ცხოვრება ისე, რომ თვით კაპიტალს არ შეეხოს.

XX საუკუნის პრობლემათა შესწავლისას ცხადი გახდა, რომ ჩვენს პლანეტაზე სიცოცხლე, სისტემების „ადამიანი-საზოგადოება-ბუნება“ სწორხაზოვანი ურთიერთობების ურთულესი ხასიათი ითხოვს კომპლექსურ ანალიზს და სხვადასხვა სპეციალიზაციის მეცნიერთა ძალისხმევის შეერთებას.

მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევა დიდად იქნება დამოკიდებული ეკონომიკური განვითარების ხასიათზე. რომ სწორედ ეკონომიკაში, ერთი მხრივ, იქმნება საზოგადოების ცხოველქმედების მატერიალური საფუძვლები, ფორმირდება სოციალური განვითარების ბაზისური ურთიერთობები, მეორე მხრივ – საფუძველი ეყრება ბიოსფეროს ანთროპოგნურ პარამეტრებს.

იმაზე, თუ როგორ მოხდება ეკონომიკის განვითარება და რამდენად დაცული იქნება ბიოსფეროს საყოფაცხოვრებო მოცულობის საზღვრები, დამოკიდებული იქნება გავა თუ არა საზოგადოება მდგრადი განვითარების გზაზე.

## საჯდგაო ინფრასტრუქტურის განვითარების მაპროეკტოლიკური პრობლემები

ბესიკი ფუტკარაძე, სტუ დოქტორანტი  
ჯემალ შარაძე, სტუ დოქტორანტი  
ტარიელ ქოქოლაძე, სტუ დოქტორანტი

საქართველოს საზღვაო ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის აუცილებელია თავისუფალი საბაზრო ურთიერთობების ხელშეწყობა, რომლის შემდეგაც თავისუფალი ბაზარი თვითონ, საჭიროების მიხედვით, შეძლებს საზღვაო ინფრასტრუქტურის ისეთ აუცილებელი შემადგენლის შექმნას, როგორიცაა საზღვაო ფლოტი. აშენდება სარემონტო ქარხნებიც, რომელიც მოემსახურება არა მარტო პორტების მცურავ საშუალებებს, არამედ საზღვაო ფლოტის გემებსაც.

დღეისათვის საქართველო წარმოადგენს საზღვაო ქვეყანას, რაც მისი დიდი უპირატესობაა მეზობელ ა/კავკასიის და შუა აზიის სახელმწიფო ობიექტთან შედარებით. ნაწილობრივ, ქვეყნა იყენებს კიდევაც აღნიშნულ უპირატესობას და ემსახურება ზემოაღნიშნული სახელმწიფოებისათვის განკუთვნილი ტკირობების სატრანზიტო გადაზიდვებს, თუმცა ჩვენი საზღვაო პორტები საჭიროებენ ტექნიკურ განვითარებას და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, საქართველოს არ გააჩნია საკუთარი საზღვაო ფლოტი. აქედან გამომდინარე მსოფლიო ზღვებში საქართველოს დროშით არ დაცურავს არცერთი გემი. საქართველოსთვის საზღვაო ფლოტის შექმნა საშური საქმეა, რაშიც მნიშვნელოვანია მაკროეკონომიკური საკითხები.

საქართველოს საზღვაო ფლოტი საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ 85 გემს ითვლიდა. მათი უმეტესობა მშრალი ტკირობების ტრანსპორტირებისათვის იყო განკუთვნილი, თუმცა მასში შედიოდა სამგზავრო ლაინერებიც და ტანკერებიც. 90-იან წლებში ფულის არასტაბილურობამ და მიუღებელმა საინვესტიციო გარემომ, სუბიექტურ ფაქტორებთან ერთად, გამოიწვია საქართველოს საზღვაო ფლოტის თანდათანობითი გასხვისება უცხოეთში და ბოლოს მისი სრულად გაქრობა. დღეისათვის ქვეყანას და მის იურისდიქციაში მყოფ არცერთ სტრუქტურას საზღვაო ხომალდი არ გააჩნია.

საბაზრო ურთიერთობების განვითარება გულისხმობს დამოუკიდებელი

## **ეპონომიკური თეორიის თანამედროვე პრობლემები**

ეკონომიკური ერთეულების თავისუფალ ურთიერთობებს. ამ შემთხვევაში საფინანსო, შრომითი და სასაქონლო ნიშნით განსაზღვრული კავშირები ყალიბდებან და ქრებიან ბაზარზე. ამის შესაბამისად დღის წესრიგში დგება საბაზრო ინფრასტრუქტურის განვითარება, ისე, რომ იგი მოხერხებული იყოს კომერციული ოპერაციების განხორციელებისათვის.

დღეისათვის საბაზრო ინფრასტრუქტურა მოიცავს ძირითადად 4 სახის ბაზარს. სავალუტო, საფინანსო, სასაქონლო და შრომითს. სპეცუალური ნიშნის გავლენის მინიმუმადე შემცირების მოთხოვნილების გამო, ბაზრები საჭიროა იყვნენ ორგანიზებულნი, წარმოდგენილნი შესაბამისი ბირჟების სახით და რეგულირებადი, როგორც მსოფლიოში აღიარებული წესებით, ასევე ქვეყანაში მოქმედი კანონებითა და ნორმატიული აქტებით.

საქართველოს საბაზრო ინფრასტრუქტურიდან დღეისათვის ჩვენთან ყველაზე მოწესრიგებულად მიიჩნევა სავალუტო ბაზარი, იგი გულისხმობს სავალუტო ურთიერთობებს ეროვნულ და კომერციულ ბანკებს, კომერციულ და საკრედიტო დაწესებულებებს, კომერციულ-საკრედიტო ინსტუტიტებსა და კლიენტებს შორის. ეროვნული ბანკსა და სხვა კომერციულ საკრედიტო ინსტიტუტებში ურთიერთვაჭრობა, რაც განსაზღვრავს ეროვნული ვალუტების კურსის შესაბამისობას სხვა ქვეყნების ვალუტებთან მიმართებაში, ხორციელდება უპირატესად საქართველოს ეროვნული ბანკთან არსებულ „ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე„. ქვემის ეკონომიკის სტაბილურად ფუნქციონირებისათვის ძალიან მნიშვნელოვანია ეროვნული ვალუტის სტაბილური გაცვლის კურსების შენარჩუნება სხვა წამყვან სახელმწიფოთა ეროვნული ვალუტებთან მიმართებაში, ასევე ვალუტის ინფლაციის ტებების ისე შენარჩუნება, რომ იგი არ გამოვიდეს საყოველთაოდ აღიარებული ინფლაციის ტემპების გარეთ.

საბაზრო ინფრასტრუქტურის შემდეგი სეგმენტი – საფინანსო ბაზარი, ანუ როგორც მას უწოდებენ, ფასიანი ქაღალდების ბირჟა საქართველოში ეხლა იკიდებს ფეხს და მისი სრულად ამოქმედებისათვის მრავალი ობიექტური თუ სუბიექტური ფაქტორებია ხელისშემსლელი. უპირველესი მიზეზი ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარებლობისა ჩვენთან შექმნილი საქციო საზოგადოებების აქციათა ღირებულების არარეალობაში ძევს. მოუხდავად იმისა, რომ საქართველოში ჩამოყალიბებულია საკამორიდენობის საქციო საზოგადოებები, აქციებიდან რეალურ შემსავალს

იღებენ მხოლოდ ის მესაკუთრეები, რომლებიც აქციათა საკონტროლო პაკტის მფლობელი არაან. სხვა „წვრილი“, აქციონერების მიერ მიღებული დივიდენდები ან ძალიან მცირეა აქციათა ღირებულებასთან მიმართებაში, ან სრულებითაც ვერ იღებენ დივიდენდებს, რამდენადაც ოფიციალური დოკუმენტაცით, მცირე გამონაკლისის გარდა, ეკონომიკური სუბიექტები საფრანასო წელს ზარალით ან მნიშვნელური მოგებით ამთავრებენ.

ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარებაში მნიშვნელოვანი ბერკეტები გააჩნდა და დღესაც გააჩნია სახელმწიფოს. სახელწიფო საწარმოების მნიშვნელოვანი ნაწილი გარდაიქმნება რა სააქციო საზოგადოებებად, აქტივების პრივატიზაციას ახდენს ტენდერის გამოცხადებით ან ქონების მართვის სამინისტროში გამართული აუქციონებზე. ამით უფრო მიზანშეწონილი იქნებოდა აქციათა ნომინალურ ღირებულების უფრო დიფერენციაცია და ამ აქციათა ფასიანი ქაღალდების ბირჟაზე რეალიზაცია.

ეკონომიკის სამინისტროს დღესაც შეუძლია საპრივატიზაციო ობიექტების ნაწილის პრივატიზება მაინც მოახდინოს ფასიანი ქაღალდების ბირჟაზე. საფონდო ბირჟის ნორმალურად ფუნქციონირების შემთხვევაში, იგი ევექტური და პროგრესული საწარმოების დაკრედიტების ერთ-ერთ ძირითად წყაროს წარმოადგენს. გაყიდული აქციების ღირებულებით შესული თანხების მეშვეობით საზღვაო საწარმოებს, რომლებსაც გააჩნიათ განვითარების პრესექტივა, მათთან ადგილზე ბაზრის არსებობის გამო, გაუწნედებათ ფულადი სახსრები ძირითადი კაპიტალის განახლებისათვის და საბრუნავი საშუალებების მნიშვნელოვანად შესავსებად. ამასთან საფონდო ბირჟაზე აქტივების კოტირებით შესაძლებელია ამა თუ იმ საწარმოს რეალური საბაზრო ფასის დადგენა და მისი ცვლილების დინამიკის ანალიზი. ამასთან სრულად მოქმედი საფონდო ბირჟები საბაზრო ეკონომიკის ძირითადი პრინციპის – კერძო ინიციატივის – ერთ-ერთი ყველაზე მეტად გამოხატული სფერო. ფასიანი ქაღალდების ბირჟებზე არ კოტირებენ საქართველოს საზღვაო ინფრასტრუქტურაში შემავალი ფირმები, რაც უარყოფითად აისახება მათ ფინანსურ უზრუნველყოფაზე.<sup>1</sup>

საბაზრო ინფრასტრუქტურა ვერ იქნება სრულყოფილი თუ საქართველოში ფართო გასაქანი არ მიეცა სასაქონლო ბირჟების ქსელს. სასაქონლო ბირჟების მეშვეობით საზღვაო ფირმებმა შესაძლებელია

1 იხ. საქართველოს კანონი ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, NI(8) და საიტი [http://www.gse.ge/default\\_geo.asp](http://www.gse.ge/default_geo.asp). გადამოწმებულია 19.04.2012.

## ეპონიმური თეორიის თანამდებობები პროცესში

შეიძინონ მათვის საჭირო მრავალი საქონელი. მაგალითად, საწვავი, ენერგია, სათადარიგო ნაწილები და ა.შ.

სასაქონლო ბირჟების შექმნა, როგორც წესი, წინ უსწრებს სავალუტო და საფინანსო ბირჟების ფორმირებას. ჩვენთან კი ფაქტოური მდგომარეობა ასეთია: ფუნქციონირებს ბირჟების დანარჩენი სახეობები, გარდა სასაქონლო ბირჟებისა. 1990 წელს საქართველოს დამოუკიდებლობის დეკლარირებისას, როდესაც იგი ჯერ კიდევ არ იყო არც ერთი სახელმწიფოს მიერ აღიარებული, თბილისში შეიქმნა რამდენიმე სასაქონლო ბირჟა, მათ შორის ღვინის და ჩაის ბირჟები, მაგრამ მათ დიდი გასაქანი ვერ პოვეს და 1992 წლისათვის უკვე აღარ ფუნქციონირებდნენ.

დღეისათვის საქართველოში რეგისტრირებულია რამდენიმე სასაქონლო ბირჟა, მაგრამ მათი ფუნქციონირება ვერ ხორცილდება. ამის მიზეზი შესაბამისი საბირუო კანონმდებლობის უქონლობასთან ერთად მრეწველობის სტაგნაცია, კლანური ეკონომიკა, ეკონომიკაში კორუფციული სფეროს დიდი წილი და პარალელურად სხვა სახის ბირჟათა არასაკმარისი განუვითარებლობაა.

საბაზრო ინფრასტრუქტურის აუცილებელ ატრიბუტს, რომელსაც მნიშვნელოვანი როლი აკისრია საზღვაო ინფრასტრუქტურის განვითარების საქმეში, წარმოიადგენს შრომითი ბირჟები. შრომითი ბირჟების ქსელი თითქმის ყველა, საშუალოდაც კი განვითარებული სახელმწიფოებშიც ფართოდაა წარმოდგენილი. ისინი კადრების დასაქმების ძირითადი ამოცანის პროცესებსაც წარმართავენ. ამავე დროს შრომითი ბირჟების მონაცემები ზუსტად უნდა ასახავდეს ნებისმიერი კატეგორიის უმუშევართა რიცხოვნობას შესაბამისი ორგანიზაციულ ტექნიკური ღონისძიებების გატარებისათვის.

2004 წლიდან საერთოდ გაუქმდა შრომითი ბირჟები და მოსახლეობის დასაქმების პროცესი სრულ ანარქიაშია. საქმეს ვერ შველის „პროფესიული კოლეჯების“ ქსელის დაარსება. ამ მიმართბით აუცილებელია სახელმწიფომ უზრუნველყოს შრომითი ბირჟების განახლება, ხოლო რაც შეეხება მუშაობა კადრების მომზადება-გადამზადების პროცესს, მათ შრომითმა ბირჟებმა უნდა უხელმძღვანელოს.<sup>1</sup>

1 იხ. ნატოშვილი ნ. საქართველოს შრომის ბაზარი დროის მოთხოვნებს ჩამორჩება. გაზ. „24 საათი“. 27.02.2011; აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USAID), მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია (IOM). საქართველოს ეროვნული შრომის ბაზარი. 2010 წლის ფინის-ფლისში ჩატარებული კვლევის ანგარიში. თბ. 2010.

საქართველოს ეკონომიკის განთავისუფლება კლანებისაგან, საგადა-სახადო სისტემის გამარტივება, საკრედიტო დაწესებულებათა ქსელის განვითარება შაქროეკონომიკურ ღონისძიებებთან ერთად შექმნის წინა პირობებს საბაზო ინფრასტრუქტურის-ძირითადი საბაჟო სტრუქტურების, წარმატებით განვითარებისათვის.

ეკონომიკის ცალკეულ სექტორებში კრიზისის აღმოსავაჭხვრულად უდიდესია სახელმწიფოს მხრიდან ეკონომიკის რეგულირების როლი. საქართველოს მთავრობა, საყოველთაოდ აღიარებული სახელმწიფო რეგულირების სისტემიდან, უმეტეს მექანიზმებს პრაქტიკაში არ იყნებს. ჯერჯერობით საქართველოს მაკროეკონომიკური მმართველობა არ ხასიათდება ეფექტიანობით. მის გარეშე კი შეუძლებელია შეიქმნას წარმატებული სამეწარმეო და ბიზნეს გარემო.

მაკროეკონომიკური პრობლემის ერთ-ერთი უმთავრესი გამოვლენა განისაზღვრება მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობით და მის ბაზაზე ჩამოყალიბებული საგადასახადო გარემოთი.

მსოფლიო პრაქტიკაში აღიარებულია, რომ კორპორაციული (ფირმის) გადასახადების საერთო რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს მისი შემოსავლების მეოთხედს, წინააღმდეგ შემთხვევაში საგადასახადო გარემო არ მოქმედებს წამახალისებლად სამეწარმეო აქტივობაზე. ასეთივე მიმართულებით მოითხოვება საგადასახადო გარემოს გაუჯობესება საქართველოში. ამით სწრაფად დაიწყება კრიზისის დაძლევა, საგადასახადო გარემოს გაუმჯობესება, ამასთან მიმზიდველს გახდის საინკუსტიციო გარემოსაც. შესაბამისად გაიზრდება საზღვაო ინფრასტრუქტურაში მოზიდული ინვესტიციათა მოცულობაც.

საშემოსავლო გადასახადი აშშ-შიც და ევროკავშირის სახელმწიფო-ებშიც დიფერენცირებულია. აშშ-ში იგი იცვლება 15-დან 39,6 პროცენტამდე, ამასთან 39 000 \$-ის შემოსავალი დაუბეგრავი მინიმუმია.<sup>1</sup>

ევროკავშირის სახელმწიფოებში დიფერენცირებულია დღგ-ს გადასახადი. მაგალითად, გერმანიაში იგი მერყეობს 0-დან 15 პროცენტამდე. ჩვენთან კი ასეთი დიფერენცირება არ არის გათვალისწინებული.

ახალი საგადასახადო კოდექსით ბიუჯეტის გადასახადებს ეხლა წარმოადგენს მხოლოდ საშემოსავლო, მოგების, დღგ, აქციზი, ხოლო ადგილობრივს- ქონების და სათამაშო ბიზნესის გადასახადი. ცენტრალური ბიუჯეტის გადასახადთა განაკვეთები ასეთია: საშემოსავლო

1 იხ. საიტი: <http://business.usa.gov/>. გადამოწმებულია 19.04.2012.

## ეპონიმური თეორიის თანამედროვე პრობლემები

20%, მოგება - 15%, დღგ - 18%. ჩვენი გარდამავალი ეკონომიკისათვის აღნიშნული ტარიფებიც მაღალია, მოუხედავად მათი შედარებითი ლი-ბერალიზაციისა!<sup>1</sup>

ინდუსტრიულ სახელმწიფოში გადასახადები როგორც წესი პროგ-რესულია. რაც მეტია შემოსავალი, მთ მეტია საგადასახადო განაკვეთი. ვეიქტობთ ჩვენი საგადასახადო კანონმდებლობაც ამ მხრივ განვითა-რებას საჭიროებს, რამდენადაც ასეთ სისტემაში უპირველესად ხელი ეწყობა წარმოების გაფართოებას და, მეორე მხრივ, საზოგადოება სო-ციალური სამართლიანობისაკენ მიიღწრაფის.

ბოლო პერიოდში საგადასახადო განაკვეთები, მოუხედავად ნა-წილობრივ შემცირებისა, მაინც რჩება ერთ-ერთი ყველაზე მაღალი მსოფლიოში, მთულებელის იგი მიუღებელია განვითარებადი სახელმწი-ფოს სტატუსის მქონე სახელმწიფოსთვის.

საფინანსო-საკრედიტო უზრუნველყოფის საკითხები შეიძლე-ბა დაჯგუფდეს შემდეგ 3 ძირითად შემადგენლად: ფულის მიმოქცევა და ინფლაცია; საკრედიტო სისტემის განვითარების დონე; საკრედიტო ორგანიზაციებთან მწარმოებელთა ურთიერთობის ინტესივობა და ურთი-ერთსამართლიანობა.

სამეწამეო საქმიანობის აქტივობაზე გავლენას ახდენს საბანკო სის-ტემის განვითარება. მათ მფლობელობაში არსებული თანხების სიდიდე-ები და მასთან ეროვნული ვალუტისადმი ნდობის ფაქტორის სიდიდეც.

საქართველოს საზღვაო ინფრასტრუქტურის არასაკმარისი განვითა-რება გამოიწვია ფულად-საკრედიტო სისტემის არამდგრადობამაც, რაც არ შეიძლება აიხსნას რაიმე ერთჯერადი მოვლენით და იგი განპირო-ბებულია ფულად-საკრედიტო სისტემის არასამედობით თითქმის ოცწ-ლიანი პერიოდის განმავლობაში.

საქართველოს საზღვაო ინფრასტრუქტურის საბაზრო სისტემაში ეფექტურად ფულქციონირებისათვის მნიშვნელოვანია კომერციული ბან-კების ქსელის განვითარება. ამ მხრივ მთლიანად საქართველოში არც თუ ცუდი მდგომარეობაა. საქართველოს ყველა დიდ ქალაქში და რა-იონში არსებობს რამდენიმე კომერციული ბანკი და მისი ფილიალები, თუმცა მათი მომსახურების მომცველობა ჯერ კიდევ არასაკმარისია.

კომერციული ბანკები სესხებს გასცემენ უმეტესწილად მოკლევადიან

1 საქართველოს საგადასახადო კოდექსი. საიტზე: [http://www.mof.ge/show\\_law.aspx?id=338](http://www.mof.ge/show_law.aspx?id=338). გადამოწმებულია 19.04.2012.

ოპერაციებზე საქმარისზე მეტი საგარანტიო უზრუნველყოფით, ამიტომ ბანკების მომსახურეობის იმედზე, განსაკუთრებით გრძელვადიანი საკრედიტო დაფინანსებისათვის, საზღვაო ორგანიზაციები ვერ იქნებიან, ამდენად ისინი შემოსაზღვრულნი არიან თავიანთ დამფუძვნებელთა ფინანსური შესაძლებლობებით. ეს კი უარყოფითად აისახება მათ სამეწარმეო აქტოურობის სარისსზე. საქართველოს ფინანსური ბაზარი ერთ-ერთ მაღალრისკოვან ბაზარს წარმოადგენს მსოფლიოში, ამიტომაც აქ არსებული კომერციული ბანკების მიერ გაცემული კრედიტები მაღალი საპროცენტო განაკვეთებით ხასიათდებან. აღნიშნული კი ხელს უშლის სამრეწველო საწარმოებს ეფუძლიანად მუშაობის წარმართვაში.

საფინანსო-საკრედიტო სისტემის გაუმჯობესების საქმეში დიდია სახელმწიფოს როლი. საქართველოს საზღვაო ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის სახელმწიფომ, სხვა ეკონომიკურ ღონისძიებებთან ერთად, სასურველია უშუალო მონაწილეობა მთილოს საზღვაო ფლოტის შექმნაში. მსოფლიოში ძნელად თუ მოიძებნება საზღვაო სახელმწიფოები, რომელთაც საკუთარი საზღვაო ფლოტი არ ჰყავდეს (აქ არ იგულისხმება სამხედრო სანაპირო დაცვის ხომალდები, საზღვაო პორტების ბუქსირები, ბარეები და სხვა მცურავი საშუალებები), ამიტომ შესძლებელია ოვითონ სახელმწიფოში შეიძინოს რამდენიმე ხომალდი. მოწევდავად იმისა, რომ საზღვაო ხომალდების შესყიდვა მნიშვნელოვანი ინვესტიციებთანაა დაკავშირებული (საშუალო წყალწყვის ხომალდების ფასი 80-100 მლნ. აშშ დოლარია), მათი მაღალი რენტაბელობის გამო შეძნა უაღრესად მომგებიანია. საზღვაო ხომალდები გამოირჩევან მაღალი შემოსავლებით, შესაბამისად რენტაბელობით, ხოლო მათი მოხმარების დრო ხანგძლივია.

## ქერძო რეპეტიტორობა: პარალელური განათლება საქართველოში

გიორგი მაჩაბელი  
სტუ დოქტორანტი

კერძო რეპეტიტორობის პრაქტიკა საქართველოში. ისევე, როგორც მსოფლიოს უმეტეს ქვეყანაში, საქართველოში ნაკლებადაა შესწავლი-ლი და განალიზებული კერძო რეპეტიტორობის ფენომენის გავლენა საგანმანათლებლო პროცესებზე. შესაბამისად, არ არსებობს მასზე რე-აგირების მწყობრი პოლიტიკა და მოქმედების გამოკვეთილი სტრატეგია. შედეგად, ამ მოვლენის უარყოფითი ზეგავლენის გასახიერალებლად მხოლოდ ფრაგმენტულ ინტერვენციას აქვს ადგილი, უმეტეს შემთხვევაში, ძირითადად მხოლოდ ადმინისტრაციული ღონისძიებების სახით, რაც საერთო ჯამში ნაკლებ ეფექტურს ხდის ინტერვენციის შედეგებს. ამ პერიოდში არ წოლილა სერიოზული საზოგადოებრივი განხილვა კერძო რეპეტიტორობის ფენომენის არსებობის აუცილებლობის, მისი დადებითი და უარყოფითი მხარეებისა და ქვეყნის განათლების სისტემაზე ზეგავლენის ხარისხზე. მცდელობის მიუხედავად, აქამდე არ არის განსაზღვრული სახელმწიფოს პოზიცია ფენომენთან დაკავშირებით და შესაბამისად, საზოგადოებისათვის არ არის ცნობილი მასზე რეაგირების სახელმწიფო პოლიტიკის შესახებ. საკითხი კომპლექსურ და ყოველ-მხრივ შესწავლას მოითხოვს, რათა ქვეყნამ შესძლოს მისი სწორი მიმართულებით წარმართვა და რაგულირება.

2009-2010 და 2011 წლებში ჩატარებულმა კვლევებმა დაადასტურა, რომ კერძო რეპეტიტორობა კვლავც უაღრესად გავრცელებულ პრაქტიკად რჩება. ღლებისათვის საქართველოში რეპეტიტოროთან ყოველი მეოთხე მოსწავლე ემზადება და დამამთავრებელ კლასში რეპეტიტორობის მასშტაბები არ შემცირებულა 2004 წლითან შედარებით. ამასთან, კერძო რეპეტიტორობის მაჩვენებლები იზრდება საფეხურების ზრდასთან ერთად და კრიტიკულ მაჩვენებელს დამამთავრებელ კლასში აღწევს. რა განაპირობებს კერძო რეპეტიტორობის ასეთ მასშტაბურობას საქართველოში და რა ძირითადი ფაქტორები ახდენენ მასზე ზეგავლენას?

კერძო რეპეტიტორობის მასშტაბზე საქართველოში ძირითადად რა-მოდენიმე სოციო-ეკონომიკური ფაქტორი ახდენს მნიშვნელოვან ზე-გავლენას. ყველაზე ხშირად რეპეტიტორობაზე მოთხოვნის გამომწვევი

ორი ძირითადი ფაქტორი- სასკოლო განათლების დაბალი ხარისხი და სკოლაში მიღებული ცოდნის გამოცდების მოთხოვნებთან შეუსაბამობა სახელდება. თუ დამამთავრებელ კლასში რეპეტიტორობის მასშტაბები გამოცდებისათვის მზადებით შეიძლება აიხსნას, საბაზო და საშუალო საფეხურზე რეპეტიტორობის გავრცელება მშობლების მხრიდან უფრო მაღალი ხარისხის განათლების მიღების მოთხოვნით შეიძლება იყოს განპირობებული, რასაც სასკოლო განათლების დონე ამ ეტაპისათვის კერ აქმაყოფილებს. ზოგადი განათლების სფეროში მიმდინარე რეფორმის მიუხედავად, განათლების ხარისხის შეფასებები საქართველოში ამ ეტაპისათვის მაღალი არ არის. კვლევის მიხედვით, ბოლო ორი წლის განმავლობაში ზოგადი განათლების ხარისხი საქართველოში გაუმჯობესდა. ძირითადი, განათლების ხარისხის გაუმჯობესების მიზანად დისციპლინის გამკაცრება სახელდება. თუმცა სწავლისა და სწავლების ხარისხის გაუმჯობესებისათვის უფრო ინტენსიური კომპლექსური ღონისძიებებია გასატარებელი სხვა მნიშვნელოვანი მიმართულებებითაც და პირველ რიგში აუცილებელია ხარისხის უზრუნველყოფის გამართული მექანიზმების ჩამოყალიბება, მათ შორის სკოლის დონეზეც.

ზოგიერთი მოსაზრების თანახმად, კერძო რეპეტიტორობის მასშტაბის განმაპირობებელი ძირითადი მიზეზი არის შეუსაბამობა ერთიანი ეროვნული გამოცდებისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს მორის. ამ მოსაზრების თანახმად, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში გამოცდების მოთხოვნები ხშირად არ შეუსაბამება იმას, რასაც მოსწავლები რეალურად სწავლობენ სკოლაში. აგრეთვე არსებობს მოსაზრება, რომ რეპეტიტორთან მომზადება მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ვერტიკალურ მობილობაზე და საგრძნობლად ზრდის უმაღლესში მოხვედრის შენსებს, თუმცა რაიმე კვლევა ამ ურთიერთგავლენის მიმართებების დასადგენად ჯერ არ განხორციელებულა. დღეისათვის საქართველოში არ არსებობს სანდო მონაცემები იმის შესახებ, თუ რა გავლენა აქვს კერძო რეპეტიტორობას მოსწავლის აკადემიურ მოსწრებაზე, სწავლის შედეგებსა და უმაღლეს სასწავლებლებში მოხვედრის მაჩვენებლებზე. მიუხედავად იმისა, რომ ეროვნული გამოცდების შემოღების შედეგად კორუფცია მისაღებ გამოცდებზე აღმოიფხვრა, დამამთავრებელ კლასში რეპეტიტორობის მასშტაბები 2004 წელთან შედარებით არ არის შემცირებული. დროის ამ მონაცემები გაიზარდა იმ საგნების რაოდენობა, რომლებშიც გამოიყნება კერძო რეპეტიტორობის სერვისი. თუ ადრე დამამთავრებელი კლასში სამ საგანზე მეტში

## **ეპონომიკური თეორიის თანამედროვე პრობლემები**

მხოლოდ მეოთხედი ემზადებოდა, ახლა ეს მაჩვენებელი გაიზარდა და თითქმის გაორმავდა, რაც სერვისის მომხმარებლებისათვის რეპეტიტორობის საერთო დირებულების გაძვირებას იწვევს და სერვისის მომწოდებლებზე მოთხოვნას ზრდის.

ქვეყნაში ეკონომიკურ ზრდასთან ერთად იზრდება მოსახლეობის შემოსავლებიც. მასწავლებლის ხელფასი დაახლოებით სამჯერ უფრო მცირეა რეპეტიტორის შემოსავალთან შედარებით. მშობელი მზადაა, უფრო მეტი ფულის ინვესტირება მოახდინოს შვილის განათლებაში. მასწავლებელი კი ცდილობს, რომ ეს ფული დაიხარჯოს იმ სქემის გამოყენებით, რომელიც პირადად მისთვის ყველაზე მომგებიანი იქნება, ანუ კერძო რეპეტიტორის დაქირავებაში.

განათლების სისტემის დაფინანსება ჯერ კიდევ პრობლემატურ საკითხად რჩება საქართველოში. მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფოს დანახარჯები ზოგად განათლებაში 2004 წლიდან მატულობს აბსოლუტურ მაჩვენებლებში, მისი წილი მთლიან შიდა პროდუქტში მნიშვნელოვნად მაინც არ იცვლება და მცირე გადახრებით 2%-ის ფარგლებში მერყეობს. ეს მაჩვანებელი ვერანაირ კონკურენციას ვერ უწევს ჩვენი უახლოესი მეზობლების განათლებაზე გაწეულ ხარჯებს, რომ აღარავგერი ვთქვათ საშუალო ეკორპულ მაჩვენებელზე. ამ ვთარებაში მშობლების მიერ შვილების განათლებაზე დახარჯული თანხები, რომლებიც არც თუ ისე მცირეა, მნიშვნელოვან მაკომპენსირებელ ფაქტორს წარმოადგენს. ზოგადი განათლების დაფინანსებაში სახელმწიფოს გარდა მნიშვნელოვანი წილი შეაქვთ მშობლებსაც. მშობელთა წლიური დანახარჯი განათლებაზე დაახლოებით 300 მილიონი ლარის ფარგლებშია, რაც სახელმწიფოს მიერ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დაფინანსებასთან მიმართებაში (350,865,700 ლარი, ფუქც. კოდი 7092) 85.5%-ს, შეადგენს. ასევე მაღალია კერძო რეპეტიტორობის წილი ზოგად განათლებაზე მშობელთა მიერ გაწეულ ხარჯებში, რომელიც 40%-ს შეადგენს. აგრეთვე საინტერესოა, რომ იმ ოჯახების ბოუჯეტში, რომლებსაც სასკოლო ასაკის შვილები ყავთ, განათლების ხარჯები მეორე ადგილზე დგას საკვებზე ხარჯების შემდეგ. საშუალოდ, განათლების ხარჯებში რეპეტიტორობას და სახელმძღვანელოებს თანაბარი წილი აქვთ და ერად 80%-ს იკავებს. მოყვანილი ციფრები აღასტურებს მშობლების მხრიდან შვილების განათლებაში მზარდი ინვესტირების მზაობის მოსაზრებას.

ამასთან, აუცილებლად აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ, ვინათდან სერ-

ვისი ხელმისაწვდომი არ არის ყველა მსურველისათვის, კერძო რეპეტიტორობა განათლების ხელმისაწვდომობის კუთხით სოციალური უთანასწორობის პრობლემას წარმოქმნის. მოთხოვნა კერძო რეპეტიტორობაზე გაცილებით უფრო მაღალია ვიღრე ამ სერვისის გამოყენების რეალური მაჩვენებლები — კერძო რეპეტიტორობის აუცილებლობას გამოკითხულთა მთლიანი რაოდენობის 90% ადასტურებს. გამოკითხულთა 60% რომელიც არ ემზადება, მიზეზად მხოლოდ ფინანსების სიმცირეს ასახლებს. მასშტაბები განსხვავებულია ცენტრისა და პერიფერიაში, ისევე როგორც მაღალშემოსავლიან და დაბალშემოსავლიან ჯგუფებში. შესაბმისად, დედაქალაქში მცხოვრები, მაღალი შემოსავლის მქონე ოჯახის დამამთავრებელ კლასში მყოფი თითქმის ყველა მოსწავლე ემზადება რეპეტიტორთან.

მიუხედავად განათლების რეფორმირების ინტენსიური პროცესისა ქვეყნაში კერძო რეპეტიტორობის მასშტაბები კვლავ დიდია. რაც, ნაწილობრივ საზოგადოებაში დასაქმებისათვის განათლების ღირებულების ზრდით და ცოდნაზე მოთხოვნა-მიწოდებას შორის არსებული სხვაობით შეიძლება აიხსნას. ანუ, იმ ფაქტო, რომ სასკოლო განათლება ჯერ-ჯერობით მთლიანად ვერ პასუხობს საზოგადოებრივ მოთხოვნას.

**პრობლემის გადაჭრის ზოგიერთი მიმართულებები.** საერთაშორისო გამოცდილებამ ნათლად დაგვანახა მიღებული ზომების არაეფექტურობა იქ, სადაც მთლიანად აკრძალულია კერძო რეპეტიტორობის პრაქტიკა. ტოტალური აკრძალვა კიდევ უფრო ჩრდილოვანს ხდის რეპეტიტორობას და შესაბამისად ზრდის უარყოფითი ზეგავლენის ხარისხს. ამ ეტაპისათვის ყველაზე მიღებულ ფორმად ითვლება კერძო რეპეტიტორობის პრაქტიკის რეგულირება ქვეყნის წინაშე არსებული გამოწვევებიდან გამომდინარე. მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფოს მხრიდან არ მოხდეს კერძო რეპეტიტორის ინსტიტუტის იგნორირება, პირიქით განათლების სისტემის განვითარებაზე ფოკუსირებულ სტრატეგიებში აუცილებელია მისი გათვალისწინება და სწორი ამოცანების დასახვა.

იმისათვის, რომ საქართველოს განათლების მესვეურებმა ოპტიმალური მიდგომა გამოიმუშაონ ქვეყნაში არსებული სარეპეტიტორო პრაქტიკის მიმართ, აუცილებელია პირველ რიგში, მკაფიოდ განსაზღვრონ საკუთარი პოლიტიკა ამ მოვლენასთან დაკავშირებით, თუმცა ეს არ უნდა ატარებდეს მექანიკური ჩარევის, აკრძალვისა და არათანაზომადი კონტროლის მექანიზმების შექმნის ფორმას. ოპტიმალური პოლიტიკის გამომუშავებისათვის აუცილებელია არსებობდეს წინასწარ შეთანხმებული მიღვომები (საზოგადოება-სახელმწიფო) ფენომენის შეფასები-

## ეპონიმური თეორიის თანამედროვე პრობლემები

სათვის. ანუ, საზოგადოებაში უნდა არსებობდეს კონსენსუსი ეროვნულ განათლების სისტემაში კერძო რეპეტიტორობის როლის განსაზღვრი-სათვის. ამ მიზნით, მისასალმებელი იქნებოდა სამინისტროსა და სისტე-მაში ჩართული სხვა დაინტერესებული ჯგუფების მხრიდან ამ თემაზე ინტენსიური დიალოგის და განხილვის ინიცირება. დიალოგის პარალე-ლურად მხარდასჭერია და გასაღრმავებელია თემასთან დაკავშირებული აკადემიური და გამოყენებითი კვლევების წარმოება და ამ პროცესში უმაღლესი განათლების და არასამიავრობო ორგანიზაციების აქტიური ჩართვა. ეს მოგვცემს საშუალებას ზუსტად მოვახდინოთ რეპეტიტო-რობის მოტივატორების იდენტიფიცირება და მათზე ზემოქმედების მე-ქანიზმების გამომუშავება. აგრეთვე ზუსტად შევისწავლოთ ფენომენის ზემოქმედების ხარისხი სისტემაზე და მოვახდინოთ მისი რეგულირება. რეპეტიტორობის პრაქტიკასთან დაკავშირებული ზუსტი ხედვის ჩა-მოყალიბება ხელს შეუწყოს მასზე რეაგირების მწყობრი პოლიტი-კის გამომუშავებას. შედეგად, შესაძლებელი განხდება რეპეტიტორობის პრაქტიკასთან დაკავშირებული გრძელვალი და მოკლევალი შედეგაბზე გათვლილი სტრატეგიის შემუშავება, ან განათლების სხვადასხვა სტრა-ტეგიებში სეგმენტური ასახვა.

როგორც აღინიშნა, კერძო რეპეტიტორობა საქართველოში განათ-ლების სისტემის განვითარების ამ ეტაპზე ორ მნიშვნელოვან ფუნქციას ასრულებს — ის აკომპენსირებს განათლების ფორმალური სისტემის ხარვეზებს და ეხმარება მოსწავლეს დამატებითი ცოდნის მიღებაში. თუმცა, მნიშვნელოვანია სათანადო ყურადღება მიეკცეს კერძო რეპეტი-ტორობის ფენომენის არსებობის შესაძლო რისკებს. კერძოდ, არ უნდა გაღრმავდეს უთანასწორობა განათლების ხელმისაწვდომობის კუთხით, კერძო რეპეტიტორობამ არ უნდა გამოიწვიოს ფორმალური სასწავლო პროცესის დამახინჯება, საზოგადოებას და განათლების პოლიტიკის დაგეგმვაში ჩართულ მხარეებს ბოიკეტური ინფორმაცია უნდა ჰქინდეთ იმის შესახებ, თუ რა როლი აქვს კერძო რეპეტიტორობას ფორმა-ლური განათლების საფეხურებს შორის მობილობის (ზოგადი განათ-ლების საფეხურიდან უმაღლესი განათლების საფეხურზე გადასვლის) თვალსაზრისით. სათანადოდ დაგეგმილი, შემუშავებული და განხილული პოლიტიკის განხორციელება შედეგად მოგვიტანს შესაძლო რისკების მინიმიზაციასა და სასწავლო პროცესის ხარისხობრივ გაუმჯობესებას. მნიშვნელოვანია, რომ ამ პროცესში მაქსიმალურად უზრუნველყოფილი იყოს ძირითადი ინტერეს-ჯგუფების აქტიური ჩართულობა.

**გრძელვადიან პერსპექტივაში აუცილებელია შენარჩუნდეს სისტემის დაფინანსების ზრდის ტენდენციები. სახელმწიფოს მხრიდან განათლების ერთერთ პრიორიტეტად გამოცხადება ხელსაყრელ პირობებს ქმნის სისტემის შესაბამისი ფინანსური უზრუნველყოფისათვის. აუცილებელია ეტაპობრივად გაიზარდოს განათლების დაფინანსების წილი მშპ-ში, რომელიც 2011 წლის მონაცემებით მხოლოდ 2,7%-ია და პირველ ეტაპზე გაუტოლდეს მეზობელი ქვეყნების (სომხეთი, აზერბაიჯანი) მაჩვნებლებს, ხოლო შემდგომი ეტაპებისათვის საშუალო ევროპულ მაჩვნებლამდე, ანუ 5%-მდე გაიზარდოს. მხედველობაში მისაღები ის ფაქტიც, რომ საქართველოში განათლების დაფინანსების დაბალი წილი მნიშვნელოვნად კომპენსირდება კერძო სექტორის დაფინანსების მაღალი პროცენტით, რაც სახელწიფოს მიერ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დაფინანსებასთან მიმართებაში 85,5%-ს და მშპ-ში 0,8%-ს შედგენს. (შედარებისათვის, ბალტის ქვეყნების კერძო სექტორის წილი მშპ-ში 2008 წლის მონაცემებით: ესტონეთი- 0,3%; ლიტვა- 0,52%; ლატვია- 0,6%). ფინანსების ზრდამ შეიძლება მნიშვნელოვნად შეუმსუბუქოს მშობლებს კერძო დაფინანსების ტვირთი და ხელი შეუწყოს პროცენტული მაჩვნებლის ნორმალურ ფარგლებში ცვლილებას. დაფინანსების გაზრდა ცალსახად ვერ უზრუნველყოფს სწავლისა და სწავლების ხარისხის ამაღლებას, თუ არ ჩამოყალიბდა გაზრდილი ფინანსების მიზანმიმართული განაწილებისა და რაციონალურად ხარჯვის მექანიზმები. აგრეთვე, თუ არ დაიხვეწა თანხების ხარჯვის კონტროლი. რესურსების მიმართვის პრიორიტეტად უნდა განისაზღვროს განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სეგმენტები (პედაგოგია კვლიფიკაციის ამაღლება, სკოლების მართვის ხარისხის გაუმჯობესება, სახელმძღვანელოების გაუმჯობესება და სხვ.). ამასთან აუცილებელია, სახელმწიფოს არ გამორჩეს მხედველობიდნ რისკ-ფაქტორის მატარებელი ჯგუფების (დევნილები; ეროვნული უცცირესობები; დაბალშემოსავლიანი ოჯახების ბავშვები; შეზღუდული შესაძლებლობების და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვები და სხვა). ინტერესი და შესაბამისი პროგრამების დაფინანსებით უზრუნველყოს მათი ძირითადი უფლებების დაცვა და ინტეგრაცია საზოგადოებაში.**

**მოკლევადიან პერსპექტივაში, კერძო რეპეტიტორობით გამოწვეული რისკების ნაწილობრივ, ან, ზოგიერთ შემთხვევაში, მთლიანად გასანერიტრალებლად რამდენიმე კომპლექსური ღონისძიების გატარებაა საჭირო. ამგავრი ღონისძიებათა ნუსხის განსაზღვრა უნდა მოხდეს არსე-**

## **ეპონომიარი თეორიის თანამდეროვე პრობლემები**

ბული სიტუაციის ანალიზის და კვლევების მონაცემებზე დაყრდნობით. მათი განხორციელება შესაძლებელი უნდა იყოს არსებული დაფინანსების ფარგლებში, ნაკლებად გავლენას ახდენდეს სახელმწიფოსათვის მნიშვნელოვან სხვა სფეროებზე, პროცესებსა თუ სისტემებზე, ნაკლებინანსურ დანახარჯებთან იყოს დაკავშირებული და შედარებით მარტივი იყოს იმპლემენტირების კუთხით.

პირველ რიგში აუცილებელია იმ მნიშვნელოვანი სხვაობის მინიმიზაცია, რაც მშობლების მხრიდან ხარისხიან განათლებაზე მოთხოვნასა და სკოლის მხრიდან ამ მოთხოვნის დაკმაყოფილებას/ვერ დაკმაყოფილებას შორის არსებობს. ამისათვის საჭიროა სისტემაში მიმდინარე რეფორმების განათლების ხარისხის ამაღლებაზე სისტემური ფოქუსირება.

### **გამოყენებული ლიტერატურა**

Bray, M. (2003). Adverse effects of private supplementary tutoring: Dimensions, implication, and government responses. UNESCO International Institute for Educational Planning, Paris. Retrieved from <http://unesdoc.unesco.org/images/0013/001330/133039e.pdf>

Bray, M. (2009). Confronting the shadow education system: What government policies for what private tutoring? UNESCO International Institute for Educational Planning, Paris.

Dang, H.A., & Rogers, F. H. (2008). How to interpret the growing phenomenon of private tutoring: Human capital deepening, inequality increasing, or waste of resources? The World Bank Development Research Group. Retrieved from <http://econ.worldbank.org>.

Silova, I. (2009). The crisis of the post-Soviet teaching profession in the Caucasus and Central Asia. Research in Comparative and International Education, 4(4). 366 – 383.

Silova, I., Budiene, V., & Bray, M. (2006). Education in a hidden marketplace: Monitoring of private tutoring. Open Society Institute, New York.

UNESCO Institute of Statistics (UIS). (2011). UIS data tables. [www.uis.unesco.org](http://www.uis.unesco.org)

გ. მაჩაბელი, თ. ბრეგვაძე, რ. აფხაზავა, (2011წ). კერძო რეპეტიტორობის ფონების კვლევა საქართველოში [www.eppm.org.ge](http://www.eppm.org.ge)

## ფინანსები, განკაპი, პირქანი

### საბანკო რისკების მართვის ეთოლდიკის და რისკების მართვის სისტემის დაცერტიფიცირების სრულყოფის აუცილებლობა


კონსტანტინე სულამანიძე  
სტუ დოქტორანტი  
გივი გამსახურდია  
ექდ, სტუ სრული პროფესორი

თანამედროვე პირობებში, რისკების მეთოდიკის და რისკების მართვის სისტემების დანერგვის სრულყოფის მიმართულებით, საბანკო საქმიანობის წინაშე ახალი მოთხოვნები წარმოაშობა, რომლებიც გულისხმობს: ჯერ ერთი, საკრედიტო ორგანიზაციის მხრიდან შევასებას იმაზე, თუ რომელი რისკები და რა მოცულობით შეუძლია მას თავის თავზე აიღოს; მეორე, რისკის ფაქტორის შემცირების თვალსაზრისით შესაბამისი ღონისძიებების დამუშავებას ცხოვრებაში გასატარებლად; მესამე, ბანკის მიერ რისკების მართვის ისეთი სისტემის დამუშავებას, რომელიც საშუალებას მისცემს ბანკის სელმდლვანელობას გამოავლინოს, ლოკალიზებას გაუკეთოს, შეაფასოს და კონტროლი გაუწიოს რისკის ამა თუ იმ სახეს და ამასთანავე პარალელურად, საბანკო საქმიანობის პროცესზე, მათი გავლენის მინიმიზაცია მოახდინოს.

უცხოეთის გამოცდილებიდან გამომდინარე რისკების მართვის სისტემა სხვადასხვა ელემენტებისაგან შედგება (ბანკის დონეზე რისკების მართვის სისტემის ფუნქციონირების ნათლად წარმოდგენის შესაძლებლობას იძლევა ქვევით წარმოდგენილი სქემა – ბანკში რისკების მართვის სისტემის შესახებ).

როგორც სქემიდან ჩანს, რისკების მართვის სისტემის რეალიზაცია ხორციელდება სტრატეგიული მართვის დონეზე კონკრეტული ღონისძიებების დასახვით; აღნიშნული ფუნქციის განხორციელება ბანკის თანამშრომლებთან ერთად, სხვადასხვა ღონის ხელმძღვანელებს ევალებათ.

სქემა – ბანკში რისკების მართვის სისტემა



მხედველობაში გვაქვს ის გარემოება, რომ ბანკში რისკებზე კონტროლი ყოველდღიურად სხვადასხვა მეთოდიების გამოყენების საფუძველზე ხორციელდება. საერთო ჯამში კონტროლის განხორციელების ეფუძნებულია განსაზღვრავს ბანკის ორგანიზაციული სტრუქტურის ოპერატიული ფუნქციინირების, პერსონალის სწორად შერჩევის დონე და უშუალოდ სამუშაო ადგილებზე ცალკეულ ოპერაციების განხორციელების კონტროლის მექანიზმები. ამიტომ, რისკების მართვაზე კონტროლის ეფექტურობის განხორციელებისათვის, აუცილებელია თანამშრომლებს შორის უფლებების და პასუხისმგებლობების სწორი განაწილება, თანამდებობრივი ინსტრუქციების დამუშავება და ინფორმაციების გადაცემის სრულყოფილი არხების შექმნა. რისკების სრულყოფილად აღრიცხვისათვის, უცხოეთის გამოცდილების გათვალისწინებით, საჭიროდ მიგვაჩნია ასევე ოპერაციების მნიშვნელოვანი ნაწილის სხვადასხვა კუთხით შეფასება. მხედველობაში მისაღებია ის გარემოება, რომ ბანკის ყოველ ცალკეულ განყოფილებას ინფორმაციების ნაწილი გააჩნია, რომელიც აუცილებელია მათ მიერ შესაბამისი საბანკო ოპერაციების განხორციელების პროცესში, რისკების ყოველმხრივი ანალიზისათვის. ეს უკანასწელი აბიექტურად მოითხოვს ამ პროცესში ბანკის ცალკეულ განყო-

ფილებებს შორის ურთიერთოქმედებისა და კოორდინაციის შესაბამის სქემის შექმნას.

კონტროლი რისკებზე შედის, როგორც მენეჯერების მოვალეობებში, ასევე აქციონერების მოვალეობებში (მხედველობაში გვაქვს უპირველეს ყოვლისა ბანკების დამფუძნებლების მოვალეობები). თუ პირველნი პასუხისმგებლები არიან მხოლოდ ოპერატორულ კონტროლის განხორციელებაზე, აქციონერები პასუხისმგებლები არიან ბანკის საქმიანობის სტრატეგიულ კონტროლთან ერთად, ოპერატორულ ხელმძღვანელობაზე. რისკებზე მართველობითი კონტროლის უფექტურობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული თანამდებობრივი უფლებების მქაცრ განსაზღვრაზე, ორმაგი კონტროლის განხორციელებაზე და კადრების როტაციაზე. ყოველივე ხელს უწყობს რისკის მონიტორინგის ეფექტურობის ამაღლებას. ტერმინი „მონიტორინგი“ გულისხმობს რისკების შეფასებისა და კონტროლის დამოუკიდებულ სისტემას, რომელიც ემყარება მენეჯერებისათვის სრულ და ხარისხიან ინფორმაციის მიწოდებას.

მოცემული ინფორმაცია ეხმარება მენეჯერებს გაანალიზონ საბანკო საქმიანობის მიმდინარე მდგომარეობა, ბანკის ცალკეული მიმართულებებსა და მთლიანად ბანკის საქმიანობის შესახებ გადაწყვეტილებები მიიღოს.

აღნიშნულის პრაქტიკულ მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ უცხოეთის ბანკებში აპრობირებული ინფორმაციის სტრუქტურა, რომელიც კრედიტის მონიტორინგზე პასუხისმგებელ პირს უნდა წარედგინოს. იგი გულისხმობს ინფორმაციის მიწოდების შემდეგ სახეებს: საკრედიტო ორგანიზაციის დასახელებას; რისკის საერთო მოცულობას; რისკის მოცულობას მისი უზრუნველყოფის გათვალისწინებით; ძირითად მომენტებს და თავისებურებებს, რომლებიც ოპერაციებს ახასიათებს; რისკის წმინდა მოცულობას; კლიენტის რეიტინგს; კლიენტის ფინანსური მდგომარეობას და მიმდინარე საქმიანობის შეფასებას; კლიენტის საერთო დატვირთვა მიმდინარე დავალიანების მომსახურეობის თვალსაზრისით.

აქვე უნდა შევნიშნოთ შემდეგი გარემოება, კერძოდ იმისათვის, რომ ბანკის რესურსები მიმართული იქნეს რისკების პროცესზე მონიტორინგის განხორციელების ამაღლებისათვის, უპირველეს ყოვლისა საჭიროა, რისკების კლასიფიკაცია განხორციელდეს. მათი ბანკისათვის მნიშვნელობიდან გამომდინარე აუცილებელია განვსაზღვროთ ღირებულებითი

ლიმიტები. აღნიშნული მოსაზრების განხორციელება არ ნიშნავს, რომ ისინი გადიან რისკების მართვის საერთო სისტემის ფარგლებიდან, არა-მედ გულისხმობს მათზე შერჩევითი წესით დამატებითი კონტროლის განხორციელებას. აქვე გვინდა შევნიშნოთ, რომ საბანკო პრაქტიკაში არსებობს მრავალრიცხოვანი მოდელები, რომლებიც საშუალებას გვაძლევენ გავიანგარიშოთ რისკის შესაძლო ზემოქმედება მოგებაზე, წმინდა საპროცენტო შემოსავალზე და საკუთარ კაპიტალზე, მაგრამ ჩვენ კვლევის დროს ვისაზღვრებით მხოლოდ რისკების მართვის საერთო კონცეფციის იმ ხარისხის განხილვით, რომელიც საფუძვლად უდევს მმართველობითი გადაწყვეტილების მიღებას. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს ისიც, რომ რისკების მართვის პროცესი არ ითვლება დასრულებულად, თუ არ იქნება შემუშავებული ყველასათვის მისაღები რისკების მართვის მეთოდიკა. მაგრამ რისკების მართვის ოპტიმალური საერთო მეთოდიკის შემუშავება მეტად ძნელ და როგორ საქმეს წარმოადგენს, ვინაიდან ყოველი ბანკი საბანკო ბაზარზე თავისი თავისებურებით გამოიჩინება, მხედველობაში გვაქვს თანამშრომლების შესაძლებლობები, ნდობით შემუშავებული კავშირები, რომლებიც ძირითადი საბანკო ოპერაციების განხორციელებას უზრუნველყოფენ. ამიტომ ყურადღებას იმსახურებს ერთი გარემოების გათვალისწინებაც, რომელიც, ვფიქრობ, ბანკის ხელმძღვანელებს არ უნდა გამოიჩინეს, ეს არის რისკის მართვის მოდელის შედეგების მექანიკური კოპერირების არ დაშვება. რისკების მართვის მეთოდიკის მოდელი, რომელიც შემუშავებულია კონკრეტული ბანკისათვის რისკის ლოკალიზებისათვის, შეიძლება სხვა ბანკისათვის დაბრუნდეს სრულ ფასკოდ, რისკის მართვის შესაძლებლობების არალოკალიზების თვალსაზრისით. აღნიშნულიდან გამომდინარე, რისკების მართვის ერთიანი სისტემის თვალსაზრისით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საბანკო კაპიტალზე შემოსავალების სიდიდის რისკის გათვალისწინების განსაზღვრა, რომელიც ბანკის მთავარი მიზნის – საკუთარი კაპიტალიდნ მაქსიმალური მოგების მიღებას გულისხმობს და დასავლთის ეკონომიკურ ლიტერატურაში, როგორც აქსიოდა ისე არის მიღებული. კაპიტალის საკმარისობის დაცვის მოთხოვნილებები ბანკს აიძლებს, რომ საკუთარი კაპიტალის მოცულობის გაზრდა განახორციელოს საკრედიტო დაბანდებების გადიდების საფუძველზე. აღნიშნულის გამო არაფუნქციონალური კრედიტები და კრედიტებიდან დანაკარგები საკრედიტო რისკის პირდაპირი ზემოქ-

მდების შედეგს წარმოადგენენ, რომლებიც თავის მხრივ ორგარად ახდენენ გავლენას საბანკო კაპიტალის რენტაბელობაზე. აღნიშნული ორგარა ზემოქმედება გამოიხატება იმაში, რომ ისინი ერთის მხრივ იწვევენ პირდაპირ დანაკარგებს, ხოლო მეორე მხრივ მათი ზემოქმედება კიდევ უფრო ღრმავდება საბანკო კაპიტალის ნაწილის საკრედიტო დაბანდებიდან შემოსავლის არ მოცემის გამო. საბანკო კაპიტალის შემოსავლის განსაზღვრის მეთოდიკა რისკის გათვალისწინებით საშუალებას გვაძლევს თანმიმდევრული გაანგარიშების საფუძველზე განვსაზღვროთ, თუ როგორი უნდა იყოს ფასი ბანკის მიერ დაწესებული საკრედიტო რესურსებზე, რომ მოახდინოს მან რისკის ზემოქმედების ფაქტორის კომპენსირება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, უნდა განისაზღვროს რამდენად მაღალია საკრედიტო რისკის ზემოქმედების ხარისხი საპროცენტო განაკვეთის თვალსაზრისით მოცემული პირტფელის სტრუქტურაზე, რომელსაც შეუძლია ამ ზემოქმედების დანაკარგების კომპენსაცია მოახდინოს. ამ შემთხვევაში აუცილებელია შევნიშნოთ, რომ ჩვენს მიერ ზემოთ განხილული რისკების მართვის მეთოდიკა წარმოადგენს რისკის მართვის განსაკუთრებული სისტემის ერთერთ ელემენტს, რომელიც ითვალისწინებს საბანკო კაპიტალის რენტაბელობას და ბანკის მიერ ცალკეული ოპერაციების რისკის გაწევის ხარისხს.

საბანკო საქმიანობის პრაქტიკული გამოცდილება გვიჩვენებს, რომ რისკების მართვის სისტემაში განსაკუთრებული ადგილი უკავია ჰეჯირებას, დივერსიფიკაციას და ნაწარმოები ფინანსური მექანიზმების გამოყენებას. ფინანსური ბაზრის განვითარების შესაბამისად ნაწარმოები ფინანსური მექანიზმების ბაზარი, კერძოდ ფიუჩერსები, ოპციონები და სხვა სახის მექანიზმები ყალიბდება. სავალუტო, საპროცენტო განაკვეთების ცვლილებების და საბაზრო რისკების შემცირებისათვის ფართოდ გამოყენება სავალუტო და საპროცენტო ფიუჩერსები, ასევე რისკის შემცირებისათვის შეიძლება გამოყენებული იქნეს ფორვარდული კონტრაქტები, საპროცენტო და სავალუტო სვოპები. ამ ფინანსური მექანიზმების გამოყენება მჭიდრო კავშირშია ჰეჯირებასთან, რომელიც წარმოადგენს სავალუტო, საკრედიტო და რისკის სხვა სახეების შემცირებისათვის გათვალისწინებულ ღონისძიებების სისტემას. ეს სისტემა გულისხმობს ინვესტორის მიერ რისკის განსაკუთრებული ფაქტორის მიმართ შემცირების მეთოდს. რისკის გამოვლენისა და მისი ზემოქმედების მეთოდი, კაპიტალდაბანდებების ერთი ნაწილიდან შემოსავლების

შემცირებას, ხოლო მეორე ნაწილიდან, შემოსავლების გაზრდას გულისხმობს. აღნიშნულიდან გამომდინარე, ჰეჯირება ნიშნავს იმას, რომ დაბანდებების საკრედიტო პორტფელში რისკის განძსაზღვრელი ისეთი ფაქტორები იქნას შეტანილი, რომლებიც მასზე დიამეტრულად საწინააღმდეგოდ მოქმედებენ. აღნიშნულის ნათელყოფისათვის შეიძლება მოვაუვანოთ შემდეგი მაგალითი, კერძოდ ვალუტის ჰეჯირება კონკრეტული მსესხებლის დაფინანსების დროს, წარმოადგენს სავალუტო რისკის შემადგენლ ნაწილს და მან უნდა მოიცვას ექსპორტზე ორიენტირებული საწარმოები და მსესხებლები, რომელთა საქმიანობა მოიცავს საინვესტიციო საქონლის იმპორტს. ამ შემთხვევაში ლარის კურსის დაცემის პირობებში მოგებულები ექსპორტიორები რჩებიან, ვინაიდან დარგობრივი ექვივალენტი და მისი უცხოური ვალუტის ამონაგები იზრდება, ხოლო თავის სამამულო მომწოდებლებთან და პერსონალთან ანგარიშსწორება ეროვნულ ვალუტაში ხორციელდება და პირიქით, ეროვნული ვალუტის განმტკიცებამ შეიძლება ექსპორტიორთა პრობლები გამოიწვიოს და პარალელურად იმპორტიორთა პოზიციები განამტკიცოს; აქვე უნდა შეენიშნოთ, რომ თუ ბანკის პოზიცია არ არის ჰეჯირებული და იგი მხოლოდ ექსპორტზე ან იმპორტზე ორიენტირებული დარგის საწარმოებს აკრედიტებს, ამ შემთხვევაში სავალუტო კურსის უეცარმა რყევამ, ზვავისებურად არაფუნქციონირებადი კაპიტალის მოცულობის სადიდე შეიძლება გაზარდოს. ჰეჯირების წარმატებით განხორციელდება მაღალი დონის კვალიფიკაციას მოითხოვს, კაპიტალ-დაბანდებათა განხორციელების ოპტიმალური მიმართულებების განსაზღვრაში და არსებული, ასევე საწინააღმდეგო მდგომარეობაზე ჰეჯერული ფაქტორების ზემოქმედების ხარისხის შეფასებაში. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ დივერსიფიკაციის გულისხმობს, პირიქით, კაპიტალის დანაწევრებას და რისკის შეფასებას, ერთ მსესხებელზე ფულადი რესურსების კონცენტრაციის გაუქმების საფუძველზე. ჰეჯირებისაგან განსხვავებით, სწორი დივერსიფიკაციის განხორციელება, როგორც რისკის შემცირების ღონისძიება, დამოკიდებულია საკრედიტო პორტფელში სამი პროექტის შეტანაზე, რომელთა შორის ერთერთის წარუმატებლობა მინიმალური ხარისხით დაკავშირებული იქნება სხვა პროექტის წარმატებებსა ან წარუმატებლობაზე. ყურადღებას იმსაურებს იმის აღნიშვნაც, რომ საბანკო საქმიანობის პრაქტიკაში გამოიყენება რისკების სისტემის მართვაში მრავალი სახის მიღვომები. მათგან ამა თუ იმ მოდელის შერჩევა განისაზღვრება

საკრედიტო დაწესებულების კონკრეტული თავისებურებების გათვალისწინებით. საყურადღებოა ისიც, რომ უცხოეთის ბანკის ხელმძღვანელობა ბანკის სტრუქტურული ქვედანაყოფების თანამშრომლებისაგან, რომლებიც პასუხისმგებლები არიან ცალკეულ ოპერაციაზე, მოითხოვს, რომ მათ რისკების გამოვლენის და მონიტორინგის შიდა სისტემა შეიმუშავონ. ასეთი მიღობის პირობებში საშუალო რგოლის, სტრუქტურების მენეჯერები პასუხისმგებლები არიან რისკების ლოკალური სისტემის საიმედო ფუნქციონირებაზე და რისკების მართვის სისტემის დანერგვაზე. განვითარებული ქვეყნების მსხვილ ბანკებში მოქმედებს რისკების მართვის კომიტეტები, რომლებიც დირექტორთა საბჭოს უფლებით ფუნქციონირებენ, ან სპეციალიზირებული განყოფილებების ფორმით არიან წარმოდგენილი. მათი ამოცანაა ის, რომ განახორციელონ სხვადასხვა სტრუქტურული განყოფილებებიდან შემოსული ინფორმაციების შეგროვება და მათი ანალიზის საფუძველზე მოელი ბანკების დონეზე შედეგების განზოგადოება მოახდინონ და რისკების მართვის მეთოდიკის და სისტემის დანერგვის პროცესი დაჩიქარონ.

ამასთანავე, ზედამხედველობის გაძლიერების მიზნით, ვფიქრობთ, საურველი იქნება, თუ ქართულ კომერციულ ბანკებს დაუწესდებათ სპეციალური ყოველგარტალური ანგარიშების ფორმა, რომელიც მოიცავს მსხვილი საკრედიტო დაბანდებების დეტალურ აღწერას და რისკების მიხედვით მათ კლასიფიცირებას, ამ სესხებზე დაწესებული მონიტორინგის მიმოხილვას, გაწეული შესაძლო დანაკარგების რეზერვების ცვლილებასა და დინამიკას.

აღნიშნული მეთოდოლოგია ფართოდ გამოიყენება ამერიკის შეერთებული შტატების, იაპონიის, ინგლისის, გერმანიისა და სხვა განვითარებული ქვეყნების საზედამხედველო სამსახურების მიერ. ასევე საერთაშორისო-საფინანსო ინსტიტუტებს (მსოფლიო ბანკი, საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია, ევროპის რეგიონსტრუქციისა და განვითარების ბანკი) დაწესებული აქცი სპეციალური ანგარიშებების ფორმები, რომლებიც გამიზნულია მსხვილი კონცენტრაციების მონიტორინგის განსახორციელებლად.

## **გამოყენებული ლიტერატურა**

1. გამსახურდია გ. საქართველოში ანტიკრიზისული ღონისძიებების ეროვნული კონცეფციის შესახებ. უკრნ. „ეკონომიკა და ბიზნესი“, 2009, № 2, გვ. 11-23.
2. ვაშაყმაძე ი. საქართველოს საბანკო სისტემის ფინანსური მდგრადობის მნიშვნელობა ეკონომიკის სტაბილიზაციის მიღწევაში. ბათუმი, ბათუმის უნივერსიტეტი, 2005.
3. ონგოროვგა ა., ჩხაძე ზ., ცაავა გ. საბანკო ოფორმაციული სისტემები და ტექნოლოგიები, „ტექნიკური უნივერსიტეტი“, თბილისი, 2009.
4. კოვჭანაძე ი. საქართველოს კომერციული ბანკების ფუნქციონირების პრობლემები თანამედროვე ეტაპზე. თბილისი, „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“, 2001.
5. პაპავა ვ. საერთაშორისო სავალუტო ფონდი საქართველოში: მიღწევები და შეცდომები. თბილისი, „იმპერიალი“, 2000.
6. ქოქიაური ლ. საბანკო საქმიანობის საფუძვლები (საბანკო საქმე). ტომი I (მეორე გამოცემა). თბილისი, „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი“, 2007.
7. Ковзанадзе И.К. Тенденции и перспективы развития экономики и банковского сектора трансформированных стран. М., «Финансы и статистика», 2005.

## ტურიზმის ფინანსური უზრუნველყოფის პრიორიტეტული მიმართულებები საქართველოში

**მაია ალადაშვილი**  
სოციალურ მეცნიერებათა  
დოქტორი ეკონომიკაში

თანამედროვე პირობებში, როდესაც მსოფლიო ინტეგრაციულ პროცესებში სულ უფრო ფართოდ ებმება დამოუკიდებელი საქართველო, უნდა გავითვალისწინოთ, რომ საზოგადოების სოციალურ სტრუქტურაში მოხდება თვისობრივი ცვლილებები, ანალოგიური იმისა, რაც XX საუკუნის მიწურულს მსოფლიოსთვის იყო დამახასიათებელი.

საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლის პროცესი, ჩვენი ქვეყნისათვის გაცილებით რთული და წინააღმდეგობრივი აღმოჩნდა, ვიდრე მოსალოდნელი იყო რეფორმამდელ პერიოდთან შედარებით.

საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თანამედროვე მდგომარეობის კომპლექსური ანალიზი გვიჩვენებს, რომ ქვეყანაში ჯერ კიდევ დგას სიღარიბის პრობლემა. მსოფლიო გამოცდილება ადასტურებს, რომ სიღარიბის დაძლევას მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ისეთი ეკონომიკური და ორგანიზაციული ფაქტორის მიზანმიმართულად და კომპლექსურად გამოყენება, როგორიცაა ქვეყანაში ტურიზმის დაწარებული განვითარება.

ტურიზმის, როგორც მომსახურების სახეობის განვითარების უპირველეს მიზანს სარგებლის მიღება წარმოადგენს, რაც მიიღწევა ტურისტების მოთხოვნილების დაქმაყოფილების გზით. ამდენად, ლოგიკურია, რომ ტურიზმის შესწავლა ეფუძნება ბიზნესის კონცეფციას.

საქართველოს, ბუნებრივ-კლიმატური მრავალფეროვნებიდან გამომდინარე, უძიდესი ტურისტული პოტენციალი გააჩნია. ქვეყნის ტურისტულ შესაძლებლობებს განსაზღვრავს მისი კლიმატი, ზღვა, მთები, უნიკალური ლანდშაფტები, პიდრომინერალური რესურსები, დაცული ტერიტორიები და ეროვნული პარკები, კულტურულ-არქიტექტორული ძეგლები და მდიდარი ისტორიული მემკვიდრეობა. ყოველივე ეს ქვეყანას, ტურიზმის განვითარების თვალსაზრისით, ანიჭებს განსაკუთრებულ უპირატესობას, რაც გამოიხატება იმაში, რომ საქართველოს ბუნებრივ

## **ჟინანსები, განვახი, პირზები**

და საკურორტო პოტენციალის შექმნას არ სჭირდება დამატებითი კაპიტალდაბანდება.

გამომდინარე საქართველოს ისტორიული და ბუნებრივი პირობებიდან, ტურიზმის სხვადასხვა მიმართულებებს შორის, მიმდინარე პერიოდში, ყველაზე პრიორიტეტული მიმართულებაა სასოფლო ტურიზმი.

პროფესიულ ტურისტულ ბიზნესში სასოფლო ტურიზმს, როგორც საქმიანობის საქმაოდ შემოსავლიან სახეობას, რეგიონების ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მსოფლიო ტურისტულ ბაზარზე და საქმაოდ პრიულარულია ტურისტთა შორის.

სასოფლო ტურიზმი არის ტურისტთა მცირე ჯგუფების მოგზაურობა დასვენების მიზნით სოფლის, ზოგჯერ ცენტრიდან მოშორებულ ტრადიციულ დასახლებებში, დასვენებისა და ადგილობრივი ტრადიციების გასაცნობად. ტურისტული ობიექტების მფლობელები და მმართველები სოფლის მაცხოვრებლები არიან. ტურიზმის ეს მიმართულება ითვალისწინებს: ტურისტთა განთავსებას ადგილობრივი ტრადიციებით აგებულ სახლებში, კვებას ადგილობრივი წარმოების კვების პროდუქტებით, სოფლის ცხოვრების გაცნობას და ხშირად, მონაწილეობასაც კი. ადგილობრივი მაცხოვრებლები სოფლად აშენებენ, ფლობენ და განკარგავნ ტურისტულ ობიექტებს, ქმნიან სამუშაო ადგილებს და ტურისტების მიერ გაწეული დანახარჯებიდან იღებენ პირდაპირ ეკონომიკურ მოგებას.

სასოფლო ტურიზმის წარმატებული განვითარება არ მოითხოვს დიდ კაპიტალდაბანდებას, მაგრამ აუცილებლად საჭიროებს შესაბამის დაგეგმვას და მართვას. ადგილობრივმა მოსახლეობამ, ტურისტთა მოსახურებისათვის აუცილებლად უნდა გაიარონ სპეციალური მომზადება.

ტურიზმის ეს სახეობა, თავისი მახასიათებლების მიხედვით, ძალიან ახლოს დგას აგროტურიზმთან. დღევანდელი მსოფლიოს გლობალიზაციის პირობებში, მაშინ, როდესაც დიდი ქალაქების ორომტრიალში ჩაბმული ადამიანები მუშაობენ გადამდლელი ტექნიკით, მათი ჯანმრთელობა და სულიერი განწყობა მოითხოვს დასვენებას ბუნებაში, მშვიდ და წყნარ გარემოში, სუფთა ჰაერზე, ეკოლოგიურად სუფთა საკვებსა და წყალს. ასევე მნიშვნელოვანია, რომ მათთვის ჩნდება ბუნებასთან სიახლოვის და სოფლის გარემოს ნოსტალგია.

აგროტურიზმის განვითარება ხელს უწყობს ქვეყნის რეგიონების

ეკონომიკურ აღმავლობას. გასათვალისწინებელია, რომ აგროტურიზმი, ისევე როგორც სასოფლო ტურიზმი, არ მოითხოვს ისეთ მნიშვნელოვან ინვესტიციებს, როგორიც სჭირდება საკურორტო ინფრასტრუქტურას და ადგილობრივი ეკონომიკის მხარდასაჭერად საჭიროა გაცილებით ნაკლები ხარჯები.

საქართველოში ხელსაყრელი ბუნებრივი და კლიმატური პირობები ხელს უწყობს სასოფლო და აგროტურიზმის განვითარებას, რომელიც შიდა ტურიზმის განვითარების საფუძველს წარმოადგენს.

უკანასკნელი რამდენიმე წლის განმავლობაში საქართველოში ტურიზმის განვითარების პრიორიტეტებს შორის, შიდა ტურიზმის განვითარება მნიშვნელოვან ადგილს იკავებს. ამუშავდა როგორც სამთავრობო, ისე არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების პროექტი, რაც თვალისწინებს სოფლის მცხოვრებთა სახლების სასტუმრო სახლებად გადაკეთებას, ასევე ტურიზმში ჩაბმული მოსახლეობის გადამზადებას და ტრენინგებს (სასტუმრო მენეჯმენტი, გილი-გამყოლი და ა.შ.).

თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ტურიზმს, ისევე როგორც ყოველგვარ სამეწარმეო საქმიანობას, საკუთარი მიზნების მისაღწევად საწყისი კაპიტალი სჭირდება, ხოლო შემდგომ, საქმიანობის ფინანსური უზრუნველყოფა.

თუ გავითვალისწინებთ, რომ აგროტურიზმში დასაქმებული მეწარმე ძირითადად სოფლად მაცხოვრებელი ფერმერია, რომელთა უმრავლესობას არ გააჩნია აკუმულირებული კაპიტალი, მცირე ბიზნესის დაფინანსების ერთ-ერთ წყაროდ საბანკო კრედიტი რჩება.

ბანკები კრედიტს უპირატესად კრედიტუნარიან, მომგებიან და მზარდ მეწარმე ფერმერზე გასცემენ. სესხის ოდენობის დადგენაში მათ სხვა სახის ფინანსურ ანგარიშებთან ერთად, ორი ძირითადი ფინანსური დოკუმენტი უნდა დაეხმაროს – საბალანსო უწყისი და მოგება-ზარალის ანგარიში. წარსული საქმიანობის შედეგი არის ის ძირითადი კრიტერიუმი, რომელიც განსაზღვრავს ბიზნესის კრედიტუნარიანობას და შემდგომში მომგებიანობას დროის გარკვეული პერიოდის განმავლობაში.

ტურიზმის ბიზნესის სუბიექტები, სეზონურობიდან გამომდინარე, განიცდიან ფულადი საშუალებების უკმარისობას, რომელიც საჭიროა როგორც სეზონური ხარჯების დასაფარად, ისე გრძელვადიანი ინვესტიციების განხორციელებისთვის.

გამომდინარე იქიდან, რომ ფერმერთა ძირითადი შემოსავლები მნიშ-

ვნელოვნად დამოკიდებულია ბუნებრივ პირობებზე და მიღებულ მოსავლიანობაზე, ხოლო სოფლის მეურნეობის დაზღვევის ინსტიტუტი ჯერჯერობით განუვითარებელია ჩვენს ქვეყნაში, ამიტომ ფერმერები ხშირად დგებან ფინანსური პრობლემების წინაშე, რასაც თან სდევს მათ მიერ აღებული სესხების ვადებში დაუფარავობა, საკრედიტო რეიტინგის “გაფუჭება”, ხოლო უკიდურეს შემთხვევაში საშიშროება ემუქრება უზრუნველყოფაში გადაცემულ ძირითად ქონებას, როგორიცაა სახლი, სასოფლო მიწა და ა.შ.

მიმდინარე მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის გავლენის გამო, სასოფლო სამეურნეო სესხებზე მაღალი რისკების გამო, საბანკო საპროცენტო სარგებელი წლიური 16 %-დან, 36-48 %-მდე გაიზარდა, რაც კიდევ უფრო მძიმე ტკიროთად დაწვა ფერმერებს.

გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ გარდა საბანკო კრედიტისა, არსებობს ბიზნესის დაფინანსების სხვა წყაროც, მაგალითად, კენტურული კაპიტალი, რომელიც წარმოადგენს პირად ან გარე ინვესტიციებს, კორპორატიულ ფინანსურ რესურსებს, რომელსაც იძლევა უამრავი ფინანსური ინსტიტუტი და კორპორაცია, საინვესტიციო ბანკები და უცხოური კომპანიები, სადაზღვევო კომპანიები. მაგრამ ვენტურული კაპიტალის მფლობელები ყოველთვის ესწრაფვიან მაღალი სარგებლის მიღებას ინვესტირებული კაპიტალდაბანდებიდან და აგრეთვე, რაც ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია, ცდილობენ გადააქციონ საწარმო აქციონერულ საწარმოებად, მათი აქციების შექნის გზით, დააყრონ საკანძო პოზიციები მათ ბიზნესში და ჩაერთონ საწარმოს მართვაში, რითაც მფლობელები დაკარგავენ კონტროლს თავის ბიზნესზე.

გამომდინარე ყოველივე ზემოაღნიშნულიდან, ფერმერისთვის მისი ბიზნესის დაფინანსების ერთადერთ საშუალებად რჩება ბანკის კრედიტი, მიუხედავად მაღალი საპროცენტო სარგებლისა.

თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ბანკები აფინანსებენ მხოლოდ უკვე მოქმედ ბიზნესს და არა მის წამოწყებას, ანუ “სტარტაფს”, რაც მნიშვნელოვან ხელისშემსლელ ფაქტორად გვევლინება აგროტურიზმის, როგორც ბიზნესის განვითარების და აგრეთვე, სოფლად სიღარიბის დაძლევის საქმეში.

ტურიზმის განვითარების კონცეფციის გააზრებისათვის, მეტად მნიშვნელოვანია მისი შემაფერხებელი ფაქტორების სწორი ანალიზი, მხოლოდ დარგის წინაშე მდგარი პრობლემებისა და სუსტი მსარეების

განსაზღვრის შემდეგ გახდება შესაძლებელი მათი გადაჭრის გზების დადგენა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გაძომდინარე, მიმდინარე პერიოდში, დღის წესრიგში დგას ტურიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნისა და განვითარებისთვის საჭირო ინვესტიციების მოზიდვისა და სტიმულირების საკითხი. ძალზე მნიშვნელოვანია, რომ საქართველო იცნობდეს ტურიზმის განვითარების იმ მასტიმულირებელ ფაქტორებს, რომლებიც სხვადასხვა დროს გამოიყენებოდა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ტურიზმის დაჩქარებული განვითარების მიზნით.

საქართველოში ტურიზმის განვითარების ხელშემწყობი მნიშვნელოვნი ფაქტორები შესაძლოა იყოს შემდეგი: სამთავრობო გრანტები; სესხის გარანტიები; წილობრივი მონაწილეობა; ტურიზმის სფეროში საგადასახადო პოლიტიკის ლიბერალიზაცია; გადასახადების შემცირება; ბანკების მიერ ბიზნესის დაწყების ე.წ. “სტარტაფის” დაფინანსების შესაძლებლობა; ტურიზმის დარგში მცირე ბიზნესის განვითარების წახალისება; ტურისტული ბაზრის მარკეტინგული კოლევების და უფექტური რეკლამის წარმოება; შესაბამისი ინფრასტრუქტურის განვითარება, შესაბამისი სატრანსპორტო და სასტუმრო სიმძლავრეების შექმნა.

საქართველოში ტურიზმის განვითარებას თან ახლავს მთელი რიგი სარგებლობა, რომელთა შორის მნიშვნელოვანია: დასაქმება; სიღარიბეს-თან ბრძოლა; სახელმწიფო შემოსავლების ზრდა და ქვეყნის ინფრასტრუქტურის განვითარება. ყოველივე ზემოაღნიშნული საკითხების მოგვარება მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს მთელი ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ზრდის საქმეში.

## **მიკროსაფინანსო ორგანიზაციები საქართველოში და მათი საპრედიტო პრინციპები**

### **რუსულან პაპასკირი**

ტექნიკის აკადემიური დოქტორი,  
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

საქართველოს კანონში „მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ“<sup>1</sup> ვკითხულობთ: „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ან სააქციო საზოგადოების ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით დაფუძნებული იურიდიული პირი, რომელიც მისი განაცხადის საფუძველზე რეგისტრირებულია სააქართველოს ეროვნული ბანკის მიერ და ახორციელებს ამ კანონით გათვალისწინებულ საქმიანობას საქართველოს ეროვნული ბანკის ზედამხედველობით“<sup>1</sup>.

მიკროსაფინანსო ორგანიზაცია უფლებამოსილია, განახორციელოს იურიდიული და ფიზიკური პირებისათვის მიკროსესხების გაცემა. მის მიერ გაცემული მიკროკრედიტების მაქსიმალური ჯამური რაოდენობა ერთ შესხებელზე არ უნდა აღემატებოდეს 50 000 ლარს.

ამჟამად საქართველოს საკრედიტო ბაზარი სამი ძირითადი ინსტიტუტით არის წარმოდგენილი. ესენაა:

1. კომერციული ბანკები;
2. მიკროსაფინანსო ორგანიზაციები;
3. საკრედიტო-საშუალებლო ორგანიზაციები.

მიკროსაფინანსო ორგანიზაციების წარმომობა და განვითარება განსაკუთრებით აქტიურ თემად იქცა 2008 წლის მეორე ნახევარში, როცა აგვისტოს ომისა და დასავლეთში დაწყებული გლობალური კრიზისის გავლენით საქართველოს კომერციულმა ბანკებმა გაამკაცრეს საკრედიტო პოლიტიკა და, ფაქტიურად, შეწყვიტეს სესხების გაცემა. გაჩნდა კრედიტებზე დაუკმაყიფილებელი მოთხოვნა. ეს დეფიციტი, ფაქტიურად, ამოავსეს მიკროსაფინანსო ორგანიზაციებმა, რომლებიც კომერციული ბანკების ალტერნატივად მოევლინენ ქვეყანას.

ამჟამად საქართველოს ბაზარზე ფუნქციონირებენ ორი სახის მიკროსაფინანსო ორგანიზაციები:

<sup>1</sup> საქართველოს კანონი „მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ“, თბ., 2006, გვ. 1.

1. შედარებით მსხვილი მიკროსაფინანსო ორგანიზაციები. ისინი, ძირითადად, უცხოური კაპიტალით არიან შექმნილნი. ამ ორგანიზაციების ჩამონათვალში შედიან: CREDO (33272956 აშშ დოლარი კაპიტალით), ლაზიკა-კაპიტალი (7735072 აშშ დოლარი კაპიტალი), FINCA (16758554 აშშ დოლარი კაპიტალით), Crystal (8097561 აშშ დოლარი კაპიტალით) და აგროკრედიტი.<sup>1</sup>

ჩამოთვლილი მიკროსაფინანსო ორგანიზაციები ბაზარზე აგრო და მცირე ბიზნესს სესხებით არიან პოზიციონირებულები.

2. ლომბარდული მიკროსაფინანსო ორგანიზაციები. მათი აქტივები ფიზიკური ბირების სადამფუძნებლო კაპიტალით და მოზიდული სესხებით. ისინი ბაზარზე პოზიციონირებული არიან უძრავი ქონების და ლომბარდის ტიპის სესხით პროდუქტებით. ამ ტიპის მიკროსაფინანსო ორგანიზაციებიდან აღსანიშნავია „რიკო ექსპრესი“, „იზიკრედიტ ჯორჯია“, „ბი აი ჯი“ და „B – კრედიტი“.

პირველი ტიპის მიკროსაფინანსო ორგანიზაციები საქართველოს საკრედიტო ბაზარზე 2008 წლის აგვისტოს ომამდეც მუშაობები, ხოლო, რაც შეეხება მეორე ტიპის მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს, ისინი აგვისტოს ომის შემდეგ გამოჩნდნენ.

2006 წელს საქართველოში მხოლოდ 3 მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ფუნქციონირებდა, 2008 წელს მათი რიცხვი 27-მდეს გაიზარდა, 2009 წელს – 38-მდე, 2010 წელს – 49-მდე და 2011 წელს – 54-მდე (იხ. გრაფიკი). მაშისადამე 2008-2011 წლების პერიოდში მიკროსაფინანსო ორგანიზაციების რაოდებობა გაორმავდა.

მიკროსაფინანსო ორგანიზაციების რაოდენობის ზრდასთან ერთად იზრდებოდა მათი საკრედიტო პორტფელი. 2007-2011 წლებში იგი 56850448 ლარიდან 245996082 ლარამდე გაიზარდა (ანუ – თითქმის ხუთჯერ). ცალკეულ წლებში იგი შეადგენდა:<sup>2</sup>

2007 წელს – 56850448 ლარს.

2008 წელს – 112686196 ლარს.


2009 წელს – 130109 412 ლარს.

2010 წელს – 229 530 264 ლარს.

2011 წელს – 245996082 ლარს.

1 საქართველოს ეროვნული ბანკის 2010 წლის ფინანსური სტაბილურობის ანგარიში, 2011.


2 იქვე.




**ნახ. 1. მიკროსაფინანსო ორგანიზაციების  
რაოდენობის დინამიკა საქართველოში**

მიკროსაფინანსო ორგანიზაციები ბაზარზე პოზიციონირებული არიან იაპოლეკური სესხებით და ავტოლომბარდით. ამ სესხების უზრუნველყოფაა უძრავი ქონება და ავტომობილი.

საერთოდ, უნდა აღვნიშნოთ, რომ მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს კომერციულ ბანკებთან შედარებით მთელი რიგი უპირატესობები აქვთ. პირველ რიგში, ეს არის მომსახურების დროის სიმცირე. საბანკო კრედიტის პროცედურებთან განსხვავებით, მიკროსაფინანსო ორგანიზაციაში იგივე ოპერაციებს 2-ჯერ ნაკლები დრო სჭირდება და ყველა ოპერაცია ერთ სამუშაო დღეშია შესაძლებელი. ეს ჩანს ქვემოთ მოცემული სქემიდანაც.



ა) კომერციული ბანკი



ბ) მიკროსაფინანსო ორგანიზაცია

**სქემა. 1. საკრედიტო პროდუქტის პროცედურები კომერციულ ბანკში და მიკროსაფინანსო ორგანიზაციაში**

მეორე მიზეზი, რის გამოც საქართველოში მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს მრავალი მომხმარებელი (მსესხებელი) ჰყავს, იმაში მდგომარეობს, რომ კომერციულ კრედიტზე უკელა იურიდიული და ფიზიკურ პირს არ მიუწვდება ხელი. კომერციულ ბანკებს საკრედიტო ოპერაციები საკმაოდ ძვირი უჯდება და ყოველივე ეს უბიძებს მათ, მაქსიმალურად მკაცრად და კომპეტენტურად შეაფასონ რისკები და გამოხშირონ მაღალრისკიანი პროდუქტები, რადგან ბანკის შემოსავალზე და სიცოცხლისუნარიანობაზე გაპრობლებური სესხების მოცულობა დამლუპველად მოქმედებს. ამიტომ ისინი ამკაცრებენ სასესხო პროცედურებს და პირობებს და არჩევენ ნაკლებ რისკიან პროდუქტებს და ნაკლებ რისკიან მსესხებლებს – საუკეთესოებს საუკეთესოთა შორის.

დარჩენილი მსესხებლები, ცხადია, მიკროსაფინანსო ორგანიზაციების კლიენტები ხდებიან. ამას ემატებიან მცირე საწარმოები, რომელთაც მცირე და არასტაბილური შემოსავალი გააჩნიათ და ა. შ. ამას აგრეთვე ემატებიან სეგმენტები, რომელთაც არ აფინანსებს საბანკო სექტორი. ესენია: ახლად გახსნილი ორგანიზაციები, რომელთა საოპერაციო საქმიანობა არ აღემატება 6 თვეს (არადა, სწორედ მათ სჭირდებათ კრედიტი), სათამაშო ბიზნესი, ვალუტის გადამცვლელი პუნქტები და სხვები.

მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მომხმარებელთა სია საქართველოში კიდევ უფრო გაიზარდა ბოლო თრი-სამი წლის განმავლობაში, როცა კრედიტ-ინფო-ს ბაზაში მოხვდა 300 000 ურჩი გადამხდელი. მათი დავალიანება 6.4 მლრდ ლარია და აქედან მხოლოდ 2.9 მლრდ სესხი არის ქონებით უზრუნველყოფილი. რაღა თქმა უნდა, ეს მსესხებლები ვიდრე ძველ სესხებს არ დაფარავენ, ვერ აიღებენ ბანკში ახალ სესხს. ამიტომ ისინიც მიკროსაფინანსო ორგანიზაციების კლიენტები ხდებიან.

მეოთხე მიზეზი არის ბანკიდან გატანილი თანხის კრედიტის სიმცირე. ბანკი კრედიტს მომხმარებლის შემოსავლის მიზედვით უსაზღვრავს და რისკების დაზღვევის მიზნით ყოველთვიური გადასახადების სახით შემოსავლების 30-40%-ის უწესებს. ასეთი მიდგომა მრავალ მსესხებელს არ აწყობს და ისინიც ეძებენ ბანკის კრედიტის ალტერნატივას. ეს არის მიკროსაფინანსო ორგანიზაციების კრედიტი.

მიკროსაფინანსო ორგანიზაციები მეტად მოქნილი სტრუქტურის მქონენ არიან. მათი მართვის აპარატში 7-9 კაცია მხოლოდ. გადაწყვეტილების მიღების პროცესი და პირდაპირი და უკუკომუნიკაცია მათ შორის მეტად სწრაფად მიმდინარეობს.

საქართველოს მიკროსაფინანსო ორგანიზაციების საკრედიტო პრო-დუქტების საპროცენტო განაკვეთი მერყეობს 24-დან 48%-მდე. ასეთი მაღალი განაკვეთი მას შესაძლებლობას აძლევს, დააკრედიტოს სარისკო პროექტებიც. ამის გარდა, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები რისკს აზღვენ სესხის უზრუნველყოფით. ბანკებისაგან განსხვავებით, რომელთაც თითქმის 4 მლრდ-ის არაუზრუნველყოფილი სესხი აქვთ გაცემული, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები ასეთ სესხებს არ გასცემენ.

მიკროსაფინანსო ორგანიზაციის პოზიტიური მხარე კიდევ ის არის, რომ თუ მას სესხი გაუპრობლებდა, იგი 2 კვირის შემდეგ უკვე მიმართავს აუქციონს და ამით ახერხებს მინიმუმ 2 თვეში გაპრობლებური სესხის დაფარვას (ბანკებში ამას 6 და მეტი თვე სჭირდება).

ყოველივე ზემოთნათქამი გვაძლევს იმის საფუძველს, დაგასკვნათ, რომ ქართულ საკრედიტო ბაზარზე მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს მტკიცედ უკავიათ მცირე სესხების სეგმენტი და თუ ისინი ამ ტემპით განვითარდნენ, როგორც ვითარდებიან, ამ სეგმენტს დათმობენ და გაფართოვდებიან სხვა სეგმენტშიც. ამის გარკვეული ნიშნები მათ მიერ სოფლის მეურნეობის დაკრედიტებაში გამოიხატება. აქაც მათ კარგი რეპუტაცია აქვთ. კომერციული ბანკები რისკების შეფასების მგაც-რი პირობებით მომავალშიც ვერ შეძლებენ სასოფლო ფირმების დაკ-რედიტებას. ამიტომ ეს სეგმენტი მიკროსაფინანსო ორგანიზაციების იქნება. პრობლემა მხოლოდ იმაშია, რომ მიკროსაფინანსო ორგანიზა-ციებს რადგან არა აქვთ დეპოზიტების მიღების უფლება (ბანკებისგან განსხვავებით), მათი საკრედიტო რესურსი მცირეა და ვერ ფარავს სასოფლო-სამეურნეო ბიზნეს-სტარტების მოთხოვნას. კარგი იქნება, თუ საქართველოს ეროვნული ბანკი ჩაერთვება ამ საქმეში და დაარე-გულირებს მას.

**კომიტეტის განკის ფინანსურა-ანალიტიკურ  
საქმიანობაში ღია ინდიკატორების რეზულუტორების  
პრინციპების და მათი როლი ფინანსური  
ფინანსურის მრვლენების აღმოჩენაში**

**ჭრისტიან სულამანიძე  
სტუ დოქტორანტი**

გარდამავალი ეკონომიკის პირობებში კონკურენციის წარმოქმნასა და გაძლიერების პროცესს ეკონომიკური ზრდისა და სოციალური სტაბილურობის თვალსაზრისით, ახასიათებს წინააღმდეგობრივი მოვლენები, რომლებიც გამოიხატება როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი მხარეებით. გაკოტრებას, ბანკების ლიკვიდაციას მოსდევს უმუშევრობა, მეანაბრების დაკარგვა, სოციალური დამაბულობის ზრდა და გაკოტრებული ბანკის კლიენტების საქმიანობის ჩავარდნა. კონკურენციის უპირატესობა სახელმწიფო რეგულირებასთან შედარებით ყოველთვის და ყველაზე არ იყო კონკურენციის უარყოფით შედეგებზე მეტი. ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორი, რაც ამართლებს კონკურენციის გაძლიერების პროცესს, მდგრამარეობს იმაში, რომ სახელმწიფოს შეუძლია არეგულიროს ბანკების ლიკვიდურობა მაკროდონებზე, ამავე დროს ბანკების ხელმძღვანელებს ეძლევათ შესაძლებლობა მართონ ბანკის ლიკვიდურობა მიკროდონებზე. ყველაფერი ეს კომერციული ბანკების ლიკვიდურობის ოპტიმალური რეგულირების საკითხს აყნებს პირველ ადგილზე, რაც თავის მხრივ მნიშვნელოვნად განაპირობებს საბანკო საქმიანობაში წინააღმდეგობრივი მოვლენების აღმოფხვრის დაჩქარებას.

ლიკვიდობის ცნებას ეკონომიკურ ლიტერატურაში არა აქვს სავსებით სრული განმარტება, მაგრამ ერთერთ ყველაზე გავრცელებულ განმარტებაში, იგი განისაზღვრება შემდეგნაირად: ბანკის შესახებ ამბობენ, რომ იგი ლიკვიდურია, თუ აქვს საჭირო მომენტში ფულადი საშუალებები აუცილებელი მოცულობით. ბანკის ლიკვიდობის არსის შესახებ საინტერესო განმარტებას იძლევა პროფესორი ი. კოვზანაძე, რომელსაც ჩვენ სავსებით ვეთანხმებით<sup>1</sup>. მისი აზრით, ბანკის ლიკვიდობა ეს არის აქტივების გადახდის საშუალებად გამოყენებისა და მისი

<sup>1</sup> ი. კოვზანაძე. საქართველოს კომერციული ბანკების ფუნქციონირების პრობლემები თანამედროვე ეტაპზე, თუ გამომცემლობა, თბ, 2001, გვ.218.

ნომინალური ღირებულების შენარჩუნების შესაძლებლობა. ბანკი ითვლება ლიკვიდურად, თუ მის განკარგულებაში არსებუ-

ლი ფულადი სახსრები საქმარისია პასივების მიხედვით ვალდებულებების დროულად და სრულად დასაფარავად. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ლიკვიდობის ცწების შესახებ ყველაზე უფრო გავრცელებულ განმარტებაში არ არის ხაზგასმული, რომ ფულის საჭირო რაოდენობა ყოველგვარ მომენტშია საჭირო თუ არა. ჩვენი აზრით, ფულის საჭირო რაოდენობაზე როცა ვლაპარაკობთ, იგულისხმება ოპერაციების განსახორციელებულ მომენტში აუცილებელი მოცულობა. სწორედ ამაში ვლინდება ბანკის ლიკვიდობისა და გადახდისუნარიანობას შორის განსხვავება. საბანკო პრაქტიკაში არსებობს მიმდინარე ლიკვიდობის უზრუნველყოფის ორი წესი: 1. ფულადი ბაზრის ერთერთი სექტორიდან სესხის აღება და 2. აქტივების გაყიდვა. ბანკმა რომ უზრუნველყოს თავისი ლიკვიდობა, იგი ამცირებს შემოსავლებს, რომელიც ხორციელდება სესხის აღების პროცესში ხარჯების ზრდით, ან შემოსავლების შემცირებით დაბალ შემოსავლიან პროექტებში ინვისტირების მაღალ-ლიკვიდურ აქტივებში დაბანდებით. ამრიგად, დიდი მოცულობის ლიკვიდობა არის დადგებითი მომენტი მოკლევადიან პერსპექტივაში ბანკის განვითარების პროცესსათვის, მაგრამ მისი ნეგატიურმა დამოკიდებულებამ მომგებიანობის ოპერაციებზე, გრძელვადიანი გეგმის საფუძველზე, არ არის გამორიცხული, რომ უარყოფითად იმოქმედოს ბანკის საფინანსო-ეკონომიკურ მდგომარეობაზე. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ბანკის ლიკვიდობა არის აქტივების გადახდის საშუალებად გამოყენებისა და მისი ნორმალური ღირებულების შენარჩუნების შესაძლებლობა. ე.ი. ბანკი ითვლება ლიკვიდურად, თუ მის განკარგულებაში არსებული ფულადი სახსრები საქმარისია პასივების მიხედვით ვალდებულებების დროულად და სრულად დასაფარავად. აღნიშნულიდან გამომდინარე, საბანკო საქმიანობაში ლიკვიდობის რეგულირების სრულყოფის აუცილებლობა შეიძლება განვითილოთ როგორც პირობა, ასევე შედეგი ქვეყანაში განვითარებული ეკონომიკისა და საბანკო საქმიანობის ფუნქციონირების ეფექტურობის ამაღლების მიღწევისათვის. ბანკის ლიკვიდობა რეგულირების პრობლემები დაკავშირებულია უშუალოდ დინამიური მდგომარეობის შეფასებასთან და მისი ოპერაციების მომგებიანობასთან. შემოსული შემოსავლების, განხორციელებულ გასავლების და შედეგად მიღებული მოგების მკაცრი აღრიცხვა და კონტროლი ერთერთ მნიშ-

ვნელოვან პირობას წარმოადგენს კომერციული ბანკის ლიკვიდურობის წარმატებით რეგულირებაში.

ბანკის შემოსავალი კანონმდებლობით გათვალისწინებული იურიდიული და ფიზიკური პირების მიერ საბანკო მომსახურების და ბანკის სხვა ოპერაციების შემოსავლების ანაზღაურება.

ბანკის შემოსავლის კლასიფიკაცია რამდენიმე ნიშნით შეიძლება, მაგრამ ლიკვიდობის რეგულირების პროცედურების შესწავლისათვის ჩვენი აზრით, საბანკო საერთო შემოსავლებიდან სამი სახის შემოსავლების გამოყოფა არის საჭირო: 1. საბანკო საპროცენტო შემოსავლები – მასში შედის კრედიტის პროცენტები; პროცენტები ბანკის მფლობელობაში მყოფი სხვა ემიტენტების ფასიან ქაღალდებზე; ლიზინგის პროცენტი; პროცენტები ბანკში განთავსებულ ძვირფას ლითონებზე და ქვებზე; 2. საბანკო არასაპროცენტო შემოსავლები. მასში იგულისხმება: გადასახადები ანგარიშსწორებასა და საკასო მომსახურებაზე; ფასიანი ქაღალდების, საგადამხდელო დოკუმენტებისა და უცხოური ვალუტის შესყიდვა-გაყიდვით მიღებული შემოსავალი; გადასახადი გაცემულ თავდებობებსა და გარანტიებზე; გადასახადო ფორფორიტინგზე, ფაქტორინგსა და ჰეჭირებაზე; ძვირფასი ლითონებისა და თვლების, მათი ნაკეთობების ყიდვა-გაყიდვით მიღებული შემოსავლები; საკომისიო, საბროგერო და საკონსულტაციო მომსახურეობაზე გადასახადი; სატრასტო და სადეპოზიტო ოპერაციებზე გადასახადი; 3. საერთო სამეურნეო შემოსავლებში შედის: რეალიზებული ქონებიდან მიღებული შემოსავლები; გამოუყენებელი ნაგებობიდან ან სხვა ქონების არენდიდან შემოსავალი, ზემოთ აღნიშნული პირველი ორი სახის შემოსავლების მოცულობა ბანკის მთელი შემოსავლების სტრუქტურაში 90%-ს შეადგენს. ამ სახის შემოსავლების მიღება მხოლოდ ბანკისათვის არის დამახასიათებელი და იმ ოპერაციებიდან შემოდის, რომელიც საბანკო ლიცენზით არის წებადართული. ამ შემოსავლების მიღებას მუდმივი ხასიათი აქვთ. მესამე სახის შემოსავალი წინა ორთან შედარებით ეპიზოდური ხასიათისაა, მასში იგულისხმება: ტექნიკური გადაიარაღება; ქველი მოწყობილობების ახლით შეცვლა და მოძველებული ტექნიკის რეალიზაცია.

საბანკო შემოსავლებში მირთადი ხელი საპროცენტო შემოსავლებზე მოდის, ვინაიდან ბანკის მთავარი ფუნქციაა. კრედიტის გაცემა, სამეურნეო სუბიექტებს შორის ფულადი კაპიტალის გადანაწილება, მათი უფრო ეფექტური გამოყენების მიზნით ვადის, გადახდისა

## **ჟინანსები, ბანებაი, ბირჟები**

და დაბრუნების უზრუნველყოფის პრინციპების დაცვა. ბანკის შემოსავა-ლების რეგულირება ხორციელდება მაკროეკონომიკური და მიკროეკონო-მიკური რეგულირების ფორმებით, რომლის მთავარი ობიექტი შეიძლება იყოს როგორც ბანკის მთლიანი შემოსავალი, ასევე მისი ცალკეული სახეები, მაგალითად, საპროცენტო შემოსავლების მარკორუგულირება მდგრმარეთის საპროცენტო შემოსავლების ზრდის ან შემცირების სის-ტემის შექმნაში. დარეზერვირების ნორმის შემცირება საბოლოო ჯამში ზრდის მიღებული საპროცენტო შემოსავლის თანხას, რამდენადაც პა-რალელურად იზრდება ბანკის კრედიტუნარიანობა და დეპოზიტების მოზიდვის მოცულობა, ხოლო პირიქით, როდესაც ხდება დარეზერვირე-ბის ნორმის გაზრდა, ეს ამცირებს ბანკის საპროცენტო შემოსავლებს, რამდენადაც საპროცენტო განაკვეთების გაზრდით მსესხებლის რაოდე-ნობა და დაკრედიტების მოცულობა მცირდება და შესაბამისად იზრდება დაუბრუნებელი სესხების დაკარგვის საშიშროებასთან ერთად რისკის მოცულობა. საყურადღებოა აღნიშნოს ისიც, რომ ბანკის თითქმის ყვე-ლა არაპროცენტული შემოსავალი იძეგრება დამატებული ღირებულების გადასახადით, რაც არ ეხება საპროცენტო შემოსავლებს.

ბანკის შემოსავლების მიკრორულირება მენეჯერების მიერ ხორ-ციელდება გაწეული სარჯებისა და მიღებული მოგების ურთიერთოქ-მედების კონტექსტში. აღნიშნული პროცესი, რომ ნათელი გახდეს, აუ-ცილებლად მიგვაჩინა განვიხილოთ ბანკის მოგების მიკროეკონომიკური მართვის მეთოდები და ხერხები, მათი თავისებურებები!

საბანკო მოგების რეგულირება, პროგნოზირება და უზრუნველყოფა ბანკების ლიკვიდობის რეგულირების პოლიტიკის უმნიშვნელობანეს შე-მადგენელ ნაწილებს წარმოადგენს. საბანკო მოგება ბანკის საქმი-ანობის ფინანსური შედეგია და წარმოადგენს სხვაობას შემოსავალსა და გასაგალს მორის. აღნიშნულიდან გამომდინარე საბანკო მოგების ძირითადი სახეებია:

1. საბანკო მარჟა - საპროცენტო შემოსავალსა და საპროცენტო ხარჯს შორის სხვაობა. იგი გამოხატავს რამდენად ეფექტურად გამოი-ყენება ბანკის მიერ მოზიდული რესურსები მათ ფასთან შეფარდებით;

2. საოპერაციო მოგება – ეს არის სხვაობა საპროცენტო და არასაპ-როცენტო შემოსავლებსა და საპროცენტო და არასაპროცენტო ხარჯებს

1 მ. კაგულია. საფლუტო სისტემის განვითარების პრობლემები საქართველოში. გამომცემლობა „ფინანსები“, თბილისი 2001, გვ. 130-136.

შორის. იგი გვიჩვენებს უშუალოდ საბანკო ლიცენზიის მქონე ოპერა-ციების განხორციელების შედეგს.

3. საბალანსო მოგება – ეს არის სხვაობა ყველა სახის შემოსავ-ალსა და ხარჯებს შორის. იგი გვიჩვენებს ბანკის მთელი საქმიანობის საფინანსო-ეკონომიკურ შედეგს.

4. სუფთა მოგება – წარმოადგენს საბალანსო მოგებასა და მისგან გადახდილ გადასახადებს შორის სხვაობას. იგი გვიჩვენებს საბოლოო ფინანსურ შედეგს, რომელიც შემდგომ საფუძვლად ედება ბანკის განვი-თარების მიმართულებების განსაზღვრას და ბანკების საკუთარი სარეზ-ერგო ფონდების შექმნას.

5. დასაბაგრი მოგება – იგი წარმოადგენს მოგების იმ ნაწილს, რომელიც განსაზღვრულია ნორმატული აქტების შესაბამისად ბანკის ძირითადი გადასახადის, მოგების გადასახადის გაანგარიშებისათვის.

ვიხილავთ რა საბანკო მოგების ძირითად სახეებს, ყურადღებიდან არ უნდა გამოგვრჩეს მოგების სხვა სპეციალიზირებული სახეები, რო-გორიცაა: მოგება ფასიანი ქაღალდების ოპერაციებიდან<sup>1</sup>, მოგება ნაღ-დი უცხოური ვალუტის ოპერაციებიდან და სხვ. ამ სახის მოგება შეზღუდულია გამოყენების თვალსაზრისით და გამოხატავს მხოლოდ ბანკის ამა თუ იმ რგოლის საქმიანობის შედეგს. მოგების მაკრორეგუ-ლირება ეხება საბალანსო და წმინდა მოგებას. საბანკო საქმიანობაში აგრეთვე არსებობს ისეთი სახის გადასახადები, რომლებიც მთლიანად დამოკიდებულია შემოსავლების მთლიან თანხებზე და იზრდება შე-მოსავლების გადიდების პარალელურად. მათ მიეკუთხება სხვადასხ-ვა სოციალურ-სადაზღვევო შენატანები, ადგილობრივი გადასახადები, ქონების გადასახადი, გადარიცხვები დეპოზიტების დაზღვევის ფონდში და სხვ. ასე რომ ყველა სახის ხარჯები ქველმოქმედებაზე, რეკლამაზე, ამორტიზაციაზე, რეზერვებზე, ტექნიკისა და მოწყობილობების შეძენაზე ამცირებებ ბანკის წმინდა მოგების სიდიდეს და უარყოფითად მოქმედებს ბანკის საქმიანობის ფინანსურ მდგომარეობასა და სტაბილიზაციაზე. რაც შეეხება მოგების მიკროეკონომიკურ რეგულირებას, მისი განხორ-ციელების მეთოდებია: კრედიტზე საპროცენტო გრაკვეთის შემცირე-ბა; თანამშრომელთა შორის ანაზღაურება დეპოზიტებზე პროცენტის დარიცხვით; მოწყობილობებისა და ძირითადი საშუალებების შეძენა

1 რ. ასათაძი. საით მივყაფართ რეფორმებს? ეკონომიკის რეფორმების ალტერნატიული სტრატეგია, ჟ. „ეკონომიკა“, 2004. #4, გვ.5-8.

დაკრედიტების საშუალებით; მომგებიანი ოპერაციების გაფართოება და მაღალი ხარჯების მქონე ოპერაციების შემცირება. ასე მაგალითად, საქართველოში შეიმჩნეოდა ბოლო დროს პროცესები, როდესაც ჯერ ზრდიდნენ, ხოლო შემდეგ ამცირებდნენ განყოფილებების საქმიანობის ჩარჩოებს სავალუტო ოპერაციების განხორციელებისას, ბანკთაშორისი დაკრედიტების, საკრედიტო ურთიერთობების, გადამცვლელი პუნქტებისა და კერძო პირებთან ოპერაციების მიმართულებით. საბანკო საქმიანობის ხარჯების ნაწილში ასევე შეიმჩნეოდა ბანკების განვითარების პოლიტიკის მაგალითზე ბანკების ახალი ფილიალების „გაფართოება-შემჭიდროება“. აღნიშნულმა პროცესმა ამჟამადაც ფართო განვითრება ჰპოვა საბანკო სისტემის ფუნქციონირების ფარგლების გაფართოებაში.

ლიკვიდობის რისკის მართვა გულისხმობს მისი მართვის მეთოდების შემუშავებასა და პრაქტიკულად განხორციელებას. ლიკვიდობის მართვის პოლიტიკამ უნდა გადაწყვიტოს ლიკვიდობისა და რენტაბელობას შორის არსებული დილემა. აქედან გამომდინარე, ბანკის წინაშე წარმოიშობა ამოცანა მოახდინოს თავის ოპერაციებიდან შემოსავლების მაქსიმალიზაციის მიღწევა აღნიშნულ შეზღუდვების პირობებში. აქვე უნდა შევნიშნოთ, საბანკო საქმეში არსებობს გაურკვევლობის ფაქტორი, რაც იმაში გამოიხატება, რომ ბანკის ხელმძღვანელობას წინასწარ არ შეუძლია თვითდაჯერებით, დაბეჯითებით მგაცრად განსაზღვროს ან გათვალისწინოს როდის და რა მასშტაბით წარმოიშობა ლიკვიდობის პროცესში, მაგრამ როდესაც იგი წარმოიშობა, უკვე მომხდარი ფაქტია და შეგვიძლია მხოლოდ მასზე ზემოქმედება ღონისძიებების საშუალებით, წინასწარ შექმნილი რეზერვების, აქტივების და პასივების განსაკუთრებული სტრუქტურის ან არასამუშაო ოპერაციების საფუძველზე.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ლიკვიდობა დამოკიდებულია არა მხოლოდ აქტივებისა და პასივების სტრუქტურაზე, არამედ მათ შესაბამისობაზე. უფრო ნათლად რომ შევაფასოთ აღნიშნული მოსაზრება, ამ შემთხვევაში საჭიროა გავარკვიოთ ურთიერთობა ლიკვიდობასა და მომგებიანობას შორის ისე, რომ არ გამოვრიცხოთ ამ ორი ცნების მჭიდრო კავშირი გადახდისუნარიანობასთან. ეჭვს არ იწვევს ის ფაქტი, რომ ლიკვიდობა ყოველთვის არ შეესაბამება მომგებიანობას. როგორც წესი, ისინი თანახვედრი არიან, აძლიერებენ ერთმანეთს, მაგრამ ხანდახან შორდებიან კიდევ.

მომგებიანობის განსაზღვრიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ

შემოსავლიანობის ფორმირება შესაძლებელია ქონების ერთი ფორმით, ხოლო გასავლებისა და სხვა ვალდებულებების შესრულება აუცილებელია სხვა ქონებით.

ერთი ფორმის მეორედ კონვერტაციისათვის, აუცილებელია დრო და ამ დროის განმავლობაში, ბანკი იქნება არა ლიკვიდური, მაგრამ მომგებანი. უფრო ნათლად რომ გავიგოთ, საკმარისია იმ მაგალითის მოყვანა, როდესაც ბანკი კრედიტის დაუფარაობისას მიმართავს იძულებით ანაზღაურებას – გირაოს. გირაოს მეშვეობით შესაბამისი ბუდალტრული გატარებით იფარება თვითონ კრედიტი და საკრედიტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული პროცენტები, ძირითადი საშუალებების ანგარიშზე აისახება შენობის შეფასების თანხა. კრედიტის გაცემით მიღებული პროცენტები შემოსავალში აისახება და წარმოიშობა მოგება, თუმცა ბანკმა დეპოზიტის დაბრუნება და მოგების გადასახადის გადახდა უნდა მოახდინოს ლიკვიდური ფულადი საშუალებებით და სანამ იგი გირაოთი აღებული შენობის რეალიზაციას მოახდენს, ადგილი აქვს წინააღმდეგობას, ერთდროულად არალიკვიდურობისა და მომგებიანობის პერიოდს შორის. აღნიშნულიდან გამომდინარე, არ შეიძლება „მომგებიანობის ან ლიკვიდურობის“ საკითხის დაყენება, ვინაიდან მათ შორის არა უკუპროპორციული, არამედ პირდაპირ პროპორციული დამოკიდებულებაა. გარდა ამისა, დაბეჭითებით შეიძლება ითქვას, რომ ბანკის აქტივების ზრდას თან ახლავს ლიკვიდობის შემცირების ტენდენცია. ბანკი რაც უფრო მსხვილია, მით უფრო ნაკლებად ლიკვიდურია.

ასევე ლიკვიდურობასა და მომგებიანობას შორის წონასწორობის პრობლემის დაყენება თეორიულად არაკორექტულად და პრაქტიკულად უსარგებლოდ მიგვაჩნია შემდეგ გარემოებათა გამო: პირველი, პრაქტიკიდან გამომდინარე, ლიკვიდური აქტივების შემოსავლიან პერიოდში გადაყვანით, მართალია, ბანკი აუარესებს მოკლევადიან ლიკვიდობას, მაგრამ ამ დროს უმჯობესდება გრძელვადიანი ლიკვიდობა და თანაც უფრო მეტად, თუ ოპერაციები საიმედოა. ამიტომ ლიკვიდობას, თუ კომპლექსური თვალსაზრისით მივუდგებით, დილემა – „მოგება ან ლიკვიდობა“ აზრს კარგავს; მეორე, ბანკის საქმიანობა ზეგავლენას ახდენს რესურსების მოზიდვის შესაძლებლობებზე, რომლებიც თავის მხრივ, აუცილებელია აქტიური შემოსავლიანი ოპერაციების და პასივების ვალდებულებების შესრულებისათვის, რაც თავის მხრივ განსაზღვრავს ბანკის ლიკვიდობას. ბანკის მაღალი ლიკვიდობის პირობებში,

უფრო სწრაფად აღწევს ბანკი თავის დასახულ მიზნებს, კლიენტების რესურსებისა და კვალიფიციური კადრების მოზიდვას ბანკის მიზნობრივი პროგრამების დაფინანსებაში; მესამე, ლიკვიდობის დროებითი კრიზისი განსაკუთრებით მწვავედ იჩენს თავს სავალდებულო რეზერვების ფონდში გადარიცხვების ნორმების მკეთრი ზრდის დროს. გრძელვადიან არალიკვიდობას მიყვავართ არამომგებიანობისაკენ (ჯარიმების ზრდის გამო), ხოლო არამომგებიანობას – არალიკვიდურობისაკენ, ხოლო მომგებიანობა ლიკვიდობასთან ერთად ამაღლებს და აძლიერებს ერთმანეთს; და, ბოლოს, მეოთხე, საქართველოს ბანკები, რომლებიც მოზიდულ რესურსებს განათავსებენ უცხოურ ვალუტაში, კონვერტაციის დროს რეგულარულად აწყდებიან წინააღმდეგობებს. კერძოდ, ბანკებს შემოსავლები უმთავრესად უცხოურ ვალუტაში აქვთ, ხოლო გადასახადების გადახდა აუცილებელია ლარებით. ასევე რესურსები მოზიდულია უცხოურ ვალუტაში, ხოლო სავალდებულო რეზერვების ფონდში გადარიცხვები ლარებში ხორციელდება.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ განმარტებიდან გამოდინარე, ერთი შეხედვით კომერციული ბანკის ლიკვიდობა არ განსხვავდება გადახდის-უნარიანობისაგან, ე.ი. ბანკის შესაძლებლობისაგან დროულად აგოს პასუხი თავისი გალდებულებების შესრულებაზე დროის რაღაც განსაზღვრულ მომენტში. მოუხედავად ლიკვიდობისა და გადახდისუნარიანობის ცნებების მსგავსებისა, აუცილებელია მათ შორის განსხვავებების დანახვაც. კერძოდ, მხედველობაში უნდა ვიქონიოთ ის, რომ ლიკვიდობა გალდებულებების დაფარვის შესაძლებლობაა, ხოლო გადახდისუნარიანობა – ვალდებულებების შესრულებისათვის პირობების შექმნაა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ლიკვიდობის არარსებობის შემთხვევაში ბანკს არ შეუძლია არ გასცეს დეპოზიტი დღეს და გადაიხდოს ჯარიმა დაყოვნებისათვის, ხოლო ბანკში სახსრების შემოსავლის შემდეგ გასცეს დეპოზიტი, აღადგინოს ლიკვიდობა. ამ შემთხვევაში გადახდისუნარიანობა დარჩება ისეთივე, როგორიც იყო იგი ვალდებულებების ვადაში შესრულებისას. აღნიშნულიდან გამომდინარე, გადახდისუნარო ბანკად იგულისხმება ის ბანკი, რომელსაც შეუძლია ადრე თუ გვიან შეასრულოს ვალდებულებები. ლიკვიდურია ბანკი, რომელიც ვადაში ასრულებს ყველა ვალდებულებას.

როგორც ვხედავთ, ლიკვიდობასა და გადახდისუნარიანობას შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირია, არალიკვიდობასა და გადახდისუნარი-

ანობას შორის სიტუაციის შეუსაბამობა დიდხანს ვერ გაგრძელდება, რადგან შეუსრულებელ ვალდებულებებზე ჯარიმების მოცულობა ყოველდღიურად გაიზრდება. განსაზღვრული ზღვრის მიღწევის შედეგ არალიკვიდობა მიგვიყვანს გადახდისუუნარობამდე, ვინაიდან ვალდებულებები უფრო სწრაფად გაიზრდება, ვიდრე აქტივები. ამ შემთხვევაში, თუკი ბანქმა შესძლო ლიკვიდობის აღდგენა ამ კრიტიკულ ზღვარამდე მისვლამდე, მაშინ ლიკვიდობის კრიზისი დროებითი ხასიათის მატარებელი იქნება. წინააღმდეგ შემთხვევაში ბანკი ლიკვიდობის კრიზისიდან გადახდისუუნარობის კრიზისში გადავა და საბანკო საქმიანობი უარყოფითი პრაქტიკული შედეგით – ლიცენზიის ჩამორთმევით და შესაბამისი ღონისძიებების გატარებით დამთავრდება.

როგორც საბანკო საქმიანობის მსოფლიო პრაქტიკა გვიჩვენებს, ამჟამად შემუშავებულია ლიკვიდობის მართვის მთელი რიგი მეთოდები, რომელიც ემყარება აქტივების, პასივების და ორივეს ერთ-დროულად მართვას<sup>1</sup>. ლიკვიდობის მართვის თითოეულ მეთოდს სხვა მეთოდებთან შედარებით გააჩნიათ თავისი უპირატესობები და ნაკლოვანებები. უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ ამა თუ იმ მეთოდის გამოყენების მიზანშეწონილობა ემყარება საბანკო პორტფელის მდგომარეობას, მხედველობაში გვაქს საბანკო ოპერაციების განხორციელების დროს ამ თავისებურებების გათვალისწინება. ასე მაგალითად, როდესაც ბანკი იყენებს პრინციპულად სხვა წყაროებს საშუალებების მობილიზაციისათვის, ამ შემთხვევაში ლიკვიდობის მართვის ამოცნა როულდება და ამიტომ შეიძლება უფრო მიზანშეწონილი იყოს ფონდების კონვერსიის მეთოდის გამოყენება, რომელიც გულისხმობს როგორც აქტივების, ასევე პასივების მართვას. მაგრამ იმ შემთხვევაში, როდესაც ბანკის რესურსების წყარო ერთგვაროვანია და ფულად ბაზარზე ოპერაციები შეზღუდულია, პირიქით, შესაძლებელი და ამასთანავე მიზანშეწონილი შეიძლება იყოს უფრო როული საფონდო პულის მეთოდის გამოყენება. საფონდო პულის მეთოდის გამოყენება ლიკვიდობის მართვაში გულისხმობს საბანკო პრაქტიკაში უკვე აპობირებული მეთოდის გამოყენებას, ანუ სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ბანკის შესაძლებლობის მართვას, შეიძნოს ფულადი საშუალებები სწრაფად ნაღდი და უნაღდო ფორმით,

1 ბ. ბოლქვაძე. ფისკალური და მონეტარული პოლიტიკის კოორდინაციის მნიშვნელობა საქართველოს გარდამჯალ ეკონომიკაში. გამომცემლობა „უნივერსალი„, თბილისი 2009, გვ. 124, 153-154.

მისაღები ფასით, მიმდინარე ვალდებულებათა დასაფარავად.

ლიკვიდობის მართვა შეიძლება განხორციელდეს ფონდების მართვის მეთოდებით. არსებული მეთოდის არსი იმაში მდგომარეობს, რომ ხდება ლიკვიდობის საერთო მოთხოვნილებების შეჯერება ბანკში არსებული დაფარვის წყაროებთან. ამასთანავე გამოიყენება ასევე ლიკვიდობის ბალანსის მჩქენებლები. აღნიშნული პროცესის მართვის არსი იმაში მდგომარეობს, რომ ბანკის ყველა საშუალებები, რომლებსაც იგი ღებულობს სხვადასხვა წყაროებიდან განიხილება, როგორც ბანკის ერთანა პულ საშუალებად. ამ შემთხვევაში ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ ამით შეიქმნას ლიკვიდობის უზრუნველყოფისათვის პირველადი და მეორადი რეზერვები. პირველადი რეზერვები შედგება აბსოლუტურად ლიკვიდურ აქტივებიდან, მხედველობაში გავაქვს სალაროებში თანხები და საკორესპონდენტო ანგარიშების ნაშთები, ხოლო მეორადი რეზერვების შემადგენლობაში შედის მაღალლიკვიდური აქტივები, რომლებიც შეიძლება სწრაფად რეალიზდეს ბრუნვის დაჩქარების შესაძლებლობებიდან გამომდინარე. საქართველოს პირობებში მასში შედის სახელმწიფო მოკლე და საშუალოვადიანი სახაზინო ვალდებულებები, ფასიანი ქაღალდები. აქვე უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ როცა ბანკს დაკავებული აქვს გრძელი სავალუტო პოზიცია და შემოსავლებს მიღება უზრუნველყოფილია დროის განმავლობაში, ამ შემთხვევაში დამატებითი რეზერვები და ლიკვიდური უცხოური ვალუტის სახეები შეიძლება განხილული იქნას, როგორც მეორადი რეზერვები. ფულადი საშუალებების რეზერვები აუცილებელია ბანკის ყოველდღიური ოპერაციების განხორციელების საჭიროებისათვის. აღნიშნულიდან გამომდინარე, ლიკვიდობის წარმოშობის დროს ამ პირობების მოვარებას პირველადი რეზერვი იღებს თავის თავზე და ამიტომ პირველადი რეზერვები წარმოადგენერ არაშემოსავლიან აქტივებს, ხოლო მეორადი რეზერვები ამის შემდეგ უკვე უზრუნველყოფენ ბანკის გარკვეული შემოსავლის მიღებას.

ბანკში ლიკვიდობის საერთო შედეგის შეფასებისათვის აუცილებელია საბანკო საქმიანობაში ამისათვის აპრობირებული ოთხივე კოეფიციენტი განვიხილოთ. მაგალითად, თუ თანაფარდობა კრედიტებსა და დეპოზიტებს შორის ნორმაზე მაღალია, ჩვენ შეიძლება გავთვალოთ, რომ ამ ბანკს აქვს დიდი მოცულობის საკრედიტო პორტფელი, ან ბანკს გათვალისწინებული აქვს ნაესსები და ჩართული საშუალებების არადეპოზიტურ წყაროებიდან მოზიდვა. იმისათვის, რომ გავაკეთოთ

დასკვნა, სინამდვილეში რომელ შესაძლებელ ვარიანტებთან გვაქვს საქმე, ჩვენ უნდა გავაანალიზოთ თანაფარდობა კრედიტებსა და საშუალებებს შორის, რომელიც ჩართულია არასადეპოზიტო წყაროებიდან. თუ ამ მოცემული კოეფიციენტის მნიშვნელობა ასევე დიდია, ჩვენ შეგვიძლია გავაკეთოთ დასკვნა, რომ ბანკს გააჩნია რეალურად უფრო მეტი რესურსები საკრედიტო პორტფელის სიღილესთან შედარებით. ამ შემთხვევაში უარყოფილი იქნება მოსაზრება იმის შესახებ, რომ ბანკს ეკუთვნის დამატებითი საშუალებები არასადეპოზიტო წყაროებიდან. ამ პრობლემის ლოგიკურ განხილვას თუ გავაგრძელებთ და განვიხილავთ გადასახადებისაგან თავისუფალ ლიკვიდურ აქტივებსა და არასადეპოზიტო წყაროებიდან მიღებულ ნასესხებ და ჩართულ საშუალებებს შორის თანაფარდობას, შეიძლება ავსნათ, აქვს თუ არა ბანკს მოკლევადიანი სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების მეორად რეზერვებიდან მნიშვნელოვანი ნაწილი განსაკარგავად. თუ ეს თანაფარდობა არ არის მნიშვნელოვნად დარღვეული, ეს იმას ნიშნავს, რომ ბანკს აქვს შეფარდებით, არც ისე დიდი მეორადი რეზერვების სიდიდე ლიკვიდობის კრიზისის წარმოშობის შემთხვევაში, მისი დარღვეულირებისათვის.

ლიკვიდობის მართვის პრობლემების მოგვარებაში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძნეს ფულადი საშუალებების მოძრაობის შეფასება, გაზომვა<sup>1</sup>. ლიკვიდობის განსაზღვრის სხვა მიღომას წარმოადგენს ლიკვიდობის მოთხოვნილების მოცულობასა და მისი დაკამაყოფილების წყაროების დინამიკს განხილვა. აღნიშნულთან დაკავშირებით სასარგებლოო ხერხს წარმოადგენს ლიკვიდობის მოთხოვნილების პრიონოზის გაკეთება ცხრილებისა და გრაფიკის საშუალებით, რომელიც ერთის მხრივ მოიცავდეს იქნება უახლოეს კვირების და თვეების განმავლობაში ლიკვიდობის მოთხოვნის მაჩვენებლებს, ხოლო მეორე მხრივ, ღროის იმავე პერიოდში მისი დაფარვის წყაროების მოცულობას. ასეთი მიღომის ხერხების ხელსაყრელობა განსაკუთრებით მაღალია, როდესაც გვაქვს უტესები ინფორმაცია ლიკვიდობის მოთხოვნის გაზრდაზე და შესაბამისად ხდება დამატებითი საკრედიტო ნაკადების გახსნის შესახებ ხელშექრეულების დადებამაგალითად, საშუალებები მოთხოვნამდე ანგარიშებზე განსხვავდება უფრო მაღალი სარეზერვო მოთხოვნებით და სწრაფი ბრუნვით, ხოლო სახსრები, რომლებიც

1 ი. გაშაფაძე. საქართველოს საბანკო სისტემის ფინანსური მდგრადობის მნიშვნელობა ეკონომიკის სტაბილიზაციის მიღწევაში, გამომცემლობა „ბათუმის უნივერსიტეტი“, 2005, გვ. 64-65.

მოზიდულია სასწრაფო შენატანების ფორმით, პირიქით. აღნიშნულიდან გამომდინარე, ლიკვიდობის მართვის გაუმჯობესებისათვის, დასაბუთებული ფონდების კონკრეტისაის მეთოდის გამოყენების დროს, ჩვენი აზრით აუცილებელია: ჯერ ერთი, სხვადასხვა წყაროებიან მოზიდული ყველა საშუალებები განაწილდეს მათი ბრუნვისა და სარეზერვო მოთხოვნის მიხედვით ანგარიშებად; მეორე, თითოეული წყაროებან მიღებული საშუალებები განაწილდეს შესაბამისი აქტივების დაფინანსებისათვის; მესამე, ასეთი მიღომით დიღემის „რისკი-შემოსავლები“ პრობლემა გადაწყვდება ცალცალკე საშუალებების ჭოველი წყაროსათვის, იმის გათვალისწინებით, რომ თითქოს ისინი წარმოადგენენ ცალკეულ ბანკებს და აქედან გამომდინარე მინი-ბანკის მეთოდის ფორმის სახელწოდებით იმოქმედებს.

საბანკო ლიკვიდობის მართვის რეგულირებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ლიკვიდობის უზრუნველყოფისათვის სხვადასხვა შემოსავლების მიღების სარეზერვო პოზიციის მართვის, საკრედიტო პოზიციის მართვისა და სეკურიტიზაციის მეთოდებს.

სარეზერვო პოზიციის მართვის მეთოდი ხსაიათდება სხვა მეთოდებთ-ან შედარებით დიდი უპირატესობასთან ერთად ნაკლოვანებებით. მისი შინაარსი მდგომარეობს შემდეგში: პირველ რიგში აუცილებელია განვსაზღვროთ სარეზერვო პოზიცია, ე.ი. წინასწარ არ ხდება მეორადი რეზერვების ფორმირება, არამედ ფონდების რაოდენობის პროგნოზირებას განვსაზღვრავთ, რომლითაც შეგვიძლია ბანკთაშორის ფულად ბაზარზე საჭირო ფულადი სახსრები შევიძინოთ და ამის საფუძველზე ფულად საშუალებების შესაძლებელ გადინების შემთხვევაში ვიყენებთ მას პროფინანსირებისათვის. როგორც ვხედავთ, ამ მეთოდის უპირატესობა ნათელია, რამდენადაც იგი იწვევს: 1. დაბალშემოსავლიან და არაშემოსავლიან აქტივების სვედრითი წილის შემცირებას; 2. ბანკის ბალანსიდან დეპოზიტების ამოღების შემთხვევაში ვალუტების მოცულობა არ მცირდება, ან თუ მცირდება მცირე ხარისხით მეორადი რეზერვების არალიკვიდურობის საფუძველზე. ამ შემთხვევაში ბანკის მხრიდან ადგილი აქვს დამატებითი საშუალებების მოზიდვის განხორციელების მასშტაბების გაფართოებას. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ამ მეთოდის გამოყენების დროს ლიკვიდობის რისკს ცვლის რისკის სხვა სახეები, კერძოდ საპროცენტო განაკვეთების ცვლილებების რისკი და ფონდების მოძიების რისკი, რომლებსაც განსაზღვრავს ბანკთაშორისი ბაზარზე ოპერაციების მოცულობის ტევადობა.

ლიკვიდობის მართვის სხვა შემოსავლის მიღების მეთოდია ასევე საკრედიტო პოზიციის მართვის მეთოდი. მისი არსი იმაში მდგომარეობს, რომ ხდება განსაზღვრული საკრედიტო პოზიციის ჩამოყალიბება, ე.რ. ფულადი საშუალებების მოცულობის განსაზღვრა, რომელსაც ბანკი მოკლევადიან პერიოდში მიღებს, თუ არ გაანახლებს მოკლევადიანი კრედიტების გაცემას. ლიკვიდობის მართვისადმი ასეთი მიღობა განპირობებულია ფონდების მოძიების რისკის ფაქტორით და მისი აქტუალობა იზრდება ფულადი ბაზრის ფუნქციონირების განვითარების ფარგლების შესაბამისად.

ლიკვიდობის მართვის რეგულირებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს ასევე სეკურიტიზაციის მეთოდი, რომელიც თავის მხრივ პორტფელის აქტიური მართვის მთავარ მეთოდსაც წარმოადგენს. ტერმინი „სეკურიტიზაცია“ ინგლისური წარმოშობის სიტყვა არის – „Securites“ და გულისხმობს ფასიან ქაღალდებთან ერთად, ფასიან ქაღალდებში ბანკის აქტივების მოძრაობას. აქტივების სეკურიტიზაციის დროს საკრედიტო რესურსების განთავსება ხდება არა მარტო საკრედიტო ხელშეკრულების დადგების საფუძველზე, არამედ თამასუქების გამოყენების გზით (მოკლევადიანი დაკრედიტების დროს) და ობლიგაციების გამოყენებით (გრძელგადანი დაკრედიტების დროს).

საყურადღებოდ მიგვაჩნია იმის აღნიშვნაც, რომ სეკურიტიზაციასთან დაახლოებულ ალტერნატიულ გზას წარმოადგენს უფლების გადაცემა, ანუ დათმობის განხორციელება (მაგალითად, კრედიტის დათმობა). ამრიგად, დასკვნის სახით შეიძლება აღვნიშნოთ, რომ სეკურიტიზაცია, ფართო გაგებით ნიშნავს, არა მარტო კრედიტების ფასიან ქაღალდებში გარდაქმნას, არამედ ამ ფორმაში ბანკის ყველა აქტივის გადასვლას, რომელიც მესამე პირზე უფლების გადაცემის საფუძველზე ხორციელდება. ბანკის მართვის მეთოდები თავს იყრის საბანკო საქმიანობის სტრატეგიულ რეგულირებასა და დაგეგმვაში, რომელიც ყველა ქვეწის ბანკს მსოფლიო სხვა ქვეყნების ბანკებთან და USAID-თან აკავშირებს. სტრატეგიული რეგულირებისა და დაგეგმვის მეთოდის სწორად წარმართვა საშუალებას იძლევა, რომ ბანკმა თავის საქმიანობაში თანმიმდევრულ და სტაბილურ ზრდას მიაღწიოს და შესაძლებლობების გონივრული გამოყენების შედეგად, თავიდან აიცილოს ამ გზაზე არსებული მოსალოდნელი საშიშროებები და მინიმალური დანაკარგების საფუძველზე აამაღლოს საკრედიტო პორტფელის მართვის ეფექტურობა.

## პომერციული ბანების საპრეზიდენტო პოტენციალი, მისი სტრუქტურა და ღინამიკა

ნინო გრიგალაშვილი  
ბაზნესის აღმინისტრირების  
დოქტორი

„კომერციული ბანების შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, ბანკი არის დაწესებულება, რომელიც დასაქმებულია ფულადი ანაბრების ან სხვა საგადასახადო საშუალებათა მოზიდვით, აგრეთვე, თავის ხარჯზე კრედიტების გაცემით დაბრუნებადობის, ფასიანობის, უზრუნველყოფის და ვადიანობის პირობით. კანონისა და ნორმატიული აქტების თანახმად, ბანკის საქმიანობა მკაცრად უნდა კონტროლდებოდეს ეროვნული ბანკის მიერ, რაც ბანკის მეანაბრების, კლიენტებისა და თვით ბანკის პარტნიორების ბანკის არაკეთილისინდისიერი და უკანონო მოქმედებებისაგან დაცვის წინაპირობაა.

კომერციული ბანკის საკრედიტო პოტენციალი განისაზღვრება, როგორც ბანკში მობილიზებული სახსრების სიდიდე ლიკვიდურობის რეზერვის გამოკლებით. კომერციული ბანკის ლიკვიდურობის საერთო რეზერვი ცენტრალური ბანკის მიერ დადგენილ აუცილებელი რეზერვის ნორმაზე და ბანკის მიერ ინდივიდუალურად განსაზღვრულ ლიკვიდურობის რეზერვის დონეზეა დამოკიდებული.

ტრადიციულად, ბანკის საკრედიტო პოტენციალის ყველა წყარო, საკუთარი და ნასესხები სახსრებია. კომერციული ბანკის, მთელი რესურსები, ჩამოყალიბების ხერხის მიხედვით, იყოფა საკუთარ და ნასესხები (მოზიდულ) სახსრებად. ძირითადი ადგილი ნასესხებ სახსრებს უჭირავს, რომლებიც ეკონომიკური ხასიათიდან გამომდნარე, დეპოზიტების, საშემნახველო ანაბრებისა და ფულადი ბაზრის სახსრების (ბანკოაშორისი სესხები და ფასიანი ქაღალდები) სახით გამოდან.

ლიკვიდურობის პრინციპის გათვალისწინებით, კომერციული ბანკის საკრედიტო პოტენციალის, ყველა სახსრები, მათი სტაბილურობის ხარისხის მიხედვით, შეიძლება დაიყოს: აბსოლუტურად სტაბილური, სტაბილური და არასტაბილური სახსრები.

საკრედიტო პოტენციალის პირველ ჯგუფში, მაგალითად სტაბილური სახსრების შემადგენლობაში შედის: ბანკის საკუთარი სახსრები;

განსაზღვრული ვადით დეპონირებული სახსრები; სხვა ბანკებიდან მიღებული საკრედიტო სახსრები.

სტაბილური სახსრები – ეს ბანკის კომიტენტების წარდგინებით დეპონირებული სახსრებია, რომელთა დინამიკაც, ბრუნვადობა ბანკის მიერ არის შესწავლილი და ამ სახსრების საშუალო თანხაა დადგენილი. ბანკს ნებისმიერ დროს შეუძლია ამ სახსრების განსაზღვრულ აქტივებში გამოყენება.

არასტაბილური სახსრები იმ დეპოზიტურ სახსრებს ქმნის, რომელიც პერიოდულად ჩნდება და რომელთა დინამიკაც ძნელი გასათვალისწინებელია.

ბანკების საკუთარ სახსრებს მიეკუთვნება საწესდებო ფონდი, სარეზერვო ფონდი, სხვა ფონდები, რომლებიც შექმნილია ბანკის მოგების ხარჯზე, სადაზღვევო რეზერვები, ასევე წლის განმავლობაში გაუნაწილებელი მოგება.

კომერციული ბანკის წარმატება, დიდწილადაა დამოკიდებული იმ ფაქტორების აღრიცხვაზე, რომლებიც საკრედიტო პოტენციალის სახსრების მოზიდვაზე ახდენენ გავლენას. ბანკის პოლიტიკის ეფექტიანობა მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია საკრედიტო პოტენციალის სახსრების ფორმირებაზე.

საწარმოებისა და ორგანიზაციების სახსრები საკრედიტო პოტენციალის ფორმირების ძირითადი ფაქტორია. საწარმოების სახსრების აკუმულაციისათვის რეალური შესაძლებლობების ანალიზი და შეფასება, ერთი მხრივ, და იმავე საწარმოების ფულად სახსრებზე მოთხოვნები – მეორე მხრივ, საბანკო საქმიანი პოლიტიკის მნიშვნელოვანი ელემენტებია.

კომერციული ბანკების მიერ, ცენტრალური ბანკების კრედიტების გამოყენების შესაძლებლობა, მეურნეობის განვითარების ამა თუ იმ ეტაპზე, ქვეყნის ფულადი საკრედიტო პოლიტიკით განისაზღვრება. სებ-ის მონეტარული პოლიტიკის კიდევ ერთი ინსტრუმენტის – მინიმალური სარეზერვო მოთხოვნების საშუალებით ხდება საბანკო სესხებისა და დეპოზიტების დინამიკაზე ზემოქმედება. ეროვნულ ბანკში დეპონირებული სავალდებულო რეზერვების მოცულობის გაზრდა ან შემცირება შესაბამისად ამცირებს ან ზრდის კომერციული ბანკების საკრედიტო პოტენციალს.

კომერციულ ბანკებზე სარეზერვო მოთხოვნა ზემოქმედებს, როგორც

## **ჟინანსები, ბანდები, ბირჟები**

გადასახადი, ამცირებს მიმოქცევაში არსებული ფულის მასას, აძვირებს კრედიტებს, შესაბამისად ამცირებს მათზე მოთხოვნას და საბოლოო ჯამში უარყოფითად მოქმედებს ეკონომიკის ეფექტიან ფუნქციონირებაზე.

საქართველოს საბანკო სისტემის ფინანსური მდგრადობა უდიდეს ზეგავლენას ახდენს ეროვნული ეკონომიკის შემდგომ განვთარებაზე, ამასთანავე გულისხმობს: კაპიტალის საქმარისობის გაძლიერებას, აქტივების ხარისხის ამაღლებას, რისკების მართვის თანამედროვე პრინციპების დანერგვას, ლიკვიდობის, დეპოზიტების დაზღვევის უზრუნველყოფისათვის საჭირო პირობების შექმნის და საბანკო საიდუმლოების დაცვის სახელმწიფო რეგულირების აუცილებლობას.

საკრედიტო სისტემის მდგრადობისა და საიმედობის ხარისხის ამაღლება, განაპირობებს არა მარტო ბანკების და მათი კლიენტების, არამედ საზოგადოების იმ ინტერესების დაცვასაც, რაც ბიზნესის და მთლიანად ეკონომიკის დინამიურ განვითარებას უკავშირდება.

ხშირ შემთხვევებში ბანკის საიმედოობის სინონიმად იგულისხმება მისი მდგრადობა. თუმცა, მდგრად ბანკში უფრო ფუნდამენტური აზრია ჩადებული. საიმედოობა ბანკის მდგრადობის გამოვლენის უმნიშვნელოვნების ფორმაა. საიმედო ბანკი, რა თქმა უნდა, მდგრად და მყარ ბანკს წარმოადგენს.

კომერციული ბანკის საიმედოობაში დიდ როლს ასრულებს ეკონომიკური ფაქტორები, რომელთა შორის განსაკუთრებით საყურადღებოა ნებისმიერი ეკონომიკური სტრუქტურის ფინანსური მდგრადობის ისეთი პირობები, როგორიცაა: კაპიტალის საქმარისობა, აქტივებისა და პასივების ხარისხი, შემოსაკლიანობა და ლიკვიდობა.

ბანკების ფინანსური მდგრადობა გარდა იმისა, რომ უდიდეს ზეგავლენას ახდენს ეროვნული ეკონომიკის შემდგომ განვითარებაზე, ამასთან გულისხმობას შემდეგს: კაპიტალის საქმარისობის გაძლიერებას, აქტივების ხარისხის ამაღლებას, რისკების მართვის თანამედროვე პრინციპების დანერგვას, ლიკვიდობის, დეპოზიტების დაზღვევის უზრუნველყოფისათვის საჭირო პირობების შექმნისა და საბანკო საიდუმლოების დაცვის სახელმწიფო რეგულირების აუცილებლობას.

ნებისმიერი კომერციული ბანკის სტაბილური ფუნქციონირებისათვის აუცილებელია შეტუშავდეს ამ ბანკის ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფის შეფასების მეთოდიკა. ამ შემთხვევაში განსაკუთრებული

ადგილი ბანკის რეიტინგს უკავია. ბანკის რეიტინგის მიხედვით განი-საზღვრება თუ ბანკი გარკვეული დროის მანძილზე როგორ ასრულებს თავის ვალდებულებებს.

ფულად-საკრედიტო პოლიტიკის როლი, საბანკო სისტემის მდგრა-დობის უზრუნველყოფაში იმაში მდგომარეობს, რომ ბანკების აქტი-ვების ზრდის, საკუთარი და მოზიდული კაპიტალის და ლიკვიდობის რეგულირების პროცესში ფულად-საკრედიტო პოლიტიკის კლასიკური ინსტრუმენტები — ღია ბაზრის ოპერაციები და საკრედიტო აუქციონე-ბი — მიზნად უნდა ისახავდეს არა საბანკო სისტემიდან ლიკვიდობის მოქლევადიან ამოღებას, არამედ საბანკო სისტემის პერსპექტივაში ფი-ნანსური მდგომარეობის გავანსაღებას. ამიტომ აუცილებელია საბან-კო სფეროში ფინანსური მდგრადობის განმტკიცებისათვის, ლიკვიდო-ბის ოპერატიული მართვისა და კომერციული ბანკების დეპოზიტებზე რიცხული თანხების გამოყენების გაუმჯობესებისათვის კომერციული ბანკების მინიმალური რეზერვებისა და საკორესპონდენტო ანგარიშების გაერთიანების პროცესის სრულყოფა.

## რეზილიანტური ეკონომიკა

### ქ. თბილისის სამშენებლო კლასტერის განვითარება

ირინა ჯელია  
სტუ დოქტორანტი

კლასტერში იგულისხმება „დამოუკიდებელი საწარმოო ან სერვისული ფირმების (მიმწოდებლების ჩათვლით), ტექნილოგიებისა და „ნოუ-ჰაუს“, საშუალებლო საბაზრო ინსტიტუტების და მომხმარებლების ქსელი, რომლებიც ურთიერთმოქმედებენ ერთმანეთთან ღირებულების შემქნელი ერთი ჯაჭვის ფარგლებში“ [1, გვ. 73-74]. მაიკლ პორტერის თეორიის თანახმად კლასტერი არის გარევულ სფეროში მოღვაწე, გეოგრაფიულად მეზობელი ურთიერთშემავსებელი და ურთიერთდაკავშირებული კომპანიების ჯგუფი (მიმწოდებლები, მწარმოებლები და სხვ.), მათთან საქმიან ურთიერთობებში მყოფ ორგანიზაციებთან (საგანმანათლებლო ორგანიზაციებთან, სახელმწიფო მართვის ორგანოებთან, ინფრასტრუქტურის კომპანიებთან) ერთად [2]. ორივე ამ განმარტებიდან ნათლად ჩანს, რომ კლასტერი არის მეზოეკონომიკური სტრუქტურა, რომლის მონაწილე კომპანიები და მათთან დაკავშირებული ორგანიზაციები უნდა მოქმედებდნენ განსაზღვრულ სფეროში, აერთიანებდეთ ერთობლივი საქმიანობა და ავსებდნენ ერთმანეთს. მისი მთავარი თავისებურებაა მონაწილეობა ურთიერთობების ტრანსფორმაცია გეგმიურ-ორგანიზებული და არა სტრუქტურ-საბაზრო საფუძვლებზე.

ტრადიციული დარგების მოშლის გამო, დღევანდველ პირობებში მეზოეკონომიკური სტრუქტურები – დარგთაშორისი სამეურნეო გაერთიანებები, რომლებიც ახორციელებენ სტრატეგიულ მართვას ტექნილოგიური ჯაჭვით – ნედლეულის მოპოვებიდან ახალი პროდუქციის წარმოებითა და მისი რეალიზაციით დამთავრებული, – მთავარი ეკონომიკური სუბიექტები ხდებიან. ამ სტრუქტურათა შორის ერთ-ერთი მთავარია კლასტერები.

კლასტერული განვითარების თეორიის ფუძემდებელია მაიკლ პორ-

ტერი. მან უკრადება მიაქცია იმ ფაქტს, რომ ერთი დარგის ფირმები, რომლებიც საერთაშორისო ბაზრებზე მყარ პოზიციებს ფლობენ, გან-ლაგებული არიან არა უსისტემოდ, არამედ კონცენტრირებულად ერთ ქვეყანაში, ხშირად კი ერთი ქვეყნის ერთ რეგიონში [3, გვ. 23]. ეს დასკვნა მან გააკვთა 100-ზე მეტი დარგის შესწავლით და აღმოჩენილი ფაქტი შემთხვევთობას კი არ მიაწერა, არამედ კანონზომიერებას და ამ სივრცეს, რომელშიც ეს წარმატებული ფირმები ფუნქციონირებენ, კლასტერი უწოდა. ითქვა ისიც, რომ არ არის აუცილებელი ეს სივრცე ერთი გეოგრაფიული აღგილი იყოს, თუმცა, ურთ გეოგრაფიულ არეალში კლასტერის მონაწილეების ყოვნა აძლიერებს კლასტერის შიგნით მიმდინარე პროცესებს და უფრო დინამიკურს ხდის მის განვითარებას.

კლასტერი მაქსიმალურად უფექტურად იყენებს საბაზრო მექანიზ-მის დადგენით მომენტებს. კარგად განვითარებული კლასტერის შიგნით ინფორმაციის გაცვლა ძალიან სწრაფად მიმდინარეობს. მასში ჩართული ფირმები ერთმანეთს ეხმარებიან ახალი პროდუქციის გასაღებაში, ინფორმაციების ხელშეწყობაში და ა. შ. სარგებელი კლასტერის ყველა მონაწილეზე ვრცელდება. სხვა კლასტერიდან შემოსულნი მას ახალ ხედგას სთავაზობენ. კლასტერის შიგნით არსებულ კავშირებს, ხშირად ასელლუტურად მოულოდნელად, კონკურენციაში ახალი გზების შემუშავებისკენ ან ახალი შესაძლებლობების შექმნისკენ მივყევართ.

კლასტერების ძირითადი უპირატესობები მდგომარეობს შემდეგში [4, გვ. 101]:

მეტოქების, საქონლის მყიდველების და მომწოდებლების კონცენტრაცია და შედეგად წარმოების სპეციალიზაციის გაღრმავება;

● კერძო – სახელმწიფო ორგანიზო პარტნიორობის საფუძველზე ცოდნის გაერთიანების ახალი ფორმების შექმნის სტიმულირება;

● ბიზნესის მსოფლიო ღიდერებისადმი სწორებისაკენ ღტოლვა;

● რეგიონული კლასტერების ორგანიზაციით ქვეყნის დეპრესიული და პრობლემური ტერიტორიების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ტემპების დაჩქარება;

● ისეთი ბიზნეს-კლიმატის შექმნა და შენარჩუნება, რომელიც უზრუნველყოფს საბოლოო შედეგების უფექტიანობას;

● ტერიტორიის განვითარების პოტენციალის კომპლექსურად გამოყენება;

● მოსახლეობის დასაქმების და ცხოვრების დონის ამაღლება.

კლასტერი არის თანასაზოგადოება, მჭიდროდ დაკავშირებული დარგებით, რომლებიც ერთმანეთს უწევენ მძაფრ კონკურენციას და ამით ეხმარებან კონკურენტუნარიანობის ამაღლებაში. იგი არ წარმოადგენს მისი შემადგენელი სუბიექტების მექანიკურ ერთობლიობას. მისთვის დამახასიათებელია სინერგიული ეფექტი, ანუ გაზრდილი ეფექტი, რომელიც არ წარმოადგენს ე.წ. „შესაკრებთა უბრალო არითმეტიკულ ჯამს“. იგი მასზე მეტია. ეს მეტობა მიიღება კლასტერში შემავალ ეკონომიკურ სუბიექტთა ერთობლივი, დაბალიანსებული და ჯანსაღი კონკურენტული ურთიერთობის საფუძველზე. რიგი სპეციალისტები [5, გვ. 67] ასახალებენ სხვა სახის ეფექტებსაც – წარმოების მასშტაბის ეფექტს და ჩაბმის (მომცველობის) ეფექტს. მათი აზრით „ამ სამი ეფექტის (მასშტაბის, მომცველობის და სინერგიის) მოქმედებისას კლასტერის არამოგებიან ფირმებს შეუძლიათ გადალახონ მოგების ნორმის ქვედა ნიშნული სპეციალიზაციის შესაძლებლობების შედეგად, რაც იწვევს შრომის მწარმოებლურობის ამაღლებას და წარმოებული პროდუქციის თვითონირებულების შემცირებას“. მეცნიერთა ამ მოსაზრებას ჩვენც ვეთანხმებით, რადგან ჩვენი გამოკვლევით, რომელიც ჩავატარეთ ქ. თბილისის რეგიონულ სამშენებლო კლასტერზე, სწორედ ასეთი შედეგები აღმოგაჩინეთ.

ამჟამად თბილისის სამშენებლო კლასტერი აერთიანებს 74 სამშენებლო კომპანიას. აქედან 23 არის მსხვილი, 31 – საშუალო სიდიდის, დანარჩენი წვრილი ფირმება. მსხვილ კომპანიათა შორისაა: „ცენტრ-პოინტი“, „არსი“, „აქსიის“, „მაგისტრალი“, „კალასი“, „სასკო“, „კიდარქიტექტურა“, „არქესტურიას მოდული“, იბრია“, „მერიდიანი“, „ტექსი“, „ოლიმპიური ვარსკვლავი“ და სხვები. კომპანიების ზემოთ ჩამოთვლილი ათეული მთლიანი სამშენებლო ბაზრის 70%-ს იკავებს [6, გვ. 7].

ჩვენი გამოკვლევით ქ. თბილისის სამშენებლო კლასტერში შემავალი სამშენებლო კომპანიები მეტად აქტიურად მუშაობენ. 2000-2009 წლებში მათ მიერ გამოშვებული პროდუქციის მოცულობა 10-ჯერ და მეტად არის გაზრდილი (ცხრილი 1).

საქართველოს მასშტაბით სამშენებლო პროდუქციის საერთო გამოშვებაში თბილისის კლასტერის წილი 2000 წელს 67.7%-დან 72.8%-მდეა გაზრდილი. ასე რომ თუ თბილისის კლასტერში 2000 წელს გამოშვებული იქნა მხოლოდ 120.8 მლნ ლარის პროდუქცია, 2009 წელს მან

## ეპონომია №3-4, 2012

1 მლრდ ლარს გადაჭარბა. 2009 წელს საქართველოში დამთავრდა და ექსპლოატაციაში გადაეცა 1413 ობიექტი 517220 კვ მეტრი ფართობით, აქედან 1034 ობიექტი 377556 კვ მეტრი ფართობით ქ. თბილისის სამშენებლო კლასტერზე მოდიოდა (ცხრილი 2). 2009 წელს 2006 წელთან შედარებით მშენებლობადამთავრებული ფართობები ქ. თბილისის კლასტერში თითქმის 4-ჯერ (393.4%) არის გაზრდილი. ეს მაჩვენებლები თბილისის სამშენებლო კლასტერის ცხოველმყოფელობაზე მიგვანიშნებს.

### ცხრილი 1

პროდუქციის გამოშევება ქ. თბილისის სამშენებლო კლასტერებში [7]

	მთლიანად საქართველოს მშენებლობა- ში	მ. შ. თბილისის სამშენებლო კლასტერში	თბილისის ხვ. წილი, %	დინამიკა %-ად 2000 წელთან, მლნ ლარი	
				საქარ- თველოში	თბილისში
2000	177.7	120.8	67.7	100.0	100.0
2006	1186	756.9	63.8	670.0	625.6
2007	1718.2	1105.3	64.3	965.2	913.2
2008	1434.7	887.2	61.8	805.6	733
2009	1752.6	1275.1	72.8	984.2	1053.7

### ცხრილი 2

მშენებლობადამთავრებული ობიექტების რაოდენობა და ფართობი  
ქ. თბილისის სამშენებლო კლასტერში [7]

	სულ საქართველოში		მ. შ. თბილისი		მშენებლობადამ- თავრებული ფართო- ბების დინამიკა %-ად 2006 წელთან	
	რაოდე- ნობა	ფართობი, მ2	რაოდე- ნობა	ფართო- ბი, მ2	რაოდე- ნობა	ფართობი, მ2
2006	663	141127	450	9596	100.0	700.0
2007	1378	564699	889	364231	400.1	379.5
2008	1120	409390	707	257916	290.0	268.8
2009	1413	517220	1034	377556	366.5	393.4

## რეგიონული ეკონომიკა

იგივე ითქმის სამშენებლო პროდუქციის ბრუნვის მოცულობაზე ანუ რეალი-ზაციის მოცულობაზე (ცხრილი 3). ბრუნვის მაჩვენებლები თთქმის ემთხვევა პროდუქციის გამოშვების მაჩვენებლებს, რაც იმას ნიშნავს, რომ თბილისის სამშენებლო კლასტერებში გამოშვბეული პროდუქცია გასაყიდი არ რჩება.

### ცხრილი 3 ბრუნვის მოცულობა ქ. თბილისის სამშენებლო კლასტერში 2000-2009 წლებში (მლნ ლარი) [7]

წლები	მთლიანად საქართველოს მშენებლობაზი	მ. შ. თბილისის სამშენებლო კლასტერში	თბილისის ხეედრითი წილი %	დინამიკა %-ად 2000 წელთან	
				საქართველოსი	თბილისის
2000	182.2	122.1	67.0	100.0	100.0
2006	1125.6	776.3	68.9	618.1	636.1
2007	1604.6	1122.1	69.9	881.3	919.6
2008	1412	891.0	63.1	775.8	730.3
2009	1736.3	1266.0	72.9	954.1	1037.7

თბილისის სამშენებლო კლასტერის საბაზო დარგი – მშენებლობა ქმნის საქართველოს მშენებლობის სექტორში მთლიანად შექმნილი დამატებული ღირებულების საშუალოდ 60%-ს. ამ მაჩვენებლის დინამიკა მუდმივად მზარდია. 2009 წელს 2006 წლის მიმართ მან 169%, ანუ საქართველოს მშენებლობის ანალოგიურ მაჩვენებლებზე, 18.2%-ით მეტი შეადგინა (ცხრილი 4, 5). იგივე პროპორციებია შუალედური მოხმარების მიმართაც. თბილისის სამშენებლო კლასტერში შუალედური მოხმარება 2006-2009 წლებში 68.4%-ით არის მომატებული.

## ცხრილი 4

დამატებული ღირებულების მოცულობა თბილისის სამშენებლო კლასტერში  
(მლნ ლარი) [7]

წლები	მთლიანად საქართველოს მშენებლობაში	მ. შ. თბილისის სამშენებლო კლასტერში	თბილისის ხვედრითი წილი %	დინამიკა %-ად 2000 წელთან	
				საქართველოში	თბილისში
2006	4014	239.2	59.6	100.0	100.0
2007	630.6	415.8	66.0	157.1	173.6
2008	482.3	303.0	62.8	120.2	126.7
2009	605.3	404.1	66.7	150.8	169.0

## ცხრილი 5

დამატებული ღირებულების მოცულობა თბილისის სამშენებლო კლასტერში  
(მლნ ლარი) [7]

წლები	მთლიანად საქართველოს მშენებლობები	მ. შ. თბილისის სამშენებლო კლასტერებში	თბილისის ხვედრითი წილი %	დინამიკა %-ად 2000 წელთან	
				საქართველოში	თბილისში
2006	784.5	517.6	65.9	100.0	100.0
2007	1087.6	689.5	63.3	138.6	133.2
2008	952.4	584.2	61.3	121.4	112.9
2009	1147.5	871.0	75.9	146.3	168.4

თბილისის სამშენებლო კლასტერში შრომითი დანახარჯების მდგომარეობა ასეთია (ცხრილი 6). როგორც ცხრილიდან ჩანს 2006 წელს ქ. თბილისში გაწეულია 155.2 მლნ ლარის, ხოლო 2009 წელს კი 220.6 მლნ ლარის შრომითი დანახარჯი. პროდუქციის რეალიზაციის 1000 ლარზე ანგარიშით იგი შეადგენს:

$$2006 \text{ წელს} \quad 155.2 : \frac{776.3 \text{ მლნ ლარი}}{1000} = 199.9 \text{ ლარი}$$

$$2009 \text{ წელს} \quad 220.6 : \frac{1266 \text{ მლნ ლარი}}{1000} = 174.3 \text{ ლარი}$$

მაშასადამე, თბილისის სამშენებლო კლასტერში სამუშაოთა შესრულება იმდენად ინდუსტრიული გახდა, რომ 2006-2009 წლებში ყოველ 1000 ლარ სამუშაოს შესრულებაზე გაწეული შრომითი დანახუჯები შემცირდა 199.9 ლარიდან 174.3 ლარამდის, ე. ი. 12.8%-ით.

ცხრილი 6  
შრომითი დანახუჯების მოცულობა თბილისის სამშენებლო კლასტერში  
2006-2009 წწ.-ში (მლნ ლარი) [7]

წლები	მთლიანად საქართველოს მშენებლობაში	მ. შ. თბილისის სამშენებლო კლასტერში	თბილისის ხელდროიტი წილი %	დინამიკა %-ად 2000 წელთან	
				საქართველოში	თბილისი
2006	256.4	155.2	60.1	100.0	100.0
2007	372	235.4	63.2	145.3	151.6
2008	272.3	174.7	64.3	106.2	112.9
2009	324.2	220.6	67.9	126.6	1419

ეს გაანგარიშება ქ. თბილისის სამშენებლო კლასტერის უპირატესობას ადასტურებს იმით, რომ შრომითი დანახუჯების მაჩვენებელი მთლიანად საქართველოს მშენებლობაში 2009 წელს შეადგინდა 187 ლარს (ყოველ 1000 ლარ პროდუქციის რეალიზაციაზე), ანუ გაცილებით მეტს, ვიდრე თბილისის სამშენებლო კლასტერში.

რაც შეეხება შესყიდვებს (ცხრილი 7) თბილისის სამშენებლო კლასტერში შესყიდვების მოცულობა 2007-2009 წლებში მხოლოდ 12.2%-ით არის გაზრდილი (შედარებითვის: პროდუქციის გამოშვება

2007-2009 წლებში 15.4%-ით არის გაზრდილი). ამ განსხვავებას იწვევდა ის გარემობა, რომ კლასტერში შემავალი საბაზო დარგის – მშენებლობის პროფილის კომპანიებს მრავალი ძირითადი სამშენებლო ნაკეთობის და მასალის (მაგ.: მეტალო-პლასტიმასის ნაკეთობები, რკინა-ბეტონის კონსტრუქციები, ასაწყობი ბლოკები და ა. შ.) წარმოება თვითონ აქვთ მოწყობილი და გარედან მხოლოდ ზოგიერთ მასალასდა ყიდულობენ (მ. შ. ძირითადადაც ცემენტი).

## ცხრილი 7

**საქონლისა და მოშსახურების შესყიდვების მოცულობა ქ. თბილისის  
სამშენებლო კლასტერში 2006-2009 წწ.-ში (მლნ ლარი) [7]**

წლები	მთლიანად საქართ- ველოს მშენე- ბლობაში	მ. შ. თბილისის სამშენე- ბლო კლას- ტერებში	თბილისის ხევდრითი წილი %	დინამიკა %-ად 2000 წელთან	
				საქართ- ველში	თბილისში
2007	1130.1	751.6	66.4	100.0	100.0
2008	952.1	589.2	61.8	84.2	78.4
2009	1118.9	843.5	75.4	98.9	112.2

ქ. თბილისის რეგიონის სამშენებლო კლასტერში ამჟამად 24487 კაცია დასაქმებული. ეს არის მთლიანად საქართველოს მშენებლობაში დასაქმებულთა 56.3% (ცხრილი 8). 2000-2009 წლებში დასაქმებულთა რიცხვი თბილისის სამშენებლო კლასტერში 2-ჯერ და მეტად არის გაზრდილი (234,6%). ამ მაჩვენებლითაც იგი აღემატება საქართველოს საშუალო მაჩვენებელს (216.5%).

დასაქმებულთა რაოდენობა ქ. თბილისის სამშენებლო კლასტერში (კაცი) [7]

წლები	მთლიანად საქართველოს მშენებლობაში	ქ. შ. თბილისის სამშენებლო კლასტერში	თბილისის ხევდრითი წილი %	დინამიკა %-ად 2000 წელთან	
				საქართველოში	თბილისში
2000	20066	10437	52.0	100.0	100.0
2006	46681	23754	50.9	232.6	227.6
2007	52572	28918	55.0	262	277
2008	38109	20055	52.6	189.9	192.1
2009	43452	24487	56.3	216.5	234.6

ზრდადი ტენდენციით ხასიათდება შრომის მწარმოებლურობაც. 2006-2009 წლებში იგი 58.2%-ით არის გაფიდებული. აბსოლუტურ გამოსახულებაში შრომის მწარმოებლურობის მატებამ შეადგინა 19 020 ლარი (ცხრილი 10). შრომის მწარმოებლურობის ზრდის პროპორციულად უნდა გაზრდილიყო დასაქმებულთა შრომის ანაზღაურებაც. აქ მცირე დარღვევას აქვს ადგილი. შრომის საშუალო თვიური ანაზღაურება გაზრდილია 163.7%-ით, შრომის მწარმოებლურობა კი მასზე ნაკლებად – 158,2%-ით, რაც არ არის მიზანშეწონილი საერთოდ ქ. თბილისის სამშენებლო კლასტერში შრომის საშუალო თვიური ანაზღაურება (2009 წელს – 758.1 ლარი) 129.1 ლარით აღემატება მთლიანად მშენებლობის დარგის შესაბამის საშუალო მაჩვენებელს (629 ლარი).

## ცხრილი 9

შრომის მწარმოებლურობა თბილისის სამშენებლო კლასტერში  
2006-2009 წლებში (ლარი)

წლები	ბრუნვის მოცულობა თბილისის სამშენებლო კლასტერში	დასაქმებულთა რიცხვი თბილისის სამშენებლო კლასტერში (კაცი)	შრომის მწარმოებლურობა თბილისის სამშენებლო კლასტერში	შრომის მწარმოებლურობის დინამიკა %-ად 2006 წელთან
2006	776300000	23754	32681	100
2007	1122100000	28918	38803	118.7
2008	891000000	20055	44428	135.9
2009	1266000000	24487	51701	158.2

## ცხრილი 10

დასაქმებულთა შრომის საშუალო თვიური ანაზღაურება ქ. თბილისის სამშენებლო კლასტერში (ლარი) [7]

წლები	მთლიანად საქართველოს მშენებლობაში	მ. ს. თბილისის სამშენებლო კლასტერში	თბილისის ხევდრითი წილი %	დინამიკა %-ად 2000 წელთან	
				საქართველოში	თბილისში
2006	391.0	463.2	118.4	100.0	100.0
2007	495.1	565.6	114.1	126.6	122
2008	600.9	730.6	121.5	153.7	157.7
2009	629.0	758.1	120.5	160.8	163.7

ცხადია, თბილისის რეგიონული სამშენებლო კლასტერში ეს წარმატებები მიღწეული ვერ იქნებოდა, რომ არ ხდებოდეს დიდი ინვესტიციების განხორციელება. ცხრილი 11 გვიჩვნებს, რომ ქ. თბილისის მშენებლობაში 2006 წელს განხორციელდა 166 მლნ ლარის ინვესტიცია, შემდეგ კი იგი მნიშვნელოვნად შემცირდა ქვეყანაში არასტაბილური ეკონომიკურ-პოლიტიკური ძალის აგვის-

## რეზილიანციური ეპონომია

ტოს ომის და იმ ფინანსური კრიზისის გამო, რომელიც საქართველოში ევროპიდან გავრცელდა.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციით 2010 წელს საქართველოში განხორციელებულმა პირდაპირმა ივესტიციებმა 814 მლნ დოლარი შეადგინა, რაც 24%-ით მეტია 2009 წლის მაჩვენებელზე.<sup>1</sup> რაღა თქმა უნდა, რომ ეს თანხა არც მთლიანად მშენებლობაზე წარიმართება და არც მხოლოდ ქ. თბილისში დაიხარჯება, მაგრამ რადგან ინვესტიციების შემოდინების ზრდა დაიწყო, ეს აუცილებლად გაზრდის მათოვის გამოყოფილ სახსრებსაც.

ცხრილი 11

ფიქსირებულ აქტივებში განხორციელებული ინვესტიციები ქ. თბილისის სამშენებლო კლასტერში 2006-2009 წლებში (მლნ ლარი) [7]

წლები	მთლიანად საქართველოს მშენებლობაში	მ. შ. თბილისის სამშენებლო კლასტერებში	თბილისის ხელისითი წილი %	დინამიკა %-ად 2000 წელთან	
				საქართველოში	თბილისიში
2006	276.6	166	60.1	100.0	100.0
2007	240.4	80.1	33.3	87	48.2
2008	142.2	92.7	65.5	51.4	56.0
2009	110.6	95.1	84.4	40.2	572

ამრიგად, ქ. თბილისის რეგიონული სამშენებლო კლასტერის საქმიანობის გამოკვლევამ გვიჩვენა რომ იგი მუშაობს საკმაოდ ეფექტურად. მის ასეთ მუშაობას განაპირობებს არა მხოლოდ საბაზო დარღვი – მშენებლობა და მასში შემავალი სამშენებლო კომპანიები, არამედ მასალა-ნაკეთობების, მ. შ. ცემენტის მომწოდებლები, საპროექტო ორგანიზაციები, ბანკები, ქ. თბილისის მერია და მისი ტექნიკური დოკუმენტების სამსახური, სამშენებლო მანქანების ბაზები და მის საქმიანობაში ჩართული სხვა სუბიექტები.

ყოველივე ზემოათქვამი იმას ნიშნავს, რომ კლასტერი როგორც ბუნებრივად წარმოქმნილი ეკონომიკის სივრცობრივი სტრუქტურა მართლაც ეფექტური სტრუქტურაა და საჭიროა ამ მიმართულებით კვლევების გაგრძელება და მისი მეცნიერულ ჩარჩოში მოქცევა.

1 გაზეთი „ახალი ამბები“ („სიტყვა და საქმის“ ჩანართი), 17/VIII, 2011 წ., გვ. 2.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. ე. ბარათაშვილი და სხვები. კლასტერიზაციის თეორიული საფუძვლები და მათი დანერგვის წინაპირობები საქართველოში. ჟ.: „საქართველოს ეკონომიკა“, №9, 2007, გვ. 73-74.
2. M. Porter, Конкуренция, М., Вильямс, 2003.
3. ე. სეფაშვილი, ქვეყნის კონკურენტუნარიანობა და კლასტერული განვითარების სტრატეგია, თსუ შრომების კრებული I, 2008, ბიზნესი და საყოველთაო კეთილდღეობა, გვ. 23.
4. ი. მესხია, ე. გველესიანი, რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკა, თბ., 2010, გვ. 101-102.
5. რ. სანდროშვილი, ქ. სანდროშვილი, კლასტერების როლი რეგიონების ინოვაციურ განვითარებაში, ჟ. „საქართველოს ეკონომიკა, №9, 2008, გვ. 67.
6. სამშენებლო ბაზარი. საქართველოს ეკონომისტთა ასოციაცია, თბ., 2007, გვ. 7.
7. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინტერნეტ-საიტი.
8. გაზეთი „ეკოპალიტრა“ („სიტყვა და საქმის“ ჩანართი), 17.08.2011 წ. გვ. 2.

## დარგობრივი ეკონომიკა

### ადამიანისეული რჩებულები. როგორც აქტივის აღრიცხვის თავისებურებები

მუხრან ქამადაძე  
სტუ დოქტორანტი

ორგანიზაციის დამოკიდებულება პერსონალის მიმართ წარმოადგენს გალდებულებას. ეს გალდებულება წარმოიქმნება ამ პერსონალის წვლილით სამუშაო საქმიანობაში.

ჩვეულებრივ ითვლება, რომ მუშაკის წვლილი ტოლი უნდა იყოს სამუშაოს მიმცემის გალდებულების სიდიდისა. მაგრამ ეს ხშირ შემთხვევაში ასე არ არის. როგორც რუსმა ეკონომისტმა ტუგან ბარანოვსკიმ (1865-1919) აღნიშნა, ხელფასის სიდიდე დამოკიდებულია მუშაკის და მისი სამუშაოს მიმცემის ძალთა თანაფარდობაზე. რაც უფრო ღარიბია მუშაკი, სხვა თანაბარ პირობებში, მით უფრო დაბალია ხელფასი, ხოლო მისი წვლილი კი უფრო დიდია შესრულებულ სამუშაოებში.

გარდა ამისა, მხედველობაში უნდა მივიღოთ ის გარემოებაც, რომ პერსონალის წვლილი შეიძლება გამომდინარეობდეს ხელშეკრულებიდან. იგი შეიძლება გამოიხატოს, მაგალითად, დაქირავებულის მონაწილეობით ორგანიზაციის მართვაში. თანამშრომლებს შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ ფირმის კაპიტალში (შეიძინონ ფირმის აქციები), რომელებიც, თავის მხრივ, წარმოქმნან ვალდებულებებს დივიდენდების გასაცემად.

1973 წელს ამერიკის ბუღალტერთა ასოციაციის (AAA) ადამიანისეული რესურსების ბუღალტრული აღრიცხვის კომიტეტმა განსაზღვრა „ადამიანისეული რესურსების მონაცემების იდენტიფიკაციის და შეფასების პროცესი“, რომელიც შემდგომ გადაეცემა როგორც ინფორმაცია დაინტერესებულ მხარეებს. ამერიკის შრომის ინსტიტუტის აზრით, ადამიანისეული რესურსების ბუღალტრული აღრიცხვა თავის თავში მოიცავს: თეორიული საფუძვლების განვითარებას, რომელიც ხსნის ადამიანთა ღირებულების ბუნებასა და განმსაზღვრელ ფაქტორებს ოფიციალური ორგანიზაციების მხრიდან. ორგანიზაციისათვის ადამიანთა

ღირებულებებისა და ფასეულობათა შეფასების საიმედო და დასაბუთებული მეთოდების შემუშავებას, შეფასების შემოთავაზებული მეთოდების ორგანიზაციული უზრუნველყოფის პროექტირებას.

მთელმა რიგმა გამოკვლევებმა, რომლებიც ჩატარდა გასული საუკუნის ბოლოს, გვიჩვენა, რომ შრომითი რესურსების შესახებ ინფორმაციის გამოყენებით შეიძლება მოგხებული დარჩენ როგორც ფირმის ადმინისტრაცია, ისე ინვესტორები და მთლიანდ საზოგადოება.

ადამიანების, როგორც აქტივის, რესურსების აღრიცხვა ითვლება მართვის უმნიშვნელოვანების და ფასდაუდებელ ინსტრუმენტად. შემთხვევითი არ იყო, როდესაც პერიოდი (1863-1947) აკრიტიკებდა რა ბუღალტრულ ანგარიშებას, მიუთითებდა, რომ „მასში არ არის მოცემული მთავარი — ადამიანთა დახასიათება, რომლებიც ფირმისთვის გამოიმუშავებენ ფულს“. გარკვეულ წილად ის მართალი იყო, რადგანაც ადამიანი — ეს არის სწორედ ყველაზე მთავარი კაპიტალი. ხოლო ამერიკელი პროფესორი ეჯ-ფლამხოლცი ადამიანისეული რესურსების აღრიცხვაში გამოყოფდა სამ ძირითად ფუნქციას:

1. ინფორმაციულ ფუნქციას,
2. პარადიგმების ფუნქციას,
3. კატალიზატორის ფუნქციას.

ინფორმაციული ფუნქცია — ადამიანისეული რესურსების აღრიცხვა, უზრუნველყოფს ადამიანისტრაციას ორგანიზაციის პერსონალის თვათილი-რებულებისა და ღირებულების შესახებ ინფორმაციით, ხოლო წარმოდგენილი ინფორმაციის სახეები განისაზღვრება მოცემული ორგანიზაციის კონკრეტული მოთხოვნილებიდან გამომდინარე.

არ შეცდები თუ ვიტყვი, რომ ადამიანისეული რესურსების აღრიცხვა უზრუნველყოფს მნიშვნელოვანი ინფორმაციით არა მარტო მენეჯერებს, ის ეხმარება ასევე ინვესტორებსაც, რათა მიიღონ ინფორმაცია ორგანიზაციის ადამიანურ აქტივებზე, როგორც მნიშვნელოვან ფაქტორზე.

ბოლოდროინდელმა გამოკვლევებმა გვიჩვენეს, რომ ადამიანისეული აქტივების შესახებ ინფორმაციის გაშუქება გავლენას ახდენს ინვესტორების მიერ კაპიტალდაბანდებათა მოცულობაზე. დიდი კომპანიების მიერ მიღებული ფინანსური აღრიცხვის თანამედროვე პრაქტიკის შესაბამისად ადამიანურ რესურსებში განხორციელებული ინვესტიციები განიხილება უფრო მეტად როგორც ხარჯები და არა როგორც აქტივები, რაც ვფიქრობ, ამასინჯებს დაბანდებული კაპიტალიდან უკუგების მაჩ-

კენტებელს, რადგანაც კაპიტალზე შემოსავალი გაიანგარიშება როგორც წმინდა მოგების თანაფარდობა აქტივების სიღიღესთან. ის იცვლება, თუ მნიშვნელში აისახება ადამიანისეული რესურსი. შესაბამისად, ინვესტორებს, თუ სურთ თავიანთი გადაწყვეტილება ააგონ დაბანდებული კაპიტალის უკუგების მაჩვენებელზე, უნდა ეცადონ შეიტანონ ცვლილებები ადამიანისეული რესურსების ინვესტიციებში.

ბოლოდროინდებმა კვლევებმა აჩვენა, რომ მატერიალური აქტივები ქმნიან მხოლოდ ხილულ, მცირე ნაწილს, კორპორაციული საკუთრების ან საბაზრო ღირებულებისას. ილუსტრირებისათვის საკმარისა აღინიშნოს, რომ 500 „ამჟღანი კომპანიის ჯამური კაპიტალიზაცია „Standard and Poor's 500“ ინდექსით, 2010 წლის ბოლოს შეფასდა 8,6 ტრილიონ აშშ დოლარად, მაშინ როცა მათივე მატერიალური აქტივები „Dow Jones“ ინდექსით შეფასებული კომპანიების საბაზრო და საბალანსო ღირებულებას შორის თანაფარდობა შეადგენდა 10,3 ხოლო ზოგიერთი მაღალტექნიკოლოგიური ფირმისათვის კი აღნიშნული თანაფარდობა, (საბაზრო და საბალანსო ღირებულებას შორის) აღემატებოდა 15-ს

ადამიანისეული რესურსების აქტივის შემადგენლობაში ჩართვის მოწინა-აღმდეგების, როგორც ამერიკის შრომის ინსტიტუტი აღნიშნავს, ურდინობიან, სხვა არგუმენტებთან ერთად, აქტივებზე საკუთრების კანონის თურიდოულ ფორმულირებას. ფანიკოლის აღნიშნავს, რომ ბუღალტრები უძლური არიან შეიძუბან ადამიანისეული რესურსების შეფასების სისტემა. იგი აღნიშნავს, რომ ამორტიზაციის დარიცხვასთან და ადამიანისეული კაპიტალის განახლებასთან დაკავშირებით წარმოქმნება სინელეგბი. ცნობილია, აგრეთვე, შრომითი რესურსების აღრიცხვის მომხრეთა კონტრარგუმზებიც. დრობისაონი მიუთითებს, მოუხდავად იმისა, რომ თუ ადამიანი არ შეიძლება იყოს საკუთრების ობიექტი, ფირმის დამოკიდებულება თანამშრომლებთან, ჩვეულებრივ ატარებს სტაბილურ ხასიათს. ფლამხოლცის, რობისაონის, და სხვა მკვლევარების პოზიცია დაფუძნებულია დაქირავებული მუშაკების, როგორც მომავალი შედეგის წყაროს საშუალებაზე.

როდესაც ვსაუბრობთ ადამიანისეული აქტივების შეფასებებზე, წარმოიქმნება მთელი რიგი პრობლემები: რომელი დანახარჯები აღვრიცხოთ, როგორ მოვახდინოთ მათი ამორტიზაცია და ჩამოწერა? ადამიანისეული რესურსების თვითღირებულების შეფასებისას შეიძლება გამოვიყენოთ მინიმუმ სამი რეალური კონცეფცია:

1. პირვანდელი ღირებულება ანუ თვითდირებულება;
2. შეცვლილი (გადაფასებული) ფასები (ღირებულება);
3. ალტერნატიული დანახარჯები.

სისტემა, რომელიც დაფუძნებულია პირვანდელ ღირებულებაზე, შეიცავს როგორც დადებით ისე უარყოფით მომენტებს. დადებით მომენტებად შეიძლება მივიჩნიოთ — დანახარჯების საზოგადოდ მიღებული ობიექტურობა და შესაბამისობა, როგორც ღირებულების საზომი. უარყოფით მომენტად კი შეიძლება მივიჩნიოთ აღნიშნული საფუძლის ტრადიციული სისუსტე, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შეფასებასთან, ასევე იმ შეხედულებების შეზღუდულობა, რომელიც დაკავშირებულია დანახარჯების, როგორც ღირებულების ღონისძიების წარმოდგენასთან.

ადამიანისეული რესურსების თვითდირებულების განსაზღვრის მეორე მეთოდი ითვალისწინებს ფირმის დანახარჯების შეფასებას, მუშაკის შეცვლას სხვა პიროვნებით, რომელიც იგივე თვისებებს ფლობს როგორსაც მისი წინამორბედი. აյ შეიძლება იყოს განხილული ორი მომენტი: პოზიტიური, რომელიც ითვალისწინებს ვაკანსიის შევსებას და პირადი, რომელიც ითვალისწინებს მმართველის პირად შეხედულებას დაიქირაოს ანალოგიური თვისების მქონე სხვა მუშაკი. ამ შემთხვევაში უნდა ვისაუბროთ არა შხოლოდ ადამიანისეული რესურსების შეძენასა და მის სწავლებაზე გათვალისწინებულ ხარჯებზე, არამედ გათავისუფლების დადებით და უარყოფით მომენტებზე. დადებით მომენტად ჩვენ მიგვაჩნია ის, რომ შეცვლილი ღირებულება საშუალებას გვაძლევს შეფასების ცალკეული მუშაკის დაკავებული თანამდებობა. უარყოფით მომენტად კი მიგვაჩნია მმართველის სტანდარტურობა.

მესამე მეთოდი ეს არის დანახარჯების ალტერნატიული მცნება. აღნიშნული კონცეფციის შესაბამისად აქტივებს გააჩნიათ ღირებულება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შეიძლება მათი ალტერნატიული გამოყენება. ამ შემთხვევაში ადამიანისეული რესურსების ღირებულება განისაზღვრება იმ თანხით, რომელსაც ისინი გამოიმუშავებდნენ სხვა სამუშაო ადგილას.

პოტენციურად ადამიანისეული რესურსების ბუღალტრული აღრიცხვა კვლავ რჩება აქტიულურად ისევე, როგორც გასული საუკუნის ბოლოს, როდესაც ამ სფეროში მიძინარეობდა საკმაო კვლევები და ექსპერიმენტები. ადამიანისეული რესურსების ბუღალტრული აღრიცხვა შემდგომშიც სასარგებლო იქნება როგორც ფირმის ხელმძღვანელობის-

თვის, ასევე ინვესტორებისათვის და მთლიანად საზოგადოებისათვის, რადგანაც ფირმაში მომუშავე თითოეული პიროვნება ამ საზოგადოების შექმაღენელ ნაწილს წარმოადგენს.

მსოფლიო ეკონომიკა მიემართება წარმოების სფეროდან მომსახურების სფეროსკენ. ამავე დროს ტექნოლოგიები სულ უფრო და უფრო რთულდება, რის გამოც ადამიანისული რესურსების ღირებულება და ფასეულობის შეფასება აუცილებლად უფრო სასარგებლო იქნება მომავალში ვიდრე ახლაა.

ბუდალტრულმა აღრიცხვამ განიცადა მრავალი ცვლილება, მას შემდეგ რაც პირველად გაამახვილეს ყურადღება ადამიანისული რესურსების აღრიცხვის პრობლემებზე. სრულად მოსალოდნელია, რომ დღეს ბუდალტერთა როგორც სამეცნიერო, ისე პრაქტიკული წრეები, აღნიშნულ საკითხს სხვა რაკუსით ხედავენ, ვიდრე გუშინ და გუშინწინ. ხომ არ მოგიდა ის დრო, რომ კვლავ გადაისინჯოს და დაიხვეწოს ადამიანისული რესურსების აღრიცხვა არა მარტო დღვენდელი პირობებიდან გამომდინარე, არამედ იქიდანაც თუ რა მოთხოვნებს წაუყენებს ცხოვრება მას მომავალში.

აღნიშნულის თქმის უფლებას მაბლევს დღეისათვის საქართველოში შექმნილი სიტუაცია. არ არის დასამალი, რომ სახელმწიფო სექტორში დასაქმებული მუშაკების ხელფასები რადიკალურად განსხვავდებიან კერძო სექტორში დასაქმებული მუშაკების ხელფასებისგან, არადა შრომის კანონმდებლობა ერთია ორივე სექტორისათვის. მეტსაც ვიტყვი, თვით სახელმწიფო სექტორშიც კი არის თვალში საცემი განსხვავებები.

### **გამოყენებული ლიტერატურა**

1. გიორგი მალაშვია — მეტაეკონომიკა (ეკონომიკის ფილოსოფია);
2. ტომას სტიუარტი — ინტელექტუალური კაპიტალი: ორგანიზაციათა დოკუმენტის ახალი წყარო;
3. პიტერ კაპელი — ოცდამეტერთე საუკუნის ტალანტის მენეჯმენტი;
4. Nicholls, F.A. Human asset accounting Gertified Accountant (England),
5. Baker, G.M.N. The feasibility and utity of human resource accounting.
6. Robinson, D. Turo apporoaches to human asset accounting Accountancy (England).

## ქერძო სასტუმროების როლი ტურიზმის განვითარებაში

თამარ ბაჩიაშვილი  
სოციალურ მეცნიერებათა  
დოქტორი ეკონომიკაში

ბოლო ხუთი-ექვსი წლის განმავლობაში საქართველოში ტურიზმის სფეროს განვითარებასთან ერთად გაიზარდა სასტუმროების რაოდენობა. ამაღლდა კერძო სექტორისა და ინვესტორების დაინტერესება როგორც საპრივატიზაციო საკურორტო ობიექტებით, ასევე ახალი სასტუმროების, რესტორნებისა და გასართობი ობიექტების შშენებლობით.

როგორც ცნობილია, საქართველოში მრავალი ახალი სასტუმრო შენდება, ასევე ისწნება მსოფლიოში ცნობილ სასტუმროთა ქსელები, რომელთა კონკურენტული უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ მათ გააჩნიათ ეფექტური მართვის გამოცდილება და მაღალი ღონის მომსახურება.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ სწორედ ასეთ პოპულარულ სასტუმროთა ქსელებს წარმოადგენს მაგალითად, “Millennium”, “Marriot”, “Rotama”, “Starwood” და ა.შ.

„მეცნიერთა კვლევის ანალიზი გვიჩვენებს, რომ მოგზაურობის პერიოდში ტურისტების 71% ამჟობინებს სასტუმროებში განთავსებას, 12% - საშემცირებო სახლებში, 9% - კემპინგებში, 8% - კერძო ბინებში. ამასთანავე, მაღალი კლასის სასტუმროებით სარგებლობს დაახლოებით 34%, საშუალო კლასით – 45% და 21% უპირატესობას აძლევს ეკონომეკლასის სასტუმროებში გაჩერებას“<sup>1</sup>.

საზღასასტელია ის გარემოება, რომ მცირე ზომის ეკონომკლასის სასტუმროები დედაქალაქის ცენტრში ორი წლის წინ გაჩნდა.

არსებული სტატისტიკით, თბილისში ამ ტიპის ორმოცი სასტუმროა გახსნილი. ისინი აღტერანატივას იმ დამსვენებლებს სთავაზობენ, რომელთაც აქამდე არჩევანი ეგრეთწოდებულ „კოიკასა“ და ძვირადღირებულ სასტუმროს შორის ჰქონდათ გაკეთებული.

პოსტელების მომხმარებლები ძირითადად ის ახალგაზრდები არიან, რომლებმაც საქართველოში მოგზაურობა ზურგჩანთებით გადაწყვიტეს.

1 მეტრებითი მ. ტურიზმის ბიზნესი (ინდუსტრია, მენეჯმენტი, მარკეტინგი). თბილის: სტუმართმასაპინძლობის ინდუსტრიის გამოცემისა და ტურიზმების ცენტრის გამოცემა, 2011, გვ. 74.

დამის გათევა ჰოსტელში 15-დან 95 ლარის ფარგლებშია შესაძლებელი, რაც დამოკიდებულია ოთხში საწოლების რაოდენობაზე.

ჰოსტელის მეპატრონები მომხმარებლებს სთავაზობენ: უკაბელო ინტერნეტს, ინგლისურად მოლაპარაკე სტაფს, რომელიც ინფორმაციას აწვდის ტურისტებს თუ სად შეუძლიათ წავიდნენ და გაერთონ.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ჰოსტელები გახსნილია თბილისში, ბათუმში, ასევე იგეგმება მისი გახსნა მესტიაში და სხვა დიდ ქალაქებში.

ყურადღებას იმსახურებს ის ფაქტი, რომ მხოლოდ მომსახურების მაღალ ხარისხზე ორიენტირება არასაგმარისია, ვინაიდან პირველი შთაბეჭდილება მომხმარებელს სასტუმროს შესახებ ვესტიბიულში უყალიბდება. სწორედ ამიტომ აუცილებელია ვიზუალური მხარე გამოსატავდეს იმ დირექულებებს, რომელთა წარმოჩნასაც ცდილობს სასტუმრო.

როგორც ცნობილია, ბევრი სასტუმრო იყენებს დამახასიათებელ სურნელსა თუ მუსიკას, როგორც სავიზიტო ბარათს, რაც მომხმარებელს კველაზე ეფექტიანად აგრძნობინებს, რომ იგი განსხვავებულ სასტუმროში იმყოფება.

ხაზგასასმელია ის ფაქტი, რომ სასტუმრო მაღალ იმიჯს ვერ შეინარჩუნებს, თუ მას სათანადო სერვისი არ გააჩნია. ამიტომ მიზანშეწონილია ჩამოყალიბების კადრების მართვის ეფექტიანი სტრატეგიები.

დიდ სასტურმოებსა და სასტუმროების ქსელებს შემუშავებული აქვთ საკუთარი მოსამზადებელი პროგრამები და ტრენინგ ცენტრები, რომლებიც უზრუნველყოფენ მომსახურე პერსონალის მაღალ დონეზე მოზადებას. ასევე გააჩნიათ საოპერაციო სტრატეგიები, რომლებშიც თითქმის კველა პროცედურა სტანდარტულად და მარტივად არის აღწერილი.

ჩვენი აზრით, სწორედ მომხმარებელზე ორიენტირებული სასტუმროთა უმრავლესობა იძრიგის ბაზარზე საკუთარი ბრენდის დასაშეკვიდრებლად.

„განთავსების საშუალების სექტორთან დაკავშირებით შეიძლება ითქვას ისიც, რომ ესა უ ის ბრენდი შეიძლება სხვადასხვა სოციალურ-დემოგრაფიული ჯგუფებისთვის სხვადასხვა დონეზე სასურველი იყოს. მაგალითად, ისეთი საბიუჯეტო სასტუმროების ბრენდები, როგორგიცაა: „Travel Inn”, „Xpress by Holiday Inn! da „Travelodge”, უფრო მეტად ახალგაზრდა მოგზაურ ოჯახებს ან საქმიანი მივლინებით მოგზაურ პირებს იზიდავენ და პირიქით, „Eritage Hotels” შეიძლება უფრო სასურველი იყოს სანშიშესული ადამიანებისთვის (მაგალითად, პენსიონერები), რომლებიც შვილებისგან ცალკე ცხოვრობენ, რომელთაც მეტი თავისუფალი თანხები გააჩნიათ ან უშვილო წყვილებისთვის, რომელთაგან

ორივე მუშაობს და ოომლებსაც სურთ აქტიური დასვენება. სწორედ ამ ნიშნის გამო გახდა “Eritage Hotels” პრეტენზული<sup>1</sup>!

ჩვენ მიგვაჩნია, რომ სასტუმროების სექტორი ქვეყნის ეკონომიკური ზრდის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს.

თანამედროვე ეტაპზე ცერძო სასტუმროების რაოდენობის ზრდასთან ერთად იმატა „საოჯახო სასტუმროების“ რაოდენობამ, რომელთა საკმაოდ დიდი ნაწილი თავმოყრილია დიდ ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში.

„საოჯახო სასტუმროში“ არსებული მომსახურება ტურისტებისთვის გაცილებით ხელსაყრელია, ვინაიდნა ფასები განსხვავებით სხვა კერძო სასტუმროებისაგან არ არის ძალიან მაღალი, მაგრამ მათი უმრავლესობა ვერ აქმაყოფილებს საერთო სტანდარტებს.

ჩვენი აზრით, არა მხოლოდ ქალაქებში, არამედ სოფლის პირობებშიც არსებობს „საოჯახო სასტუმროების“ ქსელის გაფართოების უდიდესი პიტიენცალი, რომლის რეალიზებისათვის აუცილებელია სახელმწიფოს მხრიდან ფინანსური დახმარების გაწევა ტურისტული ინფრასტრუქტურის მოსაწყობად და ასევე სასტუმროს მეპატრონეებთან ტრეინინგების ჩატარება, თუ როგორ მართონ მათ განთავსების ცენტრი.

ხაზგასასმელია ის ფაქტი, რომ სასტუმროებისათვის საკმაოდ აქტუალურია გაყიდვების სტიმულირების ელემენტების გამოყენება.

დასავლური სასტუმროების უმრავლესობა მომხმარებელთა ლიოალობის მაღალი დონის უზრუნველყოფას სხვადასხვა სახის წამახალისებელი პროგრამის საშუალებით ცდილობს.

აღნიშნულიდან გამომდინარე მიგვაჩნია, რომ ლოიალობის მოსაპოვებლად აუცილებელია ბრენდზე ფოკუსირება. მოცემული მიზნის მისაღწევად კი აუცილებელია განსხვავებული, სანდო და კომპანიის ღირებულებებზე აგებული კომუნიკაცია.

კერძო სასტუმროები მნიშვნელოვან როლს ასრულებს ტურიზმის განვითარებაში და შეიძლება ითქვას, რომ დღეისათვის ტურისტულ ბაზარზე ბუმია.

ჩვენი აზრით, ის სასტუმროები, რომლებიც მომხმარებლებს მომსახურების მაღალ ხარისხს ვერ შესთავაზებენ და მათ ნდობას ვერ მოიპოვებენ, აუცილებლად დამარცხდებიან კონკურენტულ ბრძოლაში და მათი მდგრადი, გრძელვადიანი წარმატება შეუძლებელი გახდება.

1 მეტრული მ. ტურიზმის ბიზნესი (ინდუსტრია, მენეჯმენტი, მარკეტინგი). თბილისი: სტუმართმასპინძლობის ინდუსტრიის გამოცემისა და ტრუნინგების ცენტრის გამოცემა, 2011, გვ. 85.

## პირითაღი საშუალებების მიღების და მძღვანელობის ხარჯების აღრიცხვა

მუხრან ქამადაძე  
სტუ დოკტორანტი

ბუდალტრულ აღრიცხვაში ყოველი ჩანაწერი უნდა გაკეთდეს პირ-ველადი დოკუმენტაციის საფუძველზე, რომლებიც აფიქსირებენ ოპერაციის შესრულების ფაქტს.

ძირითადი საშუალებების და მათი მოძრაობის აღსარიცხვად უნდა შემუშავდეს დოკუმენტბრუნვის რაციონალური სისტემა.

ძირითადი საშუალებების მიღება ბუდალტრულ აღრიცხვაში ფორმდება შემდეგი პირველადი დოკუმენტების საფუძველზე:

- საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა;
- სასაქონლო ზედნადები და მიღება-ჩაბარების აქტი.

მიღება-ჩაბარების აქტი გამოიყენება ძირითადი საშუალებების მიღების აღრიცხვის დროს, როცა ხდება ძირითადი საშუალებების მიღება საწყობში. მიღება-ჩაბარების აქტი შეიძლება ასახავდეს ძირითადი საშუალებების შიდა საორგანიზაციო გადაადგილებას ან მათ გასვლას ორგანიზაციიდან. მიღება-ჩაბარების აქტი ივსება აგრეთვე, იმ შემთხვევაშიც, თუ ძირითადი საშუალებები მიღებულია სხვა აუცილებელი დოკუმენტების გარეშე.

ძირითადი საშუალებების აღრიცხვის წინაშე ორი მნიშვნელოვანი ამოცანა დგას:

- ძირითადი საშუალებების ღირებულების რა ნაწილი ჩამოიწერება მიმღინარე სანგარიშგებო პერიოდის დასახარჯებში;
- როგორ უნდა განისაზღვროს ძირითადი საშუალებების ნარჩენი ღირებულება, რომელიც ბალანსში აისახება.
- ამ ამოცანის გადასაწყვეტად, პასუხი უნდა გაეცეს შემდეგ ოთხ კითხვას:
- როგორ განისაზღვროს საშუალებების პირვანდელი ან გადაფასებული (აღდგენითი) ღირებულება?
- როგორ განისაზღვროს და ჩამოიწეროს საშუალებების ღირებულების ნაწილი ხარჯებში?
- როგორ აღირიცხოს რემონტთან, ტექნიკურ მომსახურებასთან, ექსპლუატაციასთან დაკავშირებული ხარჯები?

• როგორ აისახოს აღრიცხვაში ძირითადი საშუალებების გასვლა? ძირითადი საშუალებების შეძნის და მათი ღირებულების ზრდის ყველა ოპერაცია აისახება ძირითადი საშუალებების ანგარიშის დებეტში.

**განასხვავებენ ძირითადი საშუალებების შეძნის (მიღების) შემდეგ ფორმებს:** ნაღდი ფულადი საშუალებების გადახდის გზით;

კრედიტი (განვალებით, შემდგომი გადახდის პირობით) შეძნით; აქციებზე გაცვლით;

სხვა არაფულად აქტივებზე გაცვლით (ბარტერული გაცვლა);

სამეურნეო წესით შეძებლობისა და კონსტრუირების გზით;

უსასყიდლოდ, ჩუქების გზით.

**ძირითადი საშუალებების შეძნა ფულადი სახსრების გადახდით.**

ფულადი სახსრების გადახდით ძირითადი საშუალებების შეძნისას, მათი საბალანსო ღირებულება რამდენიმე მეთოდით გაიანგარიშება. ასეთი მეთოდებია:

- ფაქტიური დანახარჯის მეთოდი;
- მიმდინარე ღირებულების მეთოდი;
- წმინდა სარეალიზაციო ღირებულების მეთოდი;
- შესაცვლელი ხარჯის მეთოდი.

მნიშვნელოვანია ფაქტიური ხარჯის მეთოდი, რომელიც გულისხმობს ამ ხარჯების გათანაბრებას ძირითადი საშუალებების შეძნასა და მისი საექსპლუატაციოდ მომზადებაზე გაწეული ფულადი საშუალებების ფაქტიურ ხარჯთან, ე. ი. ძირითადი საშუალებების შეფასებას პირვანდელი (საბალანსო) ღირებულებით.

საერთაშორისო სტანდარტებით ეს არის აქტივის შეძნის დანახარჯები მის მუშა მდგომარეობაში მოყვანისა და გამოყენების აღვილამდე მიზანის ხარჯების ჩათვლით.

ცალკეულ შემთხვევებში, განსაკუთრებით ძირითადი საშუალებების საბაზრო ფასების მნიშვნელოვანი ცვლილებისას, ფაქტიური ხარჯის მეთოდი, მათი რეალური ღირებულების გასაზომად არაობიერებულია. ამიტომ ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულების განსაზღვრისათვის უმჯობესია გამოყენებულ იქნას მიმდინარე ღირებულების მეთოდი, წმინდა სარეალიზაციო ღირებულების მეთოდი ან შესაცვლელი ხარჯის მეთოდი.

მიმდინარე ღირებულების მეთოდი გულისხმობს ძირითადი საშუალებების გადაფასებას, მოცემულ მომენტში ფასების დონის გათვალისწინებით;

წმინდა სარეალიზაციო ღირებულების მეთოდი გულისხმობს ამონაგებ-ის რეალური შეფასების განსაზღვრას, რომელიც შეიძლება მიღებულიქნას მოცემულ მომენტში იგივე სახის ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან;

შესცვლელი ხარჯის მეთოდი ემყარება ანალოგიური ძირითადი საშუალების შეძენის ხარჯების შეფასებას, მიმდინარე საბაზრო ფასებით.

მაშასადამე, თანახმად შესაბამისობის პრინციპისა, ძირითადი საშუალების შეძენის ხარჯები აქტივის ექსპლუატაციის მთელ პერიოდზე განაწილდება და არ მიეკუთვნება მიმდინარე პერიოდის ხარჯებს.

ძირითადი საშუალებების კრედიტით (განვადებით, შემდგომი გადახდის პირობით) შეძენისას, ისევე, როგორც ძირითადი საშუალებების შეძენის სხვა მეთოდების გამოყენებისას, მათი საბაზრო ღირებულება ფაქტიური დანახარჯების პრინციპით განისაზღვრება.

ძირითადი საშუალებების კრედიტით შეძენისას გამოიყენება თვითდირებულების განსაზღვრის ორი მეთოდი:

- მთლიანი ღირებულების მეთოდი;
- წმინდა ღირებულების მეთოდი.

პირველ შემთხვევაში, თანხის ვადამდელი გადახდისათვის დათმობაზე, კეთდება დამატებითი ბუღალტრული ჩანაწერი. მეორე შემთხვევაში კი დათმობის თანხა დროებით იწერება არასაპერაციო შემოსავლების ანგარიშის დებეტში, ხოლო თანხის ვადახდისას კრედიტში.

ბასი-ი უშვებს სესხის პროცენტის კპტალიზებას იმ შემთხვევაში, როდესაც ის გაწეულია განსაკუთრებულ აქტივებზე.

განსაკუთრებული აქტივი არის ისეთი აქტივი, რომლის დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად ან გასაყიდვად მომზადებისათვის საჭიროა დროის მნიშვნელოვანი პერიოდი.

განსაკუთრებული აქტივის შეძნასთან, წარმოებასთან ან მშენებლობასთან უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს მიეკუთვნება სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული ის დანახარჯები, რომელთა თავიდან აცილება შესაძლებელი იქნებოდა, აუცილებელი რომ არ ყოფილი განსაკუთრებულ აქტივთან დაკავშირებული დანახარჯების გაწევა. ბას-23 “სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები”-ს მიხედვით სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯების კაპიტალიზება იწყება მაშინ, როდესაც:

- განსაკუთრებულ აქტივებზე გაწეულია პირველი დანახარჯები;

- გაწეულია სესხით სარეგებლობასთან დაკავშირებული პირველი დანახარჯები;

მოცემული აქტივის გამოსაყენებლად ან გასაყიდ მდგომარეობაში მო-საყანად დაწყებულია პირველი სამუშაოები.

სესხით სარეგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯების კაპიტალი-ზება გრძელდება მანამ, სანამ არ დასრულდება აქტივზე ტექნიკუ-რი თუ ადმინისტრაციული ხასიათის აქტიური სამუშაოები. სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯების კაპიტალიზება უნდა შეწყდეს, თუ აქტივებზე აქტიური სამუშაოები შეჩერდება.

აქტივის ღირებულების საეიმბლოდ შეფასებისას, ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ თუ სხვადასხვა მიზეზებით აქტი-ური სამუშაოები შეჩერებულია, ან დროზე ადრე ჩაბარდა ექსპლუატ-აციაში. მაშინ დარჩენილი/მოცდენილი თვის/თვეების პროცენტი უდინა აღიარდეს პერიოდის ხარჯად და არ კაპიტალიზირდება ძირითადი სშუ-ალებების ღირებულებაში.

ძირითადი საშუალებების საკუთარ აქციებზე გაცვლით მიღებისას საჭი-როა განისაზღვროს აქციებზე გასაცვლელი ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულება. ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებუ-ლების განსაზღვრის სამი გარიანტი გამოიყენება:

- აქციების საბაზრო ღირებულებით;
- ძირითადი საშუალებების საბაზრო ღირებულებით;
- ძირითადი საშუალებების დამოუკიდებელი შეფასების მეთოდით.

აქციების საბაზრო ღირებულების გამოყენება ძირითადი საშუალებ-ების საბალანსო ღირებულების განსაზღვრისათვის შესაძლებელია, თუ ამ აქციების კოტირება და ბაზარზე ხდება.

სასურველია ძირითადი საშუალებები შეფასდეს საბაზრო ღირებუ-ლებით, თუ ამის შესაძლებლობა არსებობს.

იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებუ-ლების განსაზღვრა პირველი ან მეორე მეთოდით შეუძლებელია, გამო-იყენება დამოუკიდებელი შეფასების მეთოდი.

ძირითადი საშუალებების მიღება შეიძლება მოხდეს სხვა ისეთ არაფულად აქტივებზე გაცვლით, რომელზეც არსებობს ბაზრის მოთხოვნა და შე-საძლებელია მისი რეალური ღირებულების განსაზღვრა. ასეთ გაცვლას ბარტერულ ოპერაციას უწოდებენ.

თუ გაცვლის ოპერაციას არ აქვს კომერციული შინაარსი და შესაძ-

ლებელია მიღებული და გაცემული აქტივების საიმედოდ შეფასება, მაშინ ბარტერით მიღებული ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულება შეფასდება მისი რეალური ღირებულებით. წინააღმდეგ შემთხვევაში, უნდა მოხდეს შესწორება ფულადი სახსრებით ან მისი ეკვივალენტით. იმ შემთხვევაში თუ გაცვლას აქტეს კომერციული ხასიათი ან მიღებული ან გაცემული აქტივების რეალური ღირებულება არ არის საიმედოდ შეფასებული, გაცვლის გზით მიღებული აქტივის თვითღირებულება ფასდება გაცემული აქტივის საბალანსო ღირებულებით. ე.ი სხვა აქტივზე გაცვლის გზით მიღებული ძირითადი საშუალება “ფასდება მიღებული აქტივის რეალური ღირებულებით, რომელიც ექვივალენტურია გაცემული აქტივის რეალური ღირებულებისა და შესწორებულია ნებისმიერი ფულადი სახსრების ან მისი ექვივალენტის გადახდილი თანხით” (ბასს 16, პ. 22)

საკუთარი ძალებით წარმოების გზით მიღებული ძირითადი საშუალებების ღირებულება განისაზღვრება შეძენილი აქტივის მსგავსად. აქტივის საბალანსო ღირებულების განისაზღვრისას მხედველობაში მიღება აქტივის წარმოებაზე გაწეული ყველა პირდაპირი ხარჯი. ზედნადები ხარჯები კი აქტივის საბალანსო ღირებულებაში მხოლოდ მაშინ შეიტანება, თუ უშუალოდაა დაკავშირებული კონკრეტული აქტივის მშენებლობასთან.

მშენებლობასთან დაკავშირებული ხარჯებისა და დამთავრებული ობიექტის თვითღირებულების განისაზღვრის მიზნით, ბუღალტრულ აღრიცხვაში ცალკე გამოიყენება დამოუკადებელი ანგარიში “დაუმთავრებელი მშენებლობა”, რომლის დებეტშიც თავს იყრის და მზარდი ჯამით ასახება მშენებლობაზე გაწეული დანახარჯები. მშენებლობის დამთავრების შემდეგ, დანახარჯების საერთო ჯამი დაკრედიტდება ანგარიში “დაუმთავრებელი მშენებლობა” და თანხა, რომელიც დამთავრებული ობიექტის თვითღირებულებას წარმოადგენს, გადაიტანება კონკრეტული ძირითადი საშუალების ანგარიშის დებეტში.

**ძირითადი საშუალებების უსასყიდლოდ მიღებისას ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულება განისაზღვრება მათი რეალური საბაზრო ღირებულებით. უსასყიდლოდ მიღებული ძირითადი საშუალებები აისახება კონკრეტული ძირითადი საშუალების ანგარიშის დებეტში და ანგარიშის “უსასყიდლოდ მიღებული ქონება” კრედიტში, რომელიც ანგარიშთა გეგმაში განთავსდება რეზერვების ამსახველი ანგარიშების ჯგუფში.**

ექსპლოატაციის პროცესში ძირითადი საშუალებები საჭიროებენ მოვლა-პატრონობას და სისტემურ მოშახურებას.

ძირითადი საშუალებების ექსპლუატაციასთან დაკავშირებული ხარჯები შეიძლება სამ ჯგუფად დაყოს:

- დანახარჯები, რომლებიც იწვევენ ძირითადი საშუალებების სასარგებლო გამოყენების ვადის გახანგრძლივებას ან მათი წარმადობის ამაღლებას;
- დანახარჯები, რომლებიც არ იწვევენ ძირითადი საშუალებების სასარგებლო გამოყენების ვადის გახანგრძლივებას ან მათი წარმადობის ამაღლებას;
- დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია ძირითადი საშუალებების გაუფრთხილებელ მოპყრობასთან.

დანახარჯები, რომლებიც იწვევენ ძირითადი საშუალებების სასრგებლო გამოყენების ვადის გახანგრძლივებას ან მათი წარმადობის ამაღლებას, დაქმატება აქტივის საბალანსო ღირებულებას, ანუ მოხდება მათი კაპიტალიზაცია და ამორტიზდება რამდენიმე სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში.

ბასს-ის მიხედვით, ძირითადი საშუალებების ექსპლუატაციასთან დაკავშირებული დანახარჯების აქტივად აღიარება ხდება მაშინ, როდესაც ამ დანახარჯების შედეგად აქტივის წარმოებლურობა გაიზარდა. ასეთი დანახარჯებია:

დანახარჯები, რომლებიც არ იწვევენ ძირითადი საშუალებების სასარგებლო გამოყენების ვადის გახანგრძლივებას ან მათი წარმადობის ამაღლებას და დაკავშირებულია ამ აქტივიდან მისაღები ეკონომიკური სარგებლის აღდგენა-შენარჩუნებასთან, აღირიცხება მათი გაწვევისთანავე, როგორც მიმდინარე პერიოდის ხარჯი. ასეთი ხარჯებია, ძირითადი საშუალებების რემონტისა და ტექნიკური მომსახურების, აგრეთვე, სხვა ანალოგიური შედარებით უმნიშვნელო მოცულობის ხარჯები.

გაუფრთხილებელი მოპყრობის შედეგად დაზიანებული ძირითადი საშუალებების აღდგენის დანახარჯები საწარმოსათვის წარმოდგენს ზარალს. გამონაკლისია აღნიშნული მიზეზით გაწეული ხარჯი, რომელიც იწვევს ძირითადი საშუალებების სასარგებლო გამოყენების ვადის არსებით გახანგრძლივებას. მაშასადამე, დანახარჯები, რომლებიც გაწეულ იქნება ძირითადი საშუალებების უკვე აქტივად აღიარების შემდეგ, მხოლოდ მაშინ დაემატება აქტივების საბალანსო ღირებულებას, თუ ამ დანახარჯების შედეგად საწარმო მიიღებს მეტ ეკონომიკურ სარგებელს. აქტივების ექსპლუატაციასთან დაკავშირებული ყველა სხვა დანახარჯი აღიარებულ უნდა იქნეს ხარჯებად მათი გაწვევისთანავე.

# აღამიანერი რძულსების გართვასთან დაპავშირებული პროგლემები ტურისტულ რეგიონისაციაში

თამარ ბაჩიაშვილი  
სოციალურ მეცნიერებათა  
დოქტორი ეკონომიკაში

თანამედროვე საზოგადოებაში მიმდინარე ცვლილებებმა, კერძოდ კი ტექნოლოგიურმა ინოვაციებმა, ტურიზმის ინდუსტრიის განვითარებას შეუწყო ხელი.

ყურადღებას იმსახურებს ის გარემოება, რომ ტურიზმი არა მხოლოდ სახელმწიფოს ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს, არამედ იგი როგორი რეგიონიზაციული სტრუქტურაა, რომლის ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის აუცილებელია სახელმწიფოს მხრიდან გატარებული იქნას სწორი და მიზანმიმართული პოლიტიკა, რაც ხელს შეუწყობს ტურისტული ბიზნესის განვითარებას.

როგორც ცნობილია, ორგანიზაციის საქმიანობის ხარისხი გარკვეულად დამოკიდებულია პერსონალის ქცევაზე. სწორედ ამიტომ მართვის ძირითად ამოცანას წარმოადგენს ადამიანების ქცევის ისეთი დონის მიღწევა, რომელიც უზრუნველყოფს კონკურენტუნარიანი შედეგების მიღწებას.

აღნიშნულიდან გამომდინარე მიგვაჩნია, რომ ტურიზმის სექტორში მომსახურების ხარისხს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. ამისათვის საჭიროა იმ ადამიანთა სწორად შერჩევა, რომლებიც მისაღებია ორგანიზაციისთვის.

საზგასასმელია ის ფაქტი, რომ „ორგანიზაციები, როგორც წესი, საკადრო უზრუნველყოფასთან დაკავშირებით ცალკეულ მიზნებს ისახავენ. აღნიშნული უკვე ტრადიციად იქცა ტურიზმის ინდუსტრიაში, სადაც საუბარია სეზონურად, ნახევარ შტატში შემთხვევით დასაქმებულ ან მდედრობითი სქესის პერსონალზე. ეს კი დაკავშირებულია სამუშაო ძალის დიდი მასშტაბით ბრუნვასთან, რაც შეიძლება პრობლემატური აღმოჩნდეს ადამიანური რესურსების დაგეგმვის სპეციალისტისათვის, რომელმაც უნდა უზრუნველყოს პერსონალის ოპტიმალურად შერჩეუ-

ლი რაოდენობის დასაქმება. საჭირო ხდება ადამიანების რაოდენობისა და ტიპების სწორად დაბალნება მოცემულ სამუშაოსთან – ფირმას არ უნდა ჰყავდეს ზედმეტად ბევრი მენეჯერი, მუშაკი და არც გამოიყენოს დელი კადრი<sup>1</sup>.

თანამედროვე ეტაპზე მომსახურების სტანდარტები რადიკალურად შეიცვალა. შემუშავებულია მომსახურე პერსონალისთვის სპეციალური მოსამზადებელი პროგრამები. მათი მოტივირებისთვის გამოიყენება წახალისების სისტემა. გარდა ამისა, მოქმედებს ძალზე ზუსტად შემუშავებული მუდმივი კონტროლის სქემები და დეტალური საოპერაციო ინსტრუქციები.

ყერადღებას იმსახურებს ის ფაქტი, რომ საოპერაციო სტრატეგიები ტურისტულ ორგანიზაციებში მნიშვნელოვნად განსხვავებული სახისაა.

მომსახურების დონის უზრუნველყოფა და მართვა კულტურული თავისებურებებით ხასიათდება. სასურველია, რომ სწავლების, ისევე, როგორც ფორმალიზაციის დონის, კონტროლისა და მოტივირების ფაქტორები ამ თავისებურებების გათვალისწინებით შეირჩეს.

ჩვენი აზრით, მომსახურე პერსონალის მაღალ დონეზე მომზადებას კადრების მართვის გარდა საზოგადოებრივი ურთიერთობების გამართულად წარმოებაც ესაჭიროება.

თანამედროვე გლობალურ სამყაროში, სადაც მატერიალურ ღირებულებებს დომინანტური პოზიცია უკავიათ, ტურისტული ორგანიზაციების ასოციაციური უმრავლესობა განსაკუთრებული ყერადღებით ეკიდება თითოეულ დახარჯულ ცენტრს. ამისათვის კი აუცილებელია ადამიანური რესურსების სწორი და მიზანმიმართული დაგეგმვა.

ადამიანური რესურსების დაგეგმვაში გამოიყოფა შემდეგი ეტაპები:

- „მოთხოვნის შეფასება – ორგანიზაციის მიზნებისა და ამოცანების გათვალისწინებით საერთო მიზნების მიღწევა და შემდეგ მოცემული მიზნების მისაღწევად ადამიანების საჭირო რაოდენობის განსაზღვრა;“
- მიწოდების შეფასება – დღეს დასაქმებული ადამიანების რაოდენობისა და ტიპების დადგენა და შემდეგ პროგნოზის გაკეთება იმის თაობაზე, თუ როგორ შეიცვლება მდგომარეობა მომდევნო წლებში;
- მოთხოვნა-მიწოდების წონასწორობის უზრუნველყოფა – ხში-

1 მეტრული მ. ტურიზმის ბიზნესი (ინდუსტრია, მენეჯმენტი, მარკეტინგი). თბილის: სტუმართმასპინძლობის ინდუსტრიის გამოცემისა და ტურიზმების ცენტრის გამოცემა, 2011, გვ. 165.

რად საჭირო ადამიანების არსებული (ხელმისაწვდომი) რაოდენობა და ორგანიზაციაში საჭირო იგივე ადამიანების რაოდენობა ერთმანეთს არ ემთხვევა;

● ადამიანური რესურსების დაგეგმვა – საჭირო ზომების განსაზღვრა იმ მიზნით, რომ სამუშაო ძალის მოთხოვნა და მიწოდება ერთმანეთის შესაფერისი იყოს<sup>1</sup>.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ყურადღებას იმსახურებს ის ფაქტი, რომ ყველაზე მნიშვნელოვანია შემუშავებული იქნას სტატისტიკურ მონაცემთა ბაზა სამუშაო ძალასთან დაკავშირებით. იმის გასარკვევად, თუ რამდენმა ადამიანმა დატოვა ორგანიზაცია ბოლო ერთი ან ორი წლის მანძილზე.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ ადამიანური რესურსების დაგეგმვა მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ ორგანიზაციაში არსებობს შრომითი რესურსების შესახებ გარკვეული სახის მონაცემები, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია განისაზღვროს თუ რამდენად შემცირდა სამუშაო ძალა ან პირიქით, რამდენად გაიზრდება იგი მომავალში.

საზგასასმელია ის ფაქტი, რომ ნებისმიერ ორგანიზაციაში, განსაკუთრებით კი ტურისტულ ორგანიზაციაში აუცილებელია სამუშაო ძალის სისტემატიურად შეფასება, რომლის უმთავრესი მიზანი იქნება მუშაობის ხარისხის გამოვლენა.

თანამედროვე ეტაპზე მომსახურების ხარისხის ამაღლება ერთ-ერთი პრიორიტეტულია ტურისტული ორგანიზაციისათვის, ვინაიდან ბაზაზე ადგილის დასამკვიდრებლად ყველაზე მნიშვნელოვანია მუშაობის არსებული ხარისხის გაუმჯობესება, სამომავლო პოტენციალის განსაზღვრა და მდგრადი, გრძელვადიანი წარმატების მიღწევა.

1 მეტრული მ. ტურიზმის ბიზნესი (ინდუსტრია, მენეჯმენტი, მარკეტინგი). თბილისი: სტუმართმასაპინძლობის ინდუსტრიის გამოცემებისა და ტრუნინგების ცენტრის გამოცემა, 2011, გვ. 166-167.

## აქტივების გაუფასურების ტმსტირება

მუხრან ქამადაძე  
სტუ დოქტორანტი

აქტივების გაუფასურების საკითხებს არეგულირებს ბასს 36 - „გაუფასურების ზარალი“. სტანდარტის მიზანია წესების დადგენა იმისათვის, რომ საწარმოს აქტივები ასახული არ იყოს მათ ანაზღაურებად ღირებულებაზე მეტი თანხით, ანუ იმ ღირებულებაზე მეტი თანხით რა ღირებულებაც აქვთ ამ აქტივებს საწარმოსათვის.

ეს სტანდარტი ეხება საწარმოს ყველა აქტივებს, მათ შორის შვილობილ, მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებს. სტანდარტი არ ეხება სასაქონლო მატერიალურ ფასეულობებს, სამშენებლო კონტრაქტების შედეგად მიღებულ აქტივებს, გადავადებულ საგადასახადო აქტივებს ან გასაყიდად გამიზნულად კლასიფიცირებულ აქტივებს, დაქირავებით მომუშავეთა გასამრჯელოების პროგრამებიდან წარმოშობილ აქტივებს, ფინანსურ აქტივებს, საინვესტიციო ქონებას, მათი აღრიცხვა რეგულირდება ბუღალტრული აღრიცხვის სხვა საერთაშორისო სტანდარტით.

ეპონომიკური სარჯებელი, რომელიც აქტივის გაყიდვით მიიღება, გამოიხატება გაყიდვის სარჯებით შემცირებული რეალური ღირებულებით, ან სხვაგვარად - ნეტო სარეალიზაციო ფასით. ის თანხა, რომელიც მიიღება დაინტერესებულ, საქმის მცოდნე და გარიგების მსურველ შპარეებს შორის აქტივის რეალიზაციის შედეგად შემცირებული გაყიდვაზე გაწეული დანახარჯების თანხით. აქტივის გასვლასთან დაკავშირებული ხარჯები წარმოადგენს დანახარჯებს, რომელიც პირდაპირ არის დაკავშირებული აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის გასვლასთან, ფინანსური დანახარჯებისა და მოგების გადასახადის გამოკლებით. შესაძლო მაქსიმალური სარგებელი, რომელსაც საწარმო მიიღებს აქტივებისაგან, გამოიხატება აღდგენითი ღირებულებით, აღდგენითი ღირებულება არის აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ნეტო სარეალიზაციო ფასსა და აქტივის გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი სიდიდე. აქტივის აღდგენითი ღირებულება გვიჩვენებს რა უფრო მომგებიანია საწარმოსათვის - აქტივის გამოყენება თუ გაყიდვა.

ბასს-ი მოითხოვს, წინდახედულობის და სიფრთხილის პრინციპიდან

გამომდინარე, აქტივების ასახვას იმ თანხით, რომელიც არ აღემატება მათგან მისაღებ ეკონომიკურ სარგებელს. ამიტომ მენეჯმენტი ახორცი-ელებს დაკვირვებას აქტივების გაუფასურებაზე და ასახავს მას ფინან-სურ ანგარიშგებაში, რათა საწარმოს მფლობელებმა დროულად მიიღონ სათანადო გადაწყვეტილება აქტივების გამოყენების ან გაყიდვის შესა-ხებ. აქტივის გამოყენებით მიღებულ ეკონომიკურ სარგებელს ეწოდება გამოყენების ღირებულება. გამოყენების ღირებულება არის აქტივიდან ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულიდან მომავალში მი-საღები ფულადი ნაკადების დისკონტირებული ღირებულება, ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეული არის აქტივების უმცირესი იდენ-ტიფიცირებადი ჯგუფი, რომლის უწყვეტად გამოყენების შედეგად ხდება ფულადი სახსრების მიღება.

გაუფასურების კონცეფციით აქტივი გაუფასურებულია, თუ საწარ-მო ვერ ამოიღებს მის საბალანსო ღირებულებას აქტივის გამოყენების ან გაყიდვით. ამ კონცეფციით ხდება ინფრასტილის პრინციპის რეალი-ზაცია: აქტივები და შემოსავლები არ უნდა იქნეს გადაჭარბებულად შეფასებული, ხოლო ხარჯები და ვალდებულებები - შემცირებულად. ამისათვის აქტივები უნდა შეფასდეს გაუფასურებაზე.

საწარმომ გაუფასურების იდენტიფიცირებისათვის ყურადღება უნდა გაამახვილოს შემდეგ ძირითად მაჩვენებლებზე:

**1) გარე წყაროებიდან მიღებული ინფორმაციით:**

- აქტივის საბაზრო ღირებულება მნიშვნელოვნად შემცირდა იმას-თან შედარებით, რაც მოსალოდნელი იყო დროის გასვლის ან გამოყენების შედეგად;
- ადგილი აქვს მნიშვნელოვან ცვლილებებს ტექნოლოგიურ ბა-ზარზე, ეკონომიკურ ან სამართლებრივ გარემოში, სადაც ფუნ-ქციონირებს საწარმო, ან იმ ბაზარზე, რომლისთვისაც განკუთ-ვნილია აქტივი;
- საბაზრო საპროცენტო განაკვეთების ან ინვესტიციებზე უკუგე-ბის საბაზრო განაკვეთების ზრდა.
- ანგარიშვალდებული საწარმოს ნეტო აქტივების საბალანსო ღი-რებულება მეტია მის საბაზრო კაპიტალიზაციაზე.

**2) შიდა ინფორმაციით:**

- არსებობს მტკიცებულება აქტივის მომველებაზე ან მის ფიზი-კურ ცვეთაზე;

- მოცემულ პერიოდში მოხდა ან დაგეგმილია მომავალში მნიშვნელოვანი ცვლილებები.
- არსებობს ინფორმაცია, რომ აქტივების მწარმოებლურობა გაუარესდა ან მომავალში გაუარესდება.

აუცილებელია აქტივის გადაფასება, რათა ის ასახული იყოს ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების ერთ-ერთი მოთხოვნის - „შესაბამისობის“ პრინციპის დაცვით

ბასეს-ი მოითხოვს, რომ ბალანსის შედეგის თარიღისათვის საწარმომ განსაზღვროს, არსებობს თუ არა აქტივის გაუფასურების რაიმე ნიშნები. არსებობს თუ არა გაუფასურების ნიშნები, საწარმო ვალდებულია გაუფასურებაზე ყოველწლიურად შეამოწმოს:

- განუსაზღვრელი მომსახურების ვადის მქონე არამატერიალური აქტივები;
- საწარმოთა გაერთიანებით წარმოქმნილი გუდვილი;
- ჯერ გამოუყენებელი აქტივები.

ტესტირება გაუფასურებაზე ტარდება წლის ბოლოს, გარდა იმ სავალდებულო აქტივებისა, რომელთა ტესტირება შეიძლება ჩატარდეს წლის ნებისმიერ პერიოდში, მაგრამ ყოველ წელს ერთი და იმავე დროს.

აქტივის შესაძლო გაუფასურებაზე მიუთითებს აქტივის შესანახად ან მისი სამუშაო მდგომარეობაში მოსახურებად საჭირო ფულადი სახსრების ოდენობა, რომელიც მნიშვნელოვანდ აღემატება გეგმიურს; ნეტო ფულადი სახსრების ამ აქტივიდან მიღებული საოპერაციო მოგება ან ზარალი, რომელიც დაგეგმილ მაჩვენებელზე გაცილებით უარესია; ზარალის მნიშვნელოვანი გაზრდა დაგეგმილთან შედარებით. აქტივის შესაძლო გაუფასურების მაჩვენებლის არსებობა მიუთითებს აქტივის დარჩენილი სასარგებლო მომსახურების ვადის, ცვეთის მეთოდის ან აქტივის ნარჩენი ღირებულების გადასინჯვის საჭიროებასა და კორექტირებაზე.

ბას 36-ის მიხედვით, „აღდგენითი ღირებულება“ არის აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის გაყიდვის ხარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებასა და აქტივის გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი.

გაყიდვის ხარჯებით შემცირებული რეალური ღირებულების თანხა არის ის თანხა, რომელიც მიიღება დაინტერესებულ და საქმის მცოდნე გარიგების მსურველ მხარეებს შორის აქტივის ან ფულადი სახსრების

წარმომქმნელი ერთეულის რეალიზაციის შედეგად, შემცირებული გაყიდვაზე გაწეული დანახარჯების თანხით.

აქტივის გამოყენების ღირებულება კი არის აქტივიდან ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულიდან მომავალში მისაღები ფულადი სახსრების ნაკადების მიმდინარე დისკონტირებული ღირებულება.

აქტივების გაუფასურების ზარალის დასაღენად საჭიროა აქტივის ნეტო სარეალიზაციო ფასისა და გამოყენების ღირებულების დადგენა. მათ შორის უდიდესი არის აღდგენითი ღირებულება. ის თანხა, რომლითაც აქტივის საბალანსო ღირებულება აღმატება აღდგენით ღირებულებას, არის გაუფასურების ზარალი.

არ არის აუცილებელი ყოველთვის განისაზღვროს ორივე სიდიდე - აქტივის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებული რეალური ღირებულება და მისი გამოყენების ღირებულება. თუ ერთ-ერთი მათგანი მეტია მოცემული აქტივის საბალანსო ღირებულებაზე, აქტივი არ არის გაუფასურებული და არ არსებობს მეორე სიდიდის შეფასების აუცილებლობა.

ზოგჯერ შეუძლებელია გაყიდვის დანახარჯებით შემცირებული რეალური ღირებულების თანხის განსაზღვრა, რადგან ვერ ხერხდება მისი საიმედო შეფასება. ასეთ შემთხვევაში გამოყენების ღირებულება შეიძლება მიჩნეულ იქნეს აქტივის აღდგენით ღირებულებად.

თუ აქტივის გამოყენებით მისაღები სარგებელი არ აღემატება მის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებას, ეს უკანასკნელი შესაძლოა მიჩნეულ იქნეს აქტივის აღდგენით ღირებულებად.

გაუფასურების ზარალის დასაღენად აუცილებელია სწორად შეფასდეს ყველა სათანადო მაჩვენებელი. თანახმად ბასს 36-ისა, აქტივების გამოყენების ღირებულების შეფასება მოიცავს შემდეგ საფეხურებს:

- აქტივის უწყვეტი გამოყენებისა და მისი გასვლის შედეგად მომავალში მისაღები ფულადი ნაკადების შეფასებას;
- მომავალი ფულადი ნაკადების მიმართ შესაბამისი დისკონტის განაკვეთის გამოყენება.
- აქტივის გამოყენების ღირებულების გასაანგარიშებლად საჭიროა შემდეგი ელემენტების გათვალისწინება:
- აქტივიდან მოსალოდნელი მომავალი ფულადი ნაკადების მოცულობისა და დროში განაწილების შეფასება;
- მომავალი ფულადი ნაკადების მოცულობისა და დროში განაწილების შესაძლო ცვლილების სავარაუდო შედეგი;

- ფულის დროითი ღირებულება, პროცენტის ურისკო მიმდინარე საბაზრო განაკვეთზე დაყრდნობით;
- აქტივთან დაკავშირებული თანდაყოლილი განუსაზღვრელობის არსებობის თანხომრივი გამოხატულება ( ღირებულება, ფასი );
- სხვა ფაქტორები, მაგალითად - ლიკვიდობა, რომელსაც ბაზრის მონაწილენი გაითვალისწინებენ აქტივიდან მოსალოდნელი მომავალი ფულადი ნაკადების შეფასებისას.

აქტივიდან მომავალში მისაღები ფულადი ნაკადების პროგნოზი და შეფასება უნდა ეფუძნებოდეს ბოლო პერიოდის ბოუჯეტებს, პროგნოზებს და არ უნდა შეიცავდეს მომავალში ჩასატარებელი კაპიტალურ და რესტრუქტურიზაციის სამუშაოებს. ასევე, პროგნოზირება უნდა ეფუძნებოდეს ხუთ წელს, თუ არ არის მიზანშეწონილი უფრო ხანგრძლივი პერიოდი.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. ACCA F7. ფინანსური ანგარიშგება. ინლისისა და უელსის ნაფიც სერტიფიცირებულ ბუღალტერთა ასოციაციის პროფესიული სერტიფიცირების სახელმძღვანელო.ფინანსური ანგარიშგება. ბავ, თბ., 2009.
2. ACCA F3. ფინანსური ანგარიშგება. ინლისისა და უელსის ნაფიც სერტიფიცირებულ ბუღალტერთა ასოციაციის პროფესიული სერტიფიცირების სახელმძღვანელო.ფინანსური ანგარიშგება. ბავ, თბ., 2009.
3. BAETGE KIRSCH THIELE - BILANZEN (8, wesentlich überarbeitete Auflange studienausgabe) Dusseldorf 2005-2009.
4. Karlheinz Kuting, claus-peter Weber – DIE BILANZANALYSE (lehrbuch zur beurteilung von einzel – und konzernabschüssen 7 Auflange) Stuttgart 2004-2008.

## ბიზნესი, მარკეტინგი, მარკეტინგი

### პომარის ინფორმაციულ ჟურნალის ხარჯების გათვალისწინების მეთოდისა

ლევან ქუთათელაძე,  
სტუ, დოქტორანტი

ინფორმაციის დაცვის სფეროში ექსპერტ-პრაქტიკოსებმა უსაფრთხოების კონკრეტული მოთხოვნების გათვალისწინებით იპოვეს ოპტიმალური გადაწყვეტა – ინფორმაციული უსაფრთხოების სისტემის ღირებულება უნდა შეადგენდეს ინფორმაციული სისტემაზე დანახარჯების დაახლოებით 10-20%-ს. პრაქტიკული ცდების საფუძველზე სწორედ ეს არის შეფასება, რასაც შეიძლება დავეყრდნოთ (თუ არ ჩავატარებთ დეტალურ გამოთვლებს). პრაქტიკაში ინფორმაციული უსაფრთხოების სისტემის შეფასებისათვის კონკრეტული მეთოდების გამოყენება დამოკიდებულია მთელ რიგ ფაქტორებზე. მათ შორის მთავარია ორგანიზაციის სიმწიფის (ხანგრძლივი არსებობის) ხარისხი და მისი მოღვაწეობის სპეცივიკა<sup>1</sup>.

ინფორმაციული უსაფრთხოება ყოველთვის იყო და რჩება კომპანიის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილად. ძნელია და ხშირად შეუძლებელიც შეფასდეს უსაფრთხოებაში ჩადებული ინვესტიციების დაბრუნება. ბიუჯეტის დაგეგმვისას კომპანიის ხელმძღვანელობაში უნდა მიიღოს ინფორმაცია ინფორმაციული განყოფილების უფროსებისგან ახალი ტექნოლოგიების და დაცვის სისტემების დანერგვის შესახებ. ასევე პასუხი კითხვაზე – რამდენად გაიზრდება კომპანიის რესურსების საერთო დაცულობა? როგორ შეფასდეს იგი? ინფორმაციული განყოფილების ხელმძღვანელობას ყოველთვის არ შეუძლია შეარჩიოს შესაბამისი არგუმენტები და ბიუჯეტში დაარეჩერვოს თანხები ინფორ-

1 ქუთათელაძე ლ., ქუთათელაძე ა., საფინანსო-საბანკო ორგანიზაციაში ინფორმაციული უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და რისკების მართვის მეთოდები. თბილისი, ყოველთვიური საერთაშორისო რეცენზირებადი და რეფერირებადი სამეცნიერო ჟურნალი ‘ეკონომიკა’, #1-2, 2012. გვ. 57-61.

მაციულ უსაფრთხოებაზე. ასე რომ, ინფორმაციული უსაფრთხოების უზრუნველყოფის სისტემის შექმნა და მოდერნიზაცია ხდება პრობლემა, რომელიც განიხილება ფინანსურ სიბრტყეში.

ინფორმაციულ უსაფრთხოებაზე დანახარჯების დასაბუთებისას უნდა გავითვალისწინოთ, რომ უსაფრთხოების რაღაც დონე უზრუნველყოფილია იმის მიუხედავად, ითიქრა თუ არა ამაზე ვინმებ. როგორც უკვე ცნობილია, ბიზნესში შეტანილი ცვლილებების ეკონომიკური შეფასებისთვის აქტიურად იყენებენ ფინანსურ მაჩვენებელს (ROI), რომლიც განისაზღვრება შემდგი ფორმულით:

$$ROI = \frac{\text{შემოსავალი} - \text{ხარჯი}}{\text{ინვესტიციები}} ;$$

სადაც,

შემოსავალი - საანგარიშო წელში (1 წელი) კომპანიის შემოსავალია;

ხარჯი - საანგარიშო წელში (1 წელი) კომპანიის გასავალია;

ინვესტიციები - კომპანიაში ჩადებული ინვესტიციებია.

როგორც წესი ROI-ს გამოთვალა ხელმიუწვდომელია იმ ქვედანაყოფისთვის, რომელიც პასუხს აგებს ინფორმაციული ტექნოლოგიების გამართულობაზე. იმისათვის რომ გავიგოთ, როგორ აისახება ROI-ში ინვესტიციები ინფორმაციულ უსაფრთხოებაზე, უნდა განვსაზღვროთ დაშნეარე roi, რომელიც გამოწვეულია ინფორმაციულ უსაფრთხოებაზე მიღებული ცვლილებებით:

$$roi = \frac{\Delta \text{შემოსავალი} - \Delta \text{ხარჯი}}{\Delta \text{ინვესტიციები}} ;$$

სადაც,

**roi** - ინფორმაციულ უსაფრთხოებაზე ინვესტიცირებისას ROI-ს ცვლილების მაჩვენებელი;

**Δშემოსავალი** - ინფორმაციულ უსაფრთხოებაზე ინვესტიცირებისას შემოსავლის ცვლილება;

**Δხარჯი** - ინფორმაციულ უსაფრთხოებაზე ინვესტიცირებისას ხარჯის ცვლილება;

**Δინვესტიციები** - ინფორმაციულ უსაფრთხოებაზე ჩადებული ინვესტიციები.

დაუშვათ, რომ ინფორმაციული უსაფრთხოების სისტემაზე ცვლილებების შეტანამდე კომპანიის ROI იყო -  $ROI_{old}$ , ჩადებული ინვესტიციები -  $I_{old}$ , დაგეგმილი ინვესტიციები -  $\Delta I$ . მაშინ კომპანიის ROI პროექტის დანერგვის შემდეგ ასე განისაზღვრება:

$$ROI = ROI_{old} \frac{I_{old}}{I_{old} + \Delta I} + roi \frac{\Delta I}{I_{old} + \Delta I};$$

ინფორმაციული უსაფრთხოების ეფექტიანობა დამოკიდებულია საერთო ინვესტიციებიდან გამოყოფილ ნაწილზე. ამის საფუძველზე იცვლება კომპანიის საერთო ეფექტიანობა: ROI შეიძლება გაიზარდოს ( $roi > ROI$ ), შემცირდეს ( $roi < ROI$ ) ან დარჩეს ძველ რეჟიმში ( $roi = ROI$ ).

ინფორმაციული უსაფრთხოების სისტემას შემოსავლების ზრდაზე პირდაპირი გავლენა არა აქვს, ამიტომ ინფორმაციულ უსაფრთხოებაზე ჩადებული ინვესტიციებიდან კომპანიაში ხელფასების ზრდა არ არის მოსალოდნებლი. მაგრამ **Δშემოსავალი**-ს ნულთან გათანაბრება მაინც არ შეიძლება, რადგან არსებობს ისეთი სტანდარტული ინფორმაციული სისტემები, რომლებშიც გონიორულად აგებული ინფორმაციის დაცვის სისტემა აისახება კომპანიის შემოსავლების ზრდაზე. მაგალითად, კომპანია PriceWaterhouseCoopers-ის კვლევების თანახმად, პირდადად ელექტრონული გადარიცხვებისას არასრულყოფილი უსაფრთხოება გახდა კლიენტების ნდობის დაკარგვის მიზეზი, რამაც გამოიწვია შემოსავლების ნაკადის შემცირება<sup>1</sup>.

ინფორმაციული უსაფრთხოების სისტემის აგებისას გვერდს ვერ ავუკლით ხარჯვით ნაწილს: ოპერაციული დანახარჯები არის ყველაზე – ესაა პროექტის შემუშავება, პერსონალის სწავლება თუ ინფორმაციის დაცვის საშუალებების ღირებულება. მაგრამ არის შემად-

1 Зегжда Д. П., Ивашко А. М. Основы безопасности информационных систем. Москва, Гориачая линия-Телеком, 2009.

გენლები, რომლებსაც შეუძლიათ ამის კომპენსაცია და პროექტის რეალიზაციის შემდეგ ხარჯების შემცირებაც.

ხარჯების შემცირების მთავარი მიზეზი (რის გამოც ინფორმაციული უსაფრთხოების სისტემა იგება და ხდება მისი მოდერნიზაცია) არის რისკებისგან დაცვის გაძლიერება. გამოთვლილი  $roi$  აუცილებელია შედარღეს შემდეგ ზღვრულ სიდიდეებს:

- $roi < 0$ , ე.ი. პროექტის ეფექტიანობა უარყოფითია. ეს ბუნებრივია არის უარესი ვარიანტი (არის უფრო უარესი ვარიანტი, როცა  $roi$  იმდენად უარყოფითია, რომ უარყოფითი შეიძლება გახდეს მთელი კომპანიის ROI);
- $ROI > roi > 0$ , ე.ი. პროექტის დანერგვას მოყვება კომპანიის საერთო  $ROI$ -ს შემცირება;
- $roi > ROI$  ე.ი. პროექტის დანერგვას მოყვება კომპანიის საერთო  $ROI$ -ს გაზრდა.

ნებისმიერი ეკონომისტი უარს იტყოდა 1) პროექტზე (პროექტი წამგებიანია), დაფიქრდებოდა, აედო თუ არა 2) პროექტი (პროექტი ამცირებს საერთო ეფექტიანობას, მაგრამ იგი მაინც შემოსავლიანია) და რეკომენდაციას გაუწევდა 3) პროექტის დანერგვას (პროექტი შემოსავლიანია და ხელს უწყობს ეფექტიანობის ზრდას).

ინფორმაციული უსაფრთხოების რისკების შეფასებისთვის საჭიროა გათვალისწინებული იქნეს არა მარტო ზარალი მათი წარმოშობის ალბათობის გათვალისწინებით, ასევე ზარალის აბსოლუტური მნიშვნელობა. თუ დანაკარგების დირებულება თავსებადია კომპანიის საერთო ღირებულებასთან, მაშინ ინფორმაციული უსაფრთხოების სისტემის პროექტირებისას ზარალის წარმოშობის დაბალი (არა ნულთან  $\leq$  მახლობლობაში) ალბათობისთვისაც, ეს დანაკარგები უნდა იქნეს გათვალისწინებული.

## სამორინისო შრომითი მიზრაცხა თანამდებობები საქართველოში

გიორგი ფანზიშვილი

სტუ დოქტორანტი

თანამდებოვე საქართველოსთვის, მიუხედავად ეკონომიკური წინ-სვლისა, შრომით-მიგრაციული პროცესები განსაკუთრებული აქტუა-ლურობით გამოირჩევა, რაც ძირითადად განპირობებულია იმით, რომ შრომით მიგრანტთა რაოდენობა თითქმის საქართველოს მოსახლეობის ერთ მეოთხედს შეადგენს და ყურადსალებია ისიც რომ საქართველოს-თვის შრომითი მიგრაცია მხოლოდ ცალმხრივ ხასიათს ატარებს და საზღვარგარეთ დასაქმებული ქართველი მიგრანტების უკან დაბრუნების პოტენციალი ძალზედ დაბალია.

მთლიანად მსოფლიო, ეკონომიკური თვალსაზრისით მოგებული რჩე-ბა, რადგან მიგრაციის თავისუფლება ადამიანებს საშუალებას აძლევს, გადავიდნენ იმ ქვეყნაში, სადაც მეტ წვლილს შეიტანენ მსოფლიო წარმოებაში. როცა შრომის ბაზრები პოლიტიკურ-ეკონომიკური კრიზი-სის პირობებში ხელისუფლების მიერ ვერ რეგულირდება, მოქმედებას იწყებს მასობრივი პროცესი - შრომითი მიგრაცია.

ზემოაღნიშნულ საკითხს აქტუალურობას მატებს კიდევ მრავალი ფაქტორი, რომელთაგანაც გამოსარჩევა ცასლმხრივი ხასიათის შრო-მითი მიგრაციით გამოწვეული საქართველოს ეკონომიკისთვის მთლიანი შიდა პროდუქტის მნიშვნელოვანი დანაკარგი.

მეტად მნიშვნელოვანი და ამავდროულად საქაოდ რთული ამოცანაა შრომითი მიგრაციის დადებითი და უარყოფითი მხარეების შეფასება. რატომდაც მის დადებით ეკონომიკურ როლზე აქცენტი ნაკლებადაა გამახვილებული, უარყოფითზე კი (გადასახადების შემცირების მიზნით შემოსავლების დამალვა, კრიმინალური ვითარების გამწვავება, არალე-გალურ დასაქმებასთან დაკავშირებული გაუთვალისწინებელი სიმძლე-ები და სხვა) ბევრს წერენ და საუბრობენ. ჩვენი კვლევის ერთ-ერთ ამოცანას სამუშაო ძალის მიგრაციის დადებითი გავლენის გამოკვეთა წარმოადგენს მოსახლეობის ცხოვრების დონეზე.

როცა შრომითი მიგრანტი თავის ქვეყნას ტოვებს, უდიდეს რისკს ეწევა, მაგრამ გამართლების შემთხვევაში მოგებული რჩება არა მარტო

ის და მისი ოჯახი, არამედ სახელმწიფო და მსოფლიო საზოგადოებაც. სამუშაო ძალის ექსპორტის შედეგად სახელმწიფოები მნიშვნელოვან შემოსავალს ვალუტის სახით იღებენ - ემიგრანტთა გზავნილების ფორმით.

ქვეყნის ეკონომიკაზე გზავნილების გავლენა შეიძლება შემდეგნაირად დავაჯვუფოთ: შემოსავლების მიღება, წარმოების ხელშეწყობა, შესაძლო ინფლაცია, რისკების ზრდა; მას ცვლილებები შეაქვს სოციალურ-დემოგრაფიულ სტრუქტურაში, შრომის ბაზარსა და სოფლის მეურნეობაში, არის პოტენციური განვითარების წყარო და ა.შ.

სამუშაო ძალის ექსპორტისაგან სახელმწიფო შემოსავლებს წარმოადგენს:

1. საშუალო და ტურისტული ფირმების შემოსავლებიდან გადასახადები; 2. გადასახადები მიგრანტთა უშუალო გზავნილებზე; 3. მიგრანტების მიერ სამშობლოში განხორციელებული ინვესტირება (სამშობლოში ჩამოტანილი წარმოების საშუალებები, მიწისა და უძრავი ქონების, ფასიანი ქაღალდების შეძენა); 4. გარდა ამისა, მიგრანტებს სამშობლოში დაბრუნებისას თან მოაქვთ დაახლოებით იმავე ოდენობის დანაზოგები, რომელიც მათ მიერაა განხორციელებული გზავნილებათა სახით. შესაბამისად, სამუშაო ძალის ექსპორტიორი ქვეყნის ეროვნული შემოსავალი (იგულისხმება გზავნილებათა თანხა) ორმაგდება.

ფულადი გზავნილები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს დონორი ქვეყნის განვითარებაზე. გზავნილები იხარჯება როგორც ბავშვების განათლებისთვის, მაღალხარისხოვანი და საფუძვლიანი მეურნეობისთვის, ასევე უძრავი ქონებისა და პროდუქციის შესაძლებად. აქედან გამომდინარე მიგრანტის ოჯახის მიერ სამომხმარებლო ბაზარზე პროდუქციის შეძენით, იზრდება აღნიშნულის ადგილობრივი წარმოება, ჩნდება სამუშაო ადგილები. მაგრამ ყურადსალება, რომ გაზრდილი მოხმარების ნეგატიური მხარეა ინფლაციის შესაძლო ზრდა.

შრომითი მიგრაციის უმნიშვნელოვანეს ნეგატიურ მოვლენად შეგვიძლია განვიხილოთ ქვეყნიდან ინტელექტის გადინების პროცესი. 90-იანი წლებიდან მოყოლებული საქართველოდან დაიწყო მაღალკვალიფიციური კადრების გადინება საზღვარგარეთ (მირითადად რუსეთში და თურქეთში და ცოტა მოგვიანებით აშშ-სა და ევროპაში) რომელთაოვისაც მშობლიურ ქვეყნაში სამუშაო ველარ მოიძებნა, ხოლო მიმღები ქვეყნისთვის მათი კვალიფიკაცია მიმზიდველი აღმოჩნდა. ზემოაღნიშნული ინტელექ-

ტის გადინების კვალი დღემდე შესამჩნევია ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური მდგრამარებისთვის. განათლებისა და კვალიფიკაციის მაღალი დონით განსაკუთრებით აშშ-სკენ მიმართული მიგრაციული ნაკადი გამოირჩევა.

დადგებით მხარეებს შორის აღსანიშნავია ვაჭრობა-ბიზნესით დასაქმებული ემიგრანტების მომრავლება საქართველოში. საქართველოში მიგრაციის ამ ფორმასთან მიმართუბაში არანაირი კვლევა არ ტარდება. საზღვრების გახსნის შემდეგ საქმიანობის ამ სახეს აქტიურად აუწყოფები ჩვენი ქვეყნის მოსახლეობამ. ბევრმა მათგანმა თურქეთში, რუსეთში, პაკისტანში თუ სხვა ქვეყნებში კომერციული საქმიანობით გაიტანა თავი 90-იანი წლების ძნელბედობის ფასს და მნიშვნელოვანი კაპიტალიც დააგროვა. შრომითი მიგრაციის ამ ტიპს დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს, ვინაიდან იგი უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს გლობალიზაციის საწყის ეტაპზე.

შრომითი მიგრაციის უარყოფითი ზეგავლენის შესამცირებლად ძალზედ მნიშვნელოვანია მისი შესწავლისა და სწორად აღრიცხვის ხარვეზების აღმოფხვრა. დღეისათვის საქართველოში შრომითი მიგრაციის აღრიცხვა ძირითადად სასაზღვრო სტატისტიკაზე დაყრდნობით ხორციელდება. სასაზღვრო სტატისტიკა მოიცავს ქვეყნის მოქალაქეებისა და მოქალაქეობის არ მქონე პირთა სასაზღვრო გამშვებ პუნქტებში შესვლა-გასვლის ყველა ფაქტს. მაგრამ ის არ განასხვავებს ერთმანეთისგან შრომით მიგრანტებს, ტურქისტებს, სტუდენტებსა თუ სხვა გადადგილებულ პირთ. ამიტომ იგი შრომითი მიგრაციის შესასწავლად ნაკლებად მიზანშეწონილია და მოსახებნია სხვა აღტერნატიული გზა უფრო ზუსტი აღრიცხვისათვის.

ამრიგად, შრომით მიგრაციას აქვს როგორც ნეგატიური ასევე პოზიტიური ზეგავლენა მიმღები და დონორი ქვეყნებისათვის, თვით მიგრანტებისა და მათი ოჯახებისთვის. მთლიანობაში კი, იგი დადგებითი მოვლენაა.

სულ უფრო იზრდება კულტურულ-საგანმანათლებლო და სტუდენტთა გაცელებითი პროგრამებით სარგებლობა, რაც საჭიროების შემთხვევაში სახელმწიფოს მეტად აძლევს ემიგრირებულის ყურადღების არეალში ყოლის შესაძლებლობას. გამოვლინდა ისიც, რომ გარკვეული ვადით სამუშაო ძალის ორგანიზებულად გაყვანის შემთხვევაში ჩვენი მოქალაქეების უკან დაბრუნების მაჩვენებელიც ბევრად უფრო მაღალია (93%). აქ კიდევ ერთხელ იკვეთება ემიგრირების ორგანიზების ფორმების სა-

ხელმწიფოს მხრიდან ლეგალიზების უპირატესობა და აუცილებლობა.

აქედან გამომდინარე, აუცილებელია ემიგრირების ორგანიზებაზე სახელმწიფო კონტროლი. სახელმწიფო უნდა შეძლოს საშუალება ფირმების დაინტერესება დარეგისტრირებაში, ხელი შეუწყოს სააგნენტოების საქმიანობის ლეგალიზაციას, უზრუნველყოს შრომითი მიგრაციის სფეროში ორმხრივი სახელმწიფოთაშორისი ხელშეკრულებების გაფორმება.

შრომითი ემიგრაციის რეგულირების ერთ-ერთი ამოცანა უნდა გახდეს საზღვარგარეთ ჩვენი თანამებამულებების თავისი პროფესიისა და კალიფიკაციის შესაბამისად დასაქმებისა და საკუთარი შრომითი უნარის რეალიზაცია-განახლების ხელშეწყობა.

ევროპის დასაქმების სტრატეგიის (ლისაბონის სტრატეგიის ერთ-ერთი ძირითადი პუნქტი) უპრობლემოდ განხორციელებისათვის აუცილებელია ევროპის შრომის ბაზარზე მუდმივი დაკირვება და შეფასება. ყოველივე ზემოაღნიშნულისათვის აუცილებელია ანალიტიკური მსარდაჭერა, რომელიც ძირითადად ყოველწლიურ ობიექტურ დასკვნაში სახელწოდებით “დასაქმება ევროპაში” გამოიხატება. ეს დასკვნა თავისმხრივ მოიცავს უამრავ ანალიზსა და სტატისტიკურ მონაცემებს ევროპის დასაქმების სტრატეგიასთან დაკავშირებით, აგრეთვე დასკვნეს მრავალი სხვა თემების შესახებ რომლებიც მეტად საინტერესოა ევროპის მოსახლეობისათვის.

ზემოაღნიშნული დასკვნის – “დასაქმება ევროპაში” და აგრეთვე სხვა მრავალი კვლევისა თუ ანალიზის ობიექტური შედეგები უდალ მნიშვნელოვანია და შეიძლება ითქვას საფუძველია წარმატებული ევროპული პოლიტიკური ღონისძიებებისთვის. ისინი აგრეთვე ემსახურებიან სხვა მრავალი სამომავლო პროექტისა თუ სტრატეგიის წარმატებულ განხორციელებას.

საქართველოს მოსახლეობის შრომითი მიგრაციის მართვის პრობლემებზე მსჯელობისას უპირველეს ამოცანად აღნიშნული კონტინგენტის შემადგენლობის აღრიცხვა და შესწავლა უნდა დაისახოს. კვლევისას გამოვლინდა, სასახლეო სტატისტიკა და აღმინისტრაციული წყაროები ყოველთვის ვერ იძლევა საჭირო ინფორმაციას შრომით მიგრანტთა ზუსტ რაოდენობასა და მიგრაციის ხანგრძლივობაზე. ამ მხრივ შედარებით მეტი ინფორმაციის მოცემა შეუძლია ადმინისტრაციული წყაროს ერთ-ერთ სახეს - სამუშაო ძალის ექსპორტ-იმპორტის ნებართვების სისტემას, რაც ჩვენს ქვეყნაში ფაქტობრივად არ არსებობს. მისასალ-

მქებოლი იქნებოდა ასეთი ფუნქციის მატარებელი ახალი სამსახურის ჩამოყალიბება, რომელიც პირდაპირ დაექვემდებარება სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს, უშუალო კონტაქტში იქნება საზღვარგარეთ არსებულ ანალოგიურ სამსახურებთან და ამით სრულ აღრიცხვიანობას მოახდენს სამუშაო ძალის იმპორტ-ექსპორტის სფეროში.

ჩვენი აზრით, უმნიშვნელოვანესი წინსვლა იქნებოდა საქართველოს მოქალაქე ემიგრანტთა ინტერნეტ-პორტალის შექმნა, სადაც მოხდება მათი რეგისტრაცია, დაფიქსირდება თუ რა სახის გამოცდილება თუ განათლება მიიღეს მათ ემიგრაციის პერიოდში და რა მოთხოვები გააჩნიათ სამობლოში დაბრუნებისთვის. ამგვარი მონაცემთა ბაზის განხილვა უნდა მოხდეს შესაბამისად დასაქმების სამსახურის მიერ და შესთავაზოს შესაბამის ემიგრანტს სამუშაო ადგილი მშობლიურ ქვეყანაში. ამით მივიღებთ რეალობასთან მაქსიმალურად მიახლოებულ მონაცემებს საქართველოს მოქალაქე ემიგრანტებისა და მათ სამომავლო გეგმებზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულთან ერთად აუცილებელია მიგრანტთა ფულადი გზავნილების გაზომვა. ოფიციალური მონაცემების ძირითად წყაროს მიგრანტთა გადარიცხვების შესახებ წარმოადგენს ყოველწლიური საგადასახადო ბალანსი, რომელიც ფულადი ნაკადების მართვისა და კონტროლის მეოროლოგიური საფუძველია, მაგრამ, თავის შერივ, იგი არადამაკმაყოფილებელია და რეალურ სიდიდიდან საქმაოდ დაცილებული. მიგრანტთა უმტესობა თანხებს მშობლიურ ქვეყანაში ნაცნობების მეშვეობით (ხელზე) აგზავნის, რომლებიც საქართველოში მოემზავრებან. ამ კონკრეტული საკითხის მოსაგვარებლად მისასალმებელი იქნებოდა საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ახალი ფულადი გზავნილის სახეობის შემუშავება, რომელიც უფრო ხელმისაწვდომი იქნება ემიგრანტთათვის, ქართული მხარის მიერ გზავნილზე მინიმალური საკომისიოს დაწესების ხარჯზე.

ჩვენი ვარაუდით ემიგრანტთა ნაკადი კიდევ უფრო გაიზრდება ეპროგრამირსა და საქართველოს შორის სავიზო რეჟიმის გამარტივების შემდეგ.

## გამოყენებული ლიტერატურა

1. ჯოლია გ. საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები, თბ., 2008.
2. мировая экономика и международные отношения, 2010. №8
3. გაჩეჩილაძე რ. მოსახლეობის მიგრაცია საქართველოში და მისი სოციალურ-ეკონომიკური შედევები. გაერო. თბ., 1997. 62გვ.
4. <http://ka.wikipedia.org/wiki>
5. <http://www.statistics.ge>
6. მიგრაციის სტატისტიკა. საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი. თბილისი, 2005, 2006, 2007, 2008 წლის გამოცემები
7. საქართველოს შინამეურნეობები, 2003-2004. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, სტატისტიკის დეპარტამენტი. ეკონომიკურ-სტატისტიკური კრებული. თბილისი, 2005. 116გვ.
8. არალეგალური მიგრაცია და მიგრანტთა უკანონო გადაყვანა. მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ მომზადებული ანგარიში. თბ., 2008.
9. შრომითი მიგრაცია საქართველოდან. IOM. 2006. გვ.39.
10. საქართველოს ეროვნული ბანკი. მონეტარული და საბანკო სტატისტიკის ბიულეტენი. თბილისი 2009, № 9(65).
11. ჭელიძე ნ. შრომით ემიგრანტთა საზღვარგარეთ დასაქმების პირობები და ფულადი გზავნილები. ჟ. «სოციალური ეკონომიკა», №1, 2006. გვ.57-64.
12. [www.demoscope.ru](http://www.demoscope.ru)

**საცარმლის პერსონალის მართვის  
თავისებულებები გაზარდე «მოთხოვნა-მიზოდების»  
არასტაბილური პირობებში**

**გოდერძი ტყეშელაშვილი  
ემდ, სტუ სრული პროფესორი  
ზურაბ გრიგორაშვილი  
სტუ დოქტორანტი**

მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმა განსაკუთრებით გაამწვავა ურთიერთობა შრომით ბაზარზე. კრიზისს, როგორც წესი, თან ახლავს წარმოების მოცულობის შემცირება, ეს კი იწვევს მომუშავეთა გამონთავსუფლებას, შრომის ბაზარზე გამოდის ჩვეულებრივზე მეტი შრომის მაძიებელი, მცირდება მაცხოვრებელთა შემოსავლები, რასაც თან მოხმარებაზე მოთხოვნილების შემცირება და სხვა მრავალი ფაქტორი მოჰყვება, რომლებიც უარყოფითად აისახება ერთის მხრივ, ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობაზე და მეორეს მხრივ – ადამიანთა სოციალურ მდგომარეობაზე. ამასთანავე ფირმებს მოეთხოვებათ მეტი ყურადღება მიაქციონ კადრებთან მუშაობას კონკურენტუნარიანობის შესანიჩუნებლად.

ადამიანური რესურსების მომზადების და მართვის პრობლემები მსოფლიოს სახელმწიფოთა ცენტრალური ხელისუფლების მზრუნველობის საგანიცაა. ასე მაგალითად: ამერიკის შეერთებულ შტატებთან ერთად იტალია, საფრანგეთი და გერმანია ყველაზე დიდი ეკონომიკური უფლებამოსილებით არის წარმოდგენილი დასავლურ სამყაროში. მათი საერთაშორისო ვაჭრობიდან გამომდინარე ეროვნული პროდუქტის შექმნის მიხედვით ისინი შესაბამისად შემდეგ ადგილებს იკავებენ. 1. აშშ.  
2. გერმანია. 3. საფრანგეთი. 4. იტალია.<sup>1</sup>

ადამიანური რესურსების მართვა სტრატეგიული ფაქტორია, რომელიც ერის ეკონომიკურ წარმატებას განსაზღვრავს. ადამიანური რესურსების მენეჯმენტის კონცეფციები ამ ქვეყნებში მაღალ დონეზე დგას. ისინი განსაზღვრავენ ძირითად ღონისძიებებს პერსონალური ადმინისტრაციასა და ასევე ადამიანური რესურსების მენეჯმენტის განვითარებისათვის, თეორიულ მიდგომებს.

ადამიანების რესურსების მენეჯმენტს აშშ-ში 100 წლიანი გამოც-

1 Rudiger Paiper Human Resource Management, 2007, p.136.

დღლება გააჩნია. ამ პერიოდის განმალობაში პერსონალური მენეჯმენტი აშშ-ში შეიცვალა მიღებით ადამიანებთან ურთიერთობებში, რის საფუძველზეც ჩამოყალიბდა საბოლოო ინტეგრირებული კონცეფცია, რომლის კვლევის შედეგები ახალ სოციალური და ეკონომიკური პრობლემების ცვლილებას ასახავს. კონტრასტული და ზაგრძლივი, პრაქტიკული და თეორიული ტრადიციების სფეროში აშშ არის ლიდერი.<sup>1</sup>

უკანასკნელი ათწლეულის განმალობაში რიგ ამერიკულ კომპანიებში მნიშვნელოვნად შემცირდა საერთო განათლების სტანდარტი. ეს ნათლად ჩანს ამერიკული ბიზნეს-სკოლების მაგალითზე. განათლება გახდა მთავარი პრობლემატური საკითხი ზოგიერთი საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის. მისი მიზეზი განათლების სისტემაში არაკვალიფიციური პროცესიული მომზადება გახდა.

საბაზო ეკონომიკის პირობებში საწარმოები, რომელთა საქმიანობა ორიენტირებულია ბაზარზე, მათი ეკონომიკური მდგრამარებების გათვალისწინებით, საქონელზე მოთხოვნილებების თავისებურებებით, ტექნოლოგიური პროგრესის დონისა და ფირმის ეკონომიკის გათვალისწინებით ახდენენ „მოთხოვნა მიწოდების“ დაბალანსებას. დისპროპორცია შეიძლება წარმოიშვას ბაზარზე ნებისმიერი ფირმის საქმიანობის დროს, მისი საქონლის კონკურენტმდებარების გათვალისწინებით. ამ თვალსაზრისით აღნიშნული საკითხი მნიშვნელოვანია, განსაკუთრებით საქართველოს პირობებში.

ჩვენი მიზანია იმ პირობების განხილვა, როდესაც ბაზარზე ზდება დაუბალანსება და ეს საკითხი ჯერ კიდევ არ არის სათანადოდ დამუშავებული. დასადგენია ასეთ პირობებში ფირმის პერსონალის მართვის თავისებურებები და ის მოთხოვნები, რომლებიც აუცილებელია შესასრულებლად, როგორც კომპანიისათვის, ასევე მასში მომუშავეთათვის.

საკითხის აქტუალობა გამოიხატება იმით, რომ ორგანიზაციის საქმიანობის კონკურენტუნარიანობის შესუსტების და კომპანიის საქონელზე მოთხოვნის შემცირების პირობებში, წარმოიშობა პერსონალის მართვის პრობლემა შესაბამისი თავისებურებებით.

ცნობილია, რომ წარმოების კრიზისული მდგრამარებება წარმოიქმნება სხვადასხვა პირობების დადგომის შედეგად, რომელიც გამოწვეულია ქვეყნის მიკრო- და მაკროეკონომიკური მიზეზების და ფაქტორების საფუძველზე და მათ მიეკუთვნება შემდეგი:<sup>2</sup>

1 გრეგორი მენქიუ. „ეკონომიკის პრინციპები“, თბილისი, 1998. გვ. 58.

2 ი. ბ. Гордиенко Ю. Ф. Управление персоналом кризисного предприятия,

## **პირველი, მთავრული, მარკაზინგი**

1. პერსონალის მართვის შეუსაბამობა საბაზრო ეკონომიკის პირობებთან;
  2. კომპანიის თანამშრომლების გამოყენება არ ხდება მიზანმიმართულად, რათა მათ იმუშაონ წარმატებით;
  3. პერსონალის მენეჯმენტი არ ფლობს სრულყოფილ ინფორმაციას პერსონალის პოტენციურ შესაძლებლობებზე;
  4. არ არის გამოკვეთილი პერსონალის უნარების გამოყენება განსაკუთრებით კომპანიის კრიზისულ სიტუაციაში საქმიანობის დროს;
  5. კომპანიაში პერსონალის მენეჯმენტის გაუმართაობის გამოხშირდ აწყდებიან არა მხოლოდ ტექნოლოგიურ, არამედ ფინანსურ ხასიათის პრობლემებს;
  6. მონოპოლიზირებულია კომპანიის მმართველობის პასუხისმგებლობა, უფლებამოსილება;
  7. არ არის ფუნქციების რაციონალური გადანაწილება საწარმოს პერსონალს შორის;
  8. კომპანიაში არ არის ჩამოყალიბებული კორპორატიული კულტურა;
  9. კომპანიაში ჭარბია პერსონალის რაოდენობა;
  10. დაბალია შრომითი დისკიპლინა;
  11. დაბალია შრომის ნაყოფიერება;
- ცნობილია, რომ საწარმოში, რომლის საქმიანობა ორიენტირებულია ბაზარზე, ზემოთადნიშნული მოთხოვები პირველ რიგში განპირობებულია საწარმოო პერსონალის მართვაში არსებული ნაკლოვანებით.
- ჩევნი შეხედულებით, თანამედროვე მენეჯმენტში, მიღებული საორგანიზაციო და კორპორატიული კულტურის თანახმად, საწარმო განიხილება როგორც ცოცხალი ორგანიზმი და სწორი მიდგომის საფუძველზე მას უნარი აქვს მუდმივად განახლდეს საკუთარი რესურსების ხარჯზე.
- საწარმო თავისი საქმიანობით თვითონ ქმნის საკუთარ ბიზნეს გარემოს და იმის გამო, რომ იგი ორიენტირებულია ბაზარზე და საბაზრო ცვლილებებთან, შესაბამისად ადაპტაციის წარმატება განისაზღვრება იმით, თუ რამდენად ეფექტუანია ფირმის ბაზარზე ცვლილებებთან მორგება, თუ რამდენად სწრაფად ხდება მუდმივი ნოვაციების გამოყენება და რამდენად ეფექტუანად გამოიყენება საწარმოს ყველა რესურსი, განსაკუთრებით ადამიანური რესურსი. იმის გამო რომ საწარმოს კორპორა-

**М., 2001г, с, 28; Гроув Э , Оценка работы подчиненного/Кадры, М., 2005 г, с. 65.**

ტული კულტურის მდგომარეობა ეყრდნობა ადამიანური რესურსების მიზანმიმართულ საქმიანობას, საწარმოს ამოცანებისა და ინტერესების მოცემულ დროში წარმატებით მიღწევას და ეს ,თავის მხრივ, პერსონალის მართვის სისტემის მოქნილობასა და გამოყენების წარმატების ინიციატივით.

ამ შემთხვევაში ჩვენ საწარმოს ადამიანური რესურსებს წარვართვთ და ორიენტირს ვაკეთებთ სწრაფ ტექნოლოგიურ ცვლილებებსა და ინოვაციებზე. ეს კი თავის მხრივ, მართვის სტრატეგიული კომპონენტებია. შესაბამისად, საწარმოს წარმატებაში საკვირდო ობიექტად იქცევა საწარმოს პერსონალი. ამის შესაბამისად აუცილებლად მიგვაჩნია პერსონალის მართვის პროცესებისადმი კომპლექსური მიღვომა, რადგანაც მასზეც მოქმედებს სამეცნიერო - ტექნიკური პროგრესი, რის საფუძველზეც იცვლება შრომითი ხასიათი და უფრო ძლირდება ორიენტაცია პერსონალის ეფექტიან გამოყენებაზე.

ეს საკმაოდ როგორ საკითხია, რადგანაც საბაზრო ურთიერთობის განვითარებასთან ერთად საწარმოს წარმატებულ საქმიანობაზე დიდ გავლენას ახდენს პერსონალის მართვის სტრატეგია, საკადრო პოლიტიკა, სამუშაოების დაგეგმვა, მათ კონკურენტუნარიანობის განმტკიცება და შენარჩუნება, რითაც განისაზღვრება პრიორიტეტები. საწარმოს რეოლების ფუნქციონალურ „მოთხოვნა-მიწოდების“ მასშტაბური პირობები განსაკუთრებით მოითხოვს პერსონალის მართვის პოლიტიკის მოქნილობას, ურთიერთობების მექანიზმის შეცვლას და აქტიური ღონისძიებების დამუშავებას, რათა კომპანიამ წარმატებით გაიაროს არასტაბილური ბაზრის პერიოდი.

არასტაბილური ბაზარი მკაცრ მოთხოვნებს უყენებს საწარმოს და განსაკუთრებით პერსონალის მენეჯმენტის ხარისხის დონეს, პერსონალის გამოყენების ეფექტიანობას და საწარმოს ბედი დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად სრულყოფილია პერსონალის მართვის პროცესების შესაბამისობა საწარმოს არასტაბილურ ბაზრის კონკურენტულ მდგრადებასთან.

არასტაბილური „მოთხოვნა – მიწოდების“ პროცესის მართვისათვის საწარმომ უნდა გამოიმუშაოს მოქმედების სტრატეგია. პირველ რიგში საჭიროა:

1. შეისწავლოს და პქონდეს მიზანდასახული სამამულო და საზღვარგარეთული კომპანიების საქმიანობა, მათი მენეჯმენტის მოქნილობა

და მიმართულებები ამ პირობების წარმართვის მიზნით;

2. უნდა ჩატარდეს საწარმოს საქონელზე „მოთხოვნა-მიწოდების“ არასტაბილურობის პერიოდში საწარმოს პერსონალის მდგომარეობის, მისი ფინანსური და ხარისხობრივი მაჩვენებლების გამოკვლევა.

3. უნდა იქნეს გამოკვლეული ყველა პირობა, რამაც გამოიწვია საწარმოს საქონელზე არასტაბილური „მოთხოვნა – მიწოდება“ და ამ პროცესში რა როლი მიუძღვის პერსონალს, პერსონალის გამოყენებას და მენეჯმენტს;

4. დასაბუთებული უნდა იქნას არასტაბილურ პირობებში რა ღონისძიებები უნდა ჩატარდეს პერსონალის მენეჯმენტის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით;

5. შემუშავებული უნდა იქნეს არასატაბილურ პირობებში საწარმო მართვისა და პერსონალის გამოყენების ეფექტიანობის მეთოდიკა;

6. შევასებული უნდა იქნას არასტაბილურ პირობებში შრომითი რესურსების მართვის სისტემა და მისი ადგილი საერთო მართვის სისტემაში;

აღნიშნული ღონისძიებების რეალიზაციისათვის უნდა გავითვალისწინოთ, საწარმოო პერსონალის სტრუქტურა, ამ სტრუქტურაში თითოეული ჯგუფის საქმიანობის თავისებურებები და მათი გავლენა არასტაბილური „მოთხოვნა-მიწოდების“ პროცესების გაუმჯობესების საქმეში. ამ დროს გათვალისწინებული უნდა იქნას პერსონალის შრომის სირთულეები და პასუხისმგებლობა, კომპანიებიში მათი გადანაწილების დონე, პერსონალი საჭიროა იქცეს მმართველობითი ობიექტის გამოკვლევის საგნად, არასატაბილურ მოთხოვნა-მიწოდების საქმეში.

ჩამოყალიბებული პირობები, რომლებიც ეხება საწარმოს არასტაბილურ „მოთხოვნა-მიწოდების“ პროცესებს და საწარმოს პერსონალის მართვის გაუმჯობესებას, რეალიზებული უნდა იქნას პერსონალის ადაპტირების მართვის საფუძველზე, საბაზრო ურთიერთობების სოციალურეკონიმიკურ მდგომარეობაში „მოთხოვნა – მიწოდების“ დაბალანსებაზე. გათვალისწინებული უნდა იქნას პერსონალის მენეჯმენტის გაუმჯობესების ინტენსიურობა. მნიშვნელოვნად მიგვაჩნია პერსონალის მენეჯმენტის გაუმჯობესებაში სტრატეგიის შერჩევა საწარმოს არასტაბილურ მოთხოვნის პროცესებიდან ეფექტიანად გამოსვლისა და საქმიანობის წარმატებით განვითარებისათვის.

## მოსახლეობის ემიგრაციული განვითარება და რეგიონალური პოლიტიკა

გიორგი ფანზიშვილი  
სტუ დოქტორანტი

შრომითი ემიგრაცია, როგორც წესი, დროებითი ხასიათისაა, მაგრამ ადგილობრივ გარემოსთან შეჩვევა, ცხოვრების უკეთესი პირობები, ოჯახის შექმნა, სამშობლოში არსებული გაუთავებელი სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და კრიმინალური პრობლემები, შრომით ემიგრაციას ხშირად მუდმივ ემიგრაციად აქცევს.

სხვადასხვა კვლევების შედეგებით, სამშობლოში საერთოდ არ ჩამოსულა ამერიკაში წასულ შრომით ემიგრანტთა 70%. საბერძნეთში მომუშავეთა – 65%, გერმანიაში მომუშავეთა – 47%, ხოლო რუსეთში მომუშავეთა – 34%. აღნიშნული გვიჩვენებს, რომ გერმანიასთან მიმოსვლა უფრო რეგულარულია. ეს იმით აიხსნება, რომ გერმანიაში მოკლევადიანი გაცვლითი პროგრამებით არიან წასული, რის გამოც იძულებული ხდებიან, დაბრუნდნენ სამშობლოში და, შეძლებისამებრ, ვიზა განაახლონ.

ემიგრაციის პერიოდში ჩამოსვლას ახერხებდა შხოლოდ 38%, ხოლო საბოლოო დაბრუნებამდე საერთოდ არ ჩამოსულა 62%. თუმცა ოჯახთან სისტემატური კავშირი (ძირითადად სატელეფონო) აქვს მიგრანტთა 85%-ს, დანარჩენს კი – იშვიათად.

ჩამოსვლელობის მიზეზად მგზავრობასთან დაკავშირებულ ხარჯებსა (35%) და განმეორებითი ემიგრირების სირთულეს ასახელებენ (32%). საქართველოს მიგრანტთათვის იმიგრაციის ოთხი მთავარი ქვებიდან ყველაზე შეფერხებულია მისვლა-მოსვლა აშშ-თან. აღსანიშნავია უკან დაბრუნების სიძნელე რუსეთში მომუშავე შრომითი ემიგრანტები-სათვისაც (38,9%).

ყურადსალებია, ჩამოსვლელობის მიზეზად სურვილის არქონისა და საჭიროდ ჩაუთვლელობის დასახელება. საქართველოს ხელისუფლება, რა თქმა უნდა, ვერ შეამცირებს მგზავრობის ხარჯებს, მაგრამ იმაზე კი უნდა იზრუნოს, რომ მიგრაციული პოლიტიკა გახდეს მოქნილი, ეცადოს შრომის უფლების პროგრამები გავრცელდეს საქართველოსთან მიმართებაშიც, წინააღმდეგ შემთხვევაში, ოჯახების ფაქტობრივად იძულებითი, ხანგრძლივი ტერიტორიული გაყოფა უარყოფითად იმოქმედებს

მომავალი თაობის აღზრდაზე და ფსიქიკის ჩამოყალიბებაზე.

საქართველოში დაბრუნება მყარად აქვს გადაწყვეტილი შრომით მიგრანტთა დიდ უმრავლესობას.

საქართველოს მოსახლეობის შრომითი ემიგრაცია მეტად ამძიმებს ისედაც კრიტიკულ დემოგრაფიულ ვითარებას, რაც კიდევ უფრო ართულებს ქვეყნის ეკონომიკური კრიზისიდან გამოსვლას.

გაეროს შეფასებით, თუ გაგრძელდა არსებული დემოგრაფიული ტენდენციები, 2000-2050 წწ. საქართველოს მოსახლეობა 2 მლნ-ით შემცირდება, რაც ამჟამნიდელი მოსახლეობის თითქმის 40%-ს შეადგენს. ევროპაში ასეთი დონის შემცირება ნავარაუდევია მხოლოდ ბულგარეთის, უკრაინისა და ესტონეთისათვის.

შრომით ემიგრანტთა ნაკადის ნახევარზე ცოტა ნაკლები მდედრობით სქესის წარმომადგენელია.

პროგნოზით, უახლოესი 20 წლის განმავლობაში მიგრაციული ტენდენციები განპირობებული იქნება ქალი მიგრანტების რაოდენობის ზრდით – საერთაშორისო მიგრაციულ ნაკადზე გლობალიზაციის გავლენით ყალიბდება უახლოესი 20 წლის მიგრაციული ტენდენციები: მიგრაციის გლობალიზაცია, ინტენსიფიკაცია, სტრატიფიკაცია, ფემინიზაცია, პოლიტიზაცია, «ელიტთა» მიგრაცია. მიგრაციის ფემინიზაციას მიიჩნევთ შრომითი მიგრაციის განვითარების ახალ ეტაპად და გენდერულ თანასწორობაში მიღწევად თვლიან.

ემიგრანტთა პროფესიისა და კვალიფიკაციის შეუსაბამო დასაქმება ახალ შრომით და ყოფით გარემოსთან ადაპტაციას ართულებს. იმიგრაციის ქვეყნების მიხედვით სამუშაო გარემოსადმი შეგუების ხარისხი მკვეთრად განსხვავდებული არაა, თუმცა ადაპტირების ხარისხი მაინც სხვადასხვაა. უფრო მეტად უჭირთ სამუშაო გარემოსთან შეგუება საბერძნეთსა და რუსეთში წასულ შრომით ემიგრანტებს სამუშაოს სიმძიმიდან გამომდინარე (ძირითადად მომვლელი ქალები და მშენებლობაზე დასაქმებულნი), თურქეთში დაბალანაზღაურებადი სამუშაოს გამორთული შეგუებადი გარემოა, დაბრუნებულები აღნიშნავენ, რომ არ უსახსრობა, თურქეთში სეზონურ მუშად წასვლაც არ ღირსო. ახალ შრომით გარემოსთან შეგუების უკეთესი მაჩვენებლები აქვთ გერმანიასა და აშშ-ში მიგრირებულებს (ახალგაზრდობის წილი აქ მეტია), აგრეთვე, თავიანთ ისტორიულ-ეთნიკურ ქვეყნებში სამუშაოდ წასულ აზერბაიჯანელებსა და სომხებს.

საცხოვრებელი პირობები პირდაპირ კავშირშია შრომითი მიგრანტის მიერ შესასრულებელ სამუშაოსთან და აქედან გამომდინარე, ხელფასსთან. მათი ძირითადი ნაწილი არახელსაყრელ საბინაო პირობებში ცხოვრობს. დამხმარე მუშები უმეტესად ცხოვრობენ მეგობრებთან ერთად დაქირავებულ იავფასიან ბინებში ან საერთო საცხოვრებელში. მცირერიცხოვანია ის კატეგორია, რომელსაც დაქირავებული აქვს ბინა ოჯახის წევრებთან ერთად, რომ არა ოჯახის წევრები, სავარაუდოა, რომ ისინიც მეგობრებთან ან საერთო საცხოვრებელში მოთავსდებოდნენ. მომცვლელები, დამლავებლები, ძიები, როგორც წესი, სადაც მუშაობენ, იქ ცხოვრობენ. ეს მათ ეხმარება მეტი დანაზოგის მოგროვებაში. გამოკვლევების შედეგებიდან ნათლად ჩანს, რომ ქართველი შრომითი ემიგრანტები ცდილობენ მეტი დაზოგონ, ნაკლები ხარჯი გაწიონ საცხოვრებელ პირობებზე, თუნდაც ემიგრაციის რამდენიმე წლის მანილზე, ოღონდ კი სამშობლოში ჩამოტანილი ფულით დაეხმარონ ოჯახებს და მატერიალური მდგომარეობა გაიუმჯობესონ.

საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან ემიგრირებულთაგან საზღვარგარეთ სამუშაო გარემოსადმი შეგუების ხარისხში მნიშვნელოვანი განსხვავება არ შეინიშნება. უცხოეთში უკეთესად ადაპტირდება საქართველოს დიდი ქლეაქების მოსახლეობა.

მიუხედავად იმისა, რომ მიგრანტთა უმეტესობა იქაურ სოციალურ გარემოსთან ადაპტაციას ასე თუ ისე ახერხებს და წინააღმდეგობებსაც ძლევს, მანც მოუთითებენ მწვავე პრობლემებზე, რომლებიც მიმღებ ქვეყანაში ხვდებათ. ამის თაობაზე სურათი ასეთია: 13,7%-ს გაუჭირდა სამუშაოზე მოწყობა, 7,3%-ს სხვადასხვა ღოკუმენტაციის გაფორმება, 18,3%-მა მიუთითა შრომის ანაზღაურების პრობლემებზე, 5,9%-მა - სამართლდამცავ ორგანოებთან გართულებულ ურთიერთობაზე, 43,1%-მა კი - ძლიერ ნოსტალგიურ განწყობაზე.

ცნობილია ისიც, რომ ოჯახის წევრის ემიგრაციაში ყოფნა, იქ მისი კეთილმოწყობა, მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სამშობლოში დარჩენილი ოჯახის წევრების ემიგრაციულ განწყობაზეც. კერძოდ, მათი ემიგრაციული პოტენციალი საკმაოდ მაღალია და ემთხვევა ფაქტობრივი მიგრაციის მიმართულებათა სპექტრს.

პოტენციურ შრომით ემიგრანტთა საქართველოდან წასვლის ძირითადი მიზეზები კვლავ ეკონომიკური ხასიათისაა, რასაც ოჯახების გაერთიანებასაც უთავსებენ.

დიდი სხვაობაა მიმღები ქვეყნების მიხედვით ოჯახთან ერთად და ცალკე ემიგრირებული რესპონდენტების განაწილებაში. ყველაზე მცირე პროცენტული მაჩვენებელი შრომითი ემიგრანტებისა, რომელებიც ახლობლებთან ერთად არიან წასული, არის გერმანიაში. ახალგაზრდა კონტინგენტი გერმანიაში ძირითადად მარტო მიდის (65,8%). საბერძნეთშიც ანალოგიური სიტუაციაა დასაქმების სპეციფიკან გამომდინარე: მომვლელები და დამლაგებლები უმეტესად სადაც მუშაობენ, იქ ცხოვრობენ, ამიზომ ოჯახის წევრების წაყვანა შეუძლებელიცაა და თუკი მანც მოახერხებენ, ეს მხოლოდ შრომითი მოწყობის მიზნით იქნება და ისიც უმეტესად ტერიტორიულად სხვა ადგილას. აშშ-ში წასულები კარგი ანაზღაურების გამო ცდილობენ, თავიანთი ახლობლებიც ჩართონ სარფიან ანაზღაურებად სტუშაობებში.

საბერძნეთში გამოკითხულებმა კი დანანებით აღნიშნეს, რომ არალეგალობისა და არასაკმარისი ფინანსური საშუალების გამო შეიღებისათვის საშუალო განათლების მიცემა ვერ შეძლეს.

განსაკუთრებით შემაშოოთებელია პოტენციურ მიგრაციულ ნაკადებში ახალგაზრდობის დიდი წილი, ასევე, ტრეფიკინგის მსხვერპლთა შრორის უპირატესად ახალგაზრდობის მოქცევა. აღსანიშნავია ისიც, რომ ქართველ შრომით ემიგრანტ ახალგაზრდებში აღწარმოების მაჩვენებლები უკიდურესად გაუარესებულია და ეს კონტინგენტი ფაქტობრივად ვეღარ ასრულებს თავის გენერაციულ ფუნქციას.

საკმაოდ ძლიერია ახალგაზრდობის ემიგრაციული განწყობა, მათგან უმრავლესობა ფსიქოლოგიურად მზადაა საზღვარგარეთ წასასვლელად და შესაბამისი პირობების დაღვომისთანავე მოხდებს განზრავის რეალიზებას. მათ შრორის შედარებით მეტია ქალები (60,2%). როგორც ჩანს, ისინი შერჩევის დროს უფრო მეტ ინიციატივას იჩენდნენ ანკეტის შევსებაში. სავსებით ლოგიკურია, რომ ახალგაზრდობის ძლიერი მიგრაციული განწყობა იმითაცაა განპირობებული, რომ მათი უმეტესობა დაუქორწინებელია.

ახალგაზრდობის უმეტეს ნაწილს უცხო ქვეყანაში წასვლა სურს განათლების მიღებისა და უცხო ენის ცოდნის გაღრმავების მიზნით. ემიგრაციის მიზეზად სამშობლოში უპერსპექტივობასა და თვითრეალიზაციის შეუძლებლობას ასახელებენ, მატერიალური პირობების გაუმჯობესების სურვილი და საზღვარგარეთ ცხოვრებისა და მუშაობის სურვილი ამოძრავებს მეოთხედზე მეტს. ხოლო დიდ ნაწილს ადრე

წასული ოჯახის უფროს წევრებთან ჩასვლისა და მათთან ერთად მუშაობის სურვილი. პირველი-მეორე კურსის სტუდენტებისათვის უფრო მიმზიდებელია განათლების მიღება და უცხო ენის ცოდნის დახვეწა. ქვეყანაში არსებული სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები და პოლიტიკურად გაურკვეველი ვითარება მათთვის მშობლების ფინასური მხარდაჭერის წყალობით ჯერ ნაკლებად საგრძნობია.

მართალია, საქართველოს ახალგაზრდობის ემიგრაციული განწყობა ძლიერია, მაგრამ, როგორც ცნობილია, გამგზავრების სურვილის რეალიზება რიგ ფაქტორებთანაა დაკავშირებული. ახალგაზრდების პოტენციურ ემიგრანტთა თითქმის ნახევარს ჯერ არავითარი ღონისძიებისთვის არ მიუმართავს განზრახვის სისრულეში მოსაყვანად. მნიშვნელოვანი ნაწილი კი წინასწარ უცხო ენის სწავლითაა დაკავებული. გარდა უცხო ენის ინტენსიური შესწავლისა და ინტერნეტით ინფორმაციის მოგროვებისა, რესპონდენტები მიმართავენ საზღვარგარეთის უმაღლეს სასწავლებლებს, საერთაშორისო ორგანიზაციებს, სხვადასხვა ფონდებს და ა.შ. აღსანიშნავია, რომ მათი 4,4% აქტიურად მონაწილეობს სტუდენტთა კულტურულ-საგანმანათლებო გაცვლით პროგრამებში; ხოლო სისტემატურ კავშირშია უკვე წასულ ახლობელ ემიგრანტებთან და ეცნობა საქართველოდან ემიგრირების პირობებს პოტენციურ ემიგრანტთა 13%; გამგზავრებისათვის საჭირო თანხის შეგროვებას კი მათი მხოლოდ 6,5% ცდილობს.

ემიგრაციის განხორციელებისთვის მთავარ ხელშეწმლება ფაქტორებად ახალგაზრდები ასახელებენ სასწავლებლის დამთავრებისა და დიპლომის აღების აუცილებლობას, გამგზავრებისთვის საჭირო თანხის ხელმიუწვდომლობას, ოჯახიდან გარკვეული დაბრკოლება და სხვა. უმრავლესობის აზრით, საზღვარგარეთ შესაძლო გამგზავრების შემდეგ ადრე თუ გვიან ისინი აუცილებლდდ დაბრუნდებიან სამშობლოში.

დაბრუნების შესახებ, მხოლოდ უმცირესმა ნაწილმა უკვე დაგემა, რომ წასვლის შემთხვევაში ისინი აღარასოდეს დაუბრუნდებიან სამშობლოს.

## **გამოყენებული ლიტერატურა**

1. შრომითი მიგრაცია საქართველოდან. IOM. 2007.
2. „გაფართოებული ევროპა – სამეზობლო: ახალი ჩარჩოები აღმოსავლეთ და სამხრეთ მეზობლებთან ურთიერთობებისათვის“. კომისიის შეტყობინება საბჭოსთვის და ევროპარლამენტისათვისბრიუსელი, 11.03.2003. [http://europa.eu.int/comm/world/enp/pdf/com03\\_104\\_en.pdf](http://europa.eu.int/comm/world/enp/pdf/com03_104_en.pdf).
3. ბერულავა ნ. მიგრაციული პროცესები საქართველოს სამთომომცოდელ რეგიონებში. თბ., 2001. 28გვ.
4. ჯოლია გ. საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები, თბ., 2008.
5. მიგრაციის სტატისტიკა. საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი. თბილისი, 1999, 2001, 2002, 2003, 2004 წლის გამოცემები
6. საქართველოს ეროვნული ბანკი. მონეტარული და საბანკო სტატისტიკის ბიულეტენი. თბილისი 2009, № 9(65).
7. Lee E. A Theory of Migration. //Demography, Vol.3. N1, 1969. p. 47-57.
8. Simmons A., Piche V. Teaching Migration and Globalization // GENUS. Vol.LVIII (N3-4), 2002.
9. igration Within Georgia and Abroad, §II. The Status of Households in Georgia (Final Report). [Dershem Larry and Khoperia Tea]. US-AID, Save the Children, IPM. Tbilisi, Georgia, 2004. p.42-51.

## შიდა აუდიტორების მიერ განცის საკუთარი კაპიტალის შემოწმების მმთოღიკა

ქონდრატ დიმიტრიძეილი

სტუ დოქტორანტი

კაპიტალი ერთ-ერთი უმნიშვნელვანესი ფაქტორია, რომელიც ცალკე ბანკების ფინანსური საიმედოობის განმსაზღვრულია, ხოლო ერთობლივი კაპიტალი საბანკო სისტემის მთლიანობაში სტაბილურობისა და პიტენ-ციალის შესახებ მსჯელობის შესაძლებლობას იძლევა. კანონმდებლობით ეროვნულ (ცენტრალურ) ბანკს მინიჭებული აქცის უფლებამოსილება ანგარიშგებაში შესული მონაცემებიდან დამოუკიდებლად, საკუთარი სახ-სრების (კაპიტალის) სიდიდის განსასაზღვრავად თვითონ განსაზღვრონ საკრედიტო ორგანიზაციის აქტივებისა და პასივების სიდიდეები.

ბანკის კაპიტალის საკმარისობის მაჩვენებელი ასახავს არსებული საკუთარი წევაროების რისკების დონისადმი ადექვატურობას, რომლებსაც ბანკები თავიანთ ყოველდღიურ საქმიანობაში იღებენ თავის თავზე. აღნიშნული მაჩვენებელი მოიცავს ბანკის საქმიანობის ყველა მნიშვნელოვან შსარეგებს და იგი აქციონერებისა და ინვესტორებისათვის ორიენტირია. აუდიტორები საკმარისობის მაჩვენებელს აფასებენ როგორც ბანკის ფუნქციონირების შესაძლებლობის ერთ-ერთი ინდიკატორის სახით.

ბანკის კაპიტალის საკმარისობის შემოწმების პროცესი იწყება რისკების იდენტიფიკაციიდნ, რაც აუდიტის მოცემული სფეროსათვის არის დამახასიათებელი. შემოთავაზებული მეთოდიკის თანახმად, ყველა რისკები, რომლებიც ბანკის კაპიტალის საკმარისობის აუდიტთან არის დაკავშირებული, შეიძლება შემდეგ ორ სახეობად დაყოს:

- რისკები, რომლებიც უშუალოდ ზემოქმედებენ კაპიტალის საკმარისობის მაჩვენებელზე;
- რისკები, რომლებიც ირიბად ზემოქმედებენ კაპიტალის საკმარისობის მაჩვენებლის მნიშვნელობაზე.

კაპიტალის საკმარისობის მაჩვენებელზე უშუალოდ ზემოქმედ რისკებს მიაკუთვნებენ მისი გაანგარიშებისას კაპიტალის საკმარისობის შეფასების მეთოდიკის არაკორექტულად გამოყენების რისკს და აუდიტორის მიერ შეცდომების დაუნახავობის რისკს ფინანსური ანგარიშგების მუხლების დადასტურებისას.

ბანკის ფუნქციონირებაზე მომავალში შესაძლო ზემომქმედ სერიოზულ რისკის სახეობას და რომელიც არც კი ზემოქმედებს აუდიტორულ დასკვნაზე, წარმოადგენს კაპიტალის საკმარისობის დონის ამაღლებაზე მიმართული ბანკის მიერ ჩატარებად ღონისძიებები არაადექვატურობის რისკის, ბანკის მიერ რისკების პორტფელების მართვისას თავის თავზე მიღებული რისკების დონისადმი. მიზეზი მდგომარეობს იმაში, რომ კაპიტალის საკმარისობის დონის რეგულირება ზემოქმედებს ბანკის მიერ ფინანსურ წყაროებზე როგორც შეიძლება ნაკლების გადახდის შესაძლებლობაზე.

შიდა აუდიტორები ვალდებულები არიან პასუხი გასცენ კითხვას, თუ ბანკმა როგორ შეძლო კაპიტალის საკმარისობის დონის დარეგულირება, თუ არსებული აქტივებთან განსაზღვრული რისკიანი ოპერაციების ჩატარების შესაძლებლობას არ იძლევა (თუ კი ბანკმა კანონმდებლობით ნებადართული რეგულირების ლეგალური ხერხი აირჩია და საკმარისობის დონე ძირითადი საშუალებების გადაფასების ჩატარების ხარჯზე აამაღლა, მაშინ საჭიროა განისაზღვროს, თუ როგორ მოხდა კაპიტალის საკმარისობის დონის გადიდება და აღნიშნული როგორ იმოქმედებს ბანკის საშინობაზე მომავალში.

ბანკის კაპიტალის საკმარისობის მაჩვენებლის გაზრდა შეიძლება მიღწეული იქნას, უპირველეს ყოვლისა, ძირითადი კაპიტალის სიდიდის გაზრდის ხარჯზე (დამატებითი ემისია ჩვეულებრივი აქციების, ბანკის მიერ მოგების მიღებით) და დამატებითი კაპიტალის სიდიდის გადიდების გზით (სინდუცირებული კაპიტალის მოზიდვა, ბანკის ძირითადი საშუალებების გადაფასების ჩატარება). მეორე მხრივ, შეიძლება კრედიტები ბალანსიდან იქნას ჩამოწერილი აქტივების სიდიდის საერთო შემცირების ხარჯზე (მაგალითად, კრედიტების ჩამოწერა ბალანსიდან სესხების მიხედვით შესაძლო დანაკარგების რეზერვების ხარჯზე, უფრო მაღალი ღონის რისკიანი აქტივების ჯგუფის უფრო დაბალ ჯგუფში გადაყვანის ხარჯზე და ა.შ.).

სწორი და უტყუარი წარმოდგენა ბანკის ფინანსური მდგომარეობის შესახებ ფინანსურ ანგარიშგებაში კაპიტალის შემადგენლების ამსახველი რეალურობის დადასტურებას ითვალისწინებს. აღნიშნული ეხება კაპიტალის ყველა ელემენტს, მათ შორის ბანკის მდგომარეობის ყველაზე ინფორმაციულ მაჩვენებელს – მოგებას. შიდა აუდიტორებს უნდა ახსოვდეთ, რომ ბანკის ფონდები – ეს მხოლოდ ჩანაწერებია ანგარიშებ-

ზე, ხოლო პრობლემის არსი კი – მიღებული მოგების განაწილებაშია.

შემოწმება მოიცავს შიდა აუდიტის მოქმედების ეტაპობრივი გაცემის პროგრამის გამოყენებას, რომელშიც შედის საკუთარი კაპიტალის ფორმირებისა და ცვლილებების ძირითადი ეტაპების შემოწმება, აგრეთვე ფაქტორებისა, რომლებიც ბუღალტრულ ანგარიშებში საკუთარი კაპიტალის ასახვის უტყუარობაზე ზემოქმედებენ.

შერჩეული აუდიტორული პროცედურების სახეობების მიზანია საკრედიტო დაწესებულებების საკუთარი კაპიტალის ელემენტების უტყუარობისა და რეალურობის დადასტურება.

აუდიტორული მტკიცებულებების წყაროს ემსახურება ბანკის დოკუმენტაცია, რომელიც შემოთავაზებულ მეთოდიკაში დეტალურად არის აღწერილი. საბუთებისა და ჩანაწერების შესწავლა ბანკში (ქვედანაყოფში, ფილიალში) საქმიანობის მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის გაანალიზებისა და შესაბამისი მსჯელობის ჩატარების შესაძლებლობას იძლევა.

შემოწმების პროცესში შიდა აუდიტის სამსახური ითვალისწინებს ნორმატიული ბაზის ცვლილებებს, რომლებიც საკრედიტო დაწესებულებების რეგისტრაციის წესს ეხება. ძირითად აქტს, რომელიც საკრედიტო დაწესებულებების სახელმწიფოებრივი რეგისტრაციის მარეგულირებელია დღევანდველ პირობებში, წარმოადგენს საქართველოს ორგანული კანონი „ეროვნული ბანკის საქმიანობის შესახებ“ და საქართველოს კანონი „ბანკებისა და საბანკო საქმიანობის შესახებ“, რომლებიც მოიცავს საკრედიტო ორგანიზაციების რეგისტრაციის და საბანკო ოპერაციების განხორციელებაზე ლიცენზიების გაცემის საერთო წესებს.

ბანკის საკუთარი სახსრების თემატიკური შემოწმების პროგრამა მოიცავს ბანკის შექმნისა და ფუნქციონირების კანონირების შემოწმებას.

- აუდიტორული მტკიცებულებების წყაროებს მოცემულ ეტაპზე ემსახურებიან;
- სადამფუძნო საბუთები;
- ბანკის სანგარიშსწორებო-საგადასახადო საბუთები;
- მიღება-გადაცემის აქტების;
- საკუთრებაზე უფლებამოსილების შესახებ მოწმობა;
- შეფასების აქტები.

აუდიტორული მტკიცებულებების მიღების მეთოდები მოიცავენ: დოკუმენტალურ შემოწმებას, ანალიტიკურ პროცედურებს, ექსპერიმენტულ შეფასებას, წერილობით მოთხოვნას.

ბანკის შექმნისა და რეგიტრაციის კანონიერების შემოწმება იწყება საწესდებო კაპიტალის სიდიდის, დამფუძნებლების რიცხვის, მონაწილეების წილის განსაზღვრიდან.

საბანკო ოპერაციების კანონმდებლობასთან, წესდებასთან და ლიცენზიებთან შესაბამისობის შემოწმებისას ბანკის წესდებით გათვალისწინებული ოპერაციებისა და გარიგებების შესაბამისობა დგინდება.

ბანკის საწესდებო კაპიტალის ფორმირებასთან დაკავშირებით ოპერაციების აუდიციისას მტკიცებულებების წყაროებს წარმოადგენენ:

- ემისიის პროსპექტები;
- აქციის შეძენაზე ხელშეკრულებები;
- საანგარიშსწორებო-საგადასახადო საბუთები;
- ანგარიშებიდან ამონაწერები;
- აქციონერების კრებების ოქმები;
- ანგარიშებები ემისიის ჯამის შესახებ.

შემოწმება ხორციელდება ექსპერტული შეფასების მეთოდით, ზედაპირულად გადახედვის, საბუთიერი შემოწმებისა და არითმეტიკული გაანგარიშებებით.

ბანკის შექმნისას გამოშვებული აქციების გადახდა უნდა იქნას შემოწმებული, რომ ვადები და გადახდის პრინციპი იქნას განსაზღვრული (განვადებით გადახდა დაუშვებელია). ყურადღება უნდა იქნას გამახვილებული აქციების განთავსების ფასზე (მხოლოდ ნომინალური ღირებულებით), ბუღალტრულ აღრიცხვაში აქციები მხოლოდ ლარების ექვივალენტში უნდა იყოს შეფასებული. დაინდება პრივილეგირებული აქციების წილი, დამატებითად გამოშვებული აქციების განთავსება, მათი ბუღალტრულ აღრიცხვაში ასახვის სისტორე.

შემოწმებას ექვემდებარება ოპერაციები ბანკის საწესდებო კაპიტალის ცვლილებასთან დაკავშირებით, რომლებიც იწყება საწესდებო კაპიტალის ცვლილების (შემცირების) შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცედურის შესწავლიდან, რომელიც შეიძლება აქციის ხარისხის ან აქციის ნომინალის შემცირების გზით განხორციელდეს.

საწესდებო კაპიტალის გადიდება ხორციელდება საკუთარი სახსრების კაპიტალიზაციის და დარიცხული, მაგრამ ჯერჯერობით გადაუხდელი დივიდენდების ხარჯზე, რაც ბანკის წესდებაში დოკუმენტალურად უნდა იყოს დადასტურებული და სწორად ასახული ბუღალტრულ აღრიცხვაში.

დამატებული კაპიტალის ფორმირების წყაროების შემოწმება ხორციელდება ექსპერტული შეფასების მეთოდით, ღოკუმენტალური შემოწმებისა და არითმეტიკული გაანგარიშების დახმარებით. კონტროლის პროცედურას ექვემდებარება ისეთი საბუთები, როგორიცაა:

- სინთეზიკური და ანალიზიკური აღრიცხვის რეგისტრები;
- ჩუქების ხელშექრულებები;
- ძირითადი საშუალებების ობიექტების შეძენა-გადაცემის შესახებ აქტები, შეფასების აქტები;
- საანგარიშსწორებო-საგადასახადო უწყისები.

სარეზერვო ფონდის ფორმირებისა და გამოყენების შემოწმება ხორციელდება ძირითადად საბუთური შემოწმების მეთოდებით და ბანკის წესდების არითმეტიკული გაანგარიშების, აქციონერების კრუბის, ოქმების, ანგარიშებიდან ამონაწერების, აგრეთვე სინთეზიკური და ანალიზიკური აღრიცხვის რეგისტრების საფუძველზე.

---

## მცირე ბიზნესის განვითარების მაპროეკტორომიქური რეგულირების მექანიზმი (თეორიული მოდელი)

ნატო გვენავა  
სტუ-ს დოქტორანტი

მცირე ბიზნესის განვითარების მაკროეკონომიკური რეგულირების მექანიზმი ერთობ რთული სისტემაა. მისი მიზანია საბაზრო მექანიზმის მაკრო და მიკრო ბურების მატარებელი იმ ნეგატიური თვისებების ნიველირება, რომელიც უარყოფით გავლენას ახდენს მცირე ბიზნესის განვითარებაზე. აღნიშნულის მეშვეობით ბიზნესის ამ სახეობას უნდა შეექმნას პირობები ბაზარზე ნორმალური ფუნქციონირებისა და ქვეწის ეკონომიკურ სისტემაში მისთვის განკუთვნილი აუცილებელი ადგილის დასაქმევიდებლად.

მცირე ბიზნესის მნიშვნელობიდან გამოდმინარე მსოფლიოს განვითარებული ქვეყნები მოწოდებულნი არიან მრავალმხრივი დახმარება აღმოუჩინონ მას. ეს განპირობებულია იმით, რომ მისი მინდობა საბაზრო ძალებისადმი სათანადო შედეგს არ იძლევა. აუცილებელია მცირე ბიზნესის შხარდაჭერა ფინანსური სახსრების მოზიდვაში, ინფორმაციულ უზრუნველყოფაში, მარკეტინგულ მომსახურებაში, კვალიტეტიური კადრების მოზიდვაში და სხვ. იგი შხარდაჭერას საჭიროებს იმიტომ, რომ აქ დაბალია პროდუქციის დიგენსიფიკაციის დონე, ფლობს მცირე ზომის საწესდები კაპიტალს და რესურსების მწირ ღდენობას, მკვეთრად რეაგირებს საბაზრო კონიუნქტურის ცვლილებაზე და ა.შ. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ბიზნესის განვითარებას პოსტკომუნისტური ეკონომიკის მქონე ქვეყნებში. აქ იგი გვევლინება როგორც უმუშევრობის აღმოფხვრის და მეწარმეობრივი უნარ-ჩვევების ჩამოყალიბების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი. მაგრამ ამ ქვეყნებში მის განვითარებას უფრო მეტი წინააღმდეგობები ელობება წინ, ვიდრე სხვა ქვეყნებში, რასაც განაპირობებს: კორუუციის მაღალი დონე, ეკონომიკური რეფორმის დროს დაშვებული შეცდომები, საერთოდ ტრანსფორმაციის სიმძლეები და სხვ.


ამდენად, მცირე ბიზნესის შხარდაჭერის გაძლიერება სახელმწიფოს მხრიდან მისი ეკონომიკური პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი ნაწილი უნდა იყოს, რისი განხორციელებაც მცირე ბიზნესის განვითარების

სახელმწიფო რეგულირებითაა შესაძლებელი, განსაკუთრებით კი მაკროეკონომიკური რეგულირებით, რაც გულისხმობს საკანონმდებლო და მაკონტროლებელ ღონისძიებათა და მათი განხორციელების მეთოდების და ინსტრუმენტების სისტემას. იგი ზორციელდება სახელმწიფო ცენტრალური ორგანოების მიერ, რომლის საბოლოო ამოცანას მთელი ქვეყნის ეკონომიკის სტაბილიზაცია და მისი შემდგომი განვითარება წარმოადგენს.

მცირე ბიზნესის განვითარების მაკროეკონომიკური რეგულირების მექანიზმი უნდა მოიცავდეს შემდეგ ელემენტებს: საკანონმდებლო და ნორმატიული რეგულირების ინდიკატორთა (მაჩვენებელთა) სისტემას; რეგულირების ღონისძიებათა სისტემას; რეგულირების მეთოდებისა და ინსტრუმენტების ერთობლიობას; მცირე ბიზნესის მხარდამჭერ მაკროეკონომიკურ ინფრასტრუქტურას; მცირე ბიზნესში სახელმწიფო მეწარმეობას; მცირე ბიზნესისადმი საერთაშორისო დახმარების მიღების რეგულირებას; მცირე ბიზნესის უსაფრთხოების უზრუნველყოფას რისკის გათვალისწინებით; რეგულირების კონტროლს და ორგანიზაციას (იხ. სქემა).

საკანონმდებლო და ნორმატიული უზრუნველყოფა გულისხმობს იმ კანონებისა და ნორმატიული აქტების მიღებას, რომელიც განსაზღვრავს მცირე ბიზნესის სტატუსს ეკონომიკაში და ხელს უწყობს მის შემდგომ განვითარებას (კონსტიტუცია, სამოქალაქო კოდექსი, სისხლის სამართლის კოდექსი, აღმნისისტრაციულ სამართლარღვევათა კოდექსი, საგადასახადო და საბაჟო კოდექსი, „მეწარმეობის შესახებ“, „სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის შესახებ“, „დაზღვევის შესახებ“, „გაკოტრების შესახებ“, „რეკლამის შესახებ“, „მცირე საწარმოთა მხარდაჭერის შესახებ“, „პროდუქციის და მომსახურების სერთიფიცირების შესახებ“, „მონოპოლიური საქმიანობის და კონკურენციის შესახებ“, „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ“ და სხვა კანონები.

რეგულირების ინდიკატორთა სისტემა მოიცავს იმ მაჩვენებელთა ერთობლიობას, რომელთა საფუძველზე შესაძლებელია დავადგინოთ მცირე ბიზნესში არსებული საერთო მდგომარეობა, ასევე შევაფასოთ და გამოვალიოთ რეგულირების პროცესში წარმოშობილი სინელექტი და ნაკლოვანებები. ასეთი მაჩვენებელია: მცირე ბიზნესის ხვედრითი წილი მთლიან ეროვნულ პროდუქტში, გამოშვებული პროდუქციის მოცულობა, ძირითადი კაპიტალის სიდიდე, საშუალო ხელფასის დონე, რეალიზე-



ბული პროდუქციის მოცულობა, მცირე ბიზნესის დარგობრივი სტურქტურა, მცირე ბიზნესის მხარდამჭერი ინფრასტრუქტურის სტრუქტურა და ა.შ.

რეგულირების ღონისძიებათა სისტემა, უპირველეს ყოვლისა გულისხმობს მცირე ბიზნესის განვითარების სტრატეგიის განსაზღვრას და მაკროეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებას, ასევე იმ ღონისძიებათა ერთობლიობას, რომელთა განხორციელებაც აუცილებელია დასახული მიზნის მისაღწევად.

რეგულირების ღონისძიებათა სისტემის შინაარსი განისაზღვრება ქვეყნის მთელი ეკონომიკის და ასევე მცირე ბიზნესის განვითარების ღონით. პოსტკომუნისტური ქვეყნებისათვის მათი განვითარების პირველ ეტაპზე სტრატეგიული მიმართულება არის მცირე ბიზნესის განვითარება და იმ მაკროეკონომიკური კლიმატის შექმნა, რომელიც ხელს შეუწყობს მცირე ბიზნესის ჩამოყალიბებას და ა.შ.

მცირე ბიზნესის განვითარების მაკროეკონომიკური რეგულირების ინსტრუმენტებიდან შესაძლებელია გამოვყოთ ადმინისტრაციული და ეკონომიკური ინსტრუმენტები. პირველს მიეკუთვნება: ლიცენზირება, რეგისტრაცია, ანტიმონპოლიტიკი და ბუნების დაცვითი აკრძალვები, კვოტები და სხვ. ეკონომიკური ინსტრუმენტებიდან აღსანიშნავია: პროგნოზები, გეგმა, პროგრამები, სტრანდარტები, ნორმატივები, ტარიფები, სააღრიცხვო განაკვეთები, საბაჟო გადასახდელები, საგადასახადო შეღავათები, სახელმწიფო შესყიდვები, სუბსიდიები, კომპენსაციები, ფულად-საკრედიტო, ფისკალურ-მონეტარული ინსტრუმენტები და სხვ.

ეკონომიკური რეგულირების მეთოდი ითვალისწინებს არა პირდაპირ დირექტიულ გაფრთხილებას, არამედ მოქმედებს დარეგულირებული ობიექტის ინტერესებიდან გამომდინარე.

მცირე ბიზნესისადმი საერთაშორისო დამარების რეგულირება ნიშნავს სახელმწიფოს მიერ საერთაშორისო დამარების მოზიდვას და მისი მცირე ბიზნესში ეფექტური გამოყენების ხელშეწყობას, რაც უნდა განხორციელდეს იმ ორგანოს მიერ, რომელიც უშუალოდ არეგულირებს მცირე ბიზნესს.

რეგულირების კონტროლი გულისხმობს მცირე ბიზნესის რეგულირების პროცესში შესაბამის ინდიკატორთა ანალიზის საფუძველზე არსებული ნაკლოვანებების გამოვლენას და აღმოფხვრის გზების დასახვას, ან კორექტივების შეტანას რეგულირების მექანიზმი.

მცირე ბიზნესის უსაფრთხოება რისკის გათვალისწინებით. ამ მიმართულებით უნდა გატარდეს ღონისძიებები, რომლებიც შეამცირებს ბიზნესის, როგორც ეკონომიკური, ისე სხვა სახის რისკებს.

რისკის ძირითადი სახეებია: სამეწარმეო კომერციული, ფინანსურ (საკრედიტო) საინვესტიციო და ბაზრის რისკის უარყოფითი შედეგების მინიმიზაცია ხდება რისკის მართვის, რისკზე კონტროლისა და რისკის ფინანსირების მეთოდით.

რისკის უარყოფითი შედეგების შემცირებას ზელს უწყობს ქვეყანაში არსებული სადაზღვევო სისტემა.

მცირე ბიზნესი განვითარების მაკროეკონომიკური რეგულირების ორგანოები მოიცავს სახელმწიფო ხელისუფლების სამივე შტოს, როგორც საკანონმდებლოს, ისე აღმასრულებელს და სასამართლოს.

მცირე ბიზნესის განვითარების მაკროეკონომიკური მექანიზმი წარმოადგენს ლოკალურად შექრულ მთლიან სისტემას, რომლის ელემენტებს შორის მჭიდრო დინამიკური ურთიერთება ვრჩება.

ჩვენ მცირე ბიზნესს განვითარების ზელშემწყობი მაკროეკონომიკური მექანიზმი შემოთავაზებულ მოდელს, მისი ელემენტები (ქვესისტემები) ექვემდებარება მუდმივ ცვალებადობის შევსებას და დაზვეწას.

ამდენად, მცირე ბიზნესის განვითარების ზელშემწყობი მაკროეკონომიკური მექანიზმის ფორმირება, მისი მიმართულება-ფუნქციონირება საბაზრო ეკონომიკის სრულყოფის აუცილებელი პორობაა.

### **გამოყენებული ლიტერატურა:**

1. ანანიაშვილი ი., აჩელაშვილი კ., მესხია ა., პაპავა ვ., სილაგაძე ა., წერეთელი გ. „მაკროეკონომიკური რეგულირების მეთოდები და მოდელები“. თბ., „მეცნიერება“, 2003.
2. ჭითანავა ნ. „საბაზრო ეკონომიკის რეგულირება (ორგანიზაციული პროცესები)“, თბ., 1996.
3. Мазоль С., Экономика малого бизнеса. Минск, 2004.

## საცალო საგაფრო საწარმოების მიზნები მარკეტინგის სტრატეგია

მაია ახვლედანი  
ეკონომიკის დოქტორი

საქართველოს ეკონომიკაში მიმდინარე რეფორმები დიდ გავლენას ახდენენ საცალო ვაჭრობის განვითარებაზე: ძალიან მოკლე პერიოდში შეიცვალა მომხმარებელთა ფასეულობების სისტემა და ცხოვრების სტილი; სავაჭრო დაწესებულებებში მომხმარებელთა ყურადღება მატერიალური პროდუქტების ფუნქციური თვისებებიდან მომსახურების ხარისხზე გადაადგილდა; ვაჭრობის სფეროში ელექტრონული ტექნოლოგიების დანერგვამ ახალი ფორმატის სავაჭრო საწარმოების შექმნამდე მიგვიყვანა; ეკონომიკის გლობალიზაციის საფუძვლზე ღრმავდება საცალო ვაჭრობის საწარმოთა ინტერნაციონალიზაციის პროცესი; აქტიურად ვითარდება სამრეწველო-სავაჭრო ინტეგრაცია. აღნიშნული ცვლილებების ფონზე, საცალო სავაჭრო საწარმოებს სტრატეგიული ხასიათის ღონისძიებების განხორციელება მოეთხოვებათ.

მოსახლეობის ცხოვრების დონეზე გავლენის მასშტაბის თვალთანედვით ვაჭრობა ეკონომიკის მნიშვნელოვან დარგს წარმოადგენს. მასში დასაქმებულია საქართველოს შრომისუნარიანი მოსახლეობის დაახლოებით 3,5%. ვაჭრობის ბრუნვამ 2010 წელს 11675.6 მლნ ლარი შეადგინა, რაც წინა წლის აღნიშნულ მაჩვენებელს 12%-ით აღემატება.<sup>1</sup> ბოლო დროს საქართველოს ბაზარზე იზრდება დასავლეური ტიპის სავაჭრო ობიექტების (სუპერ-მარკეტები, ჰიპერ-მარკეტები, მოლები) რიცხვი, შესაბამისად, საცალო ვაჭრობის სექტორში კონკურენციის დონე რადიკალურად იცვლება. აღნიშნულ პირობებში, საცალო მოვაჭრის სწორი სტრატეგია მიზნობრივი ბაზრის განსაზღვრასა და საცალო სავაჭრო საწარმოების პოზიციონირების მუდმივ შერჩევაში მდგომარეობს.<sup>2</sup>

„საცალო ვაჭრობაში ძირითადი რგოლია სავაჭრო საწარმო, რომელიც იურიდიული პირია, სარგებლობს განსაზღვრული უფლებებით და გარკვეულ მოვალეობებს ასრულებს“.<sup>3</sup> სავაჭრო საწარმოთა საქმიანობა

1 [www.statistik.ge](http://www.statistik.ge)

2 ქობალავა მ. საცალო ვაჭრობის მარკეტინგული სტრატეგიები. თბილისი. ეკონომიკა #2, 2011.

3 თოდუან., მღებრიშვილი ბ. მარკეტინგის საფუძვლები. თბილისი 2009.

ორიენტირებულია მომხმარებლებზე, რომლებიც განსხვავდებიან გემოვნებით, სურვილებით, ნაყიდობის მოტივაციით, ერთი და იგივე საქონელი სხვადასხვა შეიძლების მიერ სხვადასხვაგვარად აღიქმება. მომხმარებელთა არაერთგვაროვანი ქცევით განპირობებული რისკის შემცირების მიზნით, საცალო სავაჭრო საწარმოების მარკეტინგის კონცეფცია მიზნობრივი მარკეტინგის კონცეფციას ეფუძნება და ბაზრის სეგმენტაციას ითვალისწინებს. ბაზრის სეგმენტაციით, საცალო სავაჭრო საწარმო, უპირველეს ყოვლისა, თავის პოტენციურ მომხმარებლებს ირჩევს. აღსანიშნავია, რომ „საბაზრო სეგმენტის მარკეტინგი მოწოდებულია, შექმნას საქონელი და მომსახურება თავისი ფუნქციონალური და საფასო მახასიათებლებით, რომლებიც მიზნობრივი ბაზრის მოთხოვნებს შეესაბამება“. თუმცა, სეგმენტის შიგნით მომხმარებელთა მოთხოვნები ზოგჯერ განსხვავებულია, რის გამოც მარკეტინგულმა სამსახურებმა უნდა იზრუნონ „მოქნილ საბაზრო“ მიწოდებისათვის.1 საცალო სავაჭრო საწარმოების სამომხმარებლო ბაზრის სეგმენტაციის მიზნებია: მომხმარებლებზე მარკეტინგული მუშაობის ორიენტირება, კონკურენტული უპირატესობების გაძლიერება, მომხმარებელთა დაკმაყოფილებისათვის ტექნოლოგიური ფაქტორების გამოყენებისაკენ სწრაფვა, დანახარჯების რაციონალიზაცია და კონკურენტული ბრძოლიდან ბაზრის აუთივისებელ სეგმენტში წასვლა.

მიზნობრივი მარკეტინგის სტრატეგია, პირველ რიგში, საცალო სავაჭრო საწარმოების ადგილმდებარეობას ითვალისწინებს: აქ შესაძლოა ორი ვარიანტის განხილვა: 1) საცალო სავაჭრო ობიექტის მომვალი განლაგების განსაზღვრა; 2) უკვე არსებული საცალო სავაჭრო ობიექტის სეგმენტების დაზუსტება და კორექტირება. მიზნობრივი სეგმენტის დაზუსტების პროცესი შემდეგ ეტაპებს მოიცავს:

- საცალო სავაჭრო ობიექტების საბაზრო შესაძლებლობების ანალიზი;
- სეგმენტაციის ნიშნების შერჩევა;
- სეგმენტის მიზნიდებლობის შეფასება;
- პოზიციონირების სტრატეგიის შერჩევა.

ბაზრის სეგმენტაციის გზაზე პირველი ნაბიჯია სეგმენტაციის იმ ნიშნების (დემოგრაფიული, გეოგრაფიული, სოციალურ-ეკონომიკური, ფსიქოგრაფიკული, ქცევითი) შერჩევა, რომლებიც საბაზრო სეგმენტების ზუსტი იდენტიფიცირების საშუალებას მოგვცემს. ვინაიდან, საცა-

1 ჯაფახიშვილი რ., ოქრუაშვილი ნ. მარკეტინგი. თბილისი 2009.

ლო ვაჭრობის სფეროში, სეგმენტაციის ნიშნები მჭიდრო ურთიერთ-კავშირში იმყოფებიან და ერთმანეთს ავსებენ, ამიტომ მიზანშეწონილად მიგვაჩნია, საბაზრო სეგმენტები შერეული ნიშნებით განისაზღვროს:

- გეოგრაფიული მდებარეობა (ქვეყანა, რეგიონი, ქალაქი, ოლქი, ტერიტორია სავაჭრო ობიექტიდან 400-800 მეტრის რადიუსში);
- საცალო სავაჭრო ობიექტის ადგილმდებარეობა მყიდველთა ნაკადების მიმართ (მყიდველთა საცხოვრებელ ადგილთან, გზებთან, მეტროსთან, მიწისზედა ტრანსპორტის გაჩერებასთან, ქალაქის ცენტრთან სიახლოევე);
- ფსიქოგრაფიკული მახასიათებლები (ცხოვრების სტილი, პიროვნული თვისებები, ქლასობრივი კუთვნილების აღქმა);
- ყიდვის მოტივები (პრესტიჟი, ეკონომიკა, კომფორტი);
- დემოგრაფიული და სოციალური ეკონომიკური მაჩვენებლები (სქესი, ასაკი, შემოსავლის დონე, კლასობრივი კუთვნილება, განათლება, ეროვნება, რელიგია, ოჯახის სიდიდე და სხვა);
- ქცევითი მოტივები (ყიდვის სტილი, საძიები სარგებელი, ნაყიდობის ადგილი და დრო, საქონლის აღქმისადმი მზადება).

ბაზრის სეგმენტაციას ლოგიკურად მოსდევს იმ სეგმენტის (ან სეგმენტების) შეფასებისა და შერჩევის ეტაპი, რომელიც საცალო მოვაჭრისათვის მომსახურების თვალსაზრისით მიმზიდველია. მარკეტინგულ ლიტერატურაში მიზნობრივი სეგმენტის შეფასებისათვის შემოთავაზებულია კრიტერიუმები: სეგმენტის სიდიდე, მომხმარებელთა ფარდობითი ხარისხობრივი ერთგვაროვნება, სეგმენტის ხელმისაწვდომობა, კონკურენციის ინტენსიურობა, მოგებიანობა და სეგმენტის სიმყარე. სავაჭრო საწარმომ, აირჩია რა საბაზრო სეგმენტი, უნდა განახორციელოს პოზიციონირება. პოზიციონირება – ეს საწარმოსათვის ისეთი საბაზრო პოზიციის ძებნის პროცესია, რომელიც მას გარკვეული უპირატესობებისა და უნიკალური სავაჭრო შეთავაზებით, მომხმარებელთა ცნობიერებაში, კონკურენტების პოზიციისგან განასხვავებს შეიძლება ვთქვათ, რომ სეგმენტირება და პოზიციონირება – ეს ერთი პროცესის ორი მხარეა, რომელიც დაკავშირებულია მიზნობრივი ბაზრის გამოყოფასთან და მასზე ეფექტურ საქმიანობასთან. საცალო სავაჭრო საწარმო, პოზიციონირების ამოცანის გადასაჭრელად პოზიციონირების საფუძველს ირჩევს და პოზიციონირების გეგმას ადგენს <sup>1</sup>.

1 Гордон Я. Маркетинг партнерских отношений./ Пер. с англ. под ред.

საცალო სავაჭრო საწარმოების პოზიციონირების სტრატეგია ეფუძნება ქართველ მომხმარებლთა ქცევის თავისებურებებს. საცალო სავაჭრო საწარმოების მარკეტინგულმა სამსახურებმა, პოზიციონირების სტრატეგიის შეტუშავებისათვის, პირველ რიგში, უნდა განსაზღვრონ: როგორ პოზიციას იყავებენ მომხმარებელთა ცნობიერებაში, როგორი პოზიციის დაკავება სურთ, საქმარისია თუ არა საწარმოს მარკეტინგული და საფინანსო ბიუჯეტი პოზიციის გამაგრებისათვის, არის თუ არა შესაძლებლობები პოზიციონირების შერჩეული სტრატეგიის რეალუზაციისათვის.

საცალო სავაჭრო საწარმოს წარმატება თუ წარუმატებლობა მისდამი მომხმარებელთა ერთგულების დონით განისაზღვრება. მომხმარებელთა ლიოალურობა, საცალო სავაჭრო საწარმოსადმი, იმ შეფასებაზეა დამოკიდებული, რომელიც მის ცნობიერებაში ფორმირდება. აღნიშნულის გათვალისწინებით, ნებისმიერი სავაჭრო ობიექტი აუცილებელია, განვიხილოთ არა მარტო ფუნქციონალური, არამედ, საბაზრო-ფიქტოგიური თვალსაზრისით.

იმერთის სამომხმარებლო ბაზარის კვლევის შედეგად გამოკლინდა, რომ მომხმარებელთა მიერ საცალო სავაჭრო საწარმოსადმი უპირატესობის მინიჭებაზე გავლენას შემდევი ფაქტორები ახდენენ: ადგილმდებარეობა - 40%, სასაქონლო ასორტიმენტი - 42%, გასაყიდი პროდუქციის უსაფრთხოება - 51%, მომსახურება - 34%, სერვისი - 18%, საქონლის ხარისხი - 57%. რეკლამა - 14%. გარე და შიგა გაფორმება - 22%. გარე გაფორმებაზე დამოკიდებული თუ რამდენი გამოლელი ადამიანი დაანტერესდება და შევა მასში, ხოლო შიგა გაფორმება განსაზღვრავს - რამდენ ფულს დახარჯავენ ისინი საყიდლებზე. აბრა, ვიტრინა, საქონლის ხარისხი და მომსახურება, სავაჭრო ობიექტის გეგმა და საქონლის განლაგება - ყველაფერი ეს იმიჯის მაფორმირებელი ფაქტორებია.<sup>1</sup> მომხმარებელი სავაჭრო საწარმოს მიმზიდველი იმიჯით აღიქვამს, როგორც სხვებისგან განსხვავებულს, იმ უპირატესობებს ხელავს, რომლებიც კონკურენტ საცალო სავაჭრო საწარმოებს არ გააჩნია. მყიდველთა ქცევაზე, ასევე, მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მყიდველებითი ჩვევები: მყიდველთა ერთი ნაწილი უპირატესობას მსხვილ სუპერმარკეტებს ანიჭებს, მეორენი - მცირე მაღაზიებს სახლთან ახლოს, მესამენი - საბითუმო ბაზრებს. მაგრამ, ყველანი საქონლის შემნის ჯამურ გამოცდილებას ეყრდნობა, რომელიც მყიდველის გამყიდველთან

О.А. Третьяк. Спб.: Питер. 2001.-. (Серия. Маркетинг для профессионалов.)

1 <http://www.marketing.spb.ru>.

ურთიერთობის (მყიდველის მაღაზიაში შესვლის მომენტიდან გამოსვლით დასრულებული) ყველა ასპექტს მოიცავს. სავაჭრო საწარმოს მომსახურების ხარისხი და იმიჯი გამჟიდველის კომპეტენციასა და პროფესიული მომზადების დონეზეა დამოკიდებული. მყიდველი ხომ მიჩვეულია, განიხილოს ის, როგორც მოცემული სფეროს „ექსპერტი“. ამიტომ, აუცილებელია სავაჭრო პერსონალის კალიფიკაციის სისტემატიკური ამაღლება და სპეციალიზაციის გაღრმავება.

ბოლო ათწლეულში ქართველი მომსმარებელი საქონლისა და მომსახურების სამომხმარებლო ღირებულებებში უკეთესად ერკვევა, რასაც ხელს უწყობს შემდეგი ფაქტორები: სარეკლამო ბაზრის განვითარება, გლობალიზაცია, ელექტრონული ვაჭრობა, სავაჭრო ობიექტების რიცხვის ზრდა, ეკონომიკური კრიზისი (მყიდველი გახდა ეკონომიკური) მყიდველები განიცდიან ღროის დეფიციტს და უყენებენ უფრო მაღალ მოთხოვნებს საქონელსა და მომსახურებას. თანამედროვე მომსმარებელს გააჩნია ნაყიდობის შესასრულებლად მრავალი შეთავაზება: მაღაზია, კატალოგები, ელექტრონული ვაჭრობა, და სხვა.1 ქართველ მომსმარებელთა მოთხოვნის ხასიათში მომხდარი ცვლილებები, საცალო ვაჭრობის ბაზარზე ცვლილებების წინაპირობა და აძლევს იმპულსს საცალო ვაჭრობის თანამედროვე ფორმატის დინამიურ განვითარებას.

საქართველოს სავაჭრო ქსელების მუშაობის გამოცდილების შესახებ, ჩვენ მიერ ჩატარებულმა ანალიზმა უჩვენა, რომ ბევრმა შეიქმნა საქმაოდ განსაზღვრული და ადვილად იღენტიფიცირებული პოზიციები (სავაჭრო ქსელის სუპერ და პოპულარკეტები „გუდვილი“, „დანიური სახლი“, „პოპული“, „ბატა“, „ვაიკიკი“, „ნიკორა“, „გულე-გუ“ „ისი-პარი“ „ელიტ-ელექტრონიკსი“, „ქარვასლა“ და ა.შ.). აღნიშნულმა სავაჭრო საწარმოებმა საცალო ვაჭრობის ბაზარზე პოზიციები საქონლის ხარისხზე დაყრდნობითა და გურმანების მოზიდვის მცდელობით გაიმყარეს.

დასკვნის სახით, შეიძლება ითქვას, რომ საცალო ვაჭრობის სფეროში მარკეტინგის მიზანია, გავზადოთ გაყიდვები ისეთივე ბუნებრივი, როგორიც სუნთქვის პროცესია, რისთვისაც აუცილებელია საცალო სავაჭრო საწარმოთა მიზნობრივი ბაზრის თავისებურებების განსაზღვრა და სავაჭრო საწარმოს კონკურენტულ უპირატესობების გათვალისწინებით პოზიციონირების სტრატეგიის შემუშავება.

1 თოლეუ.ნ., ახვლებიანი მ. საქართველოს შალის ქსელიდების ბაზრის განვითარების მარკტინგული სტრატეგიები. ფურნალ: „ექონომიკა“, თბილისი, #10-12 2009.

**ბანკის მიერ იურიდიული პირების  
საანგარიშესწორებო-საბაზის მომსახურების  
განხერობის მიმღებების შემოწმება**

**კონფრატ დიმიტრიშვილი  
სტუ დოქტორანტი**

იურიდიული პირების საანგარიშესწორებო-სალაროს მომსახურების შიდასაბანკო კონტროლი თავის თავში მოიცავს მოლარისა და კონტროლირის ურთიერთკონტროლს მიმღინარე პერაციების განხორციელების პროცესში და საოპერაციო დღის დასრულებისას; ბუღალტრულ კონტროლს – საოპერაციოს შემდეგ დღეს; დამატებით კონტროლს მთავარი ბუღალტრის მხრიდან ან მის მიერ უფლებამოსილი პირის მიერ; შემდგომი კონტროლი შიდასაბანკო კონტროლისა და აუდიტის სპეციალიზებული სამსახურის მხრიდან გეგმიურ საფუძველზე ხორციელდება პანკის შესაბამისი ქვედანაყოფის საფინანსო-სამუშაო საქმიანობის კომლექსური შემოწმების შემადგენლობაში, აგრეთვე ზემდგომი ორგანიზაციის დავალებით ან წლიური სამუშაო გეგმის შემადგენლობაში მუშაობის მოცულეობის მონაკვეთის თემატური შემოწმებებისას.

იურიდიული პირების საანგარიშესწორებო-სალაროს მომსახურების მდგომარეობის თემატური შემოწმების პროგრამა მოიცავს კლიენტების მომსახურების საერთო მდგომარეობისა და ანგარიშესწორებების გასწინის, წარმოებისა და დახურვის წესის დაცვის შემოწმების ანალიზს. პროგრამის რეალიზაცია ხორციელდება რისკების ყველა სახეობებზე შიდასაბანკო კონტროლის მდგომარეობის შეფასების კერძო მეთოდიების, საანგარიშესწორებო-სალაროს მომსახურების განყოფილების მუშაობის ეფექტუალიზაციისა და კლიენტები-იურიდიული პირების მომსახურების დადგენილი რეგლამენტების დაცვის საფუძველზე. პროგრამა მოიცავს შემდეგ კლემბენტებს:

**კლიენტები-იურიდიული პირების ორგანიზაციულ დონეზე საანგარიშესწორებო-სალაროს მომსახურების მდგომარეობის შემოწმებას:**

საგარეო რისკებზე შიდასაბანკო კონტროლის მდგომარეობის შესწავლა. საპროცენტო და სატარიფო პოლიტიკის ჩატარებისას კონკრეტ-

ული გარემოს ჩატარებადი მარკეტინგული კვლევების ეფექტიანობის შეფასება. მათი სისრულის, პერიოდულობის შესწავლა და შემუშავებადი რეკომენდაციების სარგებლიანობის დადგენა. აღნიშნულის განხორციელების მიზნით საჭიროა მარკეტინგული კვლევების მასალების გაანალიზება შემდეგი საკითხების მიხედვით:

– რეგიონში სამომხმარებლო ფასების ინდექსი, ფინანსური რესურსების ზრდის რეალური ტემპები (ზრდის ტემპი ინფლაციის გამოკლებით);

– მოზიდული სახსრების სეზონური მერყეობის ანალიზი (კლიენტების ანგარიშების მიხედვით ბრუნვებისა და ნაშთების ყველაზე დიდი და ყველაზე ნაკლები ზრდის პერიოდი);

– რეგიონში საქმიანი აქტიურობის ცვლილებების ანალიზი; ეკონომიკის ყველაზე პერსპექტიული დარგებისა და რაიონის საწარმოების მიერ გამოშვებადი კონკურენტუნარიანი პროდუქციის ძირითადი სახეობების გამოყოფა;

– რეგიონის საწარმოებისა და ფირმების შესახებ მათი ძირითადი მაჩვენებლების დინამიკაში ინფორმაციების შეგროვება და ანალიზი;

– ფინანსური მომსახურეობის ბაზარზე კონკურენტების შესახებ მათი ძირითადი მაჩვენებლების დინამიკაში ინფორმაციების შეგროვება და ანალიზი;

– პოტენციური კლიენტების მიერ შემოთავაზებული მომსახურეობის ბაზრის შედარებითი ანალიზი;

– ბანკებში არარსებული, მაგრამ კონკურენტების მიერ განხორციელებადი მომსახურეობები;

– ბანკის მიერ შემოთავაზებული მომსახურეობები, მაგრამ დაბალი კონკურენტუნარიანობიდან გამომდინარე, არამოთხოვნადები;

– ბანკის მომსახურებები, რომლებიც მაღალ მოიხოვნადა წარმოადგენებ;

– იურიდიული პირების საანგარიშსწორებო-სალაროს მომსახურეობათან მიმართებაში მომსახურებაზე ტარიფების შედარებითი ანალიზი;

– ფინანსური მომსახურების ბაზარზე ბანკის აღგილი.

ამასთან გათვალისწინებული უნდა იქნას, რომ ბანკების ან სხვა საფინანსო-საკრედიტო დაწესებულებების მიერ დადგენილი ტარიფები (საპროცენტო განაკვეთები), ბევრად განსაზღვრავენ ბანკის რეაქციას კონკურენტულ გარემოზე, საბანკო პროდუქტებზე ფასები პირდაპირ კავშირშია როგორც თვით ბანკის, ასევე მათი კონკურენტების მხრიდან მიწოდებული მომსახურეობებისა და საიმედოობის ხარისხთან მიმართებაში

## პირველი, მთელი მარკაზე

ბანკის განყოფილების მიხედვით ბრძანებების წიგნის და ჩატარებული მარკებინგული კვლევების ჯამური ანალიტიკური მოხსენებითი ბარათის შესწავლით საჭიროა შემდეგი ფორმის ცხრილი იქნას შევსებული:

მარკებინგული სამსახურის რეკომენდაციები	ბანკის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებები	მაჩვენებლის ცვლილების დინამიკა			
რეკომენ- დაციის მოყლე შინაარსი	მოხ- სებითი ბარათის თარიღი	ბრძანების მოყლე შინაარსი	ბრ- ძანების თარიღი	მაჩვენებლის მნიშვნელობა ბრძანების გამოცემის თარიღისათვის	მაჩვენებლის მნიშვნელობა შემოწმების თარიღისათ- ვის

ეპონომიკურ-სტატისტიკური აღრიცხვის მონაცემების გაანალიზება მაჩვენებლების ყოველთვიურ დინამიკაში, იურიდიული პირების საანგარშესწორებო-სალაროს მომსახურების განყოფილების მუშაობის ეფექტურობის შეფასება წინა კომპლექსური ან თემატიკური შემოწმების შემდგომ პერიოდში. აღნიშნული ოპერაციებიდან შემოსავლების სრულად და თავისდროულად შემოსულობების შემოწმება. მაჩვენებლების ცვლილებაზე ზემოქმედი მიზეზების გამოვლენა. აუდიტორის მიერ სამუშაო დოკუმენტაციის სახით გამოიყენება ცხრილი №1.:

### ცხრილი №1.

**სარჯები, დაკავშირებული საანგარშესწორებო-სალაროს  
მომსახურების ოპერაციებთან**

მაჩვენებელი	მნიშვნელობა
სარჯები საოპერაციო განყოფილების მოწყობილობებით, ინგესტორით და საოპერაციო-საანგო მასალებით უზრუნველყოფაზე; სარეკლამო-საინფორმაციო სარჯები	
სარჯები ინკასაციაზე, სიგნალიზაციაზე, ხანძარსაწინააღმდეგო და დაცვით ლონისძიებებზე; საექსპლოატაციო სარჯები	
სარჯები განყოფილების აპარატის შენახვაზე	
პროცენტული სარჯები კლიენტების ანგარიშების მიხედვით	

ოპერაციების რაოდენობა	
საკომისიოები და სხვა შემოსავლები კლიენტების ანგარიშების მიხედვით ოპერაციებიდან	
თვითდირებულება ერთი ოპერაციის	
საშუალოშეწონილი დირექტულება ერთი მომსახურეობის	
ფუნქციონირების რენტაბელურობა	
ბიზნეს-გეგმის დაგადაბის შესრულების პროცენტი: კლიენტები-იურიდიული პირების მოზიდვასთან დაკავშირებ- ბით საანგარიშსწორებო-სალაროს მომსახურებაზე; მათ ანგარიშებზე საშუალოდდიური ნაშთების მიხედვით	

3. საანგარიშსწორებო-სალაროს ოპერაციების განხორციელებისას მონაცემების ელექტრონული დამუშავების, ავტომატიზირებული საბანკო სისტემის (ასს) გამოყენებით, ორგანიზაციის შემოწმება (ცხრილი №2):

#### ცხრილი №2.

მონაცემების ელექტრონული დამუშავების პროცესების ხარისხის შეფასება

შემოწმების მიმართულებები	კი/არა
ავტომატიზირებული საბანკო სისტემების ექსპლოატაციაში შევეანის შესახებ ბრძანების არსებობა	
ავტომატიზირებული საბანკო სისტემის ექსპლოატაციის შიდასაბანკო რეგლამენტის არსებობა	
მონაცემების შეღარების პროცესის რეალიზება მათი ქვესისტემიდან გადატანის შემდეგ	
ავტომატიზირებულ საბანკო სისტემაში მონაცემების ავტომატური კონტროლის მეთოდების არსებობა	
მონაცემების საარქივო და სარეზისტრო კოპირების წესის განსაზღვრულობა	
ავტომატიზირებული საბანკო სისტემების ხარისხობრივი ფუნ- ქციონირების განახლებისა და მონაცემთა ბაზების ადგენასთან მიმართებაში (აგარის ან გაუთვალისწინებელი გარემოებების შემთხვევებში) დონისმიე- ბების ჩატარების გეგმის არსებობა	

## პირველი, მთავრული, მარკაზი

კლიენტები-იურიდიული პირების ანგარიშების მომსახურების წესის დაცვის შემოწმება:

საჭიროა ოპერაციები იქნას შემოწმებული კლიენტების ანგარიშებზე სახსრების ჩარიცხვასთან დაკავშირებით:

ნამდვილი საბუთების მიხედვით უნდა დადგინდეს კლიენტების ანგარიშებზე სახსრების ჩარიცხვის კანონიერება და საფუძვლიანობა, აგრეთვე აღნიშნული ოპერაციების გაფორმების სისწორე;

კლიენტების ანგარიშებიდან სახსრების ჩამოწერასთან დაკავშირებით ოპერაციების შემოწმება:

უნდა დადგინდეს, განხორციელდა თუ არა ხარჯვითი ოპერაციები კლიენტის ანგარიშსწორების ანგარიშზე სახსრების არარსებობისას;

დადგინდეს რა თანხაზე იქნა სადებუტო ნაშთი განხორციელებული;

გაანალიზებული იქნას კლიენტებისათვის არათავისდროულად ანგარიშსწორების ჩატარების შემთხვევები და მიზეზები.

აღბეჭდილი იქნას აუდიტ-ფაილი ბოლო შემოწმების თარიღიდან შემოწმების პერიოდის განმავლობში. მიღებული ინფორმაციის ანალიზის შედეგად უნდა შეიგასოს შესაბამისი ბალანსი

### ცხრილი №3.

განყოფილების სპეციალისტების მიერ ჩატარებული რისკიანი ოპერაციების რეესტრი პერიოდის განმავლობაში (პერიოდის მითითება)

რისკიანი ოპერაციები	ოპერაციის თანხა	ოპერაციის თარიღი	პირადი ანგარიშის ნომერი	კონტროლიორი
კლიენტის პირადი ანგარიშის პარამეტრების ცვლილებები				
საპოცენტო განაკვეთების ცვლილებები				
ოპერაციის სტორნირება				
სხვა რისკიანი ქმედებები				

ყველა აღმოჩენილი რისკიანი ოპერაციის მიხედვით პირველადი საბუთების შემოწმება უნდა განხორციელდეს ქვემოთმოყვანილი ფორმის მიხედვით:

კლიენტის პირადი ანგარიშის ნომერი	შესწორების თარიღი	შესწორების ჯამური თანხა	შესწორების დასაბუთებულობა (კი/არა)

## ასოფლიო ეკონომიკა

საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობა,  
როგორც საქართველოს რეგიონები ეკონომიკური  
ინტებრაციის საფუძველი

ზურაბ გაშაგიძე  
ედ, სტუ ასოცირებული პროფესორი

მირიან პაპუნიძე  
სტუ დოქტორანტი

XXI საუკუნეში ეკონომიკური ინტეგრაციული პროცესები ქვეყნის განვითარების მთავარ ფაქტორადაა აღიარებული. სწორედ ამიტომაა, რომ ნებისმიერი სუვერენული სახელმწიფო ძალისხმევას არ იშურებს ქვეყნის სრულყოფილი ეკონომიკური გარემოს და სწორი ინტეგრაციული მიმართულების ჩამოყალიბებისათვის.

საგარეო ეკონომიკური ურთიერთობის და შესაბამისად, ეკონომიკური ინტეგრაციის განვითარების ისტორიას თუ გადავხედავთ, ნათლად დავნიახავთ, რომ მან განვითარების რამდენიმე სტადია განვლო. პირველი, ადრეული სტადია, რომელიც დაკავშირებული იყო საერთაშორისო ხელშეკრულებების აღიარებულ ნორმებში მოქცევისთან და ინტეგრაციული გაერთიანებების იმ პერიოდისათვის დამსხასიათებელი ნიშნების ჩამოყალიბებასთან. გვიანდელი სტადიაა, ეკონომიკურ-პოლიტიკური აღიარება და მის საფუძველზე რეგიონალური კავშირების ჩამოყალიბება (ევროკავშირი).

საქართველო პირდაპირ, როგორც სუვერენული სახელმწიფო და ირიბად, როგორც საბჭოთა იმპერიის შემადგენელი ნაწილი, ეკონომიკური ინტეგრაციის ორივე სტადიაში იღებდა და იღებს მონაწილეობას. საქართველომ ოთხმოცდაათიან წლებში აღიდგინა დამოუკიდებლობა, იგი საკუთარ გზას იკვლევს საერთაშორისო პოლიტიკურ და ეკონომიკურ სისტემაში და სხვადასხვა ქვეყნებთან საერთაშორისო სამართლის ნორმების შესაბამის ურთიერთობას აყალიბებს. ამ ურთიერთობებს სა-

შიშროება შეუქმნა 2008 წლის რუსეთ-საქართველოს საომარმა კონფლიქტმა. რუსეთის ფედერაციამ განახორციელა საქართველოს ორი ისტორიული ტერიტორიის ანექსია, სახელდიბრ აფხაზეთისა და სამაჩბლოს რეგიონისა. მიუხედავად ამ კონფლიქტისა, საქართველოსთვის მნიშვნელოვანი იყო ინტეგრაციის რა მიმართულებას აირჩევდა. საქართველომ ამ სიტუაციაში სწორი მმართულება აირჩია, სახელდიბრ — ინტეგრაცია ევროკავშირში. აქედან გამომდინარე, სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოებთან ახალი ინტეგრაციული პოლიტიკის განხორციელება.

თანამედროვე მსოფლიოში გამოიკვეთა ინტეგრაციულ პროცესებში სამ ტენდენციას შორის დაპირისპირება. პირველი, საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებში მონაწილეობის კვალობაზე, მსოფლიო ეკონომიკურ პროცესებში ღრმა ინტეგრაცია; მეორე, რეგიონულ მატონიმიკურ სისტემაში ინტეგრირება; მესამე, ინტეგრაციულ პროცესში ეროვნული ინტერესებისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფა.

ჩვენი მოსაზრებით, საქართველომ უნდა გათვალის სამივე ტენდენციის შესაძლო შედეგი და მასზე ააგოს სამომავლო ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარების პროგრამა. ამ პროცესში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ინტეგრაციას სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოებთან, სადაც შესაძლოა გამოიყოს შემდეგი მიმართულებები: 1. საკანონმდებლო ბაზის დაახლოება; 2. ეკონომიკური ინტერესების პარმონიზაცია.

აუცილებელია საკანონმდებლო ბაზის დაახლოება საქართველოს, სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის. ეკონომიკის საკანონმდებლო რეგულირება წარმოადგენს მაკონტროლებელი ხასიათის სისტემას და ეს სისტემა სამივე სახელმწიფოები იდენტურია. ამ სისტემაში მონაწილეობები ცენტრალური და ადგილობრივი მაკონტროლებები (საგადასახადო ინსპექცია, ფინანსთა სამინისტროს საგამოიქმებო დეპარტამენტი, კონტროლის პალატა) და საზოგადოებრივი ორგანიზაციები (პროფკავშირები, არასამთავრობო ორგანიზაციები).

საქართველოს, აზერბაიჯანის და სომხეთის მთავრობების საკანონმდებლო პოლიტიკა ეკონომიკაში ირიბად ჩარევაა და ეს ქვეყნები ქმნიან ისეთ საკანონმდებლო ბაზას, რომელიც საბაზრო ეკონომიკის ეფექტურ ფუნქციონირებას უწყობს ხელს (თუმცა, არსებობს კერძო შემთხვევები, როდესაც კანონის გვერდის ავლით მთავრობები უშუალოდ ერევიან კერძო სექტორში). ამ კანონმდებლობების ღეიტმოტივია: — „კონკურენცია უნდა იყოს ყველგან, სადაც ეს შესაძლებელია და აუცილებელია“. ამ

სახელმწიფოებში ეკონომიკური რეგულირების სამი ძირითადი მომენტი გამოიყოფა: 1. სახელმწიფო; 2. საბაზო და 3. კორპორაციული. მათი თანაარსებობა მოითხოვს სახლმწიფო ეკონომიკური რეგულირების სხვადასხვა დონეების ორგანულ თანაარსებობას.

